

ენათმეცნიერების საკრებები

ISSN 1512-0473



2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2023



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ვ. ბოდერი, ნ. გაფრინდაშვილი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,
პ. ფენრიხი, მ. შანიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

W. Boeder, H. Fähnrich, N. Gaprindashvili, J. Gippert,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, ზ. ბარათაშვილი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი,
ი. ლეჟავა (რედაქტორი), დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია,
ლ. ქეცბა-ხუნდაძე, რ. ქურდაძე, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, Z. Baratashvili, T. Bolkvadze, M. Jikia,
M. Ivanishvili, L. Ketsba-Khundadze, R. Kurdadze,
I. Lezhava (Editor), D. Melikishvili, E. Soselia

*ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze
and Zurab Sarjveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

Published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2024

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2024

ISSN 1512-0473

შინაარსი

<i>ლია აბულაძე, მისაღმების ფორმულა ქართულში</i>	5
<i>Lia Abuladze, The Formula of Greeting in Georgian</i>	12
<i>მარინა ალექსიძე, ნატალია ბასილაია, რამდენიმე დაკვირვება</i> <i>ა. ს. პუშკინის „ქართულ“ ლექსებზე</i>	13
<i>Marina Aleksidze, Natalia Basilaia, A Few Observations on</i> <i>A. S. Pushkin's "Georgian" Poems</i>	17
<i>მარინა ალექსიძე, ლაურა გურული, მხატვრული ტექსტი როგორც</i> <i>სასწავლო მიზნების მიღწევის საშუალება</i>	19
<i>Marina Aleksidze, Laura Guruli, Artistic Text as a Means of Achieving</i> <i>Educational Goals</i>	24
<i>რუსუდან ასათიანი, ენის საკომუნიკაციო ფუნქციის რღვევის</i> <i>ტენდენცია პოსტმოდერნულ სამყაროში</i>	25
<i>Rusudan Asatiani, The Tendency of Language Communicative</i> <i>Function Disruption in the Postmodern World</i>	32
<i>ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ასიმილაციის</i> <i>ფონეტიკურ პროცესთა თავისებურებანი ფრანგულ ენაში</i>	33
<i>Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovich, Features of Phonetic</i> <i>Assimilation Processes in the French Language</i>	35
<i>ნანა გამყრელიძე, ივანე ლეჟავა, უდიური ენის ხშული თანხმოვნების</i> <i>აკუსტიკური ანალიზი</i>	36
<i>Nana Gamqrelidze, Ivane Lezhava, Acoustic Analysis of the Stop</i> <i>Consonants of the Udi Language</i>	43
<i>რუსუდან ზეკალაშვილი, თავაზიანობის გამოხატვის შესახებ</i> <i>ქართველურ ენებში</i>	47
<i>Rusudan Zekalashvili, To the Linguistic Ways of Expressing</i> <i>Politeness in Kartvelian Languages</i>	64
<i>მარინე ივანიშვილი, ენაში მიმართვის ფორმა არის „გრამატიკული</i> <i>კატეგორია წოდებითი ბრუნვის, დიად, ბრუნვისა“</i>	66
<i>Marine Ivanishvili, Is the Vocative Form a Case in Georgian?</i>	72
<i>Gia Kvashilava, On the Decipherment of the Inscriptions of Linear</i> <i>A in the Common Kartvelian Language</i>	73
<i>გია კვაშილავა, A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთოქართველურ</i> <i>ენაზე გაშიფვრის შესახებ</i>	87
<i>ივანე ლეჟავა, დისიმილაციური გამჟღერება სვანურ და ოსურ ენებში</i>	89
<i>Ivane Lezhava, Dissimilative Voicing in the Svan and Ossetian Languages</i>	92

<i>ჯიანფენგ ლი, პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი „ვეფხისტყაოსანში“</i>	93
<i>Jianfeng Li, Social Network Analysis: Characters in “The Knight in the Panther’s Skin”</i>	102
<i>თამარ მახარობლიძე, კლასის კატეგორია ქართული ჟესტური ენის ზმნურ აქტანტებში</i>	103
<i>Tamar Makharoblidze, The Class-category in Verbal Arguments in GESL</i>	109
<i>მარიამ ნავაძე, არტიკულაციის ტემპისა და ფუნდამენტური სიხშირის სტატისტიკური ანალიზი სასამართლო ფონეტიკაში: კვლევა ქართულ ენაზე</i>	111
<i>Mariam Navadze, Statistical Analysis of Speech Rate and Fundamental Frequency in Forensic Phonetics: A Study on the Georgian Language</i>	119
<i>ირმა რუსაძე, მეტყველების ინტენსიფიკაცია და მისი გამოსახვის საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში</i>	121
<i>Irma Rusadze, Speech Intensification and its Means of Expression in the English and Georgian Languages</i>	125
<i>მანანა რუსიეშვილი, მარინე მახათაძე, ორენოვანი თემატური ლექსიკონის როგორც ჰიბრიდული ლექსიკოგრაფიული ჟანრის მიკროსტრუქტურა („თოვლის“ სემანტიკური ველის მაგალითზე)</i>	126
<i>Manana Rusieshvili, Marine Makhatadze, Microstructure of the Bilingual Thematic Dictionary as a Hybrid Lexicography Genre (On an Example of the Semantic field of “Snow”)</i>	134
<i>მედეა საღლიანი, ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში</i>	135
<i>Medea Saghliani, Towards Phonetic-phonological and Semantic Adaptation of Lexical Units Assimilated from Ossetian-Alanic into Svan</i>	155
<i>ეთერ სოსელია, სემანტიკა და ენის იერარქიული სისტემა</i>	156
<i>Ether Soselia, Semantics and the Hierarchy of Language System</i>	160
<i>ლელა ჩოთაღიშვილი, ლათინური – პატივი თუ სასჯელი?</i>	161
<i>Lela Chotalishvili, Latin – Honour or Punishment?</i>	166
თარგმანი	
<i>მარტინ ჰასპელმათი, გრამატიკული თეორია თეორიული ჩარჩოს გარეშე თარგმნა ქეთევან თევდორაძემ</i>	168

მისაღმების ფორმულა ქართულში

ქართულში, ისე როგორც ბევრ სხვა ენაში, გვაქვს მყარი გამონათქვამები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთსა და იმავე ან მსგავს სიტუაციებში იხმარება. მათ ზოგჯერ მეტყველების ფორმულებს უწოდებენ. ამ გამონათქვამების ხმარება გარკვეულ მიზანს ემსახურება. ცნობილია, მაგალითად, მისაღმებისა და გამომშვიდობების ფორმულები, მიმართვის, ზრდილობის, მილოცვის, მადლობის ან თანაგრძნობის გამოხატვის, ფიცის, წყევლის ფორმულები. ეს მყარი გამონათქვამები, ძირითადად, პირობითი ხასიათის ტრივიალური ქცევების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. საზოგადოებაში მიღებულ ამგვარ ტრივიალურ ქცევებს კომუნიკაციის ან ურთიერთობის რიტუალებისა უწოდებენ. ნებისმიერ საზოგადოებაში შეუძლებელი იქნებოდა პერსონალური ურთიერთობების დამყარება და განვითარება ამ რიტუალების შესრულების გარეშე, ანუ პირობითი ქცევებისა და მათი შესატყვისი სამეტყველო ფორმულების ხმარების გარეშე. ეს სამეტყველო ფორმულები ავტომატიზებულია და მათი წარმოთქმისას არავენ ფიქრობს მათ შინაარსზე.

სხვადასხვა ენაში ხმარებული ფორმულების განხილვა და ურთიერთშედარება საინტერესო მასალას იძლევა ხალხთა კულტურების შესწავლისათვის, საზოგადოებაში მიღებული ქცევების, რიტუალების, სოციალური და ინდივიდუალური ურთიერთობების წესების დადგენისათვის.

ამ წერილში, ძირითადად, მხოლოდ მისაღმების (და ნაწილობრივ, აგრეთვე, გამომშვიდობების) ფორმულებს შევეხებით. პირველ რიგში განვიხილოთ, რა ადგილი უჭირავთ მათ ადამიანთა შორის კომუნიკაციის აქტის განხორციელების სქემაში. ამისათვის კომუნიკაციის აქტის იაკობსონისეულ მოდელს მივმართავთ (იაკობსონი 1979:86-94). იაკობსონის მიხედვით, კომუნიკაციის აქტი შემდეგნაირი სქემით ხორციელდება: შეტყობინების (ცნობის) გადაცემა პირი, პროდუცენტი, ანუ ვერბალური კომუნიკაციის შემთხვევაში, მოლაპარაკე, კონტაქტში შედის მიმღებთან, რეციპიენტთან ანუ მსმენელთან, გადასცემს მას თავის შეტყობინებას გარკვეული კოდის გამოყენებით. ეს კოდი არის ნიშნების სისტემა, ხშირად ის ბუნებრივი ენაა, რომელსაც ორივე მხარე, ანუ გადაცემი და მიმღები, სრულად (ან ნაწილობრივ მაინც) ფლობს. იმისათვის, რომ შეტყობინებამ გარკვეული ზემოქმედება იქონიოს მიმღებზე, საჭიროა, ეს პროცესი მისთვის გასაგებ ანუ ინტერპრეტირებად კონტექსტში მიმდინარეობდეს. ვერბალური კომუნიკაციის მოდელთან კავშირში იაკობსონი გამოყოფს ორ ენობრივ ფუნქციას: პირველი არის ენის რეფერენციული ფუნქცია, რომელიც წმინდა კონკრეტული და დენოტატიურია, შემდეგია ექსპრე-

სიული ანუ ემოტიური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს გადამცემი პირის დამოკიდებულების გამოხატვას ნათქვამის ანუ გადაცემული ცნობის მიმართ, ე.ი. ექსპრესიული ფუნქცია შეტყობინების გადამცემზეა ორიენტირებული, მისი მახასიათებელია. ხოლო ენის აპელაციური ანუ კონატიური ფუნქცია ცნობის მიმღებისკენაა მიმართული. იაკობსონის სქემაში ამ ფუნქციას მოსდევს ენის ფატიური ფუნქცია, რომელიც ხორციელდება შეტყობინების გადამცემსა და მიმღებს შორის კონტაქტის დამყარების, ამ კონტაქტის შენარჩუნებისა და, ბოლოს, მისი დასრულების დროს. ფატიური ფუნქციის შემდეგ იაკობსონი განიხილავს ენის პოეტურ ფუნქციას, ხოლო სულ ბოლოს ის ეხება მეტაენურ ფუნქციას, რომლის არსი ისაა, რომ შეტყობინების გადამცემმა და მიმღებმა თანაფარდობაში მოიყვანონ მათ მიერ გამოყენებული კოდები.

ცხადია, რომ მისალმების ფორმულები გამოიყენება კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა (პროდუცენტსა და რეციპიენტს) შორის კონტაქტის დამყარების დაწყებისას, მის თავდაპირველ ეტაპზე, ხოლო კონტაქტის შეწყვეტის ანუ კომუნიკაციის დასრულების ეტაპზე ჩვეულებრივ გამომწვიდობების (გამოსალმების) ფორმულები იხმარება. ამდენად, ეს ფორმულები, როგორც უკვე ითქვა, ენის ფატიურ ფუნქციას ასრულებენ.

ყოველდღიური საუბრების საწყისი და ბოლო ფაზები შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობისას შესრულებული გარკვეული რიტუალის შემადგენელი ნაწილები. ამ რიტუალში, მისალმებისა და გამომწვიდობების ფორმულების გარდა, შეიძლება შედიოდეს ისეთი ქცევები, როგორებიცაა, მაგალითად: ხელის ჩამორთმევა, თავის დაკვრა, უბრალოდ გაღიბება ან ხელის აწევა. მისალმებისა და გამომწვიდობების ფორმულები, ისევე როგორც მათი თანამდგევი ჟესტ-მიმიკა, განსხვავდება ერთმანეთისაგან კომუნიკაციის აქტში მონაწილე მხარეების პერსონალური თავისებურებებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, რაც ხშირად ზრდილობის ფორმულებშიც გამოიხატება. ზრდილობიანი ქცევა გამოიხატება როგორც საზოგადოებაში ხმარებული სპეციალური ზრდილობის ფორმულების საშუალებით, ისე სხვა მეტყველების ფორმულებზე (მაგ., მისალმების, მილოცვის ...) გარკვეული ენობრივი ნიშნების დამატებით. ზრდილობის ფორმულები ყველა ენობრივი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, მათი ხმარების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოებაში პერსონალური ურთიერთობების არსებობა და განვითარება.

„სხვადასხვა ენაში მისალმების ფორმულები ხშირად სათავეს იღებენ ისეთი გამონათქვამებიდან, რომლებიც თავდაპირველად კეთილი სურვილების (ე.წ. „welfare wishes”) გამოსახატავად იხმარებოდნენ, მაგ., ინგლისური *good morning* მომდინარეობს გამონათქვამიდან „may you have a good morning”, არაბული *as-salaam alaykum* – „მშვიდობა იყოს თქვენთან“, ხოლო გერმანული *guten Tag, guten Morgen* – „ვისურვებთ კარგ დღეს /კარგ დილას“. დღეს ამ ფორმულების ხმარე-

ბისას, ცხადია, არავინ ფიქრობს მათ თავდაპირველ მნიშვნელობაზე. ისინი მხოლოდ კომუნიკაციის გარკვეულ მიზანს ემსახურებიან, კომუნიკაციაში მონაწილენი ერთმანეთს უბრალოდ ატყობინებენ: „მე გიცნობ(თ) შენ/თქვენ, // შენ/თქვენ ჩემი ყურადღების სფეროში ხარ(თ)“. მათ საპასუხოდ ხშირად ე.წ. ექო-პასუხები იხმარება, ანუ მისაღმების რეციპიენტი (მიმღები) საპასუხოდ იმავე ფორმულას ან მის სახეცვლილ, მაგალითად, შემოკლებულ ფორმას იმეორებს: *გაუ ქართულში ან Morgen, Tag* გერმანულში.

მიუხედავად იმისა, რომ მეტყველებაში მისაღმების ფორმულები მხოლოდ ავტომატურად იხმარება და კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები არ ფიქრობენ მათ ამოსავალ მნიშვნელობაზე, მათი ისტორიული შინაარსი მაინც არ არის ინტერესს მოკლებული, როგორც ენათმეცნიერებისთვის, ისე სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის, ასეთებია, მაგ.: ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია ან კულტუროლოგია (აბულაძე 2011:55).

მისაღმების ქართული ფორმულაა *გამარჯობა*, რომელიც, ცხადია, „გამარჯვება“ სიტყვას უკავშირდება, რაც იძლევა შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ ამ მისაღმების წარმოთქმისას ქართველი კაცი შემხვედრს გამარჯვებას უსურვებს, ანუ მისი კეთილი სურვილი, მიმართული შემხვედრი პირისადმი, არის: „გამარჯვებით იარე, / გამარჯვებული იყავი“.

ამ ქართულმა ფორმულამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გერმანელი სოციოლოგის, პროფესორ ტილმან ალერტის ყურადღება მიიპყრო (ალერტი 2008:37). როგორც ცნობილია, იმ დროს ევროპელი პოლიტიკოსები, ძირითადად, იზიარებდნენ რუსული პროპაგანდით თავსმოხვეულ შეხედულებას, რომ რუსეთთან ომის დაწყების პროვოცირება საქართველომ მოახდინა. გერმანელი პროფესორი თავის საგაზეთო სტატიაში ამ თვალსაზრისის მეცნიერულად დასაბუთებას ცდილობს და ამისათვის ქართულ მისაღმების ფორმულას მიმართავს. სტატიის სათაურადაც კი მას ეს ფორმულა (თუმცა დამახინჯებული სახით, კერძოდ, *გამარჯობად გამარჯობა(თ)-ის* ნაცვლად) აქვს გამოტანილი: „Gamardschobad – Eine Soziologie Georgiens“ – „გამარჯობად – საქართველოს სოციოლოგია“. წერილის ავტორი შენიშნავს, რომ ეს მისაღმება არის ქართული სოციალური კოსმოსის გასაღები, რომელიც მას წარმოუდგენია როგორც ისეთი სამყარო, რომელშიც ხალხი გამუდმებული საშიშროების მოლოდინში ცხოვრობს, გამუდმებით განიცდის წარმოსახვით მუქარას მეზობლებისგან, ოცნებობს გმირულ საქმეებზე, შურისძიებაზე, სამაგიეროს გადახდაზე და იკრებს ძალებს ამ საქმეების შესასრულებლად. ტილმან ალერტი განაზღაურებს, რომ ქართული მისაღმების ფორმულა მიუთითებს საომარ სიტუაციაზე, შეხვედრაზე, რომელიც იმართება ქართველებისთვის ჩვეული საქმიანობის – ომის – დროს. მეტიც, მისთვის ამგვარი მისაღმება ავლენს ქართველების დაუოკებელ მისწრაფებას საბრძოლო სიტუაციისკენ, ომისკენ, ამ ომში გამარჯვების მიღწევისკენ. იმდენად ძლიერია ქართველებში შურისძიების წყურვილის დაკ-

მყოფილებისაკენ ლტოლვა, რომ მათ საფრთხის შეგრძნება ეკარგებათ. „... ქართველების თავდასხმა სამხრეთ ოსეთელ მეზობლებზე იძლევა ვოლუნტარიზმისა და რისკის გაწვევისთვის მზადყოფნის მაგალითს, რომელიც გაუცნობიერებელი საფრთხისა და თვითდაზიანების შესაძლებლობის გამო გამოუცნობი დარჩა“.¹ – წერს ალერტი.

თავი რომ დავანებოთ იმას, რამდენად არის მეცნიერულად გამართლებული ერის დახასიათებისას მხოლოდ და მხოლოდ ერთი მყარი გამონათქვამის – მისალმების ფორმულის – საფუძველზე ასეთი შორსმიმავალი დასკვნის გამოტანა, ალერტის სტატიის რამდენიმე შეცდომაა თვალში საცემი: პირველი, რაც ზემოთ მოყვანილი ციტატიდანაც ჩანს, არის საქართველოში მცხოვრები ოსების მოხსენიება „სამხრეთ ოსეთელ მეზობლებად“; შემდეგი შენიშვნა ეხება *გამარჯვება* სიტყვის ეტიმოლოგიას. ძველ ქართულში *განმარჯუება* / *გამარჯუება* ნიშნავს „წარმატებას, მოწადინებას“. ამ სიტყვის ძირია *მარჯუ*, რომელიც წარმოადგენს ძირს სიტყვებისას: *განმარჯუებული*, *მარჯუე*, *მარჯუელ*, *მარჯუება*, *მარჯუნა*, *მარჯუენით*, რომელთა პარალელურად ძველ ქართულში იხმარებოდა: *მარჯუე*, *მძლე*, *კარგი*, *შესაფერისი*, *მოხერხებული*, *ყოჩაღი*, *მხნედ*, *მამაცად*, *მარჯვენა*, *მარჯვნივ* (აბულაძე 1973:62, 219), რაც გვაგვარაულებინებს, რომ მისალმების ფორმულის ამოსავალი მნიშვნელობა შეიძლება ყოფილიყო არა „იყავი გამარჯვებული“, არამედ, მაგალითად: „იყავი წარმატებული, / მარჯვე, / მოხერხებული, / ყოჩაღი“.

გარდა ამისა, ალერტის აზრის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც ქართული მისალმების ფორმულა მიანიშნებს ქართველების განსაკუთრებულ მიდრეკილებაზე საომარი, სახიფათო სიტუაციების შექმნისა და მტერზე შურისძიებისაკენ, შეიძლება გავიხსენოთ გამომშვიდობების ფორმულები *მშვიდობით* და *გზა მშვიდობისა*, რომლებიც შინაარსობლივად ქართველების მშვიდობისმოყვარეობასა და მშვიდობის სურვილს გამოხატავენ. *ღამე მშვიდობისა* არის ძილის წინ დამშვიდობების ფორმულა. ამ გამომშვიდობების ფორმულებს სხვა შინაარსის ფორმულებიც დაეუმატოთ, მაგ., *დილა მშვიდობისა* – მისალმების ფორმულა დილის საათებში, რომლის საპასუხოდ ხშირად იხმარება ან ექო-, ან ექოს მსგავსი პასუხები: *მშვიდობა მოგცეს ღმერთმა*, *მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა*. მისალმება შენობაში შესვლისას ან ოჯახში პირველად სტუმრობისას არის: *აქა მშვიდობა*. ამ ფორმულებს ემატება ასევე: *მშვიდობაში*, *მშვიდობაში ატარე* ან *მშვიდობაში გაცვითე* – ახალი ნივთის შეძენის დროს კეთილი სურვილის გამოხატველი ფორმულები (ოშიაძე 2009:58-60). ყველა ეს ფორმულა ალერტის აზრის საპირისპირო საბუთად შეიძლება გამოდგეს. თუმცა სამართლიანობა (და სიზუსტეც) მოითხოვს, და უნდა აღინიშნოს, რომ დამშვიდობებისას ზოგჯერ იხმარებოდა გამოთქმა *გამარჯვებით!*

¹ „... der Angriff der Georgier auf den südossetischen Nachbarn liefert ein Beispiel für einen Voluntarismus und eine Risikobereitschaft, die in ihrem anomyschen Gefährdungs- und Selbstgefährdungspotential weitgehend unerkannt geblieben sind“.

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული 1986:105, ჩხენკელი 1965:153).

ჩემი აზრით, აქ მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ არ არის გამართლებული ერის დახასიათება მეტყველების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ფორმულიდან ამოსვლით. მართალია, ენის გარეშე, ენის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურაზე ან სოციოლოგიაზე მსჯელობა და სარწმუნო დასკვნების გამოტანა, მაგრამ ასეთ დროს ენობრივი მონაცემები უნდა ეყრდნობოდეს არა ზედაპირულ კვლევას, მეტყველების მხოლოდ ერთი ან თუნდაც რამდენიმე ფორმულის ანალიზს, არამედ ენის ყველა შემადგენლის (ბგერითი მხარის, გრამატიკისა და ლექსიკის) საფუძვლიანსა და სიღრმისეულ შესწავლას.

დაუბრუნდეთ ისევ მისაღმების ფორმულას *გამარჯობა*, რომლის მიხედვით ქართველი კაცისთვის კეთილ სურვილად, როგორც უკვე ითქვა, მართლაც გამარჯვებულად ყოფნა იგულისხმება, თუმცა მისაღმებისას ამაზე არავინ ფიქრობს. მაინც ასახსნელი რჩება, რატომ ჩამოყალიბდა ჩვენს მეტყველებაში მისაღმების ამგვარი ფორმულა, რატომ ვუსურვებთ (თუნდაც გაუცნობიერებლად), ჩვენ ერთმანეთს ყოველი მისაღმებისას გამარჯვებას? უკვე აღვნიშნეთ, რომ არ ვეთანხმებით გერმანელი სოციოლოგის აზრს ომისკენ ქართველი ხალხის გამუდმებული მისწრაფების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, განპირობებული იყო რუსეთ-საქართველოს ომისდროინდელი საერთაშორისო კონტექსტით. ამიტომ უნდა ვცადოთ, პასუხი გავცეთ კითხვას: რას ნიშნავს ჩვენთვის გამარჯვება?

ამისათვის შეგვიძლია, ქართველ ლიტერატურისმცოდნეს, გურამ ასათიანს, მივმართოთ, რომელიც წერს „ქართველი კაცისათვის ესოდენ დამახასიათებელ **გამარჯვების** (ხაზგასმა ავტორისაა – ლ. ა.) წყურვილზე, რაც ხშირად მცირე, არა-არსებითი წარმატებით უზომო აღფრთოვანებაში ან ფსევდოგამარჯვებულის პოზაში ვლინდება. ეს უკანასკნელი მიდრეკილება ... მხოლოდ ერთი, კერძო გამოვლინებაა გაცილებით უფრო ძლიერი და ღრმა წადილისა, რაც უთუოდ ჩვენი ისტორიის სპეციფიკურ გამოვლინებათა ზემოქმედებითაც გამომუშავდა. არ უნდა გავიკვირდეს, რომ ქართველი კაცი მოწყურებულია გამარჯვებას. იმდენი ომი გვაქვს წაგებული, იმდენ სიმწრის ოფლში გავღვრილვართ, იმდენჯერ შეგვკაუმშვია გული ბედის გულგრილობითა თუ უსამართლობით, რაღა გასაკვირია, ყოველ აღზევებას, ყოველ 'მოგებას' ასე თავდავიწყებით შევციცინებდეთ“ (ასათიანი 2003:40-41).

ამ სიტყვების დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი უზომო აღტაცება ქართველი ფეხბურთელების მიერ მიღწეული გამარჯვებით 1981 წლის 13 მაისს. ნამდვილი საყოველთაო სახალხო ზეიმი იყო მაშინ: „მანქანების გაბმული საყვირი. ქუჩაში გამოფენილი ბედნიერი ხალხი. ნათელი, კეთილი სახეები. გიჟური დღესასწაული. დილამდე“ (ნახუცრიშვილი 20016:42). ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ გამარჯვების მიღწევა (საქმიანობის ყველა სფეროში) ის კეთილი სურვილი,

რომელსაც ქართველი კაცი მისალმებისას გამოხატავს. თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობად შესაძლებელია „მოხერხებულობა, წარმატებულად ყოფნა ან მარჯველ მოქმედება“ გვევარაუდებინა.

ბოლოს ორიოდე სიტყვა მისალმების ფორმულის ფორმის შესახებ. დღეს დაკანონებულია *გამარჯობა*, რომელიც უცვლელად იხმარება და არ არის დამოკიდებული რეციპიენტთა რაოდენობასა და ზრდილობის გამოხატვაზე, მაშინ, როცა ადრე მისალმების ეს ფორმულა ორი ფორმით იხმარებოდა: *გამარჯობა და გამარჯობათ*. მაგალითად, კიტა ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონის პირველ ტომში ქართული მისალმების ფორმულა ორი ფორმითაა წარმოდგენილი: „გამარჯობა! გამარჯობათ!“ თარგმანითურთ: “sei/seien Sie siegreich!” და განმარტებით: “(Begrüßungsformel im Sinne von: guten Tag!)”. (ჩხენკელი 1965:154).

ოციოდე წლის წინ (და თუ ალერტის სტატიის სათაურს გაითვალისწინებთ, თხუთმეტი წლის წინათაც) „გამარჯობა“ ფორმულას -თ ნიშანიც შეიძლებოდა დართოდა. არ ვიცი, რამდენად შეეჩვია უკვე თანამედროვე ქართული საზოგადოება მისალმების ამჟამად გაბატონებულ ერთადერთ ფორმას, მაგრამ მე უხერხულობის განცდა მიჩნდება ხოლმე, როცა უცნობის ან ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ნაცნობის წერილს ვიღებ, რომელიც ასე იწყება: „გამარჯობა, ქ-ნო ღია“. მე ჩემს თავს ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ უცნობ ან უფროს ადამიანს ისე მივესალმო, რომ *გამარჯობა*-ს ზრდილობის გამოხატველი -თ არ დაუშვატო. სხვათა შორის, შემიმჩნევია, რომ ზოგი, ჩემი აზრით, ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, ხშირად წერილის დასაწყისში გაურბის მისალმების ფორმულას – *გამარჯობა* – და მის ნაცვლად ხმარობს ფორმულას: *მოგესალმებით* („მოგესალმებით, ბატონო / ქალბატონო...“), რომელთანაც, როგორც ზმნის პირიან ფორმასთან, მრავლობითი რიცხვის -თ-ს ხმარება სავსებით კანონზომიერია და, ამდენად, მის გამოყენებას ზრდილობის გამოსახატავად ენის სიწმინდის დამცველები ვერ გააპროტესტებენ.

ზმნაში მეორე პირის მრავლობითი რიცხვის სუფიქსი -თ იმდენად ხშირად იხმარება ზრდილობის გამოსახატავად, რომ ზეპირ მეტყველებაში სახელთანაც შეიძლება ამგვარივე ფუნქცია დაეკისროს. ამიტომ გვხვდება ზრდილობის ფორმულის – *ბოდიში*-ს – გვერდით *ბოდიშით* ფორმაც, რომლის -თ-საც ასევე ზრდილობის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება, ამდენად, ის ჭარბია და მისი ხმარება – მცდარი. ეს ფორმა მიუღებელია როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენისთვისაც. იმავეს ვერ ვიტყვით, მაგალითად, ზედსართავი სახელის *კარგი*-ს გვერდით -თ სუფიქსიანი ფორმის ხმარებაზე: *კარგი*, რომელიც მეტყველებისას, ვთქვათ, გამოთქმაში „კარგი (რა), გეყოფათ“, ბუნებრივად ჟღერს. ამ შემთხვევაში *კარგი*-ს -თ დაბოლოება, სავარაუდოდ, *გეყოფათ* ზმნის ანალოგიურად, მრავლობით რიცხვს აღნიშნავს, ხოლო გამონათქვამში „კარგი, ბატონო“ ამავე სუფიქსს ზრდილობის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება. ორივე შემთხვევაში სიტყვის ეს ფორმა – *კარგი* – ქართულ ენაზე მეტყველისთვის უხერხულობის გრძნობას არ უნდა იწვევდეს, თუმცა,

ჟურნალისტებისთვის შექმნილი სტილისტიკური ცნობარის მიხედვით, მისი ამ ფორმით ხმარება აკრძალულია (ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი 2003:84), რაც არ მეჩვენება მართებულად. ვფიქრობ, რომ გაუმართლებელია, აგრეთვე, მისაღების ფორმულის ამ ფორმის – *გამარჯობათ* – ხმარებაზე უარის თქმა.

ზოგადად, მეტყველებაში სხვადასხვა ენობრივი ფორმის აკრძალვის პრაქტიკამ, ენათმეცნიერთა მიერ მეტყველებაში მკაცრი გრამატიკული წესების შეტანამ ენის სიწმინდის დაცვის მიზნით ზოგჯერ შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს. სასურველია, უფრო მეტად ვენდობოდეთ ზეპირი მეტყველების პრაქტიკას, როცა ენაში გარკვეული ფორმების ხმარების აკარგიანობას ვიხილავთ. განსაკუთრებით ეს ეხება მეტყველების ფორმულების ხმარებას. ეს ფორმულები, მყარი გამონათქვამები, მეტყველების დროს ყალიბდება და გარკვეულ ფორმებს ხმარებისას იძენს. რამდენად მართებულა მათი საბოლოო სახის დადგენისას მკაცრი გრამატიკული წესების მოშველიება და ამდენად ბუნებრივ პროცესში ხელოვნური დიქტატის ჩართვა – შეიძლება ეს საკამათო იყოს, თუმცა აქვე შეიძლება ვთქვა, რომ ჩემთვის მკაცრი გრამატიკული წესებით ზეპირი მეტყველების მართვა პრინციპულად მიუღებელია. არ ვფიქრობ, რომ გამართლებულია მეტყველების ფორმულების ჩამოყალიბების პროცესში ჩარევა, ან უკვე ჩამოყალიბებულ ფორმულებში გარკვეული ცვლილებების შეტანა მათი ფორმების გრამატიკულ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ლიტერატურა

- აბულაძე 1973:** ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, მეცნიერება, თბილისი.
- აბულაძე 2011:** L. Abuladze, Redewendungen im Georgischen, *die Drei*, 2011, 7, 54-62.
- ალერტი 2008:** T. Allert, “Gamardschobad – Eine Soziologie Georgiens”, *Frankfurter Allgemeine Zeitung* (“F. A. Z.”), 4.9.
- ასათიანი 2003:** გ. ასათიანი, სათავეებთან, *გურამ ასათიანის ოთხტომეული*, ტ. 2, გამომცემელი ნოსტრუდია, თბილისი.
- იაკობსონი 1979:** R. Jakobson, Linguistik und Poetik, in: R. Jakobson, Poetik. Ausgewählte Aufsätze, 1921-1971, (*Herausgegeben von Elmar Hölenstein und Tarcisius Schelbert*), Suhrkamp/Insel, Berlin.
- ნახუცრიშვილი 2016:** გ. ნახუცრიშვილი, ცამეტი მაისი, *ბარნოვის 122*, ინტელექტი, თბილისი.
- ომიაძე 2009:** ს. ომიძე, *ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა*, თბილისი.
- ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი 2002:** ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი.
- ჩიქობავა 1986:** ა. ჩიქობავა (მთავარი რედაქტორი), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია – ქსე, თბილისი.
- ჩხენკელი 1965:** K. Tschenkeli, *Georgisch-Deutsches Wörterbuch*, Band I, Amirani-Verlag, Zürich (Schweiz).

The Formula of Greeting in Georgian

Summary

In all languages there are some phrases that are linguistically established and repeated, used for a specific purpose and called “formulas”, such as formulas of thanks, greetings, farewells, oaths, swears... They are used naturally and one does not think about their conceptual meanings while pronouncing them. Some greeting formulas convey/are “well-being wishes”. The English greeting *good morning* comes from “may you have a good morning”; the Arabic *as-salaam alaykum* (translates to) – “peace be upon you”, the German *guten Tag, guten Morgen* (mean) – “I wish you a good day / good morning”. The most common Georgian greeting formula is *gamarjoba(t)*. *gamarjveba* means “victory” and the translation of this formula would be “be victorious!” or “I wish you victory”.

The (primary) function of the greeting formulas is to establish the connection between the communicating partners, i.e. they serve to establish the linguistic connection between the interlocutors.

When using of the formulas, their etymology does not matter, but studying the original meanings is interesting for linguistics and such sciences as history, sociology, culturology and psychology.

The Georgian greeting *gamarjobat* attracted the attention of the German sociologist Tilman Allert during the war between Russia and Georgia in August 2008. He wrote an article for the newspaper “F. A. Z.” in which he emphasizes that this greeting can serve as a key to understanding the “Georgian social cosmos”. This cosmos appears to the scientist as “the world of the imagined threat of the neighbour, the world of heroic activism, retaliation as well as the search for the strongest”. In Allert’s opinion, the greeting points to the Georgians’ desire for war, their search for an enemy and for revenge.

This opinion is contradicted by: (1) the etymology of the word *gamarjveba*; the root of this word is *marju*, which means “skilful”, “adept” and in Old Georgian *ganmarjueba* means “success” rather than “victory”. One could also say that this formula originally refers more to the Georgians’ desire for success than to the desire for war; (2) the Georgians’ farewell formula *mshwidobit* “with peace, in peace” contradicts to the German scientist’s opinion since it represents the desire of Georgians for peace. In other formulas we also find the Georgians’ wish for peace, e.g. the formula *dila mshwidobisa* used for Georgian morning greetings means “I wish you a morning of peace”. There are also other phrases in Georgian that show how much Georgians value peace.

Consequently, we can say that to make anyone evaluate (judge) the whole nation only through the investigation of one formula is false or rather meaningless.

მარინა ალექსიძე,
ნატალია ბასილია

რამდენიმე დაკვირვება ა. ს. პუშკინის „ქართულ“ ლექსებზე

სამყაროს სხვადასხვა სურათის აღწერილობებში შეინიშნება ბინარული ოპოზიციები – რიგი ერთმანეთის საპირისპირო ორობითი თვისებებისა, მათგან თითოეულს შესაბამისად აქვს დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა (ტრუბეცკოი 2000:72-88). ამ ოპოზიციებს შორის შეიძლება იყოს სივრცეების ოპოზიცია (ზედა – ქვედა *верх – низ*, ცა – დედამიწა *небо – земля*), ფერების ოპოზიცია (თეთრი – შავი *белый – черный*), დროების ოპოზიცია (დღე – ღამე *день – ночь*, ზაფხული – ზამთარი *лето – зима*), სოციალური კატეგორიების ოპოზიცია (კაცის – ქალის *мужской – женский*, უფროსი – უმცროსი *старший – младший*) და ა.შ. (იხ. ამის შესახებ (ცივიანი 1990:5-8).

მეოცე საუკუნის კულტურის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვადიმ რუდნევი წერს: „მეოცე საუკუნეში აღმოჩენილი ბინარული ოპოზიციების როლს არ აქვს საზღვარი: მათი გამოყენების დიაპაზონი ფართოა – დაწყებული პოეტური რითმიდან, რომელიც აგებულია ენის უმცირესი ერთეულების ბინარულ მონაცვლეობაზე (მახვილიანი მარცვალი – უმახვილო მარცვალი), დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხულის ბიოლოგიურ, ასევე კულტურულ (იდეალისტური კულტურა – მატერიალისტური კულტურა) რითმებამდე (რუდნევი 2009:48-49).

სამყაროს პოეტური აღქმის ბინარულობა, საპირისპირო ცნებების, რომელთაგან ერთი ადასტურებს გარკვეულ ნიშან-თვისებებს, ხოლო მეორე უარყოფს მას, ერთდროული ბინარული წარმოდგენა შეინიშნება ალექსანდრე პუშკინის ორ ლექსში, სადაც საქართველოა მოხსენიებული: *“He поит, красавица, при мне Ты песен Грузии печальной”* („*ნუ იმღერებ, მშვენიერო, ჩემი თანდასწრებით სევდიანი საქართველოს სიმღერებს*“) (1828 წ.) და *“На холмах Грузии лежит ночная мгла”* („*საქართველოს ბორცვებზე დევს ღამის სიბნელე...*“) (1829 წ.). ეს ორი ლექსი დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ვითარებაში, მიძღვნილია სხვადასხვა ადრესატისადმი, მაგრამ მათ აერთიანებთ სიტყვა „საქართველო“.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მნიშვნელობა ნომინაციისა „საქართველო“ არის ერთი – „ქვეყანა“, ა. ს. პუშკინის ტექსტებში იგი სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს.

პირველ შემთხვევაში სინეკდოხა „სევდიანი საქართველოს სიმღერები“ *“песни Грузии печальной”* სულაც არ არის ადიექტიურ-სუბსტანტიური შესიტყვების –

„სევდიანი ქართული სიმღერები“ (“*печальные грузинские песни*”) – სინონიმი. სიტყვა „საქართველო“ აქ ასრულებს, ერთი მხრივ, განმსაზღვრელ ფუნქციას, ხოლო მეორე მხრივ იძენს კონოტაციურ ექსპრესიულ შეფერილობას. მეორე შემთხვევაში გენეტივიან შესიტყვებაში წინდებულით ზე (на) „საქართველოს ბორცვებზე“ (“*На холмах Грузии*”) ეს ნომინაცია გამოხატავს სივრცობრივ მიმართებას, მოქმედების ადგილს. პირველ შემთხვევაში ნომინაცია „საქართველო“ კონოტაციურად არის დატვირთული, ის სევდიანია (*печальная*), მეორეში ასეთი კონოტაცია არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ „სევდიანი საქართველო“ (“*печальная Грузия*”) ლექსიდან „ნუ იმღერებ, მშვენიერო, ჩემი თანდასწრებით სევდიანი საქართველოს სიმღერებს“, ბინარულ ოპოზიციაში შედის „ბედნიერ საქართველოსთან“ 1829-1821 წლების პოემაში „კავკასიის ტყვე“, რომელშიც რუს ტყვეზე შეყვარებული ჩერქეზი ქალი „უმღერის მას მთისა და ბედნიერი საქართველოს სიმღერებს“ “... *Поет ему и песни гор, и песни Грузии счастливой*” (პუშკინი 1937:160). ა. ს. პუშკინს ისე მოეწონა კავკასიიდან რუსეთში ა. გრიბოედოვის მიერ ჩამოტანილი ქართული სიმღერის მელოდია, რომელიც საფუძვლად დაედო მიხეილ გლინკას მუსიკალურ ნაწარმოებს, რომ მან დაწერა მისთვის ელეგია – მიმართვის ტექსტი შესანიშნავ მომღერალ ანა ოლენინასადმი (ციავლოვსკაია 1958:276).

მოვიყვანო ა. ს. პუშკინის ტექსტს:

*Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.*

*Увы! напоминают мне
Твои жестокие напевы
И степь, и ночь – и при луне
Черты далекой, бедной девы.*

*Я призрак милый, роковой,
Тебя увидев, забываю;
Но ты поешь – и предо мной
Его я вновь воображаю.*

*Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.*

(პუშკინი 1937:109)

უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება „საქართველო“ და მისი პერიფრაზი „სხვა სიცოცხლე და შორეული ნაპირი“ (*“Другая жизнь и берег дальний”*) ბინარულ ოპოზიციაში შედის ა. ს. პუშკინის მიერ დაუსახელებელ, მაგრამ ნაგულისხმევ ნომინაციასთან „რუსეთი“, რადგან სწორედ იქ ხდებოდა ლექსის გმირი ქალის მიერ ქართული სიმღერის შესრულება.

ორი ქვეყნის (საქართველო – რუსეთი) ნომინაციათა ოპოზიციების გარდა, ა. ს. პუშკინის ტექსტში მოიპოვება სხვადასხვა ღონის ბინარული ოპოზიციები, რომლებიც დაკავშირებულია, კერძოდ:

1) დედამიწის ზედაპირის ფორმასთან: *სტეპი* („ბალახიანი მცენარეებით დაფარული ვაკე“) – *ნაპირი* („მიწის კიდე წყლის ზედაპირიდან“) [*степь* (равнина, поросшая травянистой растительностью) – *берег* (край земли у водной поверхности)];

2) დროის გამოხატულებასთან: *აწმყო* (*არ იძღვრო*) – *წარსული* (*მახსენებენ*) [*настоящее* (*Не пой*) – *прошлое* (*напоминают*)];

3) სივრცეში განლაგებასთან: *ახლო* (*ჩემთან*) – *შორეული* [*близкое* (*при мне*) – *далекое* (*дальний, далекой*)];

4) თაყვანისცემის ობიექტებთან, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით განსხვავდებიან: *მზეთუნახავი – საყვარელი, საბრალო ქალწული* (*красавица – милая, бедная дева*). არსებობს ვარაუდი, რომ ნომინაცია *მზეთუნახავი* ეკუთვნის ა. ა. ოლენინას და ნომინაცია „*საყვარელი, საბრალო ქალწული*“ – მ. რაევსკაიას, რომელიც, გახდა რა დეკაბრისტ სერგეი ვოლკონსკის მეუღლე, გაჰყვა მას გადასახლებაში, ციმბირში. ლექსში ა. ს. პუშკინი იხსენებს 1820 წელს ზაფხულში რაევსკების ოჯახთან ერთად ყოფნას ჩრდილოეთ კავკასიაში;

5) რეალურ ქალიშვილთან, რომელიც ასრულებს სიმღერას, და არარეალურ, წარმოსახვით ქალიშვილთან წარსულიდან: *ლამაზმანი, მზეთუნახავი – საყვარელი, საბედისწერო მოჩვენება* (*красавица – призрак милый, роковой*);

6) მეხსიერებასა და წარმოსახვასთან: *ვივიწყებ – ისევ წარმოვიდგენ* (*забыла – вновь воображаю*);

7) ურთიერთგამომრიცხავი ნიშნების გამოსახვასთან: *კარგი, მიმზიდველი, სასიამოვნო – სევდის, უბედურების მომტანი, ტანჯვის გარდაუვალად მომტანი, აუცდენელი: საყვარელი – საბედისწერო* (*милый – роковой*);

8) აქვე შეიძლება დავასახელოთ ოქსიმორონი *სასტიკი ჰანგები* (*жестокие напевы*), რომელშიც დაპირისპირებულია დადებითი კონოტაციით შეფერილი სიტყვა *ჰანგები* (*напевы*) და უარყოფითი კონოტაციის მქონე ეპითეტი *სასტიკი* (*жестокие*). შესაძლებელია, რომ გამონათქვამი *სასტიკი ჰანგები* შთაგონებული იყო ქართული სიმღერის ტექსტით, რომელიც სავსეა რუსული ყურისთვის უჩვეულო ქართული მეტყველების მკვეთრი ბგერებით.

ელეგიის ჟანრში დაწერილი კიდევ ერთი ლექსი „საქართველოს ბორცვებზე“ (“На холмах Грузии”) შექმნილია იმ დროს, როდესაც ა. ს. პუშკინი უიმედოდ შეყვარებული იყო ნატალია გონჩაროვაზე. ალბათ იმიტომ, რომ დიდ პოეტებს აქვთ წინასწარმეტყველური განჭვრეტის ნიჭი, ეს ნაწარმოები განმსჭვალულია მელანქოლით, სევდით, მოწყენილობით, დარდით, მწუხარებით, მაგრამ, ამავე დროს, – სიმსუბუქის შეგრძნებით, ნათელი გრძნობით, სიყვარულით.

მოვიყვანო ა. ს. პუშკინის ტექსტს:

*На холмах Грузии лежит ночная мгла;
Шумит Арагва предо мною.
Мне грустно и легко; печаль моя светла;
Печаль моя полна тобою,
Тобой, одной тобой... Унынья моего
Ничто не мучит, не тревожит,
И сердце вновь горит и любит – оттого,
Что не любить оно не может.*

(პუშკინი 1937:158)

პატარა, ერთი შეხედვით, სადა ლექსი, სინამდვილეში ინფორმაციულად და ემოციურად გაჯერებული, ურთულესი ლირიკული ნაწარმოებია, რომლის თითოეული სიტყვა ღრმა შინაარსითაა სავსე. მასში არ არის ხატოვნების ძიებანი (მხოლოდ ერთი ენობრივი მეტაფორაა – *გული ისევ იწვის сердце вновь горит*), არ არის ემოციური კითხვები და შეძახილები. პუშკინი აღმოაჩენს ექსპრესიული გამოხატვის ახალ ფორმებს, მისთვის დამახასიათებელ ლირიკულ სტილში სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა ხდება ინდივიდის ემოციებისა და განცდების ასახვის საშუალება. გრძნობები, განწყობები, ზოგადად, ფსიქიკური ცხოვრების ყველა გამოვლინება არ არის აღწერილი პირდაპირ და არ არის გამოსახული მეტაფორულად, არამედ წარმოგვიდგება დრამატულად იმ საგნების მეშვეობით, რომლებიც გამოდიან განცდების კონდენსატორის თავისებურ ფუნქციაში.

მთელი ლექსი წარმოადგენს ორი საწყისის ბინარულ დაპირისპირებას – სიმალლისა და სიღრმის, ბორცვების და მდინარეების, სიბნელის და სინათლის, ძნელად თავსებადი გრძნობების (*სევდიანად და მსუბუქად грустно и легко*) მწუხარების და სიყვარულის, თავყვანისმცემლობის მრავალი ობიექტისა და მხოლოდ ერთის – სიყვარულის (*შენ, მხოლოდ შენ тобой, одной тобой*). ა. ს. პუშკინის საოცრად სუფთა და ნაზი „ქართული“ ლექსების იდუმალეობა და რომანტიზმი შექმნილია სიტყვების სპეციალური შერჩევით, რომლებიც შერწყმულია, მთელი მათი ბინარულობის მიუხედავად, ერთ უნიკალურ მთლიანობაში.

ლიტერატურა

- ვინოგრადოვი 1941*: В. В. Виноградов, *Стиль Пушкина*, Москва, Государственное издательство художественной литературы.
- პუშკინი 1937*: Кавказский пленник, А. С. Пушкин. *Полное собрание сочинений*: В 16 т. Т. 4. Поэмы, 1817–1824. АН СССР, М.-Л.
- პუშკინი 1937*: А. С. Пушкин, *Полное собрание сочинений*: В 16 т. Т. 3, кн. 1. Стихотворения, АН СССР, М.-Л.
- რუდნევი 2009*: В. П. Руднев, *Энциклопедический словарь культуры XX века. Ключевые понятия и тексты*, Аграф, Москва.
- ტრუბეცკოი 2000*: Н. С. Трубецкой, *Классификация оппозиций, Основы фонологии*, Аспект Пресс, Москва.
- ცაველოვსკაია 1958*: Т. Г. Цявловская, *Дневник А. А. Олениной, Пушкин: Исследования и материалы*, АН СССР, Т. 2, Изд-во АН СССР, М.-Л.
- ცივაიანი 1990*: Т. В. Цивьян, *Лингвистические основы Балканской модели мира*, Наука, Москва.

Marina Aleksidze,
Natalia Basilaia

A Few Observations on A. S. Pushkin’s “Georgian” Poems

Summary

In the poetic descriptions of different pictures of the world, binary oppositions are observed – a number of binary features opposed to each other, each of which, respectively, has a positive or negative value. These oppositions can be spatial (up-down, sky-earth), color (white-black), social-categorical (male-female, older-younger), temporal (day-night, summer-winter), etc. “The role of binary oppositions, discovered in the 20th century, knows no boundaries: they are used in the range from poetic rhythm, which is built on the binary alternation of the smallest units of the language (stressed syllable – unstressed syllable), to the biological rhythms of day and night, winter and summer, and also cultural rhythms: idealistic culture – materialistic culture”.

The duality of the poetic perception of the world, the simultaneous binary representation of opposite concepts, one of which affirms some quality, and the other denies, can be traced in two poems by A. S. Pushkin, in which Georgia is mentioned: “Do not sing, beauty, in my presence the songs of sad Georgia ...” (1828) and “On the hills of Georgia lies the darkness of the night ...” (1829). These two poems were written at different times, in different places and under different circumstances; they are dedicated to different addressees, but are united by the word “Georgia”. With the coincidence of the main meaning of ‘country’, the nomination “Georgia” in Pushkin’s texts expresses different semantics. In the first case, the synecdoche of “songs of sad Georgia” is by no means synonymous with the adjective-substantive phrase “sad Georgian songs”. The word “Georgia”, on the one hand, performs a definitive function, and, on the other hand, receives connotative expressive coverage. In the second case, in a

genitive phrase with the preposition “on” – “On the hills of Georgia”, this nomination expresses a spatial relationship, a place of action. In the first case, the nomination “Georgia” is connotatively charged, it is sad, in the second – there is no such connotation.

It should be noted that “sad Georgia” from the poem “Do not sing, beauty, in my presence ...” enters into binary opposition with “happy Georgia” in the poem “Prisoner of the Caucasus” of 1820-1821, in which a Circassian woman in love with a Russian captive “... sings to him both the songs of the mountains and the songs of happy Georgia”. A. S. Pushkin liked the melody of the Georgian song brought from the Caucasus to Russia by A. S. Griboyedov and the musical work by M. I. Glinka so much that he wrote for it the text of an elegy-address to Anna Olenina, who sang beautifully. The mysteriousness and romanticism of surprisingly pure and tender “Georgian” poems by A. S. Pushkin are created by a special selection of words that merge, for all their binarity, into a single unique integrity.

*მარინა ალექსიძე,
ლაურა გურული*

მხატვრული ტექსტი, როგორც სასწავლო მიზნების მიღწევის საშუალება

უცხო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია სწავლის სწორი გზებისა და ეფექტური მეთოდების მოძიება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ თანამედროვე ლინგვოლოგიურ ნაშრომში, რომლებიც ეძღვნება რუსულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პრობლემებს, აღინიშნება დიფერენციული მიდგომა ენობრივი სისტემის აღწერისას – ზოგ შემთხვევაში აქტიური გრამატიკის საფუძველზე, ზოგჯერ კი პასიურ გრამატიკაზე დაყრდნობით, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე: „აქტიური გრამატიკა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კომუნიკაციას სასწავლო-საყოფაცხოვრებო სიტუაციების ფარგლებში და ამიტომ მოიცავს მოსმენას, ლაპარაკსა და წერას, როგორც სამეტყველო აქტივობის ძირითად ასპექტებს, ხოლო დამატებითი ასპექტის სახით – კითხვას; პასიური გრამატიკა... მოიცავს კითხვას, როგორც სამეტყველო აქტივობის... ძირითად ასპექტს...“ (როჟკოვა 1978:34).

რა თავისებურებები ახასიათებს კითხვას, როგორც კომუნიკაციურ აქტივობას, თუ ის მიმდინარეობს უცხო ენაზე? უცხო ენების სწავლების ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ აქტივობების სტრუქტურა და შინაარსი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ენაზე ხდება სწავლება – მშობლიურ თუ უცხო ენაზე? კომუნიკაციური აქტივობა როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე განეკუთვნება სამეტყველო-სააზროვნო პროცესების ერთსა და იმავე კლასს. უცხო ენაზე კითხვის სწავლება არის, უპირველეს ყოვლისა, უცხო ენაზე მეტყველების სწავლება სამეტყველო აქტივობის პროცესში. ამგვარი მიდგომა უცხო ენაზე კითხვის სწავლებისადმი თანამედროვე მეთოდოლოგიური კონცეფციის პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტია (პოლომკინა 1974:38-39). ამ მიდგომით გონივრული ხდება მხოლოდ ისეთი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ეფუძნება ამ საქმიანობის კანონებისა და შემადგენელი ქმედებების ცოდნას. მთავარი ხდება კითხვის პროცესში უცხოენოვანი მეტყველების სწავლება. ზრდასრული მოსწავლეების – სტუდენტების, რომლებმაც უკვე ჩამოაყალიბეს კომუნიკაციური აქტივობები მშობლიურ ენაზე, – სწავლების მეთოდოლოგიას ის თავისებურება ახასიათებს, რომ მათ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება მშობლიურ ენაზე კითხვისას, მათ უკვე აქვთ ჩამოყალიბებული მეტყველების უნარებისა და შესაძლებლობების მარაგი. ეს გარემოება არის მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი კითხვის სწავლის სისტემის მოდელირებაში. ბევრი სტუდენტი უკვე ფლობს პირველ უცხო ენაზე ინფორმაციის მიღების

უნარებს. ამრიგად, უცხო ენაზე აქტივობების ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძველია ადრე ჩამოყალიბებული სამეტყველო უნარ-ჩვევები და ეს არის მეთოდოლოგიური სისტემის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც განკუთვნილია ზრდასრულთა განათლებისათვის (გაპოჩკა 1978:57).

უცხოენოვანი სამეტყველო პროცესის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები – ყურადღების, მეხსიერების თავისებურებები, დაკვირვების, გამოცნობის, პროგნოზირების უნარი, ლოგიკური აზროვნება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ზოგიერთი ინტელექტუალური უნარ-ჩვევაც.

შეიძლება განვასხვავოთ ტექსტის გაგების ორი დონე: აზრის გაგების დონე (ინფორმაციის მიღება) და მნიშვნელობის გაგების დონე (ავტორის განზრახვის გაგება, შეფასება და ტექსტისადმი მკითხველის დამოკიდებულება) (აკიშინა, კაგანი 2002:76). კითხვისას სემანტიკური ინფორმაციის გაგება და გადამუშავება ურთულესი შინაგანი პროცესია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, დამოკიდებულია გარკვეულ გონებრივ ფუნქციებზე, ენის ცოდნის, უცხო ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების დონეზე, ტექსტის ხასიათსა და მის სირთულეებზე. ზრდასრული მოსწავლეების გონებრივი აქტივობა წამყვანი როლია უცხო ენაზე კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებაში. გონებრივი აქტივობის დონე ქმნის იმ ფონს, რომელიც აჩქარებს ან ანელებს უცხო ენაზე კითხვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესს (პროტასოვა 1983:28).

კითხვის მექანიზმების ჩამოყალიბება ხდება დიფერენციულად, სწავლების გარკვეული მეთოდების გავლენის ქვეშ. მათი ჩამოყალიბების ყოველი ეტაპისათვის საჭიროა რაციონალური მეთოდური ქმედებების, მათი თანმიმდევრობისა და სისტემურობის განსაზღვრა, ასევე სასწავლო ტექსტური მასალის სწორი შერჩევა. ტექსტი განაპირობებს გარკვეული სამეტყველო და გონებრივი ქმედებების ხასიათს და მიზანშეწონილობას მისგან ინფორმაციის ამოღებისა და მისი სემანტიკური გადამუშავებისათვის. ტექსტი ასევე გარკვეულ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს მოსწავლეზე. საკითხავი ტექსტი უნდა ჩაითვალოს ობიექტად, რომლისაკენაც არის მიმართული მოსწავლეთა კომუნიკაციური აქტივობა. თუ კითხვა არის სწავლის მიზანი, მაშინ ტექსტები ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა. კითხვის სწავლების მიზნით ტექსტის შერჩევისა და კლასიფიკაციისას მთავარ პრინციპად უნდა იქცეს ტექსტის მეთოდოლოგიური დანიშნულების პრინციპი (გაპოჩკა 1983:68).

მეთოდური პროგრამის შედგენისას აუცილებელია, სასწავლო კითხვის ყოველ ეტაპზე განისაზღვროს, კითხვის რა სახეობები იგულისხმება სწავლების მიზანში. კითხვის სახეობების არჩევა და მათი კორელაცია ტექსტების ტიპებთან განისაზღვრება უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტების სასწავლო-პროფესიული მიზნებით. კითხვის ძირითადი სახეობა, რომელსაც იყენებენ სტუდენტების სწავლების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, არის შემსწავლელი კითხვა.

ამრიგად, უცხოენოვანი კითხვის სწავლების სისტემის აგებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ განსხვავებული რიგის პრინციპები – ლინგვისტური, კომუნიკაციური, ფსიქოლოგიური, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ სისტემას. ეს საშუალებას მოგვცემს, მოვიძიოთ ოპტიმალური გზები და საშუალებები განხილული სამეცნიერო აქტივობის ფორმირებისათვის. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის ფაქტორების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა მიზეზების გამო, დღეს საქართველოში იზრდება რუსული ენის პრაქტიკული ცოდნის საჭიროება და, შედეგად, რუსული ენის სწავლების პრაქტიკული მიზანი.

უცხო ენის შესწავლას კვირაში საშუალოდ ოთხი საათი ეთმობა, რაც მასწავლებელს რთული ამოცანის წინაშე აყენებს – როგორ გაანაწილოს ეს საათები კითხვის, ლაპარაკის, მოსმენის და წერის სწავლებისათვის. ენის სწავლებისას ერთ-ერთ მთავარ კითხვად რჩება ტექსტის არჩევა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ისეთი ჯგუფის გამოყოფა, სადაც ყველა სტუდენტი ერთ დონეზე ფლობს რუსულ ენას, რის გამოც მასწავლებლის წინაშე დგება რთული ამოცანა – შეარჩიოს ისეთი ტექსტი, რომელიც თანაბრად გასაგები და საინტერესო იქნება როგორც სუსტი, ასევე ენობრივად უფრო მომზადებული სტუდენტებისათვის. ტექსტმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას.

სწავლების საწყის ეტაპზე მასწავლებელს ევალება, ასწავლოს მოსწავლეებს ტექსტების მოსმენა, წაკითხვა და გაგება. ამ ეტაპზე აუცილებელია ლექსიკის მკაცრი მინიმიზაცია. ტექსტები, რომლებიც შეიცავს დიდი რაოდენობით უცნობ სიტყვას, შიშს იწვევს სტუდენტებში და ისინი კარგავენ მისი წაკითხვის მოტივაციას. ამიტომ სტუდენტებს საწყის ეტაპზე ჩვენ ვთავაზობთ მცირე ზღაპრებს: „ციყვი და ძგელი“, „ღარიბი და მდიდარი“, „კაჭკაჭი და მისი შვილები“ და ა.შ. ყველა ეს ტექსტი ატარებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებს, რომლებიც ჩვენს დროში, ცხოვრების პირობების გაუარესებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდობის ნაწილისათვის მიუღებელი ხდება. ასეთი ტიპის პატარა, მაგრამ საინტერესო შინაარსის ტექსტები აქტიურად განიხილება აუდიტორიაში. ტექსტისადმი ასეთი ცოცხალი ინტერესი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ჩართოს თემის განხილვის პროცესში ყველა სტუდენტი და ეხმარება მათ დამახსოვრებაზე სავარჯიშოების შესრულებაში, ენობრივი და სემანტიკური გამოცნობის უნარის განვითარებაში.

მასწავლებლის მთავარი მიზანია, განუვითაროს სტუდენტებს პროგნოზირების, გამოცნობის უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს ლექსიკურ-გრამატიკული მარაგის დაგროვებას. თანდათან ტექსტები რთულდება. სტუდენტებს ვთავაზობთ ტექსტებს, სადაც პირველ პლანზე წამოწეულია მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთგაგების პრობლემები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნაციონალური ჯგუფებისთვის, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილის სახე-

ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ერთ ჯგუფში, ქართველებთან ერთად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური ეროვნების სტუდენტები. უკვე სწავლის საწყის ეტაპზე ისინი ეჩვევიან იმ პრობლემის ან მორალის განხილვას, რომელსაც ხედავენ ტექსტებში. ამ ტექსტების ავტორები, ხშირ შემთხვევაში, არიან რუსული ლიტერატურის დიდი კლასიკოსები. ამ გზით სტუდენტები ეცნობიან მათ შემოქმედებასაც. მიგვაჩნია, რომ სასურველია, მოსწავლეებმა იმუშაონ ტექსტებზე ისეთი სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც ახალ სიტყვებს თან ახლავს ქართული თარგმანი, რაც ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის უფრო სწრაფად და უფრო მარტივად გაგებას (ალექსიძე, გურული 2022).

კითხვის სწავლების აუცილებელი კომპონენტია ლექსიკური და ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების სისტემის განსაზღვრა. ჩვენ ვთავაზობთ მოსწავლეებს ისეთ სავარჯიშოებს, როგორებიცაა, მაგალითად: „შეავსეთ წინადადება გამოტოვებული სიტყვებით“, „დააკავშირეთ გამონათქვამის ორი ნაწილი“, „აირჩიეთ კითხვებზე სწორი პასუხები“, „დაადასტურეთ ან უარყავით წინადადებაში მოცემული ინფორმაცია“, „ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში“ და ა.შ.

მოსწავლეებისათვის შემოთავაზებული ტექსტის შემდგომ დავალებების მთავარი მიზანია, დაეხმაროს მათ ახალი სიტყვების დამახსოვრებაში ტექსტთან მუშაობის დასრულების შემდეგ. თავად ის ფაქტი, რომ მოსწავლეები კვლავ შეხვდებიან ამ სიტყვებს, შეიძლება გადაწყვეტი იყოს მათი დამახსოვრების პროცესში. პოსტტექსტური დავალებების მეშვეობით მოწმდება წაკითხულის გააზრება, იცვლება ტექსტის ინფორმაციის სემანტიკური დამუშავება, ფართოვდება მოსწავლეთა ლექსიკა, აქტიურდება მათი ზეპირი მეტყველება და მდიდრდება ფონური ცოდნა. გარდა ამისა, პოსტტექსტური დავალებები მიმართულია ენის სისტემაში ორიენტირების უნარის განვითარებაზე. როგორც წესი, ამ სავარჯიშოების შესრულების შემდეგ მოსწავლეები ითვისებენ შემოთავაზებულ ტექსტს ერთ გაკვეთილში, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. ყველა სავარჯიშო მიმართული უნდა იყოს, როგორც უკვე აღინიშნა, არა მხოლოდ კითხვის, არამედ ლაპარაკის და წერის უნარების გამოუმუშავებაზე, რაც უცხო ენების შესწავლისთვის გამოყოფილი საათების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით სტუდენტურ აუდიტორიაში მუშაობის მნიშვნელოვანი პირობაა.

მოგესხენებათ, კომუნიკაციური მეთოდის მომხრეები გვირჩევენ, თავი ავარი-დოთ სწავლების პროცესში უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე პირდაპირ თარგმანს. თუმცა, ლექსიკური და გრამატიკული უნარების ჩამოყალიბების ეფექტური კონტროლის მიზნით, ჩვენ ვაძლევთ სტუდენტებს ამ სახის დავალებებს: „თარგმნეთ ტექსტიდან ცალკეული წინადადება ან მთლიანი ნაწყვეტი რუსულიდან ქართულად და შემდეგ იგივე ნაწყვეტი რუსულად“.

სასურველია, მშობლიური ენის გამოყენება იყოს შეგნებული, მიზანმიმართული და შემოიფარგლოს გარკვეული რაოდენობის სიტუაციებით, სადაც მშობლიური ენა არა მარტო ხელს არ უშლის, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციას.

კლასიკურად ამ მხრივ მიჩნეულია ცნობილი ენათმეცნიერის, ლევ შჩერბას, ნაშრომები, რომელიც თვლიდა, რომ შეიძლება განდევნო მშობლიური ენა მოსწავლის სახელმძღვანელოებიდან, მაგრამ შეუძლებელია მისი განდევნა მოსწავლეების გონებიდან. ლ. შჩერბა წერდა: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაღიაროთ, რომ მშობლიური ენა მონაწილეობს უცხო ენის გაკვეთილებში, რაც არ უნდა გვინდოდეს მისი განდევნა. და ის მტრისგან უნდა გადავაქციოთ მეგობრად“ (შჩერბა 2004:99). პრაქტიკამ აჩვენა, რომ კომუნიკაციის პრინციპის გამოყენება, რომელიც საფუძვლად უდევს უცხო ენის სწავლების პროცესს, დადებით შედეგებს იძლევა. პირველივე გაკვეთილებიდან მოსწავლეები იწყებენ ლაპარაკს, იმაღლებენ კითხვისა და მეტყველების უნარებს. სწორად შერჩეული ტექსტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის მუდმივ შევსებას, რუსული ენის გრამატიკის საჭირო მოცულობის ათვისებას, უზრუნველყოფენ სტაბილური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ყოველდღიურ, სოციალურ-კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროებში.

ლიტერატურა

- აკიშინა, კაგანი 2002:** А. А. Акишина, О. Е. Каган, *Учимся учить*, издательство «Русский язык» Курсы, Москва.
- ალექსიძე, გურული 2022:** М. Д. Алексидзе, Л. М. Гурули, *Читаем и говорим по-русски*, издательство «Универсал», Тбилиси.
- გაბორკა 1978:** И. К. Гапочка, *О систематическом методе обучения чтению / Обучение русскому языку студентов-нефилологов и специалистов*, издательство «Русский язык», Москва.
- პროტასოვა 1983:** Т. Н. Протасова, *Учет индивидуальных особенностей студентов-иностранцев при обучении чтению на русском языке (начальный этап)*, издательство «Русский язык», Москва.
- როჯკოვა 1978:** Г. И. Рожкова, *Вопросы практической грамматики в преподавании русского языка как иностранного*, издательство «Русский язык», Москва.
- ფოლომკინა 1974:** С. К. Фоломкина, *Принципы обучения чтению на иностранном языке // Методика преподавания иностранных языков в вузе*, издательство «Русский язык», Москва.
- შჩერბა 2004:** Л. В. Щерба, *Языковая система и речевая деятельность*, издательство «Едиториал УРСС», Москва.

Artistic Text as a Means of Achieving Educational Goals

Summary

In the process of teaching a foreign language, it is important to find the right ways and effective teaching methods for each type of learning activity. What are the features of reading as a communicative activity if it takes place in a foreign language? From the psychology of teaching foreign languages, it is known that the structure and psychological content of the activity do not depend on the language in which it is carried out – native or foreign. The communicative activity in both native and foreign languages belongs to the same class of speech-thinking processes.


Learning to read in a foreign language is, first of all, teaching foreign language speech in the process of speech activity. This approach to teaching reading in a foreign language is a fundamentally important aspect of the modern methodological concept. The methodology for teaching adult students, who have already formed communicative activities in their native language, has the peculiarity that they can receive information when reading in their native language, they have a stock of formed speech skills and abilities. This circumstance turns out to be an important positive factor in modeling the system of learning to read.

Reading mechanisms are formed differentially, under the influence of certain teaching methods. For each stage of their formation, it is necessary to determine rational methodological actions, their sequence and consistency, as well as educational textual material. The text determines the nature and expediency of certain speech and mental actions for extracting information from it and its semantic processing. Properly selected texts contribute to the constant replenishment of the students' vocabulary, assimilation of the necessary volume of Russian grammar, ensure the formation of stable communication skills in everyday, social, cultural, socio-political spheres.

A necessary component of teaching reading is a system of lexical and lexicogrammatical exercises. All exercises should be aimed at developing not only reading skills, but also listening, speaking, and writing, which, with a limited number of hours allocated for studying foreign languages, is an important condition for working in a student audience. When building a system for teaching foreign language reading, it is necessary to take into account the principles of a different order – linguistic, communicative, psychological – which should represent a system that allows you to find the best ways and means of forming the type of speech activity under consideration.

ენის საკომუნიკაციო ფუნქციის რღვევის ტენდენცია კოსტომოდერნულ სამყაროში

ენის საკომუნიკაციო ფუნქცია გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის შემცველი შეტყობინების გადაცემას, არამედ ამ შეტყობინების დეკოდირება-გაგებას. რომან იაკობსონის მიხედვით, კომუნიკაციის განსახორციელებლად, აქტორების (resp. ადრესანტი და ადრესატი) და თავად გადასაცემი ინფორმაციის გარდა, აუცილებელია საერთო კულტურული ფონის (resp. კონტექსტის, **დისკურსის**) არსებობა.




ფიგურა 1. ენის ფუნქციების ამსახველი იაკობსონისეული სქემა

ნებისმიერი საკომუნიკაციო სისტემის ერთეული – **ნიშანი** – მხოლოდ სოციუმში ფუნქციონირებს და ამ სისტემით (ძირითადად, იგულისხმება ენით) მოსარგებლედ ინდივიდთა საერთო დისკურსს ქმნის.

თავად ნიშანი, ფ. დე სოსიურის მიხედვით, რთული ფსიქოფიზიოლოგიური დინამიკური პროცესის შედეგია: შეგრძნებებიდან მიღებული აღქმა-წარმოდგენების აბსტრაქტირებითა და კატეგორიზაციით ყალიბდება აბსტრაქტული, ზოგადი ცნება – კონცეპტი. სწორედ ამგვარი კონცეპტების (resp. აღსანიშნი) მონიშვნა-კოდირება (resp. მარკირება) ხდება გარკვეული, ასევე სპეციფიკური ნიშნებისგან განზოგადებული, აბსტრაქტული სამეტყველო ბგერით (ფონემით), რაც ქმნის ენობრივი ნიშნის მატერიალურ ფორმას (resp. აღმნიშვნელს). ამგვარად, ნიშანი მოიაზრება როგორც ფორმისა (resp. აღმნიშვნელის) და შინაარსის (resp. აღსანიშნის) სიმბოლური მთლიანობა.

უფრო დაწვრილებით, ფსიქოფიზიოლოგიური დინამიკური პროცესი შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. სინამდვილის ობიექტით/მოვლენით გამოწვეული **გრძნობის ორგანოების** გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება ფიზიოლოგიური ინფორმაცია **შეგრძნებების სახით**;
2. ეს ფიზიოლოგიური ინფორმაცია გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას (resp. ტვინს), სადაც ამ შეგრძნებების ერთიანი **აღქმის** საფუძველზე ეს გაღიზიანება გარდაიქმნება ფსიქიკურ ინფორმაციად და ფორმირდება **წარმოდგენა**;
3. წარმოდგენების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე, მსგავსება-განსხვავებულობების დაფიქსირებით ხორციელდება წარმოდგენებისათვის მთავარი, სხვა საგნებისაგან გამომაცალკეებელი ნიშან-თვისებების აბსტრაქტიზაცია – ნიველირდება ყოველი არარელევანტური კონკრეტული ნიშან-თვისება და რჩება მხოლოდ საერთო და რელევანტური. ასე ფორმირდება კონკრეტული წარმოდგენებისგან აბსტრაქტიზებული **ცნება, კონცეპტი**;
4. ეს კონცეპტები, კვლავ ფსიქიკური პროცესების შედეგად, სტრუქტურირდება **კატეგორიების იერარქიული სისტემის** სახით;
5. ამგვარად ორგანიზებულ კონცეპტებს მონიშნავს აბსტრაქტიზებულ ბგერათა (resp. **ფონემათა**) „შერჩეული-შეთანხმებული“ მიმდევრობა; და
6. იქმნება **ნიშანი**, რომელიც სოციალიზაციის შედეგად ენის ერთიან დისკურსში იწყებს ფუნქციონირებას.



ფიგურა 2. ნიშნის ფორმირების ფსიქოფიზიოლოგიური პროცესის ამსახველი სოსიურისეული სქემა

თუმცა აღქმა – განსაკუთრებით ისეთი, რომელიც აბსტრაქტულ ცნებებს შეესაბამება და არ აქვს შესაბამისი დენოტატი – მანიპულირებადია, რადგან გრძნობის ორგანოებით მიღებული შეგრძნებები, ძირითადად, სუბიექტურია და აღქმა → წარმოდგენა, გარკვეულწილად, ინდივიდუალურია. მაგალითად, ნიშანი **სიყვარული** მიემართება კონცეპტს, რომელიც ყოველდღიურ გაგებაზე დაფუძნებით გულისხმობს *ძლიერ და პოზიტიურ ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ყველაზე ამადლებული სათნოებიდან ან კარგი ჩვევებიდან, ღრმა ინტერპერსონალური სიყვარულიდან დაწყებული, უმარტივეს სიამოვნებამდე*. 1990-იან წლებში ქართველმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკოსმა მერაბ მამარდაშვილმა თავის საჯარო გამოსვლებში აღნიშნა, რომ საბჭოთა დისკურსში ეტაპობრივად შეიცვალა ტექსტის ინტერპრეტაციის საერთო დისკურსი და, მაგალითად, წინადადება *მე მიყვარს ჩემი ლიდერი* საერთო კონვენციური კონცეპტუალური მნიშვნელობის პარალელურად შეიძინა იმდროინდელ რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია და აღქმულ იქნა წინადადებად *მე ვარ ჩემი ლიდერის მონა*. ამრიგად, ნიშანმა შეიძინა ორი მნიშვნელობა:

1. **სიყვარული-1**, როგორც მას იზიარებდა სოციალურ ჯგუფთა დიდი ნაწილი; და 2. **სიყვარული-2**, როგორც ის ფუნქციონირებდა მხოლოდ კონკრეტული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც საბჭოთა რეალობაში დისიდენტებს უწოდებდნენ. შესაბამისად, ერთი ნიშანი **სიყვარული** დაიშალა და ერთსა და იმავე გამოხატულებას (resp. ფონემათა მიმდევრობას *ს-ი-ყ-ვ-ა-რ-უ-ლ-ი*) ორი აღსანიშნი გაუჩნდა, რომელთაგან ერთ-ერთმა განაყოფმა შეიძინა ახალი, დისიდენტური შინაარსი: *გიყვარს – ხარ მონა*, ე.ი. ამ დისიდენტურ დისკურსში *სიყვარული* გაიგივდა *მონობასთან*; ანუ, გაჩნდა ნიშანი ორი აღსანიშნით (resp. კონცეპტით), რომელიც განსხვავებული შინაარსებით დღესაც ფუნქციონირებს გარკვეულ ორ ქვედისკურსში: საერთო დისკურსი დაშლილია და ერთი ქვედისკურსის შინაარსი უპირისპირდება მეორე ქვედისკურსში შექმნილ შინაარსს. ნიშნის ასეთი დეკონსტრუქცია მანიპულირებადიც შეიძლება გახდეს: თუ სოციუმს მივაწოდებთ ახალ, თუნდაც მოდელირებულ ფაქტებს, სოციუმის ის ნაწილი, რომელიც ამ „ფაქტების“ გავლენის ქვეშ სხვადასხვა ფაქტორის გამო მოექცევა, თავისთავად აღმოჩნდება ახალ ქვედისკურსში.

კულტურული რევოლუციები გარკვეულწილად ცვლიან ნიშანთა სისტემებს: მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის არსებული სპეციფიკური მსოფლხედვიდან თუ სამყაროსადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება სემიოტიკური ნიშნის თეორიის ჭრილში გავაანალიზოთ და გავიაზროთ.


შეიძლება ითქვას, რომ მოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ნიშნის გამოხატულების პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგად ფორმის ნგრევა: აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, ფუტურზმი, დადაიზმი, ავანგარდიზმი, სიმბოლიზმი და სხვ.,

თუმცა შინაარსის პლანის მთლიანობა საერთო დისკურსისათვის ძირითადად შენარჩუნებულია და მხოლოდ სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩარჩოებში ექცევა.



ფიგურა 3. მოდერნიზმის ნიმუში: პიკასოს გერნიკა

ხოლო პოსტმოდერნიზმის ძირითადი მახასიათებელია შინაარსის პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტული მანიპულაციები და ნიშნის ფორმაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება: ტექსტის ეკლექტიზმი და ინტერტექსტუალობა, ტექსტის დეკონსტრუქცია და დეცენტრალიზაცია (მყარი შინაარსების მოშლა), ქაოსი და ჰიპერრეფლექცია, ავტორსა და ამ ტექსტის შემქმნელს შორის ზღვრის მოშლა, ზედროული და ზესივრცული პროექციები, რეალობის ირონიზაცია და საერთოდაც მისი უარყოფა და სხვ. ამ პროცესის ლოგიკური დასასრულია ერთიანი დისკურსის გაქრობა: დივერგენციის შედეგად ქვედისკურსებად დანაწევრებული შინაარსის პლანის რღვევის ლოგიკური შედეგია საერთო სოციუმისთვის ერთიანი შინაარსის პლანის სრული მოშლა.




ფიგურა 4. პოსტმოდერნიზმის ნიმუში: ჯოზეფ ჰარვეის ტილო

პოსტმოდერნული ნიშნის ფორმა არა კონცეპტთან, არამედ დისკურსულად დანაწევრებული აღქმებით მიღებულ წარმოდგენათა სპეციფიკურ კონასთან ამყარებს სიმბოლურ კავშირს და ამ კონკრეტულ ქვედისკურსში ჩამოყალიბებული ცნებების მარკირებას ახდენს, რაც შეუძლებელს ხდის ენის მთავარი, საკომუნიკაციო ფუნქციის რეალიზებას, რადგანაც ტვინი ერთიანად რეაგირებს შემეცნებით პროცესებზე და ანალიტიკურ განსხვავებას ხელოვნებასა (რომლისთვისაც ორივე ეს მიმდინარეობა ჭეშმარიტად აღმაფრენისა და წარმოსახვების ფანტასმაგორიული შესაძლებლობებით ადამიანის ცნობიერების განვითარების წყაროა) და ცხოვრებას შორის თანდათანობით აუქმებს (რაც უკვე დასაფიქრებელ, სახიფათო ტენდენციებს შეიცავს): თუ კონკრეტული წარმოდგენების აბსტრაქცირება, ანუ კონცეპტუალიზაცია, ერთი ენის მატარებლებს შორის უნიფიცირებული არაა, სპეციფიკურ დისკურსებში მოქმედი სპეციფიკური აღქმა-წარმოდგენებით კომუნიკაცია ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შორისაც კი შეუძლებელი ხდება, რამდენადაც ნიშნის დეკოდირება-იდენტიფიცირება მხოლოდ დანაწევრებულ დისკურსებში, ქვესოციუმებში ხდება შესაძლებელი.

ასეთ დისკურსებს შორის კომუნიკაცია „თარგმანს“ უფრო ემსგავსება და, ამდენად, ბუნებრივად უკავშირდება ჩვეულებრივ მოტივაციას: უნდა კი ვინმეს რაიმე ტექსტის „თარგმანს“-გაგება? შინაარსის პლანის ამგვარი მანიპულაციები უკვე სცდება სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩარჩოებს და ნიშნის საერთო დისკურსის ფარგლებში, ფაქტობრივად, მთლიანად ანგრევს შინაარსის პლანს.

მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის სხვაობის შესახებ ზემოთ შემოთავაზებული, სემიოტიკურ ჩარჩოში განზოგადებული მსჯელობა შეიძლება შემდეგი ფიგურის სახით შევაჯამოთ:




ფიგურა 5. ნიშანი მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმში

პოსტმოდერნულ სამყაროში ენის ეს მდგომარეობა, ვ. ფონ ჰუმბოლდტის თეორიული მიდგომით, ფაქტობრივად, უფრო მძაფრ სურათს იძლევა: იქმნება ვირტუალური პარალელური სამყაროები.

საზოგადოდ, ინფორმაცია სამი სახით არსებობს:

- (1) პირველი – ობიექტურ რეალობაში მოვლენის სახით (A);
- (2) მეორე – ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტების სახით (B);
- (3) მესამე – ენობრივ ფორმაში, კომუნიკაციისას (C).

ეს ფორმები ურთიერთდაკავშირებული, მეტიც, ურთიერთგანპირობებულია და ერთმანეთის გარეშე არც არსებობენ: სინამდვილის ყოველ მოვლენას (A) ცნობიერებაში სპეციფიკური კონცეპტუალური სტრუქტურა (B) შეესაბამება, რომელიც გარკვეული ენობრივი ფორმებით (C) რეალიზდება. სინამდვილე განსაზღვრავს აღქმა-წარმოდგენას და მისი გავლით ენობრივ სისტემასაც, რაც, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს მასზე. ცნობიერებით გაშუალებული ყოველი ენა თავისი ნიშნებით სპეციფიკურად ანაწევრებს სინამდვილეს, გარკვეულ ურთიერთმიმართებებს ამყარებს მის ელემენტებს შორის და, შეიძლება ითქვას, კიდევაც ქმნის ჩვენს აღქმაში არსებულ სინამდვილეს (ეს, განსაკუთრებით, მხატვრულ ლიტერატურას ეხება); ანუ, ენასა და სინამდვილეს შორის ურთიერთშექცევადი კავშირია, რომელიც გაშუალებულია ცნობიერებით.



ჰუმბოლდტის მიხედვით, ენა ქმნის სინამდვილეს, რამდენადაც ის ადამიანური აქტივობის, შემოქმედების შედეგი (resp. Ergon) კი არ არის, არამედ თავად არის შემოქმედი (resp. Energeia).

ე.ი., შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნულ სამყაროში ქვედისკურსებად დეკონსტრუირებული შინაარსის პლანის შედეგად, ფაქტობრივად, იქმნება ვირტუალური სამყაროები და ამგვარად დივერგირებულ, ვირტუალურ სივრცეში მყოფ ადამიანებს შორის კომუნიკაცია გართულებულია.

ენას ეს თვისებები ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ტექნოლოგიების (მედია, კინო, ინტერნეტი, სოციალური ქსელები) განვითარების შედეგად, განსაკუთრებით დღევანდელ, თანამედროვე სოციუმში, იქმნება ქაოსური მდგომარეობა: შეგრძნების ორგანოებისადმი გაჩენილი „უნდობლობისა და სკეფსისის“ პირობებში (არ გვეყრის იმის, რაც გვეხმის; უკვე გვაეჭვებს ისიც, რასაც ვხედავთ; ვიცით, რომ შესაძლებელია სუნებით და გემოებით მანიპულაცია), სოციუმის გარკვეულ ფენებს თავსმოხვეული „ინტერპრეტაციები“ საფრთხეს უქმნიან ნიშნის ზოგად საკომუნიკაციო ფუნქციას. სოციუმის გარკვეული ჯგუფებით შემოფარგლულ, ლამის ინდივიდუალ-

დე დაყვანილ, ქვედისკურსებში არსებული საკომუნიკაციო სივრცე, განსაზღვრული სპეციფიკური აღქმა-წარმოდგენებით, დანაწევრებული ვიწრო, ე.წ. „ვირტუალურ“, სივრცეებად, სადაც ნიშანი სხვადასხვაგვარ შინაარსს უშვებს (არა ინტერპრეტაციის, არამედ უკვე კონცეპტუალური სხვაობების სახით), ანგრევს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას და ადამიანების ერთიან სურათს სინამდვილეზე. პარალელური სამყაროების არსებობა ფანტასტიკის სფეროდან თუ ფიზიკის თეორიული შესაძლებლობებიდან პოსტმოდერნულ პროექციაში ლამის ნამდვილ „სინამდვილედ“ იქცევა.

ენა ამ ქაოსისგან თავის დაღწევას ცდილობს და ენის რეფერენციული, ნომინაციური ფუნქციის შესანარჩუნებლად აყალიბებს გარკვეულ დისკურსულ მარკერებს. მის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ახალგაზრდების (და უკვე არა მხოლოდ) მეტყველებაში დაფიქსირებული ე.წ. tag ტიპის ფრაზული გამონათქვამი, *ოღონდ მართლა*, რომელსაც, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს თავისი პირდაპირი მნიშვნელობა და ქცეულია დისკურსის ფუნქციონალურ ელემენტად – *ნუ მოახდენ ინფორმაციის ინტერპრეტირებას და ქვეტექსტების ძებნას, გაიგე ტექსტი ენის ნიშნების საერთო, საზოგადო მნიშვნელობით!*

მაგალითები: – *თბილისში წვიმს, ოღონდ მართლა!* – *კინოში წავიდეთ, ოღონდ მართლა!* – *გამოცდაზე ვერ გამოვედი იმიტომ, რომ ბებია გარდამეცვალა, ოღონდ მართლა!* – *ეს გოგონა მომწონს, ოღონდ მართლა!* – *ეს სიმართლეა, ოღონდ მართლა!* და სხვ. ამ სახის დისკურსული მარკერები არა მხოლოდ ქართულში, არამედ სხვა ენებშიც ფიქსირდება, რასაც სპეციალური კვლევა სჭირდება.

„საკომუნიკაციო სისტემის გადასარჩენად“ და ამ პარადოქსული სიტუაციიდან გამოსავლის საპოვნელად (ადამიანი ზომ სოციალური არსებაა და ენობრივი კომუნიკაცია მისი ძირითადი და სხვა ცოცხალი არსებებისგან განმასხვავებელი ნიშანია?) ამგვარი მარკერიც არ აღმოჩნდა საკმარისი და, ენისადმი გაჩენილი სკეფსისის ფონზე, ენის რეფერენციული ფუნქციის შესანარჩუნებლად, ვაკვირდებით საინტერესო ტენდენციებს: სამეტყველო ბგერაზე დაფუძნებული ტრადიციული საინფორმაციო სისტემის (resp. ენის) **მისწრაფებას**, ერთი მხრივ, **მინიმალიზაციისკენ** – იგულისხმება მოკლე ტექსტური შეტყობინებები, გრამატიკული ნორმების ნიველირება, უსრული წინადადებების სიჭარბე, ე.წ. საკვანძო სიტყვებით კომუნიკაცია და სხვა ამგვარი – და, მეორე მხრივ, **ვიზუალიზაციისკენ** – კომუნიკაციისას სულ უფრო და უფრო მეტად ინფორმაციის კოდირების ვიზუალური ფორმების გამოყენება: უშუალო საუბრის ნაცვლად მობილურებით კომუნიკაცია, ტექსტური მოხსენებების ნაცვლად საკვანძო სიტყვებით მოწოდებული პრეზენტაციები, ვერბალური ტექსტის ნაცვლად ინფორმაციის კოდირებისათვის იმოჯებისა თუ მემოჯების, მოკლე ვიდეოკლაპებისა თუ ტიკ-ტოკის ტიპის სემიოტიკური სისტემების გამოყენება, რის საშუალებასაც თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და მასმედიაში დომინანტური ტელევიზორცე იძლევა – თითქოს თავისთავად მართლდება

პოსტმოდერნიზმის ძირითადი კრედი: *ყველაფერი შესაძლებელია!* ოღონდ ახლა არა მხოლოდ კულტურაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ლიტერატურა

ჰუმბოლდტი 1999: W. von Humboldt, *On language: on the diversity of human language construction and its influence on the mental development of the human species*, Losonsky M. (ed). Trans. Heath P., 2nd edition, Cambridge University Press, Cambridge.

აკობსონი 2023: R. Jakobson, R.: https://monoskop.org/images/8/84/Jakobson_Roman_1960_Closing_statement_Linguistics_and_Poetics.pdf, last accessed 2023/06/29.

სოსიური 2011: F. de Saussure, *Course in General Linguistics*, Bally, Ch., Sechehaye, Al. (eds). Trans. Baskin, W., subsequently edited by Meisel, P., Saussy, H. (eds): Columbia University Press, NY.

Rusudan Asatiani

The Tendency of Language Communicative Function Disruption in the Postmodern World

Summary

The paper examines problems of communication that appear in the New World resulting in manipulations of the semiotic signs within the Modern and Postmodern cultural frames.

Based on the three distinguished theories of founding classical linguistics – Ferdinand de Saussure, Wilhelm von Humboldt, and Roman Jakobson – the analysis of sign and discourse shows that the development of new computer and TV technologies dominating the modern space of mass media reveals the tendency of communication disruption: Interpretations of signs become more than simply interpretations and based on the diversification of the whole social discourse into sub-discourses create a productive basis for the deconstruction of signs. This process evokes some problems in communication resulting in a language crisis that gives the background for the rising of parallel “virtual realities”.

ასიმილაციის ფონეტიკურ პროცესთა თავისებურებანი ფრანგულ ენაში

ფრანგული ენის ფონეტიკურ პროცესებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ასიმილაცია. სრული ასიმილაციის დროს ორივე თანხმოვნის ფლერადობა სავსებით ერთნაირი ხდება. პირველი თანხმოვანი იღებს მომდევნო ფონემის ყველა მახასიათებელს. სიტყვათვალსაფარზე აღინიშნება ნაწილობრივი ასიმილაციის პროცესი. მეორე სიტყვის თავიკიდური ყრუ თანხმოვნის წინ წინამდებარე სიტყვის ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვანი ყრუედება; მაგალითად: **une robe simple** – „უბრალო კაბა“; **je viens d(e) partir** „ეს-ესაა გავემგზავრე“. თავიკიდური მჟღერი თანხმოვნის წინ წინამდგალი სიტყვის ყრუ თანხმოვანი მჟღერდება; მაგალითად: **un lac grand** „დიდი ტბა“; **une faute dangereuse** „საშიში შეცდომა“.

ფრანგულ ენაში ასიმილაციის ასეთი თავისებურება აიხსნება იმ მნიშვნელოვანი როლით, რასაც ასრულებს ფრანგული არტიკულაციის კუნთოვანი დაჭიმულობა. იმის მიხედვით, ორი ერთმანეთის გვერდით მდგომი ბგერადან რომელი ბგერა განიცდის ცვლილებას, ასხვავებენ რეგრესული და პროგრესული ასიმილაციების ტიპებს. თუ იცვლება წინამდგალი ბგერა, მაშინ ასიმილაცია რეგრესულია.

შედარება ხდება, ჩვეულებრივად, თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის მიხედვით, მაგრამ არ ეხება მათი წარმოთქმის დაჭიმულობას. თანხმოვნები ასიმილირდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არ არის წარმოუთქმადი ხმოვანი. ასიმილაცია ხდება ორი სიტყვის ვალსაფარზე, მაგალითად: **une tête blanche** [yn-tɛt-ˈblɑ̃ːʃ] „ჭაღარა თავი (თმები)“; **une robe pâle** [yn-rɔb-ˈpɑːl] „ფერმკრთალი კაბა“. ასიმილაცია უფრო სრულია სიტყვის შიგნით, ვიდრე სიტყვათვალსაფარზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი წარმოადგენენ წყვილ თანხმოვნებს: ტრანსკრიფციაში შეიძლება შეგვხვდეს სიტყვა **obstacle** [ɔps-ˈtakl] „ღაბრკოლება“; **abstenir (s)** [(s)aps-t(-ˈniːr)] „თავის შეკავება“ ([p]-თი, [b])-ს ნაცვლად, მაგრამ არასდროს არ გვხვდება: **une robe pour vous** „კაბა თქვენთვის“, როგორც [yn-rɔp-pur-ˈvu] ნაცვლად [yn-rɔb-pur-ˈvu]-სა. ასევე შეიძლება გავინსენოთ ტენდენცია სუფიქს -isme-is წარმოთქმისა, როგორც [izm], მაგალითად: **modernisme** [mɔ-ˈdɛr-ˈnizm] „მოდერნიზმი“. ასეთი წარმოთქმის ტენდენცია ძველად იყო დამახასიათებელი მხოლოდ სამხრეთ საფრანგეთში, როდესაც ცხვირისმიერი თანხმოვანი [m] იძლეოდა [s]-ს [z]-დ გამჟღერების საშუალებას.

ასიმილაციათა დიდი რაოდენობა წარმოიქმნება, ძირითადად, ჩურჩულა [ʃ]-ს ხშირ ამოვარდნასთან დაკავშირებით სასაუბრო ენაში: ჩნდება თანხმოვანთა ახალი

ჯგუფები, რომლებშიც შეინიშნება ასიმილაციური პროცესები, მაგალითად: **dans c(e) genre d(e) situation [da-z-za:r-t-si-tya-ʻsʃ]** „მსგავს სიტუაციაში“; **j(e) (ne) sais pas [ʃ(s)e-pɑ]** „არ ვიცი“. განვიხილოთ ფრაზა **pas de chance** „არავითარი შანსი“. მჟღერი თანხმოვანი **[d]** სუსტ პოზიციაში განიცდის ყრუ **[ʃ]**-ს გავლენას ძლიერ პოზიციაში. რადგან ახალი ბგერათშეერთება **[tʃ]** აფრიკატის მსგავსია, მისი რეალიზება არ არის აუცილებელი მეტყველებაში, მაგალითად: **[pa(d)-ʃ:(s)] > [pa(t)-ʃ:(s)] > [pa-ʃ:(s)]**. გარდა ამისა, შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ თანხმოვანთა რამდენიმე მსგავსი ახალი ჯგუფი: **[dz], [ts], [gz]**, მაგალითად: **un jus de citron [ɑ̃-zy(t)-si-ʻtr̃] an [ɑ̃-zy-tsi-ʻtr̃]** „ლიმონის წვენი“. გარდა ამისა, შესაძლებელია ასიმილაცია ნაზალურობის ნიშნით, მაგალითად: **rapid(e)ment [ra-pid-ʻm̃]** „სწრაფად“; **une heure et d(e)mie [y-nœr-e-ʻdmi]** „საათნახევარი“.

პროგრესული ასიმილაცია ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც წინამდებარე ბგერა იმსგავსებს მომდევნო ბგერას. ეს მოვლენა ხდება ნერვული იმპულსის დაყოვნების შედეგად, რაც გამოწვეულია სამეტყველო ორგანოების მიერ არასაკმარისად სწრაფად წარმოთქმის გამო, რასაც მოჰყვება წინამავალი ბგერის არტიკულაციის ამა თუ იმ ნიშნის დაყოვნება და გადასვლა შემდეგ ბგერაზე, რის შედეგადაც ხდება ცვლილება წინამავალ ბგერასთან მიმსგავსების სახით. ასეთი მოვლენა, რეგრესულთან შედარებით, ნაკლებად გვხვდება.

პროგრესული ასიმილაცია იშვიათია ფრანგულ სალიტერატურო ენაში. ერთადერთი მაგალითია სიტყვა **subsister [syb-zis-ʻte]** „არსებობა“. **[b]**-ს წარმოთქმისას სახმო სიმების მოქმედება ბრკოლდება და ვრცელდება მომდევნო თანხმოვნის არტიკულაციაზე, რომელიც იქცევა მჟღერად, თუმცა ინარჩუნებს დანარჩენ საკუთარ საარტიკულაციო ნიშნებს (რჩება კბილისმიერად და ნაპრალოვნად). მაგრამ, როგორც ფრანგი ლინგვისტი ჟაკლინ პიკოში აღნიშნავს, სიტყვის ბოლოს სონორთა დაყრუება **tr, pl, pr-**ს ტიპის ჯგუფებში (**muta cum liquida**) ხდება, სახელდობრ, პროგრესული ასიმილაციის შედეგად, მაგალითად, ფრანგ.: **quatre [katr]** „ოთხი“; **peuple [pœpl]** „ხალხი“. შესაძლებელია, რომ მსგავსი პროცესები, თავდაპირველად, ეხებოდა მხოლოდ ჯგუფებს „ყრუ თანხმოვანი + **r(l)**“. თუმცა ამჟამად ბოლოკიდური სონორები ასევე ყრუვდებიან მჟღერი თანხმოვნების შემდეგაც, მაგალითად, ფრანგ.: **pauvre [po:vr]** „ღარიბი“; **ongle [ˈg]** „ფრჩხილი“. ამ შემთხვევაში, უმეტესად, საქმე ეხება ანალოგიის მიხედვით დაყრუებას, ისეთი შემადგენლობის მქონე თანხმოვანთშეერთებებში კი, როგორებიცაა: **bl, cl, dr, fl, gr, pr, tr, vr**, წარმოდგენილია ძალიან მყარი თანხმოვანთშეერთებები.

მაშასადამე, სონორები, რომლებიც ყრუვდებიან **k, f, p, t**-ს შემდეგ, თვისებრივად იცვლებიან **g, v, b, d**-ს შემდეგაც. გარდა ამისა, შეინიშნება, რომ სასაუბრო სტილში პროგრესული ასიმილაცია ყოველთვის ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც კომპლექსში მეორე წევრი სონორია. აქედან გამომდინარე, **[j]** სიტყვაში **piéd** „ფე-

ხი“ ყრუვდება თავკიდურ [p]-სთან ურთიერთქმედებისას: [pje]. მეორე მაგალითია მჟღერი თანხმოვანი [v]. იგი, არის რა წარმოშობით სონორი, ასევე მიისწრაფვის დაყრუებისაკენ კომპლექსში [fv], მაგალითად, ფრანგ.: **cheval** [ʃval] „ცხენი“.

ამგვარად, ჩვენს კვლევაში გამოყენებულია როგორც ლინგვისტურ წყაროებში ცნობილი სალიტერატურო ენის, ასევე სასაუბრო ენის მაგალითებიც, რაც უფრო სრულყოფილად გვიჩვენებს იმ პროცესებსა და მოვლენებს, რომლებიც აქტუალური არიან ფრანგული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ მეტყველებაში ბგერათცვლილებების ანალიზი დაგვეხმარება ფრანგული ენის ფონეტიკური მოვლენების უკეთ გაგებასა და ფრანგული ენის სრულყოფილად დაუფლებაში.

ლიტერატურა

ახვლედიანი და სხვ. 2017: ც. ახვლედიანი, ი. ლეჟავა, გ. ყუფარაძე, *ენათა შეპირისპირებითი ფონეტიკა* (ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების მასალაზე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

Picoche, Marchello-Nizia 1989: J. Picoche, C. Marchello-Nizia, *Histoire de la langue française*, Paris.

Picoche 2010: J. Picoche, *Structures sémantiques du lexique français*, Paris.

Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovichi

Features of Phonetic Assimilation Processes in the French Language

Summary

Our paper presents the analysis of phonetic assimilation processes in French. The main attention is paid to the classification of mechanisms of sound change in connected speech. The purpose of the research is to study the phonetic processes of assimilation and their influence on the phonetic system, as well as to reveal trends in positional changes of the French language. Our study is based both on literary and on common language examples known in the linguistic literature, which better reflect the processes and phenomena operating in the development of modern French. Knowing how sounds change in speech helps us better understand phonetic phenomena and study the French language deeply.

ნანა გამყრელიძე, ივანე ლეშავა

უდიური ენის ხშული თანხმოვნების აკუსტიკური ანალიზი

მასალად აკუსტიკური ანალიზისათვის გამოყენებულია უდიური ენის ვართაშ-ნული (resp. ოლუზურ-ზინობიანური) დიალექტის ორი წარმომადგენლის – მამაკაცისა (ქ. ოლუზი, აზერბაიჯანი) და ქალის (სოფ. ზინობიანი, საქართველო) მიერ წარმოთქმული იზოლირებული სიტყვები.

ხშულ-მსკდომი თანხმოვნებისა და აფრიკატების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით – Praat-ითა და WaveSurfer-ით. გაანალიზებული აუდიომასალის გრაფიკული გამოსახულებები (ოსცილოგრამა, სპექტროგრამა და ინტენსივობის მრუდი) ვიზუალიზებულია WaveSurfer-ის მეშვეობით.

ხშული თანხმოვნები გაანალიზებულია თავკიდურ, ინტერვოკალურ და ბოლოკიდურ პოზიციებში:

მჟღერები – **b-ბ, d-დ, g-გ, dz-ჯ, dz'-ჯა;**

ფშვინვიერები – **p-ფ, t-თ, k-ქ, q-ჭ, ts-ც, tʃ-ჩ, tʃ'-ჩა;**

მკვეთრები¹ – **p'-პ, t'-ტ, k'-კ, q'-ყ, ts'-წ, tʃ'-ჭ, tʃ'-ჭა.**

აღსანიშნავია, რომ შიშინა აფრიკატები (dz'-ჯა, tʃ'-ჩა, tʃ'-ჭა) ვლ. ფანჩვიძეს და ევგ. ჯეირანიშვილს (იკე IV-1967:676) მიაჩნიათ ინტენსიურ თანხმოვნებად. ამ ბგერათა არტიკულაცია მოდიფიცირებულია ფარინგალიზაციით, რომელიც განიხილება პროსოდულ ნიშნად, რადგან ვრცელდება მთელ სიტყვაზე (გამყრელიძე 1984, კიბრიკი, კოძასოვი 1990:347; ლოლუა 2010).

ხმოვნების გარემოცვაში წარმოთქმული ხშული ბგერების თავისებურებათა დასადგენად განხორციელდა აკუსტიკური ანალიზი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

1. სკდომის (განხშვის) ჩქამისა და ხშვის გრძლივობა;
2. დროის მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკდომიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე (Voice onset time – VOT);
3. ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა ($K = I/T$);²

¹ ზოგი ავტორის მოსაზრებით, ეს თანხმოვნები ნიჯური დიალექტის კვლევის საფუძველზე კვალიფიცირებულია როგორც არაფშვინვიერი ბგერები, რომელთა არტიკულაციას ახასიათებს ორალური და ლარინგალური დაჭიმულობა (კიბრიკი, კოძასოვი 1990:347; განენკოვი და სხვ. 2008).

² ფორმულაში ($K=I/T$) I (დეციბელებში) არის სკდომის (განხშვის) ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე, ხოლო T (მილისეკუნდებში) ჩქამის გრძლივობა.

4. სკლომის მომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა (Post burst period).

თანხმოვანთა თითოეული არტიკულაციური ფაზისთვის საშუალო გრძლივობის გამოსათვლელად საჭირო განმარტებები: იმის გამო, რომ თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ხშული წარმოდგენილია ხშვის ორნაირი – მჟღერი და ყრუ – ვარიანტით, ფაზების საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ორივესთვის ცალ-ცალკე – ერთი იქნება მჟღერი ხშვითა და ჩქამით, მეორე – მხოლოდ ჩქამით და შემდეგ არის გასაშუალოებული ორი მონაცემის მიხედვით. მჟღერი ხშვის შემთხვევაში პერიოდი სკლომიდან (ან განხშვიდან – აფრიკატებისათვის) სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე იქნება უარყოფითი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – დადებითი.

ხშირად მკვეთრი ბგერაც ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი – სკლომის (განხშვის) მომდევნო უბგერო ინტერვალით და მის გარეშე. მკვეთრების ფაზათა საშუალო გრძლივობები გამოთვლილია ორივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე და შემდეგ არის გასაშუალოებული. მაგალითად, თუ იმ მკვეთრი თანხმოვნის ჩქამის საშუალო გრძლივობა, რომელიც წარმოთქმულია უბგერო ინტერვალის გარეშე, უდრის T_1 -ს, მაშინ დროის მონაკვეთი ამ ბგერის სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება აგრეთვე T_1 ; უბგერო ინტერვალით წარმოთქმული იმავე თანხმოვნის დროის მონაკვეთი თანხმოვნის სკლომიდან (განხშვიდან) სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება ორი სიდიდის ჯამი $T_2 + S_2$ (T_2 – სკლომისა და S_2 – უბგერო ინტერვალის გრძლივობა).

ორივე ტიპის (ნაირსახეობის) მკვეთრი თანხმოვნის სკლომის საშუალო გრძლივობა იქნება – $(T_1 + T_2) : 2$, ხოლო სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე პერიოდის საშუალო გრძლივობა – $(T_1 + T_2 + S_2) : 2$; ამიტომ ცხრილებში ჩქამისა და უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობათა ჯამი შეიძლება ყოველთვის არ უდრიდეს დროის მონაკვეთს სკლომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე.

უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები გამოთვლილია მხოლოდ უბგერო ინტერვალის მკვეთრი ბგერებისათვის.

აკუსტიკური კვლევის შედეგები:

თავკიდური პოზიცია

ხშვა. თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ფონემა წარმოდგენილია ხშვის ყრუ და მჟღერი ფაზით.

სოფ. ზინობიანის (ყვარლის რ-ნი) მკვიდრის მეტყველებაში მჟღერი ხშვის ერთადერთი შემთხვევაა ბ თანხმოვნისთვის; ეს მოვლენა უნდა ჩაითვალოს თავკიდური თანხმოვნის სპონტანური გამჟღერების მაგალითად, რადგან ამისათვის საუკეთესო პირობებს სწორედ ლაბიალური არტიკულაცია ქმნის. ამიტომ ეს მონაცემები საშუალოს – გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული.

ოლუზელი (აზერბაიჯანი) რესპონდენტის მეტყველებისათვის უფრო დამახასიათებელია მჟღერი ვარიანტი; მჟღერი ხშვის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით თანხმდევრობით ასე დალაგდება:

ლაბიალური (151)>ალვეოლარული (133)>დენტალური (121)>ველარული (110).

ჩქაბი. თავკიდურ პოზიციაში ქალი და მამაკაცი დიქტორების მიერ წარმოთქმული მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმდევრობები ლოკალურ რიგებში ჩქამის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) მიხედვით კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(46)>ბ(12)>პ(9)	ფ(66)>ბ(13)>პ(9)
თ(56)>დ(16)>ტ(12)	თ(81)>დ(19)>ტ(14)
ქ(69)>გ(23)>კ(17)	ქ(115)>გ(31)>კ(15)
ჭ(119)>ყ(30)	ჭ(92)>ყ(14)
ც(90)>წ(59)	ც(84)>წ(59)
ჩ(72)>ჯ(60)>ჭ(42)	ჩ(139)>ჯ(47) –
ჩა(120)>ჭა(44)> –	ჩა(130)>ჭა(44) –

ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი, ხოლო მკვეთრის ჩქამი უფრო მცირე გრძლივობისაა მჟღერთან შედარებით. მკვეთრებში ყველაზე გრძელი ჩქამი აქვს წ თანხმდევრობას.

როგორ წესი, მსკდომებში, რაც უფრო უკანა წარმოებისაა ერთი და იმავე სერიის თანხმდევრობანი, მით უფრო ხანგრძლივია მისი ჩქამი. აფრიკატებში სურათი განსხვავდება დიქტორების მიხედვით.

დროის მონაკვეთი ორალური სკლომიდან (განხშვიდან) ჟღერის დაწყებამდე (VOT). ლოკალურ რიგებში მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმდევრობები სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(46)>პ(9)>ბ(-70)	ფ(66)>პ(19)>ბ(13)
თ(56)>ტ(16)>დ(-121)	თ(81)>ტ(18)>დ(14)
ქ(69)>კ(25)>გ(-44)	ქ(115)>კ(33)>გ(31)
ჭ(119)>ყ(30)	ჭ(92)>ყ(16)
ც(90)>წ(65)	ც(84)>წ(79)
ჩ(72)>ჯ(51)>ჭ(-133)	ჩ(139)>ჯ(64) –
ჩა(120)>ჭა(57)> –	ჩა(130)>ჭა(51) –

მჟღერი ხშვის შემთხვევაში პერიოდი სკლომიდან (ან განხშვიდან) სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება უარყოფითი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – დადებითი.

მკვეთრებისათვის ეს მონაკვეთი შედარებით უფრო გრძელია უბგერო ინტერვალის არსებობის პირობებში; ხოლო ფშვინვიერებისათვის ისეთივეა, რაც ჩქამი. ამიტომ ფშვინვიერების ჩქამისა და ამ მონაკვეთის მნიშვნელობები ერთმანეთს.

ყოველ ლოკალურ რიგში ამ მონაკვეთის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი, ხოლო, უბგერო ინტერვალის დამატების გამო, მკვეთრი ბგერის გრძლივობა აღემატება მჟღერისას. მკვეთრებში სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე ყველაზე გრძელი დროის მონაკვეთი, ისევე, როგორც ჩქამი, აქვს ∇ თანხმოვანს.

ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა. ცხრილებიდან (1, 2) ჩანს, რომ ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში მკვეთრი თანხმოვნებისთვის კოეფიციენტი ($K=I/T$), როგორც წესი, მეტია მჟღერებთან და, განსაკუთრებით, ფშვინვიერებთან შედარებით. ეს კოეფიციენტი უბგერო ინტერვალის წარმოთქმული მკვეთრი მსკლომისთვის უფრო მაღალია, ვიდრე უბგერო ინტერვალის გარეშე წარმოთქმულისათვის. ჩქამის დიდი გრძლივობის გამო მკვეთრი აფრიკატებისათვის კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირეა მსკლომებთან შედარებით.

სკლომის მოძღვენო უბგერო ინტერვალი. მკვეთრების წარმოთქმისას შესაძლოა, უბგერო ინტერვალი ყოველთვის არ რეალიზდებოდეს, თუმცა ასეთი შემთხვევები შედარებით ცოტაა. თავიდან პოზიციაში, ორივე დიქტორის მონაცემებით, უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები მერყეობს 4-27 მს-ის ფარგლებში.

ინტერვოკალური პოზიცია

ხშვა. სერიებისა და ლოკალური რიგების მიხედვით რაიმე მკაცრი კანონზომიერება ხშვის ფაზების გრძლივობების მხრივ არ შეინიშნება. თუმცა, უფრო ხშირად, მაქსიმალური გრძლივობისაა მკვეთრი ბგერის ხშვა და მინიმალურისა – მჟღერის ხშვა. გარკვევით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მსკლომის ხშვის გრძლივობა აღემატება აფრიკატისას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პოზიციაში ყ-ს არტიკულაცია შესაძლებელია როგორც ხშულის, ისე ნაპრალოვნის სახით. ე.წ. ფარინგალიზებული აფრიკატის (ჩა, ჭა) ხშვის გრძლივობა მეტია შესაბამისი მარტივი აფრიკატის ხშვის გრძლივობაზე. მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმოვნები ლოკალურ რიგებში ხშვის საშუალო გრძლივობების მიხედვით კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ჰ(97)>ფ(63)>ბ(62)	ჰ(92)>ბ(90)>ფ(88)
ტ(95)>თ(62)>დ(59)	ტ(92)> – დ(58)
კ(78)>ქ(70)>გ(52)	ქ(96)>კ(71)>გ(46)
ყ(99) –	ყ(61) –
წ(42)>ც(40)	ც(57)>წ(46)
ჯ(59)>ჭ(57)>ჩ(47)	ჩ(59)>ჭ(57)
ჩა(65)>ჭა(61)> –	ჭა(73)>ჩა(70)>ჯა(45)

ჩქამი. მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმონები ლოკალურ რიგებში ჩქამის საშუალო გრძლივობების (მილისეკუნდებში) კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(58)>ბ(12)>პ(7)	ფ(92)>ბ(16)>პ(7)
თ(75)>ღ(12)>ტ(11)	– ტ(15)>ღ(13)
ქ(81)>გ(23)>კ(16)	ქ(112)>კ(18) ≥გ(18)
ყ(37)	ყ(24)
ც(78)>წ(61)	ც(111)>წ(59)
ჩ(114)>ჯ(53)>ჭ(48)	ჩ(79)>ჭ(52)
ჩა(163)>ჭა(53)> –	ჩა(97)>ჯა(45)>ჭა(34)

ამ პოზიციაშიც, თავკიდურის მსგავსად, ჩქამის გრძლივობების მიხედვით ყოველ ლოკალურ რიგში დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი, ხოლო მკვეთრისა და მჟღერის თანაფარდობა განსხვავებულია დიქტორების მიხედვით. მკვეთრებში ყველაზე გრძელი ჩქამი აქვს წ თანხმოვანს (გათვალისწინებული არ არის ყ ბგერის ნაპრალოვანი ვარიანტის ჩქამის მონაცემები). სერიებში – რაც უფრო უკანა წარმოებისაა მსკდომი თანხმოვანი, მით უფრო ხანგრძლივია მისი ჩქამი. ფარინგალიზებული ჩა აფრიკატის ჩქამის გრძლივობა მეტია მარტივი ჩ აფრიკატის ჩქამის გრძლივობაზე.

დროის მონაკვეთი ორალური სკლომიდან (განხშიდან) ჟღერის დაწყებამდე (VOT). ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმოვნების სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის საშუალო გრძლივობები (მილისეკუნდებში) ლოკალური რიგების მიხედვით ასეთია:

მამაკაცი	ქალი
ფ(58)>პ(10)	ფ(92)>პ(11)
თ(75)>ტ(15)	– ტ(15)
ქ(81)>კ(22)	ქ(112)>კ(28)
ყ(37)	ყ(31)
ც(78)>წ(70)	ც(111)>წ(45)
ჩ(114)>ჭ(48)	ჩ(79)>ჭ(73)
ჩა(163)>ჭა(62)	ჩა(97)>ჭა(45)

მიუხედავად იმისა, რომ ფშვინვიერებისათვის ჩქამისა და ამ მონაკვეთის მნიშვნელობები ერთი და იგივეა, ხოლო მკვეთრებისა კი იზრდება უბგერო ინტერვალის მიმატების ხარჯზე, ფშვინვიერის გრძლივობა სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე ყველა ლოკალურ რიგში აღემატება მკვეთრის გრძლივობას.

ჩქამის ინტენსივობის მატება-კლების დინამიკა. ცხრილებიდან (1, 2) ჩანს, რომ ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში მკვეთრი თანხმონებისთვის კოეფიციენტი ($K=I/T$), როგორც წესი, მეტია მჟღერებსა და ფშვინვიერებთან შედარებით. ეს კოეფიციენტი უბგერო ინტერვალთი წარმოთქმული მკვეთრი მსკლომისთვის უფრო მაღალია, ვიდრე უბგერო ინტერვალის გარეშე წარმოთქმულისათვის და ზოგჯერ ეს განსხვავება ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, ინტერვოკალურ პოზიციაში მცირდება სკლომის პარამეტრების ინფორმაციულობა, რადგანაც ხშვის ფაზის მჟღერობა-სიყრუე თითქმის საკმარისია მჟღერი-ყრუს განსასხვავებლად.

სკლომის მომდევნო უბგერო ინტერვალი. ამ პარამეტრის მიხედვით თავიკიდურსა და ინტერვოკალურ პოზიციებს შორის განსხვავება არ არის; ინტერვოკალურ პოზიციაში ორივე დიქტორის მონაცემებით, უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები მერყეობს 5-30 მს-ის ფარგლებში.

ბოლოკიდური პოზიცია

ხშვა. ამ პოზიციაში მჟღერი თანხმონის ხშვის ფაზა შეიძლება იყოს სრულ-მჟღერი ან ნაწილობრივ მჟღერი. რაიმე მკაცრი კანონზომიერება ხშვის ფაზების გრძლივობების მხრივ არცერთ დიქტორთან არ შეიმჩნევა. უმრავლეს შემთხვევაში მაქსიმალური გრძლივობისაა მკვეთრი ბგერის ხშვა, ხოლო მჟღერის – მინიმალური გრძლივობისაა. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია ორივე დიქტორთან ირღვევა ე.წ. ფარინგალიზებულ აფრიკატებში.

მამაკაცი	ქალი
პ(168)>ფ(105)>ბ(88)	პ(127)>ფ(120)
ტ(150)>თ(110)>დ(109)	თ(106)>დ(105)>ტ(101)
კ(117)>ქ(97)>გ(72)	ქ(105)>კ(103)>გ(70)
ყ(127)>ვ(125)	ყ(122)>ვ(119)
წ(105)>ც(75)	წ(75)
ჭ(104)>ჩ(89)>ჯ(59)	ჯ(91)>ჭ(82)
ჩა(110)>ჭა(90)>ჯა(78)	ჩა(107)>ჭა(88)

ჩქამი. მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი ხშული თანხმონები ლოკალურ რიგებში ჩქამის საშუალო გრძლივობების მიხედვით კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

მამაკაცი	ქალი
ფ(151)>პ(27)>ბ(16)	ფ(52)>პ(6)
თ(139)>დ(57)>ტ(35)	თ(68)>დ(29)>ტ(15)
ქ(158)>გ(103)>კ(65)	ქ(100)>გ(62)>კ(30)
ვ(153)>ყ(19)	ვ(111)>ყ(50)
ც(199)>წ(98)	წ(78)
ჩ(229)>ჯ(142)>ჭ(79)	– ჯ(97)>ჭ(53)
ჩა(252)>ჯა(183)>ჭა(84)	ჩა(141)>ჭა(62)

ჩქამის გრძლივობის მიხედვით, ლოკალურ რიგებში ასეთი კანონზომიერება დადგინდა (გამონაკლისია ლაბიალური რივი მამაკაცთან):

ფშვინვიერი > მჟლერი > მკვეთრი.

ე.წ. ფარინგალიზებული აფრიკატის (ჩა, ჭა) ჩქამის გრძლივობა მეტია შესაბამისი მარტივი აფრიკატის ჩქამის გრძლივობაზე.

ჩქამის ინტენსივობა. მჟლერ, ფშვინვიერ და მკვეთრ ხშულ თანხმოვანთა ჩქამის გრძლივობაში, აშკარა განსხვავების გარდა, გამოკვეთილია მჟლერ თანხმოვანთა ჩქამის დაბალი ინტენსივობა მკვეთრებსა და ფშვინვიერებთან შედარებით.

უბგერო ინტერვალი. ბოლოკიდურ პოზიციაში მკვეთრი თანხმოვანი წარმოდგენილია როგორც უბგერო ინტერვალით, ისე მის გარეშე. ორივე დიქტორის მონაცემების მიხედვით, უბგერო ინტერვალი ამ პოზიციაში გაცილებით უფრო დიდი გრძლივობისაა, ვიდრე სხვა პოზიციაში და საშუალო გრძლივობები მერყეობს 26-56 მს-ის ფარგლებში.

ზოგადი დასკვნები

- ოლუზური კილოკავის თავკიდური მჟლერი ხშული წარმოდგენილია ხშვის ყრუ და მჟლერი ფაზით, ზინობიანური კილოკავისათვის კი დამახასიათებელია დაყრუებული ხშვა.
- მკვეთრი ბგერაც ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი – სკლომისმომდევნო უბგერო ინტერვალით და მის გარეშე. უბგერო ინტერვალის არსებობა უფრო დამახასიათებელია ზინობიანური კილოკავისთვის, რაც შესაძლოა, ინტერფერენციის შედეგი იყოს ორივე კილოში.
- ყოველ ლოკალურ რიგში ჩქამის დიდი გრძლივობით გამოირჩევა ფშვინვიერი, ხოლო მკვეთრის ჩქამი მჟლერთან შედარებით უფრო მცირე გრძლივობისაა.
- მსკლომებში რაც უფრო უკანა წარმოებისაა ერთი და იმავე სერიის თანხმოვანი, მით უფრო ხანგრძლივია მისი ჩქამი.
- მჟლერ, ფშვინვიერ და მკვეთრ ხშულ თანხმოვანთა ჩქამის გრძლივობაში აშკარა განსხვავებების გარდა, გამოკვეთილია მჟლერ თანხმოვანთა ჩქამის დაბალი ინტენსივობა მკვეთრებსა და ფშვინვიერებთან შედარებით.
- ფშვინვიერის გრძლივობა სკლომიდან ჟღერის დაწყებამდე (VOT) ყველა ლოკალურ რიგში აღემატება მკვეთრის გრძლივობას.
- ყოველ ცალკეულ ლოკალურ რიგში მკვეთრი თანხმოვნებისთვის $K = I/T$ კოეფიციენტი, როგორც წესი, მეტია, ვიდრე მჟლერებსა და ფშვინვიერებთან. ინტერვოკალურ პოზიციაში მცირდება სკლომის პარამეტრების ინფორმაციულობა, რადგან ხშვის ფაზის მჟლერობა-სიყრუე თითქმის საკმარისია მჟლერი-ყრუს განსასხვავებლად. ჩქამის დიდი გრძლივობის გამო მკვეთრი აფრიკატებისათვის კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირეა მსკლომებთან შედარებით.

ლიტერატურა

- გამყრელიძე 1984*: ნ. გამყრელიძე, უდიური ენის ხმოვანთა სისტემა, *საენათმეცნიერო კრებული I*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- განენკოვი და სხვ. 2008*: Д. С. Ганенков, Ю. А. Ландер, Т. А. Майсак, Удинский язык (ниджский диалект), *Малые языки и традиции: существование на грани*, тексты и словарные материалы, Издательский дом “ЯСК”, Москва.
- ივე IV, 1967*: Языки народов СССР: *Иберийско-кавказские языки*, Т. 4, Наука, Москва.
- კობრიკი, კობასოვი 1990*: А. Е. Кибрик, С. В. Кодзасов, *Сопоставительное изучение дагестанских языков: имя, фонетика*, издательство Московского университета, Москва.
- ლოლუა 2010*: რ. ლოლუა, *უდიური ენა* (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი.
- ფანჩვიძე 1974*: ვლ. ფანჩვიძე, *უდიურის გრამატიკული ანალიზი*, თბილისი.
- ჯეირანიშვილი 1971*: ევგ. ჯეირანიშვილი, *უდიური ენა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Nana Gamqrelidze, Ivane Lezhava

Acoustic Analysis of the Stop Consonants of the Udi Language

Summary

The digital acoustic analysis of the stops of Udi Language is made by the following computer programs: Praat and WaveSurfer. The graphic pictures of the analyzed audio material (the Spectrogram, Power plot, Pitch contour and Waveform) are visualized by WaveSurfer.

Identifying the peculiarities of the stop consonants surrounded by vowels, an acoustic analysis has been made taking into account the following parameters:

1. The duration of the closure and noise of release;
2. The duration of the post burst silent interval;
3. Voice onset time (VOT);
4. The dynamics of the increase and decrease of the noise intensity ($K=I/T$);³

Very often the ejective plosive is presented in two variants – with and without the post burst period. The average duration of the phases of the ejective consonants are calculated separately for both cases and then the average is found.

The data for the acoustic analysis are the isolated words spoken by two representatives of the Vartashen (resp. Oghuz-Zinobian) dialect of the Udi language, a man and a woman.

The stop consonants – b, d, g, dʒ, dʒ^ʰ, p, t, k, q, ts, tʃ, tʃ^ʰ, p', t', k', q', ts', tʃ', tʃ'^ʰ are analysed in initial, intervocalic and final positions.

The initial voiced plosive in the Oghuz subdialect is represented by the voiceless and voiced phases of occlusion, and the Zinobian subdialect is characterised by a devoiced sound.

³ In the formula ($K=I/T$) I (in decibels) stands for the sum of the increase and decrease of the noise intensity, T (in milliseconds) stands for the noise duration.

An ejective sound is also represented by two variants: with and without a post-burst phase. The presence of a post-burst period is more characteristic of the Zinobian subdialect, which may be the result of interference in both subdialects.

Aspirated consonants are characterised by the length of the noise at each place of articulation, while the noise of ejectives is shorter compared to voiced sounds.

For plosives, the more backward-produced the consonant of the same voicing, the longer its noise.

In addition to the obvious differences in the length of the noise of voiced, aspirated and ejective plosive consonants, the low intensity of the noise of voiced consonants compared to ejective and aspirated consonants is noticeable.

The length of aspirated consonants from burst to voicing (VOT) exceeds the length of ejective consonants at every point of articulation.

For ejective consonants, the $K=I/T$ coefficient at each individual place of articulation is usually greater than for voiced and aspirated consonants. In the intervocalic position, the informative value of the burst parameters decreases, as the voicing of the occlusion phase is almost sufficient to distinguish the voiced and voiceless consonants. Due to the great length of the noise, the significance of the coefficient for ejective affricates is low compared to plosives.

	#-V				V-V				V-#			
	ბშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ბშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ბშვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)
ბ – ბ		12		1,16								
	151	12		0,92	62,5	11,5		0,52	88	16		1,1
პ – ფ		46		0,5	62,65	57,65		0,31	104,5	150,5		0,22
პ' – პ		8,8		1,11	105	9		1,44	174,5	38		0,68
		s=2,05			s=21,2	s=0			s=34,7	s=1,41		
პ' – პ		–	–	–	88	5	5	1,7	161,5	15,5	46	1,45
		–	–	–	⊙	⊙	⊙		s=23,3	s=13,4	s=29,7	
დ – დ	121	15,65		1,1	59	12		0,5	109,3	57,3		0,57
ტ – თ		56		0,6	62	75,3		0,31	109,5	138,5		0,29
ტ' – ტ		13		1,21	87	10,65		1,1	146	46,5		0,94
		s=3,26			s=27	s=1,53			s=5,65	s=10,6		
ტ' – ტ		10,65	11,3	2,65	103	11,5	8,5	1,91	153,5	23	49,5	1,33
		s=9,85	s=7,5		s=29,7	s=4,95	s=9,12		s=16,2	s=0	s=35	
გ – გ		22		0,73								
	110	23,5		1,39	52,3	23		0,68	72	103		0,21
კ – ქ		86,5		0,44	70,3	81		0,31	97,4	158,4		0,3
კ' – კ		15		1,2	75,5	21,5		0,49	116,8	65,25		0,76
		⊙			s=6,36	s=2,12			s=4,27	s=16,8		
კ' – კ		18,75	16,42	1,86	79,5	10,5	11	4,05	–	–	–	–
		s=5,7	s=5,5		s=21,9	s=2,12	s=7,1		–	–	–	–
კ – ჯ		119		0,28	–	–		–	124,7	152,7		0,37
კ' – კ		29,6		0,96	98,6	36,65		0,6	–	–		–
		s=13,5			s=21,4	s=31,6			–	–		–
კ' – კ		17,63	12,63	2,26	–	–	–	–	126,5	18,5	39,5	1,92
		s=7,42	s=5,5		–	–	–		s=54,5	s=7,8	s=27,6	
კ' – კ		–	–	–	–	68	22					
		–	–	–	–	⊙	⊙					
ტს – ც		90		0,54	40	78		0,19	75,3	199		0,26
ტს' – ტ		62,65		0,69	55	68,5		0,31	84	101,5		0,48
		s=4,62			s=15,5	s=13,5			s=26,8	s=27,6		
ტს' – ტ		54,5	13,5	0,82	109	54	17	0,91	126,3	94,6	52,6	1,13
		s=4,95	s=0,7		⊙	⊙	⊙		s=33,5	s=4,9	s=13	
ძვ – ჯვ	133	60,3		0,53	59	53		0,58	59,3	142,3		0,32
ქ – ჩ		75,5		0,69	46,6	113,6		0,13	89,3	229,3		0,23
ქ' – ქ		42,4		1,05	56,5	48		0,6	104	79,5		0,69
		s=6			s=9,2	s=1,41			s=29,3	s=22,7		
ქ' – ქ		42,5	16	1,33	–	–	–	–	–	–	–	–
		s=2,12	s=4,24		–	–	–		–	–	–	–
ძვ ^წ – ჯვ ^ა	–	–		–	–	–		–	78	183		0,29
ქ ^წ – ჩ ^ა		120		0,3	65	162,5		0,26	110	252		0,25
ქ ^წ – ჩ ^ა		43		0,79	53,5	58,5		0,42	90	84		0,81
		⊙			s=2,12	s=26,1			⊙	⊙		
ქ ^წ – ჩ ^ა		44,5	27	1,06	67,6	48,3	17,6	0,81	–	–	–	–
		s=14,9	s=12,7		s=6,1	s=4	s=8,6		–	–	–	–

ცხრილი 1. სშულ თანხმონათა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (უდიური ენის ვართაშნული დიალექტი, იზოლირებული სიტყვები, მამაკაცის წარმოთქმა, ქ. ოლუზი – აზერბაიჯანი). შენიშვნა: I – ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე დეცებლებში, T – ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში, s – სტატისტიკური მახასიათებელი – სტანდარტული გადახრა, ⊙ – ერთეული შემთხვევა.

	#-V				V-V				V-#			
	ბ'შვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ბ'შვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)	ბ'შვა	ჩქამი	უ.ო.	K(I/T)
ბ – ბ		13,2		1,1								
	80	13		0,46	90	15,75		1	–	–		–
პ – ფ		66,35		0,8	88	92		0,29	120	52,3		0,54
პ' – პ		–		–	92	9		1	–	–		–
		–		–	⊙	⊙		–	–		–	–
პ' – პ		8,5	10,15	2	92	5	8	2,8	127	6	36	1,16
		s=4,5	s=3,3		⊙	⊙	⊙		⊙	⊙	⊙	
დ – გ	–	18,65		1,09	57,65	13		1,23	105	29		1,07
ტ – ო		81		0,3	–	–		–	106	68		0,54
ტ' – ტ		19		1,53	92	15		0,8	–	–		–
		s=4,25			⊙	⊙		–	–		–	–
ტ' – ტ		9	8,5	3,33	–	–	–	–	101	16	56	1,5
		s=1,4	s=3,5		–	–	–	–	⊙	⊙	⊙	
გ – გ	–	30,5		1	46	18		0,62	70	62		0,45
კ – ქ		114,5		0,29	96,35	111,6		0,25	105	100		0,38
კ' – კ		–		–	–	–		–	97	20,5		1,7
		–		–	–	–		–	s=0	s=2,12		–
კ' – კ		15	17,5	2,03	70,65	18,3	10	1,27	109,25	39,25	53,75	0,96
		s=5,05	s=4,3		s=12,9	s=10,1	s=1		s=10,1	s=17,7	s=9,7	
ღ – ჳ		92		0,22	–	–		–	118,6	111,4		0,33
ღ' – ე		18,8		0,85	55	33		0,82	129	75		0,45
		s=15,4			⊙	⊙		–	s=39,6	s=31,6		–
ღ' – ე		9	4	1,44	67,5	15,5	13,5	1,42	114,5	25	25,5	1,64
		⊙	⊙		s=10,6	s=7,78	s=6,36		s=12,0	s=7,07	s=2,12	
ტს – ც		84		0,37	57	111		0,37	–	–		–
ტს' – წ		–		–	–	–		–	75	78		0,55
		–		–	–	–		–	⊙	⊙		–
ტს' – წ		58,65	20,65	0,93	46	59	30	0,88	–	–	–	–
		s=24,5	s=8,14		5,65	2,83	7,07		–	–	–	–
ძვ – ჳვ	–	–		–	–	–		–	90,5	96,5		0,43
ჩქ – ჩ		138,65		0,37	59	79		0,62	–	–		–
ჩქ' – ჭ		–		–	–	–		–	–	–		–
		–		–	–	–		–	–	–		–
ჩქ' – ჭ		47,25	16,25	0,87	57,3	52	21	0,85	82	53	56	1,06
		s=4,5	s=4,19		s=8,08	7,55	13,85		⊙	⊙	⊙	
ძვ ^წ – ჳვ ^ა	–	–		–	45	45		0,46	–	–		–
ქ ^წ – ჩ ^ა		130		0,38	70	97		0,34	107,35	140,65		0,35
ქ ^წ – ჭ ^ა		46		0,75	–	–		–	–	–		–
		s=9,64			–	–		–	–	–		–
ქ ^წ – ჭ ^ა		40	16	1,13	73,4	34,2	11,2	0,95	88	61,5	47	0,88
		⊙	⊙		s=7,02	s=12,4	s=3,34		s=1,41	s=23,3	s=11,3	

ცხრილი 2. ხშულ თანხმომავანთა არტიკულაციური ფაზების საშუალო გრძლივობები (უდი-ური ენის ვართაშნული დიალექტი, იზოლირებული სიტყვები, ქალის წარმოთქმა, სოფ. ზინობიანი – საქართველო). შენიშვნა: I – ჩქამის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე დეციბელებში, T – ჩქამის გრძლივობა მილისეკუნდებში, s – სტატისტიკური მახასიათებელი – სტანდარტული გადახრა, ⊙ – ერთეული შემთხვევა.

თავაზიანობის გამოსატვის შესახებ ქართველურ ენებში¹

1. საკითხის დასმა და აქტუალობა

თავაზიანობა, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ქცევა, მჭიდროდაა დაკავშირებული ერის კულტურულ ღირებულებებთან. ის მოიცავს ადამიანური ურთიერთობების მრავალ სფეროს, უპირველეს ყოვლისა კი, სოციუმში სამეტყველო ეტიკეტის აღიარებულ ნორმებს.

განსახილველი თემის აქტუალობა გამოდინარეობს იმ ვითარებიდან, რომ ქართველურ ენათა სოციოლინგვისტურ ასპექტებს ტიპოლოგიური თვალსაზრისით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საინტერესო სტატიას (მაგ., ზ. კიკვიძისა და რ. ჭანტურიას მოხსენება (იხ. Kikvidze, Tchantouria 2003) და სხვ.

კვლევის შედეგები შესაძლებელია, თეორიულად განვაზოგადოთ და შევიქმნათ წარმოდგენა ენობრივ საშუალებათა სოციალური დანიშნულებით გამოყენების ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში.

2. საკვლევი მასალა და კვლევის მეთოდები

ანალიზი ეყრდნობა ქართული სალიტერატურო ენის, მეგრულისა და სვანურის ტექსტებს, ნაწილობრივ – ქართული ენის ეროვნული კორპუსის მასალას (ქეეკ).

მონაცემები გაანალიზებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდების მოშველიებით. მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებულია მეგრულ- და სვანურენოვან ინფორმანტთა ანკეტირების მეთოდიც. საჭირო მასალის შეგროვება უდამწერლობო ენებისთვის საკმაოდ დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, რადგან, ძირითადად, მთქმელებისგან ჩაწერილი ტექსტები თხრობითი შინაარსისაა, იშვიათად გვხვდება დიალოგები, ცოცხალი მეტყველება, რომელშიც შესაძლებელია გამოიყენებოდეს თავაზიანი ფორმები. ამიტომ იძულებული ვიყავით, ინფორმანტების გამოკითხვით შეგვეგროვებინა საჭირო მასალა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, კვლევისთვის ღირებული მონაცემები მოგვეპოვებინა.²

¹ ეს სტატია არის 2017 წლის 19 სექტემბერს ქ. იენაში, აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო 33-ე კონგრესზე, წაკითხული მოხსენების რედაქტირებული ვარიანტი: Sprachliche Höflichkeit in Kartwelischen Sprachen, 2017. https://dmg-web.de/www_dot2017_de/fileadmin/congress/media/dot2017/abstracts/Kaukasiologie.pdf

² მეგრულ-სვანური მაგალითების შესახებ საგულისხმო რჩევები და განმარტებები მოგვცეს თსუ-ის პროფესორებმა: მაია ლომიამ და ქეთევან მარგიანმა-სუბარმა.

3. ლინგვოპრაგმატიკული კვლევები

3.1. ლინგვოპრაგმატიკა და ენების კვლევა სოციოლინგვისტიკაში

პრაგმატიკისკენ მიმდინარეობს ენათმეცნიერებაში შეიცვალა ხედვის კუთხე, რომელმაც გამონათქვამის ფორმასა და მნიშვნელობას შორის არსებული წინააღმდეგობა კვლევის ინტერესად აქცია. გაცილებით მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანთა შორის ენობრივ კომუნიკაციას.

ცნობილია, რომ ენა ემსახურება არა მარტო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ დიდ როლს ასრულებს ადამიანთა შორის კონტაქტების დამყარებასა და შენარჩუნებაში. ამით დიდი ყურადღება მიექცა თავაზიანობის ფენომენსაც და ის გახდა დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

3.2. თავაზიანობა, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილი

თავაზიანობა კულტურის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეტყველო ეტიკეტში. ამიტომაც, თეორიული თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ მონათესავე ენათა ენობრივი მასალა და ერთმანეთს შევუდაროთ მონაცემები.

თავაზიანობის ფენომენი, უპირველეს ყოვლისა, არის ინტერპრეტაციის საკითხი მსმენელის მხრიდან. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მას, როგორც ლინგვოპრაგმატიკის (და კერძოდ, სოციოლინგვისტიკის) საკვლევ ობიექტს, სულ უფრო ღრმად სწავლობენ. თავაზიანობის არსი ძალზე რთული და მრავლისმომცველია, შესაბამისად, ეს განაპირობებს კვლევის სირთულესაც.

ამდენად, სოციოლინგვისტიკის სფეროში მონათესავე და არამონათესავე ენების ტიპოლოგიურ კვლევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გვიქმნის წარმოდგენას ცალკეული ეთნოსის ლინგვოკულტურულ თვისებებზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს თავაზიანობის ფენომენის შესწავლა, რომელსაც სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში შეუძლია უკეთ წარმოაჩინოს ის პროცესები, რომლებიც ენასა და სოციუმში მიმდინარეობს, რაც წარმოდგენას გვიქმნის ენათა ურთიერთზეგავლენასა და კონტაქტებზე.

3.3. თავაზიანობა – ლინგვისტური კვლევების ობიექტი

თავაზიანობის ლინგვისტური კვლევა მრავალმხრივია და მოიცავს ბევრ პრობლემურ საკითხს. ერთ-ერთი მიმართულება სწავლობს თავაზიანობის ვერბალური გამოხატვის ფორმებს.

სამეტყველო ეტიკეტი ღრმად იჭრება კომუნიკაციის სფეროში და ეხება ადამიანურ ურთიერთობათა უამრავ ასპექტს. ყოველდღიური ცხოვრება თითქმის წარმოდგენილია ვერბალური თავაზიანობის ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემის გარეშე, რომელიც ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იქმნება, როდესაც წინ წამოიწია იერარქიულმა დამოკიდებულებამ საზოგადოებრივ ფენებს შორის.

წერილობითი ძეგლების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს, როდიდან გამოიყენება თავაზიანობის რომელიმე ენობრივი საშუალება ამა თუ იმ ენაში. ეს საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ენის ფილოსოფიასთანაც.

3.4. თავაზიანობის კვლევის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

3.4.1. სამეტყველო აქტების თეორია

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **ჯონ ლ. ოსტინისა** (John L. Austin) და **ჯონ სერლის** (John Searle) **სამეტყველო აქტების თეორია** (Speech acts theory) (იხ. Austin 1962). ოსტინის თეორიაზე დაყრდნობით ჯონ სერლმა შეიმუშავა სამეტყველო აქტთა კლასიფიკაცია, რომელიც უფრო სისტემატური და ნათელია (Searle 1979:29). სხვა ჯგუფებს შორის გამოყოფილია ორი: **ექსპრესივები** (Expressives) და **დირექტივები** (Directives), რომლებიც სამეტყველო ეტიკეტს განეკუთვნებიან და თავაზიანობასაც გამოხატავენ. წინ წამოიწია ენის გამოყენების სტრატეგიულმა ასპექტმა.

3.4.2. კოოპერაციის პრინციპი

პოლ გრაისის (Paul Grice) თეორიის თანახმად, ეფექტური კომუნიკაციისთვის დადგინდა **კონვერსაციული მაქსიმები** – The Maxims of Conversation (Grice 1975:45-46). მან ჩამოაყალიბა ე.წ. **ორმხრივი კოოპერაციის პრინციპი** (Cooperative Principle), რომელსაც საუბრის მონაწილეები გაცნობიერებულად იცავენ, რათა განახორციელონ ერთობლივი მიზანი, რაც შეიძლება ეფექტური იყოს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. ამის საფუძველს კი ქმნის **კონვერსაციული მაქსიმები**, რომლებიც გრაისმა კანტის შემეცნების თეორიაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა:

- (1) რაოდენობის მაქსიმა (The Maxim of Quality);
- (2) ხარისხის მაქსიმა (The Maxim of Quantity);
- (3) რელევანტურობის მაქსიმა (The Maxim of Relation/or Relevance);
- (4) მანერის მაქსიმა (The Maxim of Manner) (Grice 1975:45-46).

3.4.3. ლიჩის თავაზიანობის მაქსიმები

ჯეფრი ლიჩმა (Geoffrey Leech) ნაშრომში „პრაგმატიკის პრინციპები“, გარდა კოოპერაციის პრინციპისა, გამოყო **თავაზიანობის პრინციპი**, რომლისთვისაც დაასახელა რამდენიმე მაქსიმა:

1. ტაქტის მაქსიმა (The tact maxim);
2. ღიადობის მაქსიმა (The generosity maxim);
3. კეთილგანწყობის/მოწონების მაქსიმა (The approbation maxim);
4. თავმდაბლობის (The modesty maxim);
5. შეთანხმების მაქსიმა (The agreement maxim);
6. სიმპათიის/თანაგრძობის მაქსიმა (The sympathy maxim) (Leech 1983).

რობინ ლეიკოფმა (Robin Lakoff) ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის დროს თავიდან ავიცილოთ თანამოსაუბრესთან კონფრონტაცია და წყენინება, მისი გულისტკენა (Lakoff 1979).

3.4.5. „სახის“ თეორია და თავაზიანობა

ადამიანთა შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების ასახსნელად პენელოპე ბრაუნმა და სტეფან ლევისონმა (Brown...1978) მოგვიანებით მოიშველიეს „სახის“ (ფაცე) თეორია, რომელიც სოციოლოგიაში ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჩამოაყალიბა ირვინგ გოფმანმა (Erving Goffman) და შემდეგ კიდევ უფრო განავრცო. „სახის“ (ინგლ. face, image, გერმ. das Gesicht) ცნება თავაზიანობის თეორიაში სათავეს იღებს მისი შრომებიდან (Goffman 1967 და სხვ.). ბრაუნისა და ლევისონის თეორია იქცა ახალ სიტყვად თავაზიანობის თეორიაში და დიდი ზეგავლენა მოახდინა კვლევის ამ სფეროზე. ზემოთ ხსენებული ავტორების მიხედვით, თავაზიანობა საყოველთაო ფენომენია, რომელიც ყველა საზოგადოებრივ ფენასა და თითოეულ ადამიანში ვლინდება.

აღნიშნული თეორიის ამოსავალი დებულება იყო თავაზიანობის უნივერსალურობა. სახეს ასე განმარტავენ: ოფიციალური ხატი, რომელსაც რომელიმე პიროვნება თვითონვე იქმნის. მეორე განმარტებით კი, სახე არის ორმხრივად შეთანხმებული საზოგადოებრივი იმიჯი (Scollon...1995). გამოიყო მისი ორი ქვეტიპი:

ნეგატიური სახე: საკუთარი მოქმედების არჩევანის თავისუფლება, კუთვნილ ტერიტორიაზე ხელშეუხებლობის მოთხოვნა.

დადებითი სახე: სურვილი, რომ პიროვნება სხვებმა დადებითად აღიქვან.

სახეს ემუქრება ინტერესთა კონფლიქტი (“face-threatening acts”, FTAs) და აქტიურად სჭირდება დაცვა. ყოველი პიროვნების ძირითად ინტერესში შედის, დაიცვას (არ შელახოს) სხვა პიროვნების სახეც, რადგან ეს ემსახურება საკუთარი სახის დაცვას, შენარჩუნებას.

3.4.6. თავაზიანობის სახეები

რონ და სიუზან სკოლანები გამოყოფენ თავაზიანობის ორ მთავარ სახეობას: სოლიდარობის თავაზიანობას და დისტანციის თავაზიანობას (Scollon... 1995).

ყურადღება მიექცა კულტურათაშორის კვლევებსაც. აღსანიშნავია ანა ვიერბიკას (Anna Wierzbicka) ნაშრომები კულტურათაშორისი პრაგმატიკის შესახებ. მან დაადგინა, რომ სამეტყველო აქტების კონცეპტუალიზაცია და ვერბალიზება კულტურიდან კულტურაში ცვალებადია. აღსანიშნავია დებულება, რომ განსხვავებული კულტურები იმდენად პოულობენ გამოხატულებას სამეტყველო აქტების სისტემებში, რომ ქმნიან მყარ სქემებსა და კოდირების კულტურულად განპირობებულ ფორმებს მათი რეალიზაციისათვის (შდრ. Wierzbicka 1991:26; Вежбицкая 1996).³

³ თავაზიანობის შესწავლის ისტორიის უფრო ვრცელი მიმოხილვა იხ. კურდელაშვილი 2017.

ვეუბიცკა გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას შენ/თქვენ დაპირისპირების შესახებ ბევრ ენაში (რაც უკვე აღარ არსებობს ინგლისურში). მისი აზრით, ეს შესაძლებელია, ხაზს უსვამდეს ან სოციალურ გათანაბრებას ინდივიდთა შორის, ან დისტანციას მიმართვის ნაცვალსახელი *you* არეკლავს რწმენას, რომ ყოველ ინდივიდს თანაბარი უფლებები აქვს. მეორე მხრივ კი, შესაძლებელია, ეს მიჩნეულ იქნეს ასევე დისტანციის გამომხატველ საშუალებადაც, რადგან არ არსებობს სხვა ნაცვალსახელური ფორმა, რომელსაც შეუძლია ასახოს ინტიმურობა და სიახლოვე (Wierzbicka 1991:47; Вежбицкая 1996).

3.4.7. თავაზიანობის შესახებ ქართულ ენათმეცნიერებაში

ქართულ ლინგვისტიკაში დაწყებულია თავაზიანობის ფენომენის სხვადასხვა ასპექტის ინტენსიური კვლევა (Boeder 1988; ჯორბენაძე 1997; კიკვიძე 1999; კიკვიძე 2004; აფრიდონიძე 2023;⁴ ზეჟალაშვილი 2008; ზეჟალაშვილი 2012; ზეჟალაშვილი 2013 და სხვ.), მათ შორის – დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის პრობლემების.

4. ძირითადი ნაწილი

4.1. თავაზიანობა ქართველურ ენებში

თავაზიანობის ენობრივი გამოხატვის საკითხი საინტერესოა მონათესავე ენებში. ამჯერად ერთმანეთს შევადარებთ ქართველური ენების – ქართულის, მეგრულისა და სვანურის – მონაცემებს.

ცხადია, სალიტერატურო ენის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია უმწერლობო ენების მონაცემები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ წარმოვიდგინოთ ენაში მიმდინარე პროცესების ქრონოლოგია. ეს უფრო ნათლად გვიჩვენებს, რა არის ამ ენისთვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი და რა – უცხო და ნასესხები. ქართველურ ენებში ტიპოლოგიური თვალსაზრისით ბევრი რამაა გამოკვლეული, მაგრამ უმეტესობა ენება მორფოლოგიის, სიტყვაწარმოების, სინტაქსისა და ლექსიკის საკითხებს. სამეტყველო ეტიკეტისა და ენობრივი თავაზიანობის პრობლემები ამ თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი, თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო კონფერენციაზე ზაალ კიკვიძისა და რევაზ ჭანტურიას წაკითხულ საინტერესო მოხსენებას (კონფერენციის თეზისები დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე), რომელშიც შედარებულია თავაზიანობის ენობრივი საშუალებები ქართულსა და მეგრულში (Kikvidze... 2003:53-57).

4.1.1. თავაზიანობის სისტემა ქართულში (მოკლე მიმოხილვა)

ენობრივი თავაზიანობის საშუალებები ქართულში ქმნის გარკვეულ სისტემას და წარმოდგენილია მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ და სტილისტიკურ დონეებზე.

⁴ ესაა შ. აფრიდონიძის სადისერტაციო ნაშრომის (მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, თბილისი, 2003) ბეჭდური ვერსია.


ოფიციალურ საკომუნიკაციო რეგისტრში თავაზიანობა გამოხატულია სპეციალური მარკერებით, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მორფოლოგიური და ლექსიკური საშუალებები (იხ. ცხრილი 1):

1. პირის ნაცვალსახელთა **შენ/თქვენ** ოპოზიცია (შენობითი და თქვენობითი ფორმები), თავაზიანი კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თქვენი**;
2. ზმნების მეორე პირის ფორმა მრავლობით რიცხვში ანუ თავაზიანობის მრავლობითი, გამოხატული **-თ** სუფიქსით;
3. თავაზიანი (ე. წ. ევფემისტური) ზმნები.

ამას გარდა, აპელატიური მიმართვის ფორმები, სააღერსო ფორმულები (გამოთქმები) და ფატიკური კომუნიკაციის ფორმულები ყოველდღიური ოფიციალური თუ არაოფიციალური სიტუაციებისთვის და სხვ.

ქართული **შენ** ერთგვარი ნდობისა და სიმპათიის გამომხატველია. **თქვენ** ფორმა კი თავაზიანია და ხაზს უსვამს სიტუაციის ფორმალურობას, კომუნიკანტთა დისტანციურობას.

ჩვენს ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავაზიანობის ენობრივ საშუალებებს ქართველურ ენებში. გამოკვლეულია მსგავსებები და განსხვავებები ამ თვალსაზრისით.



ცხრილი 1. თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები ქართულ ენაში

4.2. თავაზიანობის ენობრივი სისტემის ჩამოყალიბება ქართულში

ენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ თავაზიანობის ფორმები და ევფემისტური ზმნები ქართულში მეორეული წარმოშობისაა.

ქართული წერილობითი ძეგლები მოწმობს, რომ **თქვენ** ფორმა პირველად მე-8 საუკუნეშია გამოყენებული იოვანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „აბოს

წამება“. თავაზიანი ფორმები ჯერ გავრცელდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებში, შემდეგ – ზმნებშიც. ფაქტია, რომ ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ტრანსსემანტიზაცია და თქვენობითი ფორმები შედარებით ახალი წარმონაქმნია (ამის შესახებ იხ. კიკვიძე 1994; კიკვიძე 1999).

ენობრივი თავაზიანობის იერარქიული სისტემა უკვე მე-12 საუკუნეში სრულყოფილად ჩამოყალიბებული, რასაც მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ ენა. მის შესახებ ჯერ კიდევ ა. შანიძე წერდა (შანიძე 1973:513-520; ჯორბენაძე 1997).

4.3. თავაზიანობის გამომხატველი გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები ქართულ ენებში

4.3.1. თავაზიანობის გამოხატვა ნაცვალსახელებით

ქართულ ენაში მრ. რიცხვის მე-2 პირის ფორმა, როგორც თავაზიანი მიმართვა, გამოიყენება როგორც ერთი პირის, ისე მრავალის მიმართ (თქვენ ერთმანეთისაგან არ განასხვავებს მრავლობითობასა და თავაზიანობას).

თავაზიანობის ეს სისტემა თითქმის სრულად მეორდება მეგრულში და აშკარაა ქართული ენის გავლენა. დღეს ძნელი დასადგენია, ზუსტად როლის ჩამოყალიბდა მეგრულში თავაზიანობის ენობრივი სისტემა, რადგან არ მოგვეპოვება ადრინდელი წერილობითი ჩანაწერები. ჩაწერილი ტექსტების უმრავლესობა თხრობითი ხასიათისაა და იშვიათად შეიცავს დიალოგურ ნაწყვეტებს.

სვანურში, მართალია, მხ. და მრ. რიცხვის მეორე პირი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ *თქვენ* გადატანითი მნიშვნელობით, ევფემისტურად არ გამოიყენება.

პირის ნაცვალსახელი *სი* (=შენ) გვხვდება ერთი პირისადმი მიმართვისას, მიუხედავად იმისა, თავაზიანია თუ არა, ხოლო *თქვენ* მიემართება მრ. რიცხვს და არ ხდება მისი ტრანსსემანტიზაცია (ცხრილი 2):

ცხრილი 2. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები			
	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	შენ	სი	სი
IIპ. მრ.	თქვენ	თქვა	სგჿდ
IIპ. თავაზ.	თქვენ	თქვა	--
კუთვნილებითი ნაცვალსახელები			
IIპ. მხ.	შენი	სკანი	ისგუ
IIპ. მრ.	თქვენი	თქვანი	ისგჿედ
IIპ. თავაზ.	თქვენი	თქვანი	--

4.3.2. თავაზიანობის გამოხატვა ზმნურ ფორმებში

მეგრულში თავაზიან სიტუაციაში გამოიყენება ზმნის მრ. რიცხვის მე-2 პირის ფორმა, ქართულის მსგავსად, ხდება მრ. რიცხვის ტრანსსემანტიზაცია, რადგან გამოიყენება ერთი პირის მიმართაც (იხ. ცხრილი 3).

რაც შეეხება სვანურს, მართალია, იგი ზმნებში განასხვავებს მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს: ჩუათორ! (დაწერე!) და ჩათრედ! (დაწერეთ!), მაგრამ მრ. რიცხვის ზმნური ფორმა არ გამოიყენება თავაზიანობის ხაზგასასმელად ერთი პირის მიმართ.

ცხრილი 3. ზმნები მეორე პირში

ზმნური ფორმები			
	ქართული	მეგრული	სვანური
წერა			
IIპ. მხ.	დაწერე!	დოჭარი!	ჩუათორ!
IIპ. მრ.	დაწერეთ!	დოჭართ(ი)!	ჩუათორედ!
IIპ. თავაზ.	დაწერეთ!	დოჭართ(ი)!	--
მღერა			
IIპ. მხ.	იმღერე!	იბირი!	ღწხღირწღ!
IIპ. მრ.	იმღერეთ!	იბირით!	ღწხღირწღედ!
IIპ. თავაზ.	იმღერეთ!	იბირით!	--

4.3.3. ეფემისტური ზმნები

თავაზიანი, ე. წ. ეფემისტური ზმნები ქართულში მიღებულია სემანტიკური გადააზრების შედეგად. სხვადასხვა სემანტიკის რამდენიმე საკმაოდ გავრცელებული ზმნა იყენებს ერთსა და იმავე „ბრძან“ ფუძეს. ეფემისტური ზმნები სემანტიკურად მოიცავს სხვადასხვა შინაარსს: **ყოფნას, თქმას, დაჯდომას, ადგომას, მოძრაობას** (მოსვლა, წასვლა, ასვლა, ამოსვლა, გადმოსვლა, გადასვლა, გასვლა, გამოსვლა, შემოსვლა), ასევე: **ჭამას, დაღევას, აღებას, მოცემას...** მათ პირში ენაცვლება სხვა ზმნური ფუძეები (იხ. შანიძე 1973:513-520; ზექალაშვილი, 2012:153-156; ზექალაშვილი 2013:180-189; ნინიძე 2022:66-97 და სხვ.).

ცხრილი 4. ეფემისტური ზმნები ქართულში

1	ყოფნა: ხარ – ბრძანდებით
2	თქმა: თქვი – ბრძანეთ!
3	მოსვლა, წასვლა, ამოსვლა, გადასვლა, შესვლა, წასვლა... მოსვლა: მოდით – მობრძანდით!
	წასვლა: წადი – წაბრძანდით!
	ამოსვლა: ამოდი – მობრძანდით!
	გადასვლა: გადადი – გადაბრძანდით!
4	დაჯდომა: დაჯექი – დაბრძანდით!

5	ადგომა: ადექი – აბრძანდით!
6	ჭამა: ჭამე – მიირთვიო!
	დალევა: დალიე – მიირთვიო!
7	აღება: აიღე – ინებეთ!
8	მოცემა: მომეცი – მიბოძეთ!

ცხრილი 5ა. ყოფნა ზმნა

ყოფნა ზმნა			
	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	ხარ	რექ	ხწრი, ხი
IIპ. მრ.	ხართ	რეთ	ხწრიდ, ხიშდ
IIპ. თავაზ.	ხართ	რეთ	--
თავაზ.	ბრძანდებით	ზოჯუნთ	--
IIპ. მხ.	როგორ ხარ?	მუჭო რექ?	მაგტუდდ ხწრი?
IIპ. მრ.	როგორ ხართ?	მუჭო რეთ?	მაგტუდდ ხწრიდ?
თავაზ. ვეფემ.	როგორ ბრძანდებით?	მუჭო ზოჯუნთ?	--
თავაზ.	ხომ კარგად ბრძანდებით?	ხო(მ) ქოზოჯუნთ ჯგრო?	ხოწმდ მაღდა ხწრი?

ქართული „ბრძან-“ ფუძის შესატყვისია მეგრულში „ზოჯ-“, სვანურში კი მსგავსი ფორმები არ გვხვდება.

ცხრილი 5ბ. ყოფნა ზმნის გამოყენება მეტყველებაში

	ქართული	მეგრული	სვანური
მხ.	მამაშენი როგორ არის?	მუასკანი მუჭო (ქო)რე?	ისგუმუ მაგტუდდ წრი?
თავაზ.	მამაშენი როგორ ბრძანდება? მამათქვენი როგორ ბრძანდება?	მუასკანი მუჭო ზოჯუნს? თქვანი მუმა მუჭო ზოჯუნს? (იშვიათად)	--
მხ.	ივანე სახლში არ არის.	ივანე ცუდეს ვა რე.	ივანე ქორს დესწრი/ მწმ წრი.
თავაზ.	ბატონი ივანე სახლში არ ბრძანდება.	პატონ(ი) ივანე ცუდეს ვა ზოჯუნს.	--
მხ. I პირი	ვარ (მე)	ვორექ	ხტწრი (ვიმყოფე- ბი, ვარსებობ), ხტი (ვარ)
ვეფ., I პირი	გახლავართ (მე)	--	--

მხოლოდ ქართულში დასტურდება პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში ეფვე-მისტური ფორმა: **გახლავართ** (მე), იგივეა, რაც **ვარ** (მე) (მას აქვს მეორე მნიშვნელობაც – ვინმეს ხლება).⁵

მოძრაობის სემანტიკის მქონე ზმნების უმრავლესობა მეგრულშიც იყენებს „ზოჯ-“ ფუძის თავაზიან ეკვივალენტს და ამითაც ამჟღავნებს დიდ მსგავსებას ქართულთან (იხ. ცხრილები: ნა, ნბ, ნგ).

ცხრილი ნა. მოძრაობის ზმნები (მოსვლა, წასვლა, ამოსვლა...)

მოსვლა			
	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	მოდით!	ქუმორთი!	ქწღე!
IIპ. მრ.	მოდით!	მორთი!	ქწწწღღ!
IIპ. თავაზ.	მოდით!	მორთი!	--
თავაზ.	მობრძანდით!	ქუმოზოჯით!	--
წასვლა			
IIპ. მხ.	წადით!	მეუ!	ღგრღწწ/ადე!
IIპ. მრ.	წადით!	მეუთ!	ღგრღად/აწწღღ!
IIპ. თავაზ.	წადით!	მეუთ!	--
თავაზ.	წაბრძანდით!	მეზოჯით!	--
ამოსვლა			
IIპ. მხ.	ამოდით!	გეშელი! გეშართი!	ეწღე!
IIპ. მრ.	ამოდით!	გეშელით! გეშართით!	ეწწწღღ!
IIპ. თავაზ.	ამოდით!	გეშელით! გეშართით!	--
თავაზ.	ამობრძანდით!	გეშაზოჯით!	--

ცხრილი ნბ. მოძრაობის ზმნები (გამოსვლა, გადასვლა...)

გამოსვლა			
	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	გამოდით!	გიმორთი! გიმილი!	ქწღე!
IIპ. მრ.	გამოდით!	გიმორთით! გიმილით!	ქწწწღღ!
IIპ. თავაზ.	გამოდით!	გიმორთით!	--
თავაზ.	გამობრძანდით!	გეგმოზოჯით!	--

⁵ ორი სხვა ზმნის შესახებ იხ. ცხრილი 10ა, 10ბ.

გადასვლა, გადმოსვლა			
IIპ. მს.	გადადი! გადმოდი!	გინილი (ვიშო/აშო)!	ქნდე! (გაღი)
IIპ. მრ.	გადადით! გადმოდით!	გინილით!	ქნდე!
IIპ. თავაზ.	გადადით! გადმოდით!	გინილით!	--
თავაზ.	გადაბრძანდით! გადმობრძანდით!	გეგნოზოჯით!	--

ცხრილი ნვ. მოძრაობის ზმნები (ჩამოსვლა, ჩასვლა...)

ჩამოსვლა			
IIპ. მს.	ჩამოდი!	გიმელი!	ჩუნდე(რ)!
IIპ. მრ.	ჩამოდით!	გიმელით!	ჩუნდნდე!
IIპ. თავაზ.	ჩამოდით!	გიმელით!	--
თავაზ.	ჩამობრძანდით!	გეგმაზოჯით!	--
ჩასვლა (მანქანიდან)			
IIპ. მს.	ჩადი!	გილეელი! გიმელი!	ჩუადე!
IIპ. მრ.	ჩადით!	გილეელით! გიმელით!	ჩუანდე!
IIპ. თავაზ.	ჩადით!	გილეელით! გიმელით!	--
თავაზ. ევფემ.	ჩაბრძანდით!	გილაზოჯით! გეგლაზოჯით!	--

ქართულის მსგავსად, მეგრულში იგივე თავაზიანი ძირი გამოიყენება სხვა შინაარსის ზმნებთანაც: **თქმა, დაჯდომა, ადგომა** (იხ. ცხრილები 7, 8, 9).

ცხრილი 7. თქმა ზმნა

	ქართული	მეგრული	სვანური
	ბრძან-	ზოჯუა	
IIპ. მს.	თქვი!	ქოთქვი!	რეჟა!
IIპ. მრ.	თქვით!	ქოთქვით!	რეჟედ!
IIპ. თავაზ.	თქვით!	ქოთქვით!	--
თავაზ. ევფემ.	ბრძანეთ!	ზოჯით!	--
IIპ. მს.	რას ამბობ?	მუს იჩიებუქ?	იმ გარგლი?
IIპ. მრ.	რას ამბობთ?	მუს იჩიებუთ?	იმ გარგლიდ?
IIპ. თავაზ.	რას ამბობთ?	მუს იჩიებუთ?	--
თავაზ. ევფემ.	რას ბრძანებთ?	მუს ზოჯუნთ?	--

ცხრილი 8. დაჯდომა ზმნა

	ქართული	მეგრული	სვანური
დაჯდომა			
IIპ. მხ.	დაჯექი!	დოხოდი! ქოდოდოხოდი!	ჩტესგუ(რდ)!
IIპ. მრ.	დასხედით!	დოხოდით! ქოდოდოხოდით!	ჩტესგურდად!
IIპ. თავაზ.	დაჯექით!	--	--
თავაზ. ეგფემ.	დაბრძანდით!	დოხოჯი(თ)! ქოდოხოჯი(თ)!	--

საინტერესოა, რომ ზ. კიკვიძისა და რ. ჭანტურიას ნაშრომში განხილულია თავაზიანობის გამომხატველი ზმნები ქართულსა და მეგრულში (ბრძან და ზოჯ-ფუძეების მქონე), რომლებიც გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით: **ყოფნა, მოსვლა, დაჯდომა, თქმა**. მოცემულია მათი გლოსირების ნიმუშიც: Verb(HON)-(±PL). ამას გარდა, ხაზგასმულია ამ ფორმათა თ-ს გარეშე გამოყენების შესაძლებლობა ირონიულ კონტექსტში (Kikvidze, Tchantouria 2003:54).

დასახელებული ფუძეების მქონე თავაზიანი ეკვივალენტები გვხვდება ქართულსა და მეგრულში **ადგომა** ზმნასთანაც:

ცხრილი 9. ადგომა ზმნა

ადგომა			
	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	ადექი!	გედირთი!	ქ'ახგა!
IIპ. მრ.	ადექით!	გედირთით!	ქ'ახგაწანდ!
IIპ. თავაზ.	ადექით!	გედირთით!	--
თავაზ. ეგფემ.	აბრძანდით!	გევხოჯათ! (I პირის მრ. რ.)	--

საინტერესოა, რომ **აბრძანდით** მეორე პირის ფორმას მეგრულში ამჯობინებენ მრავლობითი რიცხვის ინკლუზიურ პირველ პირს: **გევხოჯათ!** (=ავიდეთ) და აუცილებლად ამატებენ რომელიმე საალერსო თავაზიან გამოთქმას.

საერთოდ, გასათვალისწინებელია, რომ სამეტყველო ეტიკეტი (კერძოდ, ენობრივი თავაზიანობა) არ გულისხმობს მხოლოდ ნაცვალსახელებისა და ეგფემისტური ზმნების გამოყენებას. შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციებში საჭიროა დამატებითი საშუალებების მოშველიებაც, მაგ., ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებისა (ქართ. თქვენი ჭირიმე, გენაცვალეთ... მეგრ. თქვანი ჭირიმა, სკან გოლვაფირო და სხვ.).

გარდა ჩამოთვლილი ზმნებისა, ქართულში კიდევ რამდენიმეს ენაცვლება სხვა ფუძე თავაზიანობის საზგასასმელად, თუმცა მეგრულში იმავე შინაარსის ზმნებთან ეს არ ხდება (იხ. ცხრილი 10, 11ა, 11ბ).

ცხრილი 10. აღება, მოცემა ზმნები

აღება			
IIპ. მს.	აიღე!	გეჭოფი!	ჭწხიკ(დ)!
IIპ. მრ.	აიღეთ!	გეჭოფით!	ჭწხიკიდ!
IIპ. თავაზ.	აიღეთ!	გეჭოფით!	--
თავაზ. ევფემ.	ინებეთ!	--	--
გამორთმევა			
IIპ. მს.	გამომართვი!	გეგწომილი!	ჭწმბიშ(დ)!
IIპ. მრ.	გამომართვით!	გეგწომილით(ი)!	ჭწმბიშდად!
IIპ. თავაზ.	გამომართვით!	გეგწომილით(ი)!	--
მოცემა			
IIპ. მს.	მომეცი!	ქომუჩ!	ქალწმო!
IIპ. მრ.	მომეცით!	ქომუჩით!	ქალწმემდ!
IIპ. თავაზ.	მომეცით!	ქომუჩით!	--
თავაზ. ევფემ.	მიბოძეთ!	მიბოძით! (იშვიათად)	--

ორიოდე ზმნასთან ქართულში პირველი პირის ფორმაც შეიძლება იყოს ევფემ-მისტური, რითაც მოუბარი პირი საზს უსვამს თავაზიან, მოკრძალებულ დამოკიდებულებას ადრესატის მიმართ: (მე) **ვჭამე/დავლიე!-ს** ნაცვლად გამოიყენება (მე) **გეახელით; არ ვჭამ/არ ვსვამ – არ გეახლებით** (იხ. ცხრილები: 10ა, 10ბ).

ცხრილი 11ა. ჭამა ზმნა

	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მს.	ჭამე!	ოჭკომი! ჭკომი!	ლახწმ!
IIპ. მრ.	ჭამეთ!	ჭკომით!	ლახწმდ!
IIპ. თავაზ.	ჭამეთ!	ჭკომით!	--
თავაზ.	მიირთვიეთ!	მირთვიეთ!	--
Iპ. მს.	ვჭამე!	ოვჭკომი!	მი ლწხუწმ
Iპ. მს. თავაზ.	გეახელით!	--	--
Iპ. მს.	არ ვჭამ	ვა ვჭკუნქ	მწმ ხტიზბი
Iპ. მს. თავაზ.	არ გეახლებით	--	--

ცხრილი 11ბ. დაღვეა ზმნა

	ქართული	მეგრული	სვანური
IIპ. მხ.	დაღიე!	გეშვი!	ღახეშ!
IIპ. მრ.	დაღიეთ!	გეშვით!	ღახიშდ!
IIპ. თავაზ.	დაღიეთ!	გეშვით!	--
თავაზ.	მიირთვიეთ!	მირთვიეთ!	--
Iპ. მხ.	დაღიე!	გეეშვი!	ღრხეშ!
Iპ. მხ. თავაზ.	გეახელით!	გეახლებუთ!	--
Iპ. მხ.	არ ვსვამ	ვა ვშუნქ!	მშმ ხუთირე
Iპ. მხ. თავაზ.	არ გეახლებით!	--	--

ამ ცხრილების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგი ვარაუდი: თავაზიანობის სისტემა მეგრულში, ქართულის მსგავსად, არის მეორეული მოვლენა, მაგრამ შედარებით ახალი, რადგან შექმნილი უნდა იყოს ქართულის გავლენით: **შენ/თქვენ** დაპირისპირება: **სი(ნ)/თქვან** (მრ. და თავაზიანი); ზმნურ სისტემაში მრ. რიცხვის მე-2 პირის გამოყენება (მრავლობითობის ნიშანი -თ); **ზოჯ**- ძირის მქონე ეფემისტური ზმნები (*შღრ.* ქართული „ბრძან“- ფუძე). განსაკუთრებით საინტერესოა **მომრავლობის** აღმნიშვნელი ზმნები. განსხვავება ისაა, რომ რამდენიმე ზმნას მეგრულში არ აქვს ეფემისტური ეკვივალენტები (*აღება, ჭამა, მიცემა*).

როგორც ცხრილებიდან ვხედავთ, ქართულისა და მეგრულისგან განსხვავებით, სვანურში საერთოდ არ გამოიყენება პირში მონაცვლე ზმნები, ე.ი. ენობრივი თავაზიანობის სისტემა არაა ჩამოყალიბებული. ნაცვალსახელთა და ზმნის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ. მართალია, **შენ/თქვენ** და **შენი/თქვენი** განსხვავდება, მაგრამ აღნიშნავს მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვს პირდაპირი მნიშვნელობით, მრავლობითი რიცხვის ფორმებში არ ხდება ტრანსსემანტიზაცია: ერთი ადამიანის მიმართ პირის ნაცვალსახელიც და ზმნაც მხოლოდობითი რიცხვის მეორე პირის ფორმით გამოიყენება, ორი და მეტი ადამიანის მიმართ კი – მრავლობითი რიცხვის ფორმით, რომელიც თავაზიანად არ გაიაზრება; არც ზმნების ეფემისტურ ეკვივალენტებს არ იყენებენ. თავაზიანი ნაცვალსახელური და ზმნური ფორმების არარსებობამ განაპირობა მათი ჩანაცვლება მრავალი სხვა საშუალებით (მაგ., ფატიკური კომუნიკაციის ფორმულებით).⁶ საერთოდ, ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველური ყოფის რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებთან.

⁶ ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებს ამ სტატიაში არ ვიხილავთ.

4.4. მიმართვის ფორმები ქართველურ ენებში

ოფიციალური კომუნიკაციის დროს, გარდა **შენ/თქვენ** ნაცვალსახელების დაპირისპირებისა, ქართულში გამოიყენება აპელატიური მიმართვის ფორმები: **ბატონო** და **ქალბატონო** წოდებით ბრუნვაში (ეს ბრუნვა მხოლოდ ქართულ ენას აქვს, მეგრულსა და სვანურში წოდებითი არ გამოიყოფა).

მეგრული ენის **პატონი/ოსურპატონი** ქართულთან შედარებით იშვიათად გამოიყენება. სვანურში საჭიროების შემთხვევაში **ბატონო/ქალბატონო-ს** შემცველ მიმართვებს ქართულად ამბობენ.

საერთოდ ხაზი უნდა გაესვას, რომ დასახელებული ფორმები დამახასიათებელია ოფიციალური სიტუაციისთვის, ამიტომაც ისინი მეგრულსა და სვანურში იშვიათად გვხვდებიან. ასეთ დროს უმეტესად ქართულად ლაპარაკობენ ხოლმე (სასწავლო დაწესებულებებში, სასამართლოში, რადიოში, ტელევიზიაში...). თუკი საჭიროა, ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით მიმართონ ვინმეს, ზოგჯერ მეგრულშიც იყენებენ ქართულ მიმართვებს.

ცხრილი 11. მიმართვის ფორმები: ბატონო, ქალბატონო

ქართული	მეგრული	სვანური
ბატონო!	პატონ(ი)!	ქართულად ამბობენ
ბატონო გიორგი!	პატონ(ი) გიორგი!	
ქალბატონო!	ოსურპატონ(ი)!	
ქალბატონო ცირა!	ოსურპატონ(ი) ცირა!	
პატივცემული ნოდარი!	პატივცემული ნოდარი!	

საინტერესო მაგალითს იმოწმებენ ზ. კიკვიძე და რ. ჭანტურია (Z-2.1.1): *დავით პატენ-ი, თქვა ნაგურეფი კოჩ-ი ზოჯუნ-თ* 'დავით ბატონო, თქვენ ნასწავლი კაცი ბრძანდებით'. აქ ჩანს, რომ **ბატონი** კი არ უსწრებს საკუთარ სახელს, არამედ მას მოსდევს (Kikvidze, Tchantouria 2003:55). უნდა აღინიშნოს, რომ ქართულშიც დასაშვებია მსგავსი წყობა: დავით ბატონო, მაგრამ იშვიათია.

5. დასკვნა

მაშასადამე, თავაზიანობის ფენომენი მჭიდროდაა დაკავშირებული ერის კულტურულ ღირებულებებთან და მოიცავს ადამიანური კომუნიკაციის მრავალ სფეროს.

ჩვენი კვლევის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს, შევიქმნათ წარმოდგენა სამეცნიერო ეტიკეტის ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თავაზიანობის ენობრივი გამოხატვის საშუალებებს ქართველურ ენებში, მათ შორის მსგავსება-განსხვავებას.

ენის სხვადასხვა დონეზე ერთმანეთთან შედარებულია თავაზიანობის ვერბალური მარკერები, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები:

პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ზმნის მე-2 პირის მრ. რიცხვის ფორმა, ევფემისტური ზმნები და აპელატიური მიმართვები.

ქართულის, მეგრულისა და სვანურის მონაცემთა შედარება ადასტურებს, რომ თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი საშუალებები ქართულ ენაში მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს (თუმცა საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს). თავაზიანობის იერარქიული სისტემა უკვე ჩამოყალიბებული იყო საშუალო ქართულში და არ უნდა მიეწეროს რომელიმე სხვა ენის გავლენას, როგორც წინათ ვარაუდობდნენ.

ქართული თავაზიანობის სისტემის ეკვივალენტური ფორმები თითქმის მთლიანად მეორდება მეგრულში, რაც, ვფიქრობთ, უნდა აიხსნას ქართული სალიტერატურო ენის ზეგავლენით.

თავაზიანობის ვერბალური გამოხატულება არაა შემოფარგლული რომელიმე ერთი ფორმით და ცოცხალ მეტყველებაში ხშირად რამდენიმე საშუალების (განსაკუთრებით – ფატიკური გამონათქვამების) სხვადასხვა კომბინაცია დასტურდება.

სვანურში ენობრივი თავაზიანობის სისტემა არაა ჩამოყალიბებული. ნაცვალსახელთა და ზმნის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ, არც ზმნების ევფემისტურ ეკვივალენტებს არ იყენებენ.

შესწავლილი ენობრივი ვითარება განამტკიცებს აზრს, რომ მსგავსება ქართული და მეგრული ენების ენობრივი თავაზიანობის სისტემაში შესაძლებელია აიხსნას ქართული ენის ახლო კონტაქტით მეგრულთან და მასზე ზეგავლენით. ვვარაუდობთ, რომ სვანურის განსხვავებული ვითარება წარმოაჩენს ქართული ფუძემდებლის უძველეს ეტაპს და მოწმობს, რომ ენობრივი თავაზიანობა, როგორც სოციალური მოვლენა, ქართველურ ენებშიც მეორეული წარმოშობისაა ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2023: შ. აფრიდონიძე, *მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ზექლაშვილი 2005: რ. ზექლაშვილი, სამეტყველო ეტიკეტი და „სახის“ ღირებულებათა იერარქია ეროვნულ ცნობიერებაში: *ენათმეცნიერების საკითხები, I-II*, თბილისი, გვ. 38-46.

ზექლაშვილი 2008: რ. ზექლაშვილი, ქართული კულტურა და სამეტყველო ეტიკეტი: *ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი, 6*, თსუ, კორნელის უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 46-50.

ზექლაშვილი 2010: რ. ზექლაშვილი, თავაზიანობა, როგორც ეროვნულ ფასეულობათა სისტემის ასახვა და მისი ენობრივი მარკერები ქართულში: *კავკასიოლოგიური ძიებანი*, 2, თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ. 162-186.

ზექლაშვილი 2012: რ. ზექლაშვილი, *ქართული დიალოგიური მეტყველება (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები)*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ზექლაშვილი 2013: რ. ზექლაშვილი, თავაზიანობის გამომხატველი ზოგიერთი ზმნის გამოყენების ისტორიისათვის ქართულში: *II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“*, შრომები, გამომცემლობა „მერიდიანი“, ქუთაისი, გვ. 180-189.

კიკვიძე 1994: ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობა: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, გვ. 141-147.

კიკვიძე 1999: ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები. *სოციოლინგვისტური ასპექტი*, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, თბილისი.

კიკვიძე 2004: ზ. კიკვიძე, ენა კულტურაში და კულტურა ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბილისი.

კურდელაშვილი 2017: თ. კურდელაშვილი, თავაზიანობის სტრატეგიები და მიმართვის ფორმები საგაკვეთილო პროცესში (ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე), დისერტაცია ფილოლ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), თბილისი.

ნინიძე 2021: თ. ნინიძე, *ევეფშიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართულში* (V-XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

ქება: ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc> გადამოწმების ბოლო თარიღი: 11.10.2023.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჯორბენაძე 1997: ბ. ჯორბენაძე, *ენა და კულტურა* (რედ. გ. გოგლაშვილი), თბილისი.

Austin 1962: J. L. Austin, *How to do things with words*. Clarendon Press, Oxford.

Boeder 1988: W. Boeder, Über einige Anredeformen im Kaukasus, *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, 11, pp. 11-20.

Brown...1978: P. Brown, S. C. Levinson, Universals in Language Usage: Politeness Phenomena. In: Goody, E. N. [Ed-s]: *Questions and Politeness: Strategies in Social Interaction*. Cambridge: Cambridge University Press. pp. 56-311.

Goffman 1967: E. Goffman, *Interaction Ritual: Essays on face-to-face behavior*, Pantheon Books, New York.

Grice 1975: P. Grice, Logic and Conversation. In P. Cole & Morgan, J.L. (Eds.), *Syntax and Semantics 9: Pragmatics*, Academic Press, New York, pp. 113-127.

- Kikvidze...2003:** Z. Kikvidze, R. Tchantouria, Joint Parameterization of Honorifics and Terms of Address in Kartvelian Languages, in: D. De Jongh, H. Zeevat, M. Nilssonová (eds.), Proceedings of the 3rd and 4th International Symposium on Language, Logic and Computation. *ILLC Scientific Publications*, Amsterdam, pp. 53-57.
- Lakoff (1979).** R. Lakoff, Stylistic strategies within a grammar of style. *Annals of the New York Academy of Sciences*, 327, pp. 53-78. <https://doi.org/10.1111/j.1749-6632.1979.tb17753.x>
- Leech 1983:** G. Leech, *Principles of Pragmatics*. Longman, London, N.Y.
- Scollon... 1995:** R. Scollon, S. W. Scollon, *Intercultural Communication*. A discourse approach (Language in society 21), Blackwell, Oxford, Cambridge.
- Searle 1979:** J. R. Searle, *Expression and Meaning*, Cambridge University Press, Cambridge.
- Wierzbicka 1991:** A. Wierzbicka, Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction. *Dans la série Trends in Linguistics; Studies and Monographs 53*. Mouton de Gruyter, Berlin.
- Вежбицкая 1996:** А. Вежбицкая, *Язык. Культура. Познание*. Пер. с англ., отв. ред. М. А. Кронгауз, вступ. ст. Е. В. Падучевой. Русские словари, Москва.

Rusudan Zekalashvili

To the Linguistic Ways of Expressing Politeness in Kartvelian Languages

Summary

Politeness as one of the historically developed and established ways of behavior is closely linked to national cultural values. It involves different spheres of human communication, especially those norms recognized within the speech etiquette of the language.

The question under consideration is especially actual as the social-linguistic aspects of the Kartvelian languages have not yet been fully explored. The results of the work that was done when exploring the above-mentioned issues enabled us to make general conclusions and to get an idea about the history of using linguistic means with social purposes in Kartvelian languages.

Our analytical work is based on the data of the GNC (Georgian National Corpus), and the texts in Georgian, Megrelian, and Svan languages. Firstly, the method of enquiring was used, and as for analyzing the existing data we employed the descriptive and comparing methods.

Special attention was paid to the linguistic means of expressing politeness in Kartvelian languages. The similarities and differences between them are underlined.

The verbal markers of politeness are compared on different linguistic levels and, among them, the first and most important are the lexico-grammatical means, such as the verb in the form of the second person used in the plural (with the end consonant -t), also plural forms of the personal pronouns and the plural forms of the possessive pronouns (the plural forms which address to the singular objects in a talk but in plural forms). First of all, they are

represented in the ending with the marker of the verb form in the second person where the ending consonant -t is added, though the addressee is in the singular. The marker of polite speech is also represented using the plural form of the verb, though it is about a single person, not plural. (the verb forms with the end consonant-t which is usually used as a marker of a plural form; the personal [tʰkʰvɛn] and possessive pronouns [tʰkʰvɛni] are used in the plural when addressing a singular person; there are also examples of the plural forms in case of euphemistic verbs and some appealing forms.

Comparing the data of the Georgian, Megrelian, and Svan languages, it becomes obvious that the linguistic means of expressing politeness are of secondary origin in Georgian, though it also reveals quite a long-time history of existence of such forms. It seems that the hierarchical system of politeness was established in the period of Middle Georgian and it cannot be attributed to the influence of any other languages as it was considered earlier.

The forms of politeness in the Georgian linguistic system almost absolutely coincide with the Megrelian forms. In our opinion, this can be explained by the influence of the Georgian literary language; the forms are as follows: the second person forms of the personal [tʰkʰvɛn – tʰkʰva] (‘you’ – personal) and possessive pronouns in the plural; [tʰkʰvɛni – tʰkʰvani] (‘your’ – possessive); also: the suffix -t in the verb forms of the second person when the person is singular, not plural [datsʰɛɾɛ – datsʰɛɾɛ-tʰ] ‘write it’ – in Georgian and [dotʃari – dotʃari-tʰ(i)] (Megrelian – in the same meaning); in the euphemistic verbs, the origin stems of which are the same as in Georgian: in Georgian “brdzan” and Megrelian “zodʒ”: in the Georgian form [brdzandɛbitʰ] means ‘You are’ (politely), [zodʒuntʰ, kʰozodʒuntʰ] – in Megrelian; the other examples are: [brdzanɛtʰ] (Geo.) – ‘tell please’ and [zodʒitʰ] (Megr.); [mobrdzanditʰ] and [kʰumozodʒitʰ] – ‘come here please’; [dabrdzanditʰ] and [dozodʒi(tʰ), kʰodozodʒi(tʰ)] ‘sit down please’ and others.

The verb [miirtʰvitʰ] ‘Eat, please’ (politely), the first-person verbal forms [gaxlavartʰ] – ‘I am’, ‘I am here’ – [mɛ ɣɛaxlebitʰ] – ‘I am eating, I am trying this food’ are not found in Megrelian.

In Svan, polite addressing is not established as a system. The forms of the pronouns and plural forms of the verbs of the second person are not used as polite forms. It is true that [ʃɛn/tʰkʰvɛn] – [si/sgäj] and [ʃɛni/tʰkʰvɛni] – [isgu/isgûei] (possessive pronouns in the second person singular and plural) differ from each other but it is used in Svan only for denoting the plural form: in the Svan language transsemantization of the forms does not occur: when referring to one person, both the personal pronoun and the verb are in the second person singular, whereas when referring to two or more persons they are both in the plural, which does not serve as polite forms. The euphemistic variations of the verbs are not used either.

Our studies of the linguistic situations support the idea that the similarity between the Georgian and Megrelian languages within the sphere of the verbal systems showing politeness can be explained by the fact that the Georgian language has closer contact with the Megrelian language and may have some influence on it.

We suppose that the different situation in Svan represents the oldest stage of the Proto-Kartvelian language and confirms that as a social phenomenon linguistic politeness, in the Kartvelian languages as well as in many others, is of secondary origin.

მარინე ივანიშვილი

ენაში მიმართვის ფორმა არის „გრამატიკული კატეგორია ფოლგითი ბრუნვის, ღიალ, ბრუნვისა“¹

წოდებითად ცნობილი სახელის ფორმა, ისტორიულად, ქართული ენის გრამატიკებში ყოველთვის იყო მოქცეული ბრუნვათა ჩამონათვალში.

წოდებითის ბრუნვობაში ეჭვი შეიტანა არნ. ჩიქობავამ 1927 წელს (შანიძე 1981:466). მისი აზრით, წოდებითი ბრუნვა – ესაა მიმართვის ფორმა. ის არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს, მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრელად სახელი (მაგ., ძვირფასო ძმაო!), მაგრამ მსაზღვრელიანია თუ ცალკე აღებული მიმართვა, იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედის, წინადადებაში სასვენნიშანითაა გამოყოფილი (ჩიქობავა 1939:135-136; 1950:036).

1935 წელს დაიბეჭდა ვ. თოფურიას წერილი „წოდებითი ბრუნვისთვის“ (თოფურია 1935: 18-28), სადაც იგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მიმართვის ფორმა ბრუნვა არ არის. ამის საბუთად ვ. თოფურიას მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: *ბრუნვა* ეწოდება „თითოეულ სახეს, ბრუნების დროს მიღებულს“, *ბრუნვა* კი წარმოადგენს „სახელთა ცვლას სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას.“ ყოველი ბრუნვა „მიიღება სხვა სახელთან, ზმნასთან ან თანდებულთან დაკავშირებით ძირითადად *მართვის* საფუძველზე“, „წოდებითი კი ამ სინტაქსური მოვლენისგან თავისუფალია: იგი არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თანდებულის მიერ“ (თოფურია, იქვე).

აკ. შანიძის გამოკვლევა „წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში“ პირველად დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკადემიის მოამბეში (ტ. III, №5, თბილისი 1942:481-488); მეორედ კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისთვის ქართველურ ენებში (I, თბილისი 1956:48-55), სადაც აკაკი შანიძემ, წოდებითი ბრუნვის შესახებ ამ ახალი შეხედულების წინააღმდეგ, ქართული ენის მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას, ის ბრუნვის ფორმაა. მას სხვა ბრუნვის ფორმებთან სინტაქსურად აერთიანებს ურთიერთობა სინტაგმის წევრებთან, მორფოლოგიურად კი – ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება (შანიძე 1981:466-472).

აკაკი შანიძის არგუმენტებია: პირველი, ქართულში სიტყვათა მიმართება გამონათქვამში: „ჩემო კარგო მეგობარო“ – *შეთანხმება*, ისეთივე, როგორიც: „ჩემი

¹ ა. შანიძე, წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, თხზულებანი, II, „მეცნიერება“, თბილისი, 1981, გვ. 466-473.

კარგი მეგობარი“ ან „ჩემმა კარგმა მეგობარმა“-ში გვაქვს, ხოლო სინტაგმაში – „ექიმის მეგობარი“ მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა *მართვით* არის წარმოდგენილი, ისევე როგორც: „ექიმის მეგობარი“, „ექიმის მეგობარმა“... მართალია, ეს ფორმა არ იმართვის სხვა სახელის მიერ, პირიქით, თვითონ *მართავს* სხვა სახელს, მაგრამ, ბრუნვა რომ გვქონდეს, განა სავალდებულოა, რომ სახელი იმართვოდეს? მაშინ როგორღა უნდა შევხედოთ სახელობითის ფორმას ისეთ მაგალითში, როგორიცაა „ამხანაგი მოღის?“ რა მართავს მას? ზმნა? ეგებ თვითონ მართავდეს ზმნას? ან ეგებ არც ერთი იყოს და არც მეორე?

მეორე, წოდებითი თუ ბრუნვა არ არის, სად იქნება მისი ადგილი გრამატიკაში? ვარლამ თოფურიას მიხედვით – სიტყვათწარმოებაში. ამის პასუხად შანიძის არგუმენტი შემდეგია: „თუ წოდებითის ფორმა სიტყვათწარმოების ფორმაა, ცხადია, რომ მისი საწარმოებელი *ო* სადერივაციო ელემენტია; ისიც ცხადია, რომ მთლიანად ფორმა („ხანჯალი“) იმავე ბრუნვაში დგას, რაშიაც სხვები („ხანჯლიანი“, „უხანჯლო“ და სხვ.), ე.ი. სახელობითში. და თუ ასეა, მაშინ „ხანჯალო“-ც უნდა იბრუნვოდეს, როგორც დანარჩენები (ხანჯალო, ხანჯალო-მ, ხანჯალო-ს...), რაც უმართებულოა.

იმ შემთხვევაში, როცა წოდებითში დასმული სიტყვა შეიძლება მართლაც ვაბრუნოთ (ასევე ზმნის პირიანი ფორმები, ზმნიზებები, შორისდებულები, მთელი წინადადებაც კი, იხ. მაგალითები: 469-470), ეს არ ნიშნავს, თითქოს *ო* იყოს არა ბრუნვის ნიშანი, არამედ ახალი ფუძის საწარმოებელი ფორმანტი; ანუ, წოდებითის ფორმა არ შეიძლება განეკუთვნოს სიტყვათწარმოებას, რადგანაც ის არ არის დერივაციულად მიღებული ფორმა: ანუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ იცვლება (მ. ი.). გრამატიკაში წოდებითის ადგილის განსაზღვრისას ორი რამეა გადამწყვეტი მნიშვნელობისა: ერთია *ლექსიკური* მნიშვნელობა საბრუნებელი სიტყვისა და მეორე – მისივე *რიცხვის* ჩვენება. ამ დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორსავე მრავლობითში წოდებითი ფორმის ფუძის საწარმოებლად იგივე ფორმანტია გამოყენებული, რაც ბრუნვათა ფუძის საწარმოებლად (მაგ., მეგობრ-ებ-ი, მეგობრ-ებ-მა... მეგობრ-ებ-ო; მეგობარ-ნ-ი, მეგობარ-ნ-ო).

წოდებითის ბრუნვად კვალიფიკაციას ამყარებს ერთი ენობრივი უნივერსალია: სიტყვაფორმაში დერივაციის მარკერს მოსდევს ფლექსიის მაჩვენებელი: ძირი+დერივაცია+ფლექსია. წოდებითი ამ თვალსაზრისით, რამდენადაც ის ჩვეულებრივ მოსდევს დერივაციულ ნიშანს, ფლექსიის აღმნიშვნელად უნდა იყოს მიჩნეული: *ხანჯლ-იან-ო*, მაგრამ **ხანჯალ-ო-იან-ი* არაკანონიკურია.

ამგვარად, წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას, ის ბრუნვის ფორმაა: მას სხვა ბრუნვის ფორმებთან სინტაქსურად აერთიანებს ურთიერთობა სინტაგმის წევრებთან, მორფოლოგიურად კი – ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება.

„თუ რომელიმე ენა სახელთა ფორმებში გვიჩვენებს საკუთარ ფორმას მიმართვისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენას მოეპოვება გრამატიკული კატეგორია *წოდებითი ბრუნვისა*, *დაიღ*, *ბრუნვისა*.

ბრუნვის რაობის საკითხს კვლავ უნდა დავუბრუნდეთ იმის გამორკვევასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბრუნვა მოგვეპოვება დღევანდელ ქართულში.“ ამ წინადადებით ამთავრებს აკ. შანიძე წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებულ სტატიას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტში ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა შესიტყვებათა ლექსიკონის შედგენაზე (ხელმძღვ. აკად. ა. არაბული), რაც საფუძველად დაედება ანალოგიურ კვლევას ცალკეული ავტორებისა თუ ერთიანი ენობრივი ბაზისათვის. ამ სამუშაოების საბოლოო მიზანი კი არის ქართული ენის შესიტყვებათა ისეთი ლექსიკონის შექმნა, რომელიც სრულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, სინტაქსური სისტემის ბუნებას, ხოლო მეორე მხრივ – სიტყვათა სემანტიკური თავსებადობის წესებს ქართულში (არაბული 2022:23-24).

ლექსიკონზე მუშაობისას ცხადი გახდა, რომ ქართული ენის სინტაგმატიკის ძირითად წესებთან ერთად დასტურდება სიტყვათა სხვა რიგის სემანტიკური კავშირებიც, რამაც შესიტყვებათა სრულად აღნუსხვისათვის განაპირობა დამატებითი ნორმების შემოტანა. ეს კი, თავის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევისა და ტექსტის სწორად გაგების, პუნქტუაციის წესების დაზუსტებისა და მართებულ ვერსიათა დადგენისათვის (არაბული 2022:24).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო წოდებითში დასმულმა სახელებმა, რომლებიც არა მარტო სახელებთან, არამედ ზმნებთან მიმართებითაც ქმნიან ერთიან სემანტიკურ შესატყვისობებს და, ამდენად, აისახებიან „წყვილებში“. გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს „ვეფხისტყაოსნიდან“ („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები 2011, 2013):

60,1 „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირო“...
დაგიღრეჯია მეფეო

527,4 „ვაი, სოფელო უხანოლო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხურეტად?“
სოფელო ზი

528,3 „ეჰკადრე, თუ: მზეო, დაგიწუავ, ჩემიცა დაწუი მზე ბარე!“
მზეო დაგიწუავ

37,1 „ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქუენი ბერობა?“
მეფეო ჰბრძანეთ

48,1 „უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი.“
ნუ სტირ ასულო; ისმინე ასულო

54,2 „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!“
ამილახორო მოასხი

126,1 „ავთანდილ ჰკადრა: „მეფეო, ბრძანე, რაცა გწადებოდეს“
მეფეო ბრძანე

- 131,4 „მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე“
 მოდი ლომო; ლომო შემეყარე
- 177,2 „ჰე, სოფელო, შეგებრალდე, ნუ სჯი ბედსა შესაწყალთა“
 სოფელო შეგებრალდე
- 179,3 „თქუის: საყუარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქუა ვისად?“
 საყუარელო მოგშორდი
- 187,1 „იტყუის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?“
 ღმერთო ამრუდენ
- 858,1 „იტყუის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა“
 ღმერთო შეგცოდე
- 859,3 „მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ღვინი გარდასრულა“
 გამყრი საწუთროო
- 862,1 „იტყუის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე?“
 ღმერთო შეგცოდე
- 862,3 „გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე“
 გამკითხველო გამიკითხე
- 918,3 „გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო“
 გულო გიჯობს
- 1051,1 „ყმამან შესთუალა: „ჰე, ძმანო, წელანცა მოგისმენია“
 ძმანო მოგისმენია
- 948,1 „ვაი, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გუაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!“
 ვაი სოფელო; სოფელო ხარ; სოფელო გუაბრუნვებ; სოფელო გჭირსა
- 952,1 „მზესა ეტყუის: „მზეო, გეტყუი თინათინის ღაწუთა დარად“
 მზეო გეტყუი
- 954,2 „აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“
 მზეო გეაჯები
- 955,1 „მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“
 მო ზუალო
- 956,1 „ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა“
 მუშთარო გეაჯები
- 957,1 „მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ დახურითა შენითა“
 მოდი მარიხო; მარიხო დამჭერ
- 960,1 „მო, მთუარეო, შემიბრალდე, ვილევი და შენებრ ვმჭლდეი“
 მო მთუარეო; მთუარეო შემიბრალდე
 და სხვ.

ამგვარ შესატყვისობათა წყვილები მრავლად დასტურდება ქართულ ფოლკლორში (მაგ., „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“: მზევ შემოდი, შინ შემოდი) და სხვა ტექსტებშიც, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ტიპის შეკავშირებათა არსებობა კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტია წოდებითის ბრუნვობასთან დაკავშირებით.

აქვე ღვება ენის სინტაქსური ანალიზისას ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების – *ფრაზა*, *სინტაგმა* (სინტაქსური წყვილი), *შესიტყვება* – დაზუსტების საკითხი. *ფრაზა* (ბერძნ. *phrasis* „გამონათქვამი“) ეწოდება ინტონაციურ-აზრობრივ მთლიანობას, რომელიც პაუზებით არის შემოსაზღვრული. იგი შეიძლება დაემთხვეს წინადადებას ან მის ნაწილს (გამყრელიძე... 2003:134).

ამერიკულ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში დამუშავებული უშუალო შემადგენელთა მეთოდით (Bloomfield 1933) გამოიყოფა წინადადებაში მისი უშუალო შემადგენელი კვანძები (ფრაზები) და ამ კვანძთა უშუალო შემადგენლები. უშუალო შემადგენელთა თეორიის მიხედვით, ნებისმიერი წინადადება (S) იყოფა ორ ფრაზად (P): სახელურ ფრაზად (NP) და ზმნურ ფრაზად (VP). სახელური ფრაზა შეიძლება გავშალოთ ახალი წევრების დამატებით, სატელიტებით, რის შედეგადაც მიიღება A+N კონსტრუქცია (N – ბირთვია, A – სატელიტი), ხოლო ზმნური ფრაზა ასეთივე ოპერაციით Adv+V (V – ბირთვია, Adv – სატელიტი). წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენლების მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ უშუალო შემადგენელთა ხის სახით, რომელიც ტრადიციული სინტაქსური თეორიის ხაზობრივი სტრუქტურისაგან განსხვავებით იძლევა ინფორმაციას წინადადების იერარქიული სინტაქსური სტრუქტურის შესახებ. შემდგომში ნ. ჩომსკის ტრანსფორმაციულ გრამატიკას ამოსავლად სწორედ ეს ცნებები დაედო საფუძვლად (Chomsky 1957).

სინტაგმა სიტყვათა შეკავშირებისგან წარმომდგარი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. *მარტივ* წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია (n), ერთის გამოკლებით (n-1). *რთულ* წინადადებაში წყვილთა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალცალკე იანგარიშება.

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ დაქვემდებარებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეწყობილია ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ამას მორფოლოგიური გამოხატულება არ ახლავს. სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

შეთანხმება ჰქვია სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც წამყვან სიტყვას აქვს, სქემატურად, A↔B.

მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ, ან არ აქვს მოცემულ შემთხვევაში, სქემატურად, A←B.

მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობლივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს, სქემატურად, A, B (კვაჭაძე 1996:19-32).

შესიტყვება შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს სიტყვათა შორის უფრო ფართო სემანტიკური კავშირის გამოხატველ ტერმინად, რათა სიტყვათა შორის სემანტიკური კავშირები არ დაიკარგოს და გაიმიჯნოს ტერმინებისაგან: წყვილი, სინტაგმა, ფრაზა, რომლებიც წინადადების წევრებს შორის კოორდინაციული მიმართებების ამსახველია. ამგვარი სემანტიკური კავშირები გამოვლინდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესიტყვებათა ლექსიკონზე მუშაობის პროცესში და აუცილებელი გახდა ქართული სინტაგმატიკის ძირითად წესებთან ერთად დამატებითი ნორმების შემოტანა (არაბული 2022: 24). ამდენად, ტერმინი *შესიტყვება* უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს *სინტაგმას*, სქემატურად, შესიტყვება \supset სინტაგმას.

ლიტერატურა

არაბული 2022: ა. არაბული, „ქართული ენის თესაურუსი“ და ქართული ლექსიკონ-რაფიის პერსპექტივები, *მაცნე (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია)*, 2, თბილისი.

გამყრელიძე... 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ, თბილისი.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, წიგნი I-II, აკად. გამომც., თბილისი.

თოფურია 1935: წოდებითი ბრუნვისთვის, „*კომუნისტური აღზრდისათვის*“, 1, თბილისი.

იმნაიშვილი 1957: ი. იმნაიშვილი, *სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში*, თსუ, თბილისი.

კვაჭაძე 1996: ლ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*, „რუბიკონი“, თბილისი.

შანიძე 1942 1956: ა. შანიძე, „წოდებითის ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში“, *საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე*, ტ. III, №5, თბილისი 1942; სახელის ბრუნების ისტორიისთვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.

შანიძე 1981: ა. შანიძე, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, მეცნ. აკად., თსუ, თბილისი.

ჩიქობავა 1928: არნ. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? „*ახალი სკოლისკენ*“, №3, თბილისი.

ჩიქობავა 1939: არნ. ჩიქობავა, *ზოგადი ენათმეცნიერება*, I პროპედევტიკული ნაწილი, მეორე გამოც., თბილისი.

ქეგელ 1950: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. 1, მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

Bloomfield 1933: L. Bloomfield, *Language*, New York.

Chomsky 1957: N. Chomsky, *Syntactic Structures*, Mouton.

Marine Ivanishvili

Is the Vocative Form a Case in Georgian?

Summary

Historically, the vocative form of a noun was always included in the list of cases in the grammar of the Georgian language.

The first scientists who doubted in the status of the vocative case were Arn. Chikobava (1927) and V. Topuria (1935). Akaki Shanidze, based on the Georgian language analysis, made it clear (1942, 1956) that the vocative form is among the cases syntactically as well as morphologically. It is connected with other case forms syntactically in relation to syntagma members, and morphologically – similar lexical meaning and formation of plural (Shanidze 1981: 466-472).

According to the text of Shota Rustaveli “The Knight in the Panter’s Skin”, while working on the dictionary of the Georgian language syntagms, it became clear that together with the basic rules of the Georgian syntagms, other kinds of semantic relations are attested as well, which led to the introduction of additional norms for the complete list of syntagms.

This, in turn, provides an opportunity to study the language of “The Knight in the Panter’s Skin”, and to understand the text correctly, to specify the rules of punctuation and determine the correct versions (Arabuli 2022).

From this point of view, nouns in the vocative, which create semantic correspondences not only with nouns but also with verbs, are reflected in “pairs” and thus represent another strong argument for considering vocative as a case.

Furthermore, we are allowed to clarify the terms established in Georgian scientific literature – *phrase*, *syntagma*, *word combination* – during the syntactic analysis of the language.

ON THE DECIPHERMENT OF THE INSCRIPTIONS OF LINEAR A IN THE COMMON KARTVELIAN LANGUAGE

Introduction

The object of this paper is deciphering Bronze Age Linear A (LA) inscriptions that are spread all over the Aegean area, also found on the territory of Palestine, Bulgaria, and Georgia. The texts of LA inscriptions are mostly agricultural accounts with toponyms, anthroponyms, agricultural produce (e.g., cereals), pot, vessel, domestic animals, and signs denoting natural numbers and fractions, etc.

1. The paper presents an overview of the data on the ancient population of the Pelasgia or Peloponnese, Asia Minor and Aegean islands before the migrations of Indo-European tribes into Europe began (Kvashilava 2011:228-233). It is supposed that indigenous inhabitants of this area were of non-Indo-European and non-Semitic origin but were South Caucasian / Kartvelian – Pelasgian-Colchian tribes – Macrians or Macrones among others (Kvashilava 2011:233-236).

2. The Common Kartvelian (CK) language formed an influential substratum for the language of Proto-Greek tribes after their invasion of the Peloponnese. The toponyms of “unknown etymology” (J. Chadwick, R. Beekes, and others) are now proved to be CK.

3. The correctness of my decipherment of LA inscriptions in the CK is verified by the analysis of linguistic material (of special importance are pot, vessel, toponyms, ethnonyms, anthroponyms and theonyms), the study of the graphical qualities of LA and of the signs of related Linear B (LB) script, the previous phonetic reading of LB script by M. Ventris and J. Chadwick (Ventris and Chadwick 1973:23, 388).

The texts of LA inscriptions are mostly agricultural accounts with anthroponyms, agricultural produce (e.g., cereals, etc.), pot, vessel, domestic animals, and signs denoting natural numbers and fractions, etc. (Kvashilava 2011:242-244, 253-259; Kvashilava 2017b:857-858, 863).

The analysis of the data shows that LA inscriptions record the ancient CK language. The following should be emphasized (Kvashilava 2017a:65-66):

- a. The visual features of the LA syllabic signs are graphically simplified versions of the Cretan hieroglyphic script and the Phaistos Disk script signs (Kvashilava 2011:239).
- b. The vast bulk of LA syllabic signs are graphically and phonetically identical to the graphic and phonetic properties of the syllabic signs of Mycenaean Greek LB (Ventris and Chadwick 1973:23; Godart and Olivier 1985, V:XXII, XXVIII-LII) and

the Greek Cypriot syllabic script (Ventris and Chadwick 1973:388). The problem of the language of LA inscriptions has long remained unsolved, and it was declared to be impossible to read because the language and its culture no longer existed.

LA signs	LB signs	LA signs	LB signs
001	da	009	se
002	ro	010	u
003	pa	011	po
004	te	013	me
005	to	016	qa
006	na	017	za
007	di	020	zo
008	a	021	qi

LA signs	LB signs	LA signs	LB signs
023	mu	037	ti
024	ne	038	e
026	ru	039	pi
027	re	040	wi
028	i	041	si
029	pu ₂ /phu/, /bu/?	044	ke
030	ni	045	de
031	sa	046	je

LA signs	LB signs	LA signs	LB signs
048	nwa	059	ta
050	pu	060	ra
051	du	061	o
053	ri	065	ju
054	wa	066	ta ₂ /taj/
055	nu	067	ki
056	pa ₃ /paj/	069	tu
057	ja	070	ko
058	su	073	mi

LA signs	LB signs	LA signs	LB signs
074	ze	021	sheep
076	ra ₂ /raj/	022	goat
077	ka	023	ox
078	qe	030	fig
080	ma	031	flax
081	ku	054	cloth
085	au	065	flour
087	twe	085	pig
164	swi	120	barley

LA signs	LB signs	LA signs	LB signs
122	olive	402	cup
123	spice	404	cup
131a	wine	405	bucket
191	helmet	406	bucket
302 <small>302+67 (618)</small>	130 oil	407	basin
303	125 cyperus	410	201 tripod cauldron
350	100 man	412	206 hydria
100	102 woman	415	202 jar
352	077 vessel	416	pithos

Numeral systems	1	10	100	1 000	10 000
LA		— •	○		
Mycenaean LB		—	○		
Cypriote syllabic		—			
Cretan hieroglyphic	/)		• ○	◇	

LA Signs	Value			
7	$\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$\frac{1}{4}$
∟	$\frac{1}{4}$	$\frac{1}{4}$	$\frac{1}{4}$	$\frac{1}{2}$
$\frac{∟}{7}$	$\frac{3}{4}$	$\frac{3}{4}$	$\frac{3}{4}$	
7	$\frac{3}{8}$	$\frac{3}{8}$	$\frac{3}{8}$	$\frac{1}{8}$
∟7	$\frac{5}{8}$	$\frac{5}{8}$	$\frac{5}{8}$	
77	$\frac{7}{8}$	$\frac{7}{8}$	$\frac{7}{8}$	
	Kvashilava	Facchetti	Was	Bennett

The meanings of the LA inscriptions remained unidentified, and the LA tablets were declared to be written in an unknown dead language.

- c. The method of comparative and inner reconstruction (Gamkrelidze and Machavariani 1965) made it possible to identify the forms and meanings of LA syllabic sequences as belonging to the ancient CK Language.

1. The Ancient Inhabitants and Languages of Southern Europe, Asia Minor and South Caucasus

In the Bronze Age, many regions of the Asia Minor, the whole of the Pelasgia or Peloponnese, the Crete, Aegean islands, the Apennine Peninsula were inhabited by Pelasgians. The Pelasgians were various tribes including the Macrians or Macrones.

It was accepted that the Pelasgian language was of a non-Indo-European and non-Semitic origin.

Some authors (P. Kretschmer, F. Schachermeyr, E. Schwyzer, A. Meillet, G. Thomson, and others) considered it to be the language connected to South Caucasian (Kartvelian) tribes and creating a special group – the so-called Asia-Minor or Aegean-Asia-Minor language group (Kvashilava 2011:228, 229; Kvashilava 2017a:66ff.).

Traces of these earlier languages of the indigenous population of the Aegean, Asia Minor and Caucasian regions appear in the form of a substratum to the whole structure and lexicon of the dialects brought by the new settlers (Gamkrelidze and Ivanov 1995, I:782).

LA is the substratum language of clay tablets and other inscriptions that have been found in many parts of Crete and Aegean islands (Chadwick 1976:4). The substratum is obviously linked to early Minoan culture and possibly to the inscriptions

written in LA and other very early writing systems of the eastern Mediterranean world (Gamkrelidze and Ivanov 1995, I:796).

A number of Greek words of unknown etymology have unambiguous parallels with Kartvelian in the light of recent research, which is supported by linguistic contacts in an ancient period between Greek and Kartvelian dialects (Gamkrelidze and Ivanov 1995, I:799).

2. About Kartvelian Languages and CK Ancestor Language

Linguistic research made by G. Deeters, Th. Gamkrelidze and G. Machavariani (Gamkrelidze and Machavariani 1965:3 ff.; Gamkrelidze 1966:69) showed that the languages spoken in Georgia – and now also on the territory of Turkey – are affiliated languages: Georgian, Svan, Megrelian and Laz are of the common origin; they are called the South Caucasian / Kartvelian languages. The term was introduced by H. Schuchardt.

The pioneers of Kartvelology G. Rosen, M. Brosset, A. Tsagareli, N. Marr, and others studied separate Kartvelian languages with the comparative method and showed regular phonemic correspondences between them. Basing on these phonemic correspondences it is declared that Kartvelian languages developed from the common language – the CK (Gamkrelidze and Machavariani 1965:4; Gamkrelidze 2008:30).

Nominal and verbal archetypes of CK can be reconstructed only if regular phonemic correspondences are attested between root and affixal morphemes (Gamkrelidze 2008:26).

The detailed research was carried out and its results were published by Th. Gamkrelidze and G. Machavariani (Gamkrelidze and Machavariani 1965; Gamkrelidze 2008:24–57, 85–88). The comparative method and the method of internal reconstruction applied to the material of Svan, Georgian, Megrelian and Laz resulted in the presentation of the typology of the morphophonemic system of the CK language, and diachronic transformations of its patterns in the affiliated Kartvelian languages. Regular phonemic correspondences in the phonological and morphophonological patterns of these languages were presented in detail by the authors.

The alternative variant of the scheme of the diachronic development of Kartvelian languages earlier suggested by G. Deeters (comp. Fähnrich 2007:5) was presented by Th. Gamkrelidze and G. Machavariani (Gamkrelidze and Machavariani 1965:16; Gamkrelidze 2008:87). In consequence of linguistic changes, the CK ancestor language developed into two branches (see Fig. 1): Svan and Common Colchian-Georgian unity, which was later divided into two independent language systems that were presented by Colchian and Georgian dialects; still later Megrelian and Laz were generated from the Colchian branch.




Fig.1. The Scheme of the Origin of Kartvelian Languages

Old Cretan syllabic inscriptions of LA are deciphered by me as the patterns of the CK language.

3. Examples of Deciphering Linear A Inscriptions

Linguistic material is one of the most important arguments for the verification of any decipherment. I am happy to say that in the case of the LA, the well-studied linguistic material wholly supports my reading (see: Kvashilava 2011-2020, <https://tsu-ge.academia.edu/GiaKvashilava>).

The following sequences that were reconstructed for the CK language by linguists (Vogt 1961; Schmidt 1962; Gamkrelidze 1966; Gamkrelidze and Machavariani 1965; Klimov 1998; Fähnrich 2007, and others) are given in the texts of the LA.

Some of the deciphered Common Kartvelian (CK) LA words are the following:

3.1. Of special interest are the LA sequences of signs $\text{𐀓}+$ and $\text{𐀖}+$ seen here.

The LA script signs 𐀓 , $+$, and 𐀖 are considered to be identical to the corresponding signs of LB. I consider these signs to be identical to the corresponding LB syllables deciphered by M. Ventris: 𐀓 [ku], $+$ [ro], and 𐀖 [ki] (Ventris and Chadwick 1973: 23). The LA sequences of signs $\text{𐀓}+$ and $\text{𐀖}+$ are thus read as [ku-ro] and [ki-ro].

Below are the words denoting arithmetic operations in LA inscriptions: $\text{𐀓}+$ [ku-ro / *ku-roj], $\text{𐀖}+$ [ki-ro / *ki-loj], $\text{𐀖}𐀓$ [ki-ri-si / *ki-li-si], $\text{𐀖}𐀓$ [ki-ri-ta₂ / *ki-li-taj], and $\text{𐀙}𐀓$ [sa-ra₂ / *sa-raj]. I connect the LA sign-sequence $\text{𐀙}𐀓$ [sa-ra₂ / *sa-raj] to the Sumerian 𐎶 [šar₂] – “totality”. Semantic interpretation of ku-ro / *ku-roj, ki-ro / *ki-loj, ki-ri-si / *ki-li-si, ki-ri-ta₂ / *ki-li-taj, and sa-ra₂ / *sa-raj forms is presented as CK archetypes:

- *k'ur-oj – “to bind, gather, collect, add”;
- *k'ir-oj / *k'il-oj – “fault, defect; to subtract, lessen, diminish, cut off”;
- *k'ir-is-i / *k'il-is-i – “deficiency”;
- *k'ir-it^h-aj / *k'il-it^h-aj – “less”;
- *sar- / *swar⁻¹ / *sur- / *sr- – “complete, completely, all; total, totality” (comp. Kvashilava 2019a:13, 18).

¹ According to T. Gamkrelidze and G. Machavariani (Gamkrelidze and G. Machavariani 1965:98, 306, 368; Gamkrelidze 1966:80), the non-syllabic *w variant of the labial /w/, being an independent unit, merges with the simple consonant C, which results in the most

The reconstructed root morpheme *k'ur-, *k'ir- / *k'il-, and *sar- / *swar- are of CVS- structure. These phonemic structures are canonical forms of CK morphemes (comp. Gamkrelidze and Machavariani 1965:304, 318, 368).

These sequences display regular phonological and semantic relations to Kartvelian materials.

Concerning the word ku-ro, J. Chadwick (Chadwick 1970:154 ff.) writes: “The meaning of one Linear A word is certain: ku-ro is the word which introduces totals, and must mean something like ‘total’ or ‘so much’. If we could find such a word in a known language, the problem of LA might be solved”.

The reading of the LA sign-sequence $\uparrow\uparrow\gg\uparrow$ is given below. The LA signs \uparrow , \uparrow , \gg and \uparrow are read as the syllables po, to, ku and ro, which, as expected, coincides with the phonological values of the corresponding signs of LB (Kvashilava 2017b:858).

So, the LA sign-sequence $\uparrow\uparrow\gg\uparrow$ is thus read as po-to-ku-ro / *po-to-ku-roj. Semantic interpretation of the sequence po-to-ku-ro / *po-to-ku-roj is presented as CK archetypes:

*p^hot^h-oj – “widely (adj.), general”;

*k'ur-uj – “to bind, gather, collect, add”;

*p^hot^h-o-k'ur-uj – “the general, whole sum, grand total” (Kvashilava 2017b:858).

The reconstructed root morphemes *p^hot^h-, and *k'ur- are of CVC- structure; suffixal morpheme *-o / *-oj is of -V/-VS structure. These phonemic structures are canonical forms of CK morphemes (comp. Gamkrelidze and Machavariani 1965:304, 318, 368).


These sequences display regular phonological and semantic connections to Kartvelian materials.



3.2. Below the readings of vessel names – sign-sequences $\oplus\wedge$, $\otimes\bar{\uparrow}$, $\oplus\Upsilon$, $\oplus\upmu$, and $\oplus\updownarrow$ of the LA inscription are given.








The following signs \oplus , \wedge , $\bar{\uparrow}$, Υ , \upmu , and \updownarrow are read by me as being identical to M. Ventris’s reading of the corresponding signs of LB: \oplus [ka], \wedge [ti], $\bar{\uparrow}$ [di], Υ [sa], \upmu [se], and \updownarrow [si].






E. Peruzzi (Peruzzi 1956:166) and G. Neumann (Neumann 1961:175–177) connected the LB sequence $\oplus\wedge\updownarrow$ [ka-ti VASE] – “hydria, a water vessel” to the LA sequence $\oplus\wedge$ [ka-ti / *kwa-ti] (comp. Chadwick 1970:117; Ventris and Chadwick 1973:227; Chadwick and Baumbach 1963:209). I connect the LA sign-sequence $\oplus\wedge$ [ka-ti / *kwa-ti] to the Cypriot syllabic script $\uparrow\updownarrow\upmu$ [ka-to-se] – “cup for water



frequent and natural cluster C+w. According to morphonologic structure, this is functionally equal to the single consonant phoneme.




or wine”; the Egyptian  [kt] – “cup, goblet; kettle”; the Pre-Greek κύαθος – “ladle for drawing wine”; κάθιδου – “vessels (Arcadian)”; κηθίς – “ballot box, dicebox”; κοτύλη, κότυλος – “bowl, dish, small cup, goblet”; the Latin catillus – “bowl, dish” (Kvashilava 2017c:109, 110).

R. Beekes (Beekes 2010, I:684–685, 812) thinks that  [ka-ti] is of Pre-Greek origin. He connects the LB word  [ka-ti] to the Pre-Greek κάθων – “name of Laconian drinking utensils”, “drinking-bout”, which he connects to the Kartvelian k’ut’-oj – “a small iron flagon” and k’ot’-o – “clay pot” (comp. Fähnrich 2007:260).













I connect the LA sign-sequence  [ka-di / *kwa-di · WINE] to the Pre-Greek κάδος – “vessel for wine and other fluids, a liquid measure”; the Pre-Greek κάδη – μέγα ξύλινον βυτίον; the Egyptian  [kztw] – “pot, vessel”; the Egyptian  [qd] – “pot”. I connect the LA sign-sequence  [ka-si / *kwa-si] and  [ka-sa / *kwa-sa] to the Sumerian  [DUGka-a-su] – “goblet, bowl”; the Hittite  [DUGka-az-zi] – “a container for liquids” (comp. Kvashilava 2018a:179, 180).






I interpret the LA sign-sequences  [ka-ti / *kwa-ti],  [ka-di / *kwa-di],  [ka-si / *kwa-si],  [ka-se / *kwa-se], and  [ka-sa / *kwa-sa] as CK archetypes *k’at’- / *k’wat’-, *k’ad’- / *k’wad’-, k’as’- / *k’was’- – “vessel”. The reconstructed root-morphemes *k’at’- / *k’wat’- / *k’ad’- / *k’wad’- / k’as’- / *k’was’- and the suffixal morpheme *-i/*-e/*-a are respectively of CVC- and -V structural types, which represent canonical forms of CK morphemes (comp. Kvashilava 2017c:111; Kvashilava 2018a:180).



The study of Kartvelian data fully supports the decipherment and interpretation of the sign-sequences  [ka-ti] and  [ka-di] of CK (Kvashilava 2017c:108–114; Kvashilava 2018a:177–185).

Below the readings of vessel names – sign-sequences  [WINE di-di-ka-se],  [pi-ta-ka-se · TE · BARLEY], and  [pa-ta-qe VASE] of the LA inscription are given. Semantic interpretation of the sequences di-di-ka-se / *di-di-ka-sej, pi-ta-ka-se / *pi-ta-ka-sej, and pa-ta-qe / *pa-ta-qej are presented as CK archetypes:




- did-i – “big”;
- p’it’-a- / p’at’-a- – “small”;
- k’as-e / *k’was-ej – “barrel, cask”;
- did-i-k’as-e / *did-i-k’was-ej – “a big barrel, cask”;
- p’it’-a-k’as-e / *p’it’-a-k’was-ej – “a small barrel, cask”;
- p’at’-aq-e / *p’at’-aq-ej (-aq – a diminutive suffix) – “a tiny vessel” (comp. Kvashilava 2017d:24, 27).

The interpretation of the sequence  [qa-pa₃] is proved to be a CK archetype – the word for a wine-vessel; this is the pattern displaying the regular phonological and semantic correspondence with the Kartvelian material (see Kvashilava 2018b). The stem qap- with the meaning of “vessel” is reconstructed for the languages of different families (Kvashilava 2018b:458–459). The following sequence of signs , , and  is written above the vessel ideogram  VASE in the second line of the LA inscription on clay tablet HT 31 (HM 19). The last sign of the inscription denotes the natural number 10 (Kvashilava 2017b:857). In this inscription the sequence  is deciphered as [qa] and [pa₃] syllables, which coincides with the phonemic reading of  and  syllables of the LB inscription (comp. Ventris and Chadwick 1973:385). According to M. Ventris and J. Chadwick (Ventris and Chadwick 1973:81, 77, 527), the following phonetic units are attested in LB texts: the labiovelar q=[*kw] and the diphthong a₃=[*aj]. The corresponding signs of LA script  [qa] and  [pa₃] are consequently reproduced as [*kwa] and [*paj] syllables, and the sequence of the signs  [qa-pa₃] is read as [*kwa-paj] archetype. It has been stated in linguistic researches (Ventris and Chadwick 1973:323; Gordon 1958:247, and others) that  [qa-pa₃] sequence is the name of the “vessel” (“pot” or “cup”).

I connect the LA sign-sequence  [qa-pa₃] to the LB  [ku-pe-ra] – κύπελλα, “drinking cups”; the Pre-Greek κάβος – “measure of grain”; the Egyptian  [kby] – “jar for beer”; the Hittite  [^{DUG}kap-pí] – “bowl”; the Urartian  [ka-pi] – “dry measure” (Kvashilava 2018b:458–459).

  sequence of VASE qa-pa₃ / [*kwa-paj] is shown by me as corresponding to the CK archetype [*k'wap'-aj], which is the word for the wine-vessel (Kvashilava 2018b:456–457). The reconstruction of the given sequence as an archetype of the CK parent language is given below according to the linguistic material given by Th. Gamkrelidze and G. Machavariani (Gamkrelidze and Machavariani 1965; Gamkrelidze 1966).

As already mentioned, the above linguistic material supports the postulation of the transformations undergone by the CK root patterns in linguistically attested Georgian and its dialects, Megrelian, Laz and Svan language forms. As the sample of the linguistic-comparative analysis, the Kartvelian stem k'op'- has been reconstructed in the sequence *k'wap'-aj and its allophones on the CK level (Kvashilava 2018b:457).

3.3. The sequence of  and  signs is read as [mi-ta] (also attested in LB  [mi-ta PE], Pre-Greek μίνθα, μίνθη, μίνθος, καλαμίνθη, καλαμίνθα, καλάμι-

vθoc). $\omega\zeta$ [mi-ta] is presented as CK archetype *mit^h-aj denoting the name of a plant which displays regular phonological and semantic correspondence with the Kartvelian material. mi-ta is semantically interpreted as CK archetype *mit^h-aj the meaning of which is grass-like, herbaceous plant for seasoning, Megrelian $\text{?val-mint}^h\text{-a}$, Laz $\text{mint}^h\text{-a}$, Svan mint^hw , mint^hv , Georgian *mint^h-a – “mint” (Kvashilava 2021:45–47, 49).

This archetype phonologically as well as semantically regularly corresponds to the Kartvelian material. The archetype *mit^h-aj is structurally of CVC-VC type, which is the main canonical form of the CK language. The study of Kartvelian language material confirms the reading of Linear A sequence $\omega\zeta$ [mi-ta] in the CK language (Kvashilava 2021:51).

3.4. My reading of the LA sequence of signs $\text{𐀓} \oplus \text{𐀚} \text{𐀓}$ is given below. This is deciphered by me as ma-ka-ri-te / *ma-ka-ri-tej. It is well known that *m- is a Kartvelian prefix; -ak(a)r- corresponds to the Kartvelian root *-ak^hr- / *-agr-; *-it^h / *-et^h is the Kartvelian toponym-deriving suffix; the suffixal allomorph *-ej I consider to be the nominative case ending (comp. Gamkrelidze and Machavariani 1964:229 ff., 307). The word $\text{𐀓} \oplus \text{𐀚} \text{𐀓}$ [ma-ka-ri-te / *ma-ka-ri-tej] apparently denotes the Pelasgian toponym – a. “island of Macris (Euboea) – the habitation of Macrians”; b. “a Colchian person” (Kvashilava 2011:259–262).

D. Packard (Packard 1974:148) connected $\text{𐀓} \oplus \text{𐀚} \text{𐀓}$ [ma-ka-ri-te] to the LB $\text{𐀓} \text{𐀚} \text{𐀓} \text{𐀚}$ [ma-ki-ro-ne / *Μάκρωνες], which, to my mind, denotes the Pelasgian-Colchian tribal name – “Macrones”.

Below I present the reading and identification of the LA sign-sequence $\text{𐀓} \Psi \text{𐀚}$. As is well known, the LA signs 𐀓 , Ψ and 𐀚 are similar to the signs of the LB.

According to the data, the LA sign-sequence $\text{𐀓} \Psi \text{𐀚}$ is read as pa-i-to / *pa-j-toj² (Kvashilava 2019b:84–85). The toponym and anthroponym $\text{𐀓} \Psi \text{𐀚}$ is read by M. Ventris as the Pre-Greek pa-i-to, reconstructed as *p^ha-i^stos, which is attested in LB inscription as meaning “Phaistos” (Ventris and Chadwick 1973:32, 146, 202, 567; Chadwick and Baumbach 1963:252; Beekes 2010, II:1547). The CK archetype *p^has₁t^h-oj (reconstructed by me) allows the LA phonemic reading *pa-j-toj through the change: *s₁ > j. Later j > Ø (zero), which results in *p^hajt^h- > *p^haot^h- > *p^hat^h- form of the root (Kvashilava 2019b, 91–92). According to the Kartvelian process, *a > o, *p^hat^h- changes to p^hot^h-, the meaning of which is the toponym p^hot^h-i – “Phasis” or “Poti” (see Vogt 1961:9; Schmidt 1962:27).

The reading of the LA sequence of signs $\text{𐀓} \text{𐀚} \text{𐀚}$ is given below. The LA signs 𐀓 , 𐀚 , and 𐀚 are read as [ku], [da], and [ra] syllables (Kvashilava 2010:320;

² In CK, the unstressed [j] in V-C position alternates freely with [i] (comp. Gamkrelidze and Machavariani 1965:67 ff., 69).

Kvashilava 2011:268; Kvashilava 2015:8–11), which, as expected, coincides with the phonological values of the corresponding signs of LB. D. Packard (Packard 1974:146) believed that the LA sequence **𐌕𐌕𐌃𐌃𐌃** [ku-ku-da-ra / *ku-ku-da-raj] was related to the LB words – **𐌕𐌕𐌃** [ko-ki-da / *ko-ki-das] and **𐌕𐌕𐌃𐌃** [ko-ki-de-jo / *ko-ki-de-jos], which were read by M. Ventris and J. Chadwick (Ventris and Chadwick 1973:365 ff., 372) as *Κολχίδας [*Kolkhídas] and *Κολχίδειος [*Kolkhídeios] (Kvashilava 2015:10, 11). These words were read by O. Landau (Landau 1958:72), S. Hiller (Hiller 1991:214), T. Gamkrelidze (Gamkrelidze 2014:260), L. Gordeziani (Gordeziani 2012:76–77), and others as “Colchis” (a personal name) and “Colchian”.

Phonetic processes that explain phonic differences between the LA sequence **𐌕𐌕𐌃𐌃𐌃** [ku-ku-da-ra / *ku-ku-da-raj] and the Kartvelian form *k’ulkhud-ar-aj / *k’olkhod-ar-aj / *k’olkhid-ar-aj reconstructed by me are given here (Kvashilava 2011:268, 269).

The roots with the vowel [o] are few in Kartvelian; the manifestation of the phoneme /*o/ must have been extremely rare (Gamkrelidze and Machavariani 1964:146). Similarly rare is [o] in the inscriptions of the Phaistos Disk (see Kvashilava 2008:257) and in LA. Instead of [o], these inscriptions use [u]. The syllables with sonant [l] (la, le, li, lo, lu) are not presented in LA and LB – [l] is either omitted or changed by [r] or Ø. I suppose that the reconstructed CK [*o] of the second syllable is manifested as *o > *u > i in LA (comp. Gamkrelidze and Machavariani 1964:332–333, 335, 338). The Kartvelian derivational suffix *-ar denoting the place of origin remained unchanged (comp. Gamkrelidze and Machavariani 1964:307, 76₃; Fähnrich 2007:147). The suffixal allomorph *-aj I consider to be the nominative case ending (comp. Gamkrelidze and Machavariani 1964:307).

The word **𐌕𐌕𐌃𐌃𐌃** [ku-ku-da-ra / *ku-ku-da-raj] of the LA inscription is read by me as *k’ulkhudaraj / *k’olkhodaraj / *k’olkhidaraj – “a Colchian person” (comp. LB **𐌕𐌕𐌃𐌃** [ku-ka-da-ro] – *Κυλχάδαρος [*Kulkhádaros]) (comp. Kvashilava 2011:268, 269; Kvashilava 2015:10).

The sign-sequence **𐌕𐌕** given in Linear A inscriptions is also of great interest. Consequently, I read **𐌕𐌕** as [a-ja], because the LA script signs **𐌕** and **𐌕** are identical to the corresponding LB syllabic signs: **𐌕** [a] and **𐌕** [ja] (see Kvashilava 2010:305 ff.; Kvashilava 2015:5–6).

The LA sign-sequence **𐌕𐌕** is thus read as [a-ja] – “Aea”.

The semantic parallels to “Aea” are presented below (Kvashilava 2010:307–310; Kvashilava 2015:8, 11–14):

- a. A town in Thessaly, the ancient region of Greece, inhabited by Pelasgians; a town of Colchis;
- b. The old name of the country of Colchis;

- c. According to Greek sources Aea means “land”, “the earth”;
- d. Aea was the nymph of a spring loved by the Colchian river-god Phasis;
- e. The LB sign-sequence 𐀓𐀓 [a₃-wa / *ai-was > aias]³ read as “Aeas” – possibly a nickname of an ox (Chadwick and Baumbach 196:168; Ventris and Chadwick 1973:104, 537).

The LA inscription 𐀓... 𐀓.𐀓𐀓... is read by me as [... *ja ... -ja ja-wa-]. It is a religious refrain that might be connected to the cult of the deity “Aea” (name of the earth goddess?) (Kvashilava 2010:306–307; Kvashilava 2015:6–7).

The reading of the LA sequences of signs 𐀓𐀓, and 𐀓𐀓𐀓 is given below. The LA signs 𐀓, 𐀓, 𐀓, 𐀓, and 𐀓 are read as [ku], [ta], [ra], [*swi] and [ti] syllables, which, as expected, coincides with the phonological values of the corresponding signs of LB. The LA sequence 𐀓𐀓 [ku-ta] – “Cyta” was related to the LB words: 𐀓𐀓𐀓𐀓 [ku-ta-i-jo] – Κύταιον; 𐀓𐀓𐀓𐀓 [ku-ta-si-jo] – *Κυταίσιος; 𐀓𐀓𐀓 [ku-ta-to]; 𐀓𐀓𐀓 [ku-ta-i-to]; 𐀓𐀓 𐀓 [ku-to MAN 1]. 𐀓𐀓 [ku-ta] – “Cyta” is a Cretan place name / an anthroponym. The LA sequence 𐀓𐀓𐀓 [ra-*swi-ti / *la-swi-ti] was related to the LB word 𐀓𐀓𐀓 [ra-su-to / *la-su-to] – “Lasithi / Lasethi”. It is the regional unit on the island of Crete.

Conclusion

The presented decipherment of LA sequences in CK is richly supported by linguistic material.

1. The words for the operations on numerals: (addition) ku-ro – “to bind, gather, collect, add”; po-to-ku-ro – “the general, whole sum, grand total”; sa-ra₂ (Sumerian šar₂) – “complete, completely, all; total, totality”; (subtraction) ki-ro – “fault, defect, subtract, lessen, diminish, cut off, decrease, reduce”; ki-ri-si – “deficiency”, and ki-ri-ta₂ – “less” are proved to be CK.

2. The names of vessels for liquid: ka-ti (also attested in LB, Cypriot syllabic script ka-to-se) – “jug”; ka-di (Pre-Greek κάδος, κάδη) – “jug”; ka-sa, ka-si (Sumerian ka-a-su, Hittite ka-az-zi) – “barrel”; di-di-ka-se – “a big barrel, cask”; pí-ta-ka-se

³ LB signs 𐀓𐀓 [a₃-wa-ja / ai-wa-ja > aiaia] were read by M. Ventris and J. Chadwick (Ventris and Chadwick 1973:101, 104, 537; Chadwick and Baumbach 1963:168) as “Aeaea”, a god’s slave, a feminine anthroponym; “Aeaea” – “an epithet of Circe and Medea” (Kvashilava 2015:8). The following forms are attested in LB texts: 𐀓𐀓𐀓 [ai-wa-ta], 𐀓𐀓𐀓 [ai-wa-to] – “Aeētes”; 𐀓𐀓𐀓 [i-wa-so] – “Jason”; 𐀓𐀓𐀓 [me-de-i-jo] – “Medius / Medeios”; 𐀓𐀓 𐀓 [ko-wo HIDE] – “fleece”; 𐀓𐀓 [ka-ra-i] – “Calais”; 𐀓𐀓𐀓 [te-se-u] – “Thēseus”; 𐀓𐀓 𐀓 [de-u-ka-ri-jo] – “Deucalion”; 𐀓𐀓 [a-ka-to] – “Acastus” etc.

– “a small barrel, cask”; pa-ta-qe – “a tiny vessel”, and qa-pa₃ (Hittite kap-pí, Urartian ka-pi, Pre-Greek κάβος) – “pot, vessel” are CK archetypes.

3. The name of a plant mi-ta (also attested in LB, Pre-Greek μίνθα, μίνθη, μίνθος, καλαμίνθη, καλαμίνθα, καλάμινθος) – “mint” is of CK.

4. The toponyms / anthroponyms: ma-ka-ri-te – “the island of Macris or Euboea” (the territory of the Macrean / Macrones tribe attested in ancient Greek texts, LB ma-ki-ro-ne – *Μάκιρωνες); pa-i-to (mentioned in LB) – “Phaistos”; ku-ku-da-ra (also attested in LB ku-ka-da-ro – *Κυλχάδαρος; ko-ki-da – Κολχίδας; ko-ki-de-jo – *Κολχίδειος; ko-ki-jo – Κόλχιος) – “a Colchian person”; a-ja (also attested in LB ai-wa, ai-wa-ja) – “Aea”, and ku-ta- (also attested in LB ku-ta-i-jo – Κύταιον; ku-ta-si-jo – *Κυταίσιος; ku-ta-to; ku-ta-i-to; ku-to VIR 1) – “Cyta” (Cretan place name / anthroponym); ra-*swi-ti (mentioned in LB ra-su-to / *la-su-to) – “Lasithi / Lasethi” (Cretan place name) are of CK origin.

All the above stems also display regular phonological and semantic relations to Kartvelian materials. Root morphemes are of CVC- structure, suffixal morpheme is of -VC/-V structure. These phonemic structures are canonical forms of CK morphemes.

References

Beekes 2010: R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, 1-2 Vols, Leiden: Brill.

Chadwick 1970: J. Chadwick, *The Decipherment of Linear B*, 2nd Ed. Cambridge: Cambridge University Press.

Chadwick 1976: J. Chadwick, *The Mycenaean World*, Cambridge: Cambridge University Press.

Chadwick and Baumbach 1963: J. Chadwick and L. Baumbach, The Mycenaean Greek Vocabulary, *Glotta*, Vol. 41, Issue ¾, pp. 157-271.

Fähnrich 2007: H. Fähnrich, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Leiden: Brill.

Gamkrelidze 1966: T. V. Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, *Language*, Vol. 42, №1, pp. 69-83.

Gamkrelidze 2008: T. V. Gamkrelidze, *Language & the Linguistic Sign (Selected Writings)*, Tbilisi: Georgian National Academy of Sciences (in Georgian).

Gamkrelidze 2014: T. V. Gamkrelidze, *Language, History, Culture (Selected Writings, Talks, Interviews)*, Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University (in Georgian).

Gamkrelidze and Ivanov 1995: T. V. Gamkrelidze and V. V. Ivanov, *Indo-European and the Indo-Europeans: A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture*, I and II Parts, Berlin: Mouton de Gruyter.

Gamkrelidze and Machavariani 1965: T. V. Gamkrelidze and G. I. Machavariani, *The System of Sonants and Ablaut in Kartvelian Languages: A Typology of Common Kartvelian Structure*, Tbilisi: Metsniereba Publishers (in Georgian and Russian).

- Godart and Olivier 1985:** L. Godart and J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, Vol. V, Paris: Librairie Orientaliste Paul Geuthner.
- Gordeziani 2012:** L. Gordeziani, *Studies in Ancient History*, 2nd Ed., Tbilisi: Program “Logos” (in Georgian).
- Gordon 1958:** C. H. Gordon, Minoan Linear A, *Journal of Near Eastern Studies*, Vol. XVII, Issue 4, pp. 245-255.
- Hiller 1991:** S. Hiller, The Mycenaean and the Black Sea, *Aegaeum*, №7, pp. 207–216.
- Klimov 1998:** G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin: Mouton de Gruyter.
- Kvashilava 2008:** G. Kvashilava, On the Phaistos Disk as a Sample of Colchian Goldscript and its Related Scripts, *Studies in History and Ethnology*, Vol. X, pp. 242-308.
- Kvashilava 2010:** G. Kvashilava, On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and of Related Scripts (2): Rosette, *Studies in History and Ethnology*, Vol. XII, pp. 237-362.
- Kvashilava 2011:** G. Kvashilava, Decipherment of the Inscriptions of Linear A and Its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language, *Studies in History and Ethnology*, Vol. XIII, pp. 227-310.
- Kvashilava 2015:** G. Kvashilava, Aea, Aeaëa, Aeëtes, and Colchis in Ancient Inscriptions, *Kartvelology*, Vol. 4, pp. 5-18 (in Georgian).
- Kvashilava 2017a:** G. Kvashilava, On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language, *AICSSH 2017(Cambridge) Conference Proceedings*, University of Cambridge, May 22-24, 2017, pp. 65-73.
- Kvashilava 2017b:** G. Kvashilava, On the Decipherment of Linear A Inscriptions in the Common Colchian Language: Mathematics, *ISTEC 2017 America Proceedings Book*, Harvard University, August 16-18, 2017, pp. 856-864.
- Kvashilava 2017c:** G. Kvashilava, On Reading the Vessel Name – ka-ti of Linear A Inscription on Tablet HT 63, *Issues of Linguistics – 2016*, pp. 108-118.
- Kvashilava 2017d:** G. Kvashilava, On Reading of the Linear A Inscriptions on ZA Zb 3 Pithos and HT 21 (HM 28) Clay Tablet in the Common Kartvelian language, *Kartvelology*, Vol. 5, pp. 20-30 (in Georgian).
- Kvashilava 2018a:** G. Kvashilava, On Reading and Identifying the Vessel Name ka-di of Linear A Clay Tablets ZA 4 and ZA 15, *Issues of Linguistics –2017*, pp. 177-185.
- Kvashilava 2018b:** G. Kvashilava, *On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language: qa-pa₃ – a Vessel for Liquid*, *Proceedings Book*, ISTEC, Paris, July 18-20, 2018, pp. 451-462.
- Kvashilava 2019a:** G. Kvashilava, On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language: ku-ro and ki-ro, *ATINER’s Conference Paper Proceedings Series*, Athens Institute for Education and Research, Athens, 2019, pp. 1-22.
- Kvashilava 2019b:** G. Kvashilava, On Phaistos, Hephaistos, Phusta and Phasis, *Kartvelology*, Vol. 3, pp. 5-19 (in Georgian, Summary in English).
- Kvashilava 2021:** G. Kvashilava, On Reading Linear A Sequence mi-ta, *Issues of Linguistics – 2020*, pp. 44-56 (in Georgian, Summary in English).

- Landau 1958:** O. Landau, *Mykenisch-Griechische personennamen*, Göteborg: Almqvist & Wiksell.
- Neumann 1961:** G. Neumann, Weitere mykenische und minoische Gefäßnamen, *Glotta*, Vol. XXXIX, Issue ¾, pp. 172-178.
- Packard 1974:** D. W. Packard, *Minoan Linear A*, Berkeley: University of California Press.
- Peruzzi 1956:** E. Peruzzi, L'iscrizione PY Tn 996, *Minos*, Vol. IV, pp. 165-166.
- Schmidt 1962:** K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden: Kommissionsverlag Franz Steiner GMBH.
- Ventris and Chadwick 1973:** M. Ventris and J. Chadwick, *Documents in Mycenaean Greek*, 2nd Ed., Cambridge: Cambridge University Press.
- Vogt 1961:** H. Vogt, Remarques sur la préhistoire des langues kharthvéliennes". *Bedi Kartlisa (Le Destin de la Géorgie)*, *Revue de Kartvélogie*, Vol. XI-XII, № 36-37, pp. 5-11.

ბიბლიოგრაფია

A კლასის საზოგადოებრივი საერთოქართველური მინაჟი ბაზიფორის შესახებ

ამ ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს გაშიფვრის შედეგები ბრინჯაოს ხანის A კლასის საზოგადოებრივი (LA) წარწერებისა, რომლებიც გავრცელებული იყო ეგეოსის ზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე აღმოაჩინეს პალესტინაში, ბულგარეთსა და საქართველოში.

LA წარწერების ტექსტები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ანგარიშებია, რომლებშიც დასტურდება: ჭურჭელი, ტოპონიმები, ანთროპონიმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (მაგ., მარცვლეული), შინაური ცხოველები, ნატურალური რიცხვები, წილადები და სხვ.

ზოგიერთი გაშიფრული საერთოქართველური LA სიტყვა შემდეგია:

1. რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები: ku-ro – „შეკვრა“, „შეკრება“, „შეგროვება“, „დამატება“; po-to-ku-ro – „ფართო შეკრება“, „საბოლოო ჯამი“; sa-ra₂ (შუმერული šar₂) – „სრული“, „მთლიანად“, „სრულად“, „სულ“; ki-ro – „ნაკლებობა“, „კლება“, „გამოკლება“; ki-ri-si – „კილისა“, „ნაკლისა“, „დანაკლისი“ და ki-ri-ta₂ – „ნაკლითა“.

2. ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელები: ka-ti (აგრეთვე დასტურდება B კლასის საზოგადოებრივი = LB-ში) – „კუთო“, „კოთ“, „კუტალი“; ka-di (წინარებერძული κάδις, κάδι) – „კოლი“; ka-sa, ka-si (შუმერული ka-a-su, ხეთური ka-az-zi) – „კასრი“, „კომი“, „სალვინე ჭურჭელი“; di-di-ka-se – „დიდი კასრი“, „ქვევრი“; pi-ta-ka-se – „პატარა კასრი, ჭურჭელი“; pa-ta-qa – „ძალიან პატარა ჭურჭელი“ და qa-pa₃ (ხეთური kap-pi, ურარტული ka-pi, წინარებერძული κάβος) – „კოპე“, „კოფა“, „კოფი“, „საწყაო“.

3. მცენარის სახელწოდება mi-ta (აგრეთვე დასტურდება LB-ში, წინარებერძული μίνθα, μίνθη, μίνθος, καλαμίνθη, καλαμίνθα, καλάμινθος) – „პიტნა“.

4. ტოპონიმები / ანთროპონიმები: ma-ka-ri-te – „კუნძული მაკრისი“, ანუ „ევბეა“ (პელასგ მაკრიელთა, ანუ მაკრონთა ტომის დასახლება, რომელიც დამოწმებულია ძველ ბერძნულ ტექსტებში, LB-ში დასტურდება ma-ki-ro-ne – *Μάκρωνας); pa-i-to (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „ფესტოსი“; ku-ku-da-ra (აგრეთვე დასტურდება LB-ში ku-ka-da-ro – *Κυκλάδαρος; ko-ki-da – Κοκχίδα; ko-ki-de-jo – *Κοκχίδειος; ko-ki-jo – Κόκχιος) – „კოლხიდელი“; a-ja (აგრეთვე დასტურდება LB-ში ai-wa, ai-wa-ja) – „აია“ და ku-ta- (აგრეთვე დასტურდება LB-ში ku-ta-i-jo – Κύταιον; ku-ta-si-jo – *Κυταίσιος; ku-ta-to; ku-ta-i-to; ku-to VIR 1) – „კუტა-“ / „ქუთა-“; ra-*swi-ti (აგრეთვე დასტურდება LB-ში ra-su-to / *la-su-to) – „ლასითი“, კუნძული კრეტის რეგიონი.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირეული მორფემები ასახავენ რეგულარულ ფონოლოგიურ და სემანტიკურ კავშირებს ქართველურ მსალებთან. ძირეული მორფემები CVC-სტრუქტურისაა, სუფიქსალური მორფემა – -VC/-V სტრუქტურისა. ეს ფონემატური სტრუქტურები საერთოქართველურ მორფემათა ძირითადი კანონიკური ფორმებია.

დისიმილაციური გამჟღავნება სვანურ და ოსურ ენებში

დისიმილაციური გამჟღავნების დროს სიტყვაში შემავალი ორი ან მეტი ყრუ თანხმონიდან ერთ-ერთი მჟღავნდება. მაგალითები: მთიულური – ბატარა < პატარა, ხევსურული – ბაჭიჭი < პაჭიჭი, ოსური – ბიტნა < პიტნა, სვანური – ბაპ < პაპა, დაიჭ < ტაიჭი, ბიფხ < ფიფქი, მადრანჯ < მათრავი და სხვა.

გიორგი ახვლედიანისა და სერგი ჟღენტის მიხედვით, ქართულიდან სვანურში ნასესხებ სიტყვებში ძირითად წმულთა დისტანციური რეგრესულ-დისიმილაციური გამჟღავნების მაგალითებია (ახვლედიანი 1949:385-7; ჟღენტი 1949:167-8):

ბალტო < პალტო,

ბაპ < პაპა,

ბატრონი < პატრონი,

ბანჯ < პანჯი,

ბეტრე < პეტრე,

ბირწამალ < პირწამალი,

გაკ < კაკალი,

გალტეზ < კალატოზი,

გარყანდ /ღარყანდ < ყარყატი,

გატ < ქატო,

გირწყალ < კირწყალი,

გოწხირ < კოწახური,

დაიჭ < ტაიჭი,

ღგტ < ტუტა,

ებისკობოსი < ებისკობოსი,

ლაგურკა < კვირიკე,

მადრანჯ < მათრავი,

ჩაჭარ < ჭაჭები,

ჩანჯ < ჭიკჭიკი;

თუმცა რამდენიმე პროგრესულის მაგალითიც არის:

კრამიდ < კრამიტი,

კუბეც < კუპეცი (რუს. купец),

სდუბანუ < სტეფანე,

ტაბანგ < ტაბაკი,

ყწწჟჷ < ყანჩა,

ყწჟ < ყაჭი,

ჭანრწგან < ჭანრაკია,

ჭწგ < ჭაკი;

ასევეა – ჭიშგარ*, წისგვილ*, ქრისდე, ტაშდ, პრისდაჷ* კოშგ, კოსდა, ტანხდ, რომლებიც კონტაქტური დისიმილაციის მაგალითები უნდა იყოს.

შენიშვნა: ვარსკვლავით მონიშნული სიტყვები ლექსიკონებში არ იძებნება.

ქართულიდან სვანურში ნასესხებ სიტყვებში დისტანციური დისიმილაციური გამჟღერების მაგალითების საფუძველზე გიორგი ახვლედიანი დაასკვნის: „სვანურის ხშულთა დისიმილაციურ გამჟღერებაში მოქმედებს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული გამჟღერება და დისტანციურში ჭარბობს რეგრესული, ხოლო კონტაქტურში – პროგრესული“ (ახვლედიანი 1999:388).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს უნდა დაემატოს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული დისტანციურ-დისიმილაციური გამჟღერების რამდენიმე ნიმუში.

კერძოდ, პროგრესულის მაგალითებია: ჭაბიგჷ < ჭაბუკი, ჭაგჷ < ჭლაკვი, წიბწრ < წრიპაპი, ჭადრწგ < ჭადრაკი; ხოლო რეგრესულის – ბიწწლ / ბიწწარ / ბირწწლ / < ფიწალი, ბიფხ < ფიფქი, დუხწჷ < თოხლი (სუხიშვილი 2007); ბრატ – სვანურად ნიშნავს ღვედს, სავარაუდოა, რომ ეს სიტყვა ძველი ქართულიდან შესულია სწორედ მკვეთრი თანხმოვნით, რადგან ძველ ქართულში *მეჭრატაკე*, რომელიც *მეტყავეს*, *დაბალს* ნიშნავს, სემანტიკურად ღვედთან ძალიან ახლოს არის.

თუ არ ჩავთვლით საეჭვო მაგალითებს, უფრო ზუსტად, არასალექსიკონო ფორმებს და ვარლამ თოფურიასა და სერგი ჟღენტის მიერ ნაგულისხმევ კონტაქტური დისიმილაციის შემთხვევებს, დარჩება რამდენიმე სიტყვაფორმა, სადაც თითქოს დისტანციური პროგრესულ-დისტანციური გამჟღერება გვაქვს: ჭაბიგჷ, ჭაგჷ, წიბწრ, ყწწჟჷ, ჭანრწგან, ჭადრწგ, ტაბწგ.

ამ შვიდი მაგალითიდან რეგრესული დისიმილაციის განუხორციელებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით: ა) როდესაც პირველი თანხმოვანი არის აფრიკატი წ ან ჭ, მათი გამჟღერების „ხელის შემშლელი“ შესაძლოა იყოს ის, რომ გლოტალიზაცია აფრიკატებისათვის უფრო ბუნებრივი ნიშანია, ვიდრე მჟღერობა. ბ) პირველი თანხმოვანია ყ, მისი გამჟღერება შეუძლებელია, რადგან სვანურში შესატყვისი მჟღერი არ არსებობს და, როგორც ჩანს, არც არსებობდა. გ) ხოლო -აკ მიმდევრობაში ხშულის გამჟღერება შეიძლება ანალოგიური იყოს ძველი და საშუალო სპარსულიდან ქართულში შემოსულ სიტყვებში ბოლოკიდური ყრუ ველარის გამჟღერების მაგალითებისა, სადაც უფრო სავარაუდოა პროგრესული ასიმილაცია:

ფარდაგ-ი < pārdak, ამხანაგ-ი < hamxānak, ნიადაგ-ი < nihātak და სხვა (ანდრონიკაშვილი 1966:192, 196, 197). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში

სპარსულიდან შემოსული სიტყვების ცვლილებები ხშირად მკაცრ კანონზომიერებებს არ ექვემდებარება და ერთმნიშვნელოვანი ახსნა ზოგჯერ ჭირს.

სხვა ტიპის მაგალითია – **კუბეც < კუბეცი**. გ. ახვლედიანის მიხედვით, ინტერვოკალური ხშულის გამჟღერებას იწვევს თავიკიდური აბრუპტივი (პროგრესული დისიმილაცია), ხოლო ს. ჟღენტი აზრით, რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე განმსგავსება ხდება ბოლოკიდურ ფშვინვიერსა და ინტერვოკალურ მკვეთრს შორის (ახვლედიანი 1999:387; ჟღენტი 1949:168). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითში შესაძლებელია, ორივე მიმართულების დისიმილაცია მოქმედებდეს.

რაც შეეხება ოსურ ენაში ქართულიდან შესულ სიტყვებში დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევებს, აქ 29 მაგალითიდან მხოლოდ ერთი დისტანციური პროგრესული დისიმილაციის ნიმუშია: ქართ. **ტაფა** – ოს. **თაბა**. მზია ანდრონიკაშვილის აზრით, ეს სიტყვა ქართულში სპარსულიდან უნდა იყოს ნასესხები (tāpak – „ტაფა“), ამიტომ ოსურში, როგორც ირანული ჯგუფის ენაში, ის, დასაშვებია, ქართულიდან არ იყოს შესული. პროგრესული დისიმილაცია უმეტეს შემთხვევაში ხდება მკვეთრებს შორის; რამდენიმე – ფშვინვიერებსა და ფშვინვიერსა და მკვეთრს შორის და ერთი მკვეთრსა და ნაპრალოვანს შორის.

მამასადაძე, **დასკენის** სახით შეიძლება ითქვას, რომ სვანური და ოსური ენებისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია თანხმოვანთა დისტანციური რეგრესული დისიმილაციური გამჟღერება და უმრავლეს შემთხვევაში განმსგავსება ხდება ორ მკვეთრს შორის; სვანურში მოქმედებს მარტივი წესები: პროცესი ყოველთვის **რეგრესულია**, თუ დისიმილაციურ პროცესში მონაწილეობს ერთი და იმავე რაგვარობის ორი თანხმოვანი (ორივე *მსკლომი ან ორივე აფრიკატი*), ან პირველი თანხმოვანია მსკლომი და მეორე კი აფრიკატი. ამ წესიდან გადახვევა – პროგრესული დისიმილაცია – ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი თანხმოვანი **წ, ჭ** აფრიკატია ან **ყ** მკვეთრი, რომლის გამჟღერება შეუძლებელია. მამასადაძე, გლოტალიზებული აფრიკატი არ ექვემდებარება მჟღერი ხშულ-მსკლომის რეგრესულ-დისიმილაციურ გავლენას, რადგან გლოტალიზაციის ნიშნისათვის აფრიკატობა „ხელსაყრელი“ პირობაა, ვიდრე ხშულ-მსკლომობა (მელიქიშვილი 1976:102).

ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ლეჟავა 2007:** ი. ლეჟავა, დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში, *ენათმეცნიერების საკითხები I-II*, გვ. 61-64, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მელიქიშვილი 1976:** ი. მელიქიშვილი, *მარკირების მიმართება ფონოლოგიაში*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჟღენტი 1949: ს. ჟღენტი, *სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა)*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
სუნიშვილი 2007: მ. სუნიშვილი, ფშვინვიერ ხშულთა რეგრესულ-დისტანციური დისიმილაციური გამოყვლებისათვის სვანურში, *ენათმეცნიერების საკითხები I-II*, გვ. 71-78, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Ivane Lezhava

Dissimilative Voicing in the Svan and Ossetian Languages

Summary

As a result of non-contiguous dissimilative voicing of the consonants one of the two voiceless stops becomes voiced. In dissimilative voicing of the Svan consonants regressive as well as progressive voicing occurs. Non-contiguous dissimilation is mostly regressive, whereas juxtapositional (contiguous) dissimilation is mostly progressive. Among the Ossetian words borrowed from Georgian, out of 29 examples of non-contiguous dissimilative voicing only one represents the sample of non-contiguous progressive dissimilation – Os. t^haba < Geo. t'ap^ha- “frying pan” (M. Andronikashvili, G. Akhvlediani, I. Lezhava, S. Zhghenti, M. Sukhishvili).

The Svan and Ossetian languages are mainly characterized by anticipatory (regressive) dissimilation at a distance, and this process in Svan is very consequent in the structures of the type CVC, CVSC and CSVC, where simple rules apply, in particular: The process is always regressive if two consonants of the same mode of articulation (both plosives or both affricates) take part in dissimilation, or the first consonant is plosive and the second – affricate.

The deviation from this rule for ejectives – progressive dissimilation – takes place only when the first consonant is an ejective **q'** or affricate **c'**, **č'** and the second – an ejective plosive, i.e. the ejective affricate is not subject to regressive-dissimilative influence of the ejective plosive, since the feature of glottalization is a better condition for the functioning of affricates than for that of plosives (I. Melikisvili), and the voicing of consonant **q'** is not possible, as there is no corresponding voiced consonant in Svan.

პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი „ვეფხისტყაოსანში“

ანოტაცია: ნაშრომში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი და გაანალიზებულია პერსონაჟთა ცენტრალურობის საკითხი, ანუ აგებულია პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი ამ პერსონაჟთა გავლენისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით და, იმავდროულად, გამოვლენილია დადასტურებული სოციალური კავშირების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედი გავლენების ძირითადი ფაქტორები. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გეოგრაფია, სოციალური ფენები და კავშირების ცენტრალურობა არის ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ჩამოყალიბებაზე. სოციალურ ფენებს შორის იკვეთება საშუალო კლასი, რომელიც ერთგვარი შუამავალია სხვადასხვა ქვეყანასა თუ კლასებს შორის კავშირების დასამყარებლად. ამას გარდა, დადგენილია, რომ პერსონაჟთა შორის არსებობს H-ტიპის სოციალური კავშირი.

1. შესავალი: საკითხის დასმა და კვლევის მიზანი

ადამიანის არსი მისი სოციალური კავშირების ჯამია. იგივე ითქმის ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟებზეც, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა მხატვრულ სახეებზე. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები XI-XII საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცოცხალი, ინდივიდუალური ხასიათის მქონე გმირებია. ყოველი პერსონაჟი ამ საზოგადოების სხვა პერსონაჟებთან დაკავშირებულია ჩამოყალიბებული კავშირების ქსელით. პერსონაჟის შესახებ ინფორმაცია არის მისი მახასიათებელი, რომელიც ყალიბდება ამბის თხრობის სიუჟეტური ხაზის განვითარების საფუძველზე. თითოეული პერსონაჟი ასრულებს თავის ფუნქციას სოციალური კავშირების უზარმაზარ ქსელში და ხელს უწყობს თხრობის განვითარებას.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი საგანძურია, რომელსაც მრავალი მკვლევარი სწავლობდა. რუსთველოლოგია, როგორც ქართველოლოგიის დარგი, ყოველთვის იზიდავდა უამრავ მკვლევარს. ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, უცხო ენიდან ამ ნაწარმოების შესაძლო „თარგმანისა“ თუ იდეოლოგიური საკითხების კვლევა, რა თქმა უნდა, პერსონაჟთა თვისებების განხილვა და სხვ. წარმოებულმა კვლევებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამ ცნობილი ნაწარმოების გაგებაში. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა,


განსაკუთრებით კი მათი სოციალური კავშირების ქსელის, ინტერპრეტაციისთვის მეცნიერებმა გამოიყენეს კვლევის ტრადიციული მეთოდები, ანუ ე.წ. თვისებრივი კვლევა. ამ თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნეში შოთა რუსთაველის პოემის მკვლევართა ტიპური წარმომადგენლები არიან აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთლის თვალსაზრისით, რუსთაველს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები გამოუყვანია პოემაში, რითაც პოეტი საქართველოს ერთიანობას ქადაგებდა. ილია ჭავჭავაძემ საპირისპირო შეხედულება ჰქონდა. მისი აზრით, ავტორი „ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნის, და არა რომელიმე ქართლელის, კახელის, პეტრესი, ივანესი.“ ამ ნაწარმოების პერსონაჟთა თვისებრივი ანალიზის ნიმუშები მრავლადაა და აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტების რაოდენობრივი, სტატისტიკაზე დამყარებული ანალიზი შედარებით ნაკლებია. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა არის მცდელობა, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი სწორედ რაოდენობრივი პერსპექტივიდან იქნეს გამოკვლეული და ამგვარი სტატისტიკური ანალიზის ფონზე გამოავლინოს იმ კავშირების განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტერპერსონალური ქსელის შექმნაზე. ასევე, უნდა გავარკვიოთ თითოეული პერსონაჟის როლი ამბის თხრობის სიუჟეტური განვითარების პერსპექტივაში. ამისათვის ტექსტიდან ამოვიღებთ თითოეული პერსონაჟის როლის შემქმნელ გეოგრაფიულ და კლასობრივ ინფორმაციას, შევქმნით სოციალური კავშირის ქსელის მოდელს, ანუ წარმოვადგენთ H-ტიპის სოციალურ კავშირს, და ბოლოს, განვიხილავთ ამ მოდელის მნიშვნელობას ავტორის დისკურსში.

2. პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელის აგება

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელის ასაგებად უნდა დავაკვირდეთ პერსონაჟთა შორის ურთიერთობებს და გავაცნობიეროთ არასტრუქტურირებული ინფორმაციის სტრუქტურირებულ ინფორმაციად ტრანსფორმაციის არსი. პირველად ტექსტად¹ ვიყენებთ „ვეფხისტყაოსნის“ ანოტირებულ კორპუსს ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (GNC), სადაც საკუთარი სახელები მონიშნულია. ჩვენ მხოლოდ ისეთი ინფორმაციის გაფილტვრა გვჭირდება, როგორცაა, მაგალითად, გეოგრაფიული სახელები, რათა მივიღოთ პირთა საკუთარ სახელთა სიმრავლე. პოემის თავებისა და სტროფების მიხედვით ვალაგებთ პერსონაჟთა სახელებს, თითოეული პერსონაჟის ქვეყანასა და სფეროს მოენიშნავთ ერთდროულად და ვქმნით „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ლექსიკონს, რომელშიც ყოველი ერთეული შედის ისეთი ძირითადი მარკერებით, როგორებიცაა: თავები, სტროფები, პერსონაჟთა სახელები, ქვეყნები და სფეროები.

¹ GNC კორპუსში დაფიქსირებული ვეფხისტყაოსნის ტექსტი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=254277765055356&cpos=1723094>

ამის შემდეგ ვადგენთ და, შესაბამისად, ვაგებთ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელს შემდეგი დაშვებების საფუძველზე: თუ ორი პერსონაჟის სახელი ერთდროულად ჩნდება ერთ სტროფში, ეს ნიშნავს, რომ ამ ორ პერსონაჟს აქვს კავშირი კონკრეტული სიუჟეტის მიხედვით და სოციალური კავშირების ქსელში მათ შორის მანძილი შედარებით მცირეა. ამგვარი მიდგომით ვაფიქსირებთ პერსონაჟთა შორის სოციალურ კავშირებს „ვეფხისტყაოსანში“. ასე მაგალითად: 64-ე თავის 1669-ე სტროფში დასტურდება „სახელი 1“, „სახელი 2“. შემდეგ ვიყენებთ პროგრამირების მოდულს სახელად Python Network, რათა ვიზუალურად წარმოვადგინოთ „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:



სქემა 1. „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი

პერსონაჟთა სოციალური კავშირების აგებული ქსელის შინაარსობრივი გააზრებით სიღრმისეულად უნდა გავიგოთ, რა ფაქტორები ახდენენ გავლენას პოემის შინაარსზე დაფუძნებულ პერსონაჟთა კავშირებზე, როგორ არის აგებული სოციალური კავშირების ქსელი განსხვავებულ პერსონაჟებს შორის და რომელი როლი ახდენს უფრო დიდ გავლენას სოციალური კავშირების ქსელის გაბმაზე.

3. პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელის ანალიზი

3.1 გეოგრაფიული და კლასობრივი ფაქტორები


პერსონაჟთა ზემოხსენებული სოციალური კავშირების ქსელს ემატება გეოგრაფიული და კლასობრივი ფაქტორები, ანუ გათვალისწინებულია, რომელი ქვეყნიდან ან რეგიონიდან არის პერსონაჟი და რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელია იგი. გეოგრაფიული და კლასობრივი პარამეტრებით მასალის დამუშავების

საფუძველზე ირკვევა, კავშირი სხვადასხვა კლასის და ქვეყნის წარმომადგენელ პერსონაჟებს შორის ძლიერია თუ სუსტი.

ცხრილი 1. გეოგრაფიული და კლასობრივი ინფორმაცია

გეოგრაფია \ ფენა	მაღალი ფენა	საშუალო ფენა	დაბალი ფენა
ინდოეთი	ფარსადანი, ნესტან-დარეჯანი	ტარიელი	ასმათი
არაბეთი	როსტევანი, თინათინი	ავთანდილი, სოგრატი, უსამი	შერმაღინი
მულლახანზარი	ფრიდონი	–	–
გულანშარო	–	უსენი, ფატმანი	–
ხატაეთი	რამაზი	–	–

საზოგადოდ, გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა პერსონაჟთა კავშირების განაწილებაზე აშკარაა. მაგალითად, პერსონაჟთა კავშირების 81,86% წარმოიქმნება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ პერსონაჟებს შორის. თავად „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ვითარდება მოგზაურობის ფონზე. ასე რომ, ის მოიცავს პერსონაჟთა სიუჟეტურ თანაკვეთებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, პოემის მთავარი პერსონაჟები: ვაჟთა სამეული (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) და ქალთა სამეული (ნესტანი, თინათინი, ფატმანი) სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან.



სქემა 2. „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა H-ტიპის სოციალური კავშირი

პერსონაჟების გეოგრაფიულსა თუ კლასობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აშკარა ხდება, რომ პერსონაჟთა შორის არსებობს H-ტიპის სოციალური კავშირი,

სადაც საშუალო ფენა კავშირებს ამყარებს სხვადასხვა კლასსა თუ სხვადასხვა ქვეყანას შორის.

ყოველი პერსონაჟის სოციალური მანძილის დიაპაზონი არის 2 (ვივარაუდოთ, რომ სოციალური მანძილი თითოეულ კლასს შორის არის 1 და სოციალური მანძილი თითოეულ ქვეყანას შორის არის 1). ამ სოციალური მანძილის დიაპაზონის ფარგლებში პერსონაჟს შეუძლია, ნებისმიერთან დაამყაროს სოციალური კავშირი. მაგალითად, A1-ის სოციალური კავშირების დიაპაზონი ფიგურის მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილი 2-ის სახით:

ცხრილი 2. „ვეფხისტყაოსანში“ კავშირის ჩამოყალიბების პროცესი

კავშირი	სოციალური მანძილი	კავშირის შესაძლებლობა	გეოგრაფია	ფენა
A1-B1	1 ($1 < 2$)	✓	✓	×
A1-C1	2 ($2 = 2$)	✓	✓	×
A1-B2	2 ($2 = 2$)	✓	×	×
A1- A2	3 ($3 > 2$)	×	×	✓
A1- C2	3 ($3 > 2$)	×	×	×

ამის საფუძველზე შეგვიძლია დავაკვირდეთ შემდეგ სამ შემთხვევას:

1) საშუალო ფენის პერსონაჟების კავშირების საშუალო რაოდენობა ყველაზე მეტია (მაღალი ფენა-23, საშუალო ფენა-49, დაბალი ფენა-15), ამიტომ სხვადასხვა ქვეყანასა თუ ფენას შორის კავშირების დამყარების ძირითადი მედიატორები საშუალო ფენის წარმომადგენელი პერსონაჟები არიან. მათ შეუძლიათ მიაღწიონ და დაამყარონ კავშირი როგორც დაბალ, ასევე მაღალ ფენასთან ერთსა და იმავე ქვეყანაში. პოემაში ყველაზე ხშირად ჩნდება სახელები ავთანდილი და ტარიელი, რომლებიც ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელური კონსტრუქციის ბირთვს.

2) გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მაღალი და დაბალი ფენების მოძრაობა ნაკლებია იმიტომ, რომ სხვადასხვა მაღალ და დაბალ ფენას შორის კავშირი მცირეა. ეს ფენები, ძირითადად, საშუალო ფენის მეშვეობით ამყარებენ ქვეყნებს შორის კავშირებს. მაგალითად, პოემაში არ არსებობს პირდაპირი კავშირი არაბეთისა და ინდოეთის მეფეებს შორის, დაბალი ფენების კავშირი კი კიდევ უფრო მეტად შეზღუდულია ქვეყნებს შორის არსებული კავშირების თვალსაზრისით; მაგალითად, შერმადინს სოციალური კავშირები მხოლოდ არაბეთის ფარგლებში (მეფესთან, სპასკეტთან და მეფის ასულთან) აქვს დამყარებული.

3) გეოგრაფიული ფაქტორების გარდა, გარკვეულწილად, კლასობრივი ფაქტორიც მოქმედებს კავშირების დამყარებაზე. განსაკუთრებით ეს ჩანს დაბალ ფენებს (ყმებს) და მეორე ქვეყნის მაღალ ფენებს (მეფეებს) შორის კავშირების ანალიზისას, რომლებიც პოემაში საერთოდ არ ფიქსირდება – არ არსებობს. მაგალი-

თად, ინდოეთის მონა ასმათს არ აქვს კავშირი არაბეთის მეფე როსტეგანთან და/ან მის თანამესაყდრე თინათინთან, ხოლო არაბეთის მსახურს, შერმადინს, ასევე, არ აქვს კავშირი ინდოეთის მეფე ფარსადანთან.

3.2 კავშირების ცენტრალურობის განმსაზღვრელი ფაქტორები

„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელის ანალიზისას უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ თითოეული პერსონაჟის ცენტრალურობას. სოციალური კავშირების ქსელების ანალიზში ცენტრალურობა არის ინდიკატორი ქსელში კვანძების მნიშვნელობისა თუ გავლენის შესაფასებლად. ამიტომ ქსელის ანალიზზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია, „ვეფხისტყაოსანში“ გამოვყოთ ის პერსონაჟები, რომლებსაც უფრო დიდი გავლენა აქვთ პოემაში აღწერილ მოვლენებზე. სწორედ ეს ქსელი ასახავს ერთგვარ ხიდს, რომელიც პოემაში ვლინდება სხვადასხვა პერსონაჟის, მათი მახასიათებლებისა თუ სოციალური მოვლენების დასაკავშირებლად. ამ კავშირების დამყარებაში მონაწილეობენ პერსონაჟები, რომლებიც ერთად ქმნიან კავშირების რთულ და მოწესრიგებულ ქსელს. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, პოემაში რომელი პერსონაჟის გავლენა უფრო დიდი, უნდა დავადგინოთ, პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელში რომელი პერსონაჟი ხასიათდება ცენტრალურობით. ეს პარამეტრი შეიძლება გაიზომოს შემდეგი სამი ინდიკატორით:

1) ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა (Degree Centrality): არამიმართულ გრაფაში ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა ზომავს კვანძის პირდაპირ დაკავშირებას ქსელის ყველა სხვა კვანძთან. არამიმართული გრაფისთვის g კვანძებით, i კვანძის ხარისხის ცენტრალურობა არის პირდაპირი კავშირების საერთო რაოდენობა i და სხვა $g-1$ კვანძებს შორის. ზოგადად, რაც უფრო დიდია ქსელის ზომა, მით უფრო მაღალია ხარისხის მიხედვით ცენტრალურობის მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობა.

$$C_D(N_i) = \sum_{j=1}^g x_{ij} (i \neq j)$$

2) სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა (Closeness Centrality): სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა ასახავს სიახლოვეს კვანძსა და ქსელში სხვა კვანძებს შორის. განსხვავებით ხარისხის მიხედვით ცენტრალიზებისგან, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირ კავშირებს, სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა ითვალისწინებს უმოკლესი გზების საშუალო მანძილს თითოეული კვანძიდან სხვა კვანძებამდე. ანუ, კვანძისთვის, რაც უფრო ახლოს არის ის სხვა კვანძებთან, მით უფრო მაღალია მისი სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა.

$$C_C(N_i) = \frac{1}{\sum_{j=1}^g dis(i, j)}$$

სადაც $dis(i, j)$ წარმოადგენს მანძილს i კვანძიდან j კვანძამდე. რაც უფრო დიდია მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია მისი სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა.

3) „შორის“-ობის მიხედვით ცენტრალურობა (Between Centrality): შორისობის მიხედვით ცენტრალურობა გამოიყენება კვანძების მნიშვნელობის დასახასიათებლად, კვანძის გამოჩენის რაოდენობის უმოკლეს გზაზე ნებისმიერ სხვა წყვილ კვანძებს შორის. შორისობის ცენტრალურობა ზომავს, რამდენად შეუძლია კვანძს, იყოს „შუამავალი“ და გააკონტროლოს სხვები. თუ კვანძი რამდენიმე კვანძს შორისაა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს კვანძი თამაშობს „შუამავლის“ მნიშვნელოვან როლს და ამ პოზიციაზე მყოფ პერსონაჟს შეუძლია, გააკონტროლოს ინფორმაციის გადაცემა და გავლენა მოახდინოს ჯგუფის აქტივობაზე.

$$C_B(N_i) = \sum_{j,k=1}^g sd(j, i, k), (j \neq k)$$

სადაც $sd(j,i,k)$ ნიშნავს, რომ უმოკლესი გზა j -დან k -მდე გადის i -ზე, ანუ i არის უმოკლეს გზაზე j -დან k -მდე.

ცხრილი 3. პერსონაჟთა ცენტრალურობის ინდიკატორი

პერსონაჟები	ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა	სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა	„შორის“-ობის მიხედვით ცენტრალურობა
აეთანდილი	0.9286	0.8235	0.4707
ტარიელი	0.7857	0.7368	0.2656
ფატმანი	0.5000	0.5833	0.1465
ფრიდონი	0.4286	0.5600	0.0000
ასმათი	0.3571	0.5833	0.1429
ნესტანი	0.3571	0.6087	0.0220
თინათინი	0.2857	0.5600	0.0183
როსტევეანი	0.2143	0.5185	0.0073
შერმადინი	0.2143	0.5000	0.0037
როსტომი	0.1429	0.5000	0.0000
სოგრატი	0.0714	0.4667	0.0000
ფარსადანი	0.0714	0.3784	0.0000
უსამი	0.0714	0.4667	0.0000
უსენი	0.0714	0.3784	0.0000
რამაზი	0.0714	0.4375	0.0000

ამის საფუძველზე შეგვიძლია დავაკვირდეთ შემდეგ სამ შემთხვევას:

1) ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა ზომავს პირდაპირი, უშუალო კავშირების მთლიან რაოდენობას ამ პერსონაჟსა და სხვა პერსონაჟებს შორის. ჩვენ ვხედავთ, რომ, როდესაც პერსონაჟს აქვს ყველაზე მეტი კვანძი, მას კავშირების ქსელში აქვს პირდაპირი კავშირი უფრო მეტ პერსონაჟთან. „ვეფხისტყაოსნის“

პერსონაჟებს შორის ყველაზე მაღალია ავთანდილისა და ტარიელის ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ავთანდილი და ტარიელი უმთავრეს როლს ასრულებენ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელში.

2) სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა ზომავს საშუალო მანძილს კონკრეტული პერსონაჟიდან (კვანძიდან) სხვა პერსონაჟამდე (კვანძამდე). რადგან ავთანდილთან და ტარიელთან უფრო პირდაპირი კავშირია, სხვა პერსონაჟებთან და კავშირების შესაძლებლობა უფრო მაღალია და, შესაბამისად, პერსონაჟებს შორის საშუალო მანძილი ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ნესტან-დარეჯანის სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ახლო მანძილი სხვა პერსონაჟებთან. მიუხედავად იმისა, რომ ნესტანს არ აქვს ბევრი კვანძი, მისი კავშირების უმეტესობა სხვა მთავარ პერსონაჟებთან პოემაში დაფიქსირებულია და, შესაბამისად, მისი კავშირი უფრო ეფექტურია.

3) „შორის“-ობის მიხედვით ცენტრალურობა ზომავს პერსონაჟის (კვანძის) შუალედურ ეფექტს პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელში, ანუ უმოკლეს გზას სხვადასხვა პერსონაჟს შორის, თუ კავშირი ხდება პერსონაჟის გავლით. თუ შორისობის მიხედვით ცენტრალურობა მაღალია, მაშინ ეს პერსონაჟი მნიშვნელოვანია შუამავლობის ეფექტის თვალსაზრისით. ავთანდილსა და ტარიელს უფრო მეტი აქვთ პირდაპირი კავშირების რაოდენობა, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია შუამავლის როლის აღბათობა, მით უფრო მაღალია „შორის“-ობის მიხედვით ცენტრალურობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, ფრიდონს ბევრი პირდაპირი კავშირი აქვს სხვა პერსონაჟებთან, სხვა პერსონაჟებს შორის უმოკლეს კავშირს არ სჭირდება მისი შუამავლობა შეზღუდული გეოგრაფიული და კლასობრივი ფაქტორების გამო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სხვადასხვა პერსონაჟს შორის კავშირის დამყარებას არ სჭირდება ფრიდონის პერსონაჟი, რაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილ H-ტიპის სოციალურ კავშირს.

4. დასკვნა

სოციალური კავშირების ქსელის ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ, ხელახლა და განსხვავებული პერსპექტივიდან გაგვეაზრებინა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შორის არსებული ურთიერთობები, რისთვისაც დავეყრდენით სტატისტიკურ მონაცემებს. ამ მიზნით, მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი და გაანალიზდა პერსონაჟთა ცენტრალურობის საკითხი, ე.ი. პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელი მათი გავლენისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით. იმავდროულად, ვიკვლიეთ აღნიშნული სოციალური კავშირების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედი ძირითადი გავლენის ფაქტორები. სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გეოგრაფია, სოციალური ფენები და კავშირების ცენტრალურობა (ე.წ. ხარისხის მიხედვით ცენტრალურობა, სიახლოვის მიხედვით ცენტრალურობა და „შორის“-ობის მიხედვით ცენტრალურობა)

არის მთავარი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ჩამოყალიბებაზე. მათ შორის, საშუალო კლასი ერთგვარი შუამავალია სხვადასხვა ქვეყანასა და კლასებს შორის კავშირების დასამყარებლად. ამას გარდა, დადგინდა, რომ პერსონაჟთა შორის არსებობს H-ტიპის სოციალური კავშირი. ავთანდილსა და ტარიელს აქვთ ყველაზე მაღალი ცენტრალურობის მაჩვენებელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უმთავრეს როლს ასრულებენ პერსონაჟთა სოციალური კავშირების ქსელში.

წარმოდგენილი ანალიზი საშუალებას იძლევა, სტატისტიკურ-სტრუქტურული ანალიზით გამყარებული მონაცემების საფუძველზე წარმოვადგინოთ შოთა რუსთაველის მიერ აგებული XI-XII საუკუნეების საქართველოს ძალაუფლების სტრუქტურისა და კლასობრივი მიგრაციის მდგომარეობა:

1) საშუალო ფენა ყველაზე მოძრავი ფენაა და მასთან მიმართებით, მაღალი და დაბალი ფენის შეზღუდული სოციალური მანძილის გამო, აქტუალიზებულია „გამყარებული საზოგადოებრივი ფენის ფენომენი“. დაბალი ფენისთვის რთულია ფენებს შორის არსებული იერარქიის საფეხურებზე აღმასვლა, ხოლო მაღალი ფენისთვისაც არაა ადვილი ფენების იერარქიის საფეხურებზე დაღმასვლა-დადაბლება.

2) სოციალური მანძილით შეზღუდული, ნაკლებად აქტიურია მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მიგრაცია ქვეყნებს შორის და მთავარია პასიური მიგრაცია, როგორებიცაა: ომის, შიმშილის, ცუდი გარემოსა და სხვა ფაქტორების გამო იძულებითი მიგრაცია.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ასათიანმა

ლიტერატურა

- ვახანია 2017:** ნ. ვახანია, რუსთაველი და მისი პოემა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, *შოთა რუსთაველი საიუბილეო კრებული*, ზუგდიდი, გვ. 54-63.
- იაკობი, კოშუცკი, ცვეიგი, პიტერსი, ტენფელდე-პოდელი 2005:** R. Jacob, Dirk Koschützki, K. Zweig, L. Peeters, Dagmar Tenfelde-Podehl, *Algorithms for Centrality Indices*, In: Brandes, U., Erlebach, T. (eds) *Network Analysis. Lecture Notes in Computer Science*, v. 3418. Springer, Berlin, Heidelberg. https://doi.org/10.1007/978-3-540-31955_94.
- კოლაჩიკი, შარდი 2020:** E. Kolaczyk, Gábor Csárdi, *Statistical Analysis of Network Data with R, Use R!*, pp. 49-52.
- ნიუ 2020:** Niu Liang, *Statistical Network Analysis of Water Margin Heroes*, *Journal of Library and Data*, 2(2), pp. 099-109.
- ფრიმანი 1978:** L. Freeman, *Centrality in social networks conceptual clarification*, *Social Networks*, 1, pp. 215-239.
- ჭავჭავაძე 1927:** ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მისი ვეფხისტყაოსანი, *ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებული*, IV, თბილისი, გვ. 183-198.

ჯავახიშვილი 1955: ივ. ჯავახიშვილი, *ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები*, თბილისი, გვ. 19.

ჰაგბერგი, შულტი, სვარტი 2008: A. Hagberg, D. Schult, P. Swart, *Exploring network structure, dynamics, and function using NetworkX*, in *Proceedings of the 7th Python in Science Conference (SciPy 2008)*, Gäel Varoquaux, Travis Vaught, and Jarrod Millman (Eds), (Pasadena, CA USA), pp. 11–15.

Jianfeng Li

Social Network Analysis: Characters in “The Knight in the Panther’s Skin”

Summary


The paper presents the social network of characters in “The Knight in the Panther’s Skin” based on their centrality, which measures each character’s influence and importance. Pursuant to the research, we can conclude that geography, social classes, and “centrality” are the main factors that influence the formation of social networks of the characters. From the perspective of geography and social classes, the social network presents an H-shape, in which middle-class characters act as intermediaries establishing connections between different countries and classes, while from the perspective of centrality indicators, Avtandil and Tariel have the highest degree of centrality, closeness centrality, and betweenness centrality, which indicates that they are the most influential characters in “The Knight in the Panther’s Skin”.

Presented by Prof. Rusudan Asatiani

კლასის კატეგორია ქართული ჟესტური ენის ზმნურ აქტანტივში¹

კლასის კატეგორია ჟესტურ ენებში მკვეთრად გამოხატული მოცემულობაა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ კატეგორიის გრამატიკული დატვირთვა ზმნურ აქტანტთა სისტემაში, ამ მხრივ არც ქართული ჟესტური ენაა გამონაკლისი. სალაპარაკო ქართულისგან განსხვავებით, სადაც მთავარი დიქტომია არის ვინ-რა კატეგორია, ქართული ჟესტური ენა განასხვავებს როგორც ადამიანის, ანუ ორფეხის კლასს, ასევე ცხოველების (ოთხფეხთა) და ფრინველების (ანუ სულიერთა) კლასებს და ასევე ნივთის კატეგორიას. აღსანიშნავია, რომ იკონურობის პრინციპზე დაყრდნობით, თითოეული კლასის შიგნით კიდევ, შესაძლოა, გამოიყოს გარკვეული ფორმის, ზომისა თუ დანიშნულების საგნები და ზმნასთან შეთანხმებისას ეს გარემოებები იქნება გათვალისწინებული ენის მიერ.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში არ არსებობს საერთო ქოლგა-ფორმა მაგალითად ზმნისთვის „მიდის“, რომელიც დაუპირისპირდებოდა „მოდის“ ფორმას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით არც „მოდის“ ზმნას აქვს ყველა კლასისთვის საერთო ქოლგა-ფორმა. ადამიანი დადის ორი ფეხით, ხოლო ცხოველი – ოთხით. აქედან გამომდინარე, „მოდის“ ან „მიდის“ ზმნათა ფორმები იქნება სრულიად განსხვავებული ჟესტები, იმის მიხედვით, ადამიანზეა საუბარი თუ ოთხფეხზე, თუ მანქანაზე (იხ. სურათები: 1, 2 და 3).



სურ. 1. ბიჭი მიდის.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254 ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია].



სურ. 2. მგელი მიღის.



სურ. 3. მანქანა მიღის.

სხვაობა იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი კლასის კუთვნილებაა სუბიექტი ზმნასთან „ფრენა“, რომელსაც ასევე არა აქვს ქოლგა-ფორმა.



სურ. 4. ჩიტი მიფრინავს.



სურ. 5. თვითმიფრინავი მიფრინავს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზმნის პირთა (ანუ ე.წ. არ-გუმენტთა) კლასი მეტწილად განაპირობებს ზმნის სათანადო ფორმას.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენობრივი მასალიდან გამოძინარე, ნათელია, რომ შესტურ ენებში კლასის კატეგორია წარმოადგენს აქტიურ გრამატიკულ მოვლენას და, შესაბამისად, მას აქვს გარკვეული ტიპის მორფოსინტაქსური მარკირებაც ამ ენებში.

ქართულ შესტურ ენაში კლასის გრამატიკული კატეგორია მკვეთრად გამოხატული ბრუნვათა სისტემაში. უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, შესტურ ენებს არ ახასიათებთ ბრუნვათა სისტემების ქონა, თუმცა არის მცირედი გამოწკლისები. ამ მხრივ, ერთობ საყურადღებოა ქართული შესტური ენის მასალა. ქართულ შესტურ ენაში ფუნქციონირებს სამეტყველო ქართული ენის ენობრივი სისტემის შესაბამისი ზმნის პირებთან დაკავშირებული სამი ბრუნვა. ე.წ. აქტანტური ბრუნვები: ნომინატივი, ერგატივი და დატივი.

სახელობითი არის უნიშნო, ნულოვანი ფორმა, რომელიც ბრუნვათა მორფოლოგიურ სისტემაში ქმნის ნულოვან გრამატიკულ ოპოზიციას. ეს არის ფორმა ფუძის სახელით. ერგატიული ბრუნვა წარმოქმნილია სამეტყველო ქართული ენის გავლენით, თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ეს ბრუნვა სინტაქსურად ზუსტად იმეორებს სამეტყველო ქართული ენის მოდელს და ქართულ შესტურ ენაში იგი ჩნდება მეორე სერიის ფარდ ფორმებთან, მაგრამ სამეტყველო ქართული ენა არ განასხვავებს კლასის გრამატიკულ კატეგორიას და ერგატივი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა შემთხვევაში არის მოაზროვნე სუბიექტის ბრუნვა (მახარობლიძე 2009), უნიფიცირებულია ყველა კლასის ფორმებთან. ქართულ შესტურ ენაში კი ერგატიული ბრუნვა მხოლოდ ადამიანის, ანუ ვინ კატეგორიის სახელებს შეიძლება ჰქონდეთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულმა შესტურმა ენამ ერგატიული ბრუნვის მოდელი პირდაპირი კალკირებით კი არ გადმოიტანა, არამედ მოხდა ამ მორფოლოგიური მოვლენის ენობრივი გადააზრება და შესტურმა ენამ სათანადო ადგილი მიუჩინა აღნიშნულ ბრუნვას თავის სისტემაში. თავისთავად, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ერგატიული ბრუნვის ნიშანი არის „ადამიანის“ აღმნიშვნელი შესტი (ე.წ. კლასიფაერი).




სურ. 6. ადამიანი/ერგატივის ბრუნვის ნიშანი

ქართულ შესტურ ენაში ერგატივი გამოიყენება მხოლოდ გარდამავალი ზმნის აორისტ-ოპტატივის ფარდ ფორმებთან ადამიანის კლასის სუბიექტის ბრუნვად. გა-


პიროვნების შემთხვევაშიც კი, მაგალითად, რომელიმე ზღაპრის პერსონაჟი „მგელი“ ან „ციყვი“ ვერ აღმოჩნდება ერგატივში, რაც არ უნდა ადამიანის ენით საუბრობდეს ლიტერატურაში.

მესამე აქტანტური ბრუნვაა მიცემითი ბრუნვა, რაც, ფაქტობრივად, არის დეიქტიური ფორმა და, როგორც აქტანტური ბრუნვა, ესეც სამეტყველო ქართული ენის გავლენით არის გაჩენილი ჟესტურში. ეს ბრუნვა გამოიყენება ადამიანის კლასის ირიბი ობიექტის აღმნიშვნელად.



სურ. 7. მიცემითი ბრუნვის ნიშანი

ასევე მკვეთრად გამოხატული კლასის ნიშნით ხასიათდება ირიბი ობიექტის მარკერები – პატივცემულობის და უპატივცემულობის გამომხატველი ნიშნები. ეს ნიშნებიც მხოლოდ ვინ კატეგორიის სახელებთან გამოიყენება (მანარობლიძე 2015).




სურ. 8. პატივისცემის (ბენეფაქტივის) ნიშანი



სურ. 9. უპატივცემულობის ნიშანი

მერვე და მეცხრე სურათებზე მოცემული ირიბი ობიექტის ნიშნები სხვა თვალსაზრისით, შესაძლოა, განხილული იყოს როგორც ქცევის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ეს მორფოლოგიური კატეგორიაც (ვერსია) მნიშვნელოვანწილად განასხვავებს კლასის ნიშნებს.

სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მსგავსად, პირდაპირი ობიექტიც განასხვავებს კლასის კატეგორიას ქართულ ფესტურ ენაში. აღსანიშნავია, რომ „ქონა-ყოლა“ ზმნა ამ მხრივ არ სხვაობს, იგი იმეორებს „ყოფნა“ ზმნის ფორმებს, მაგრამ ზმნები „წაყვანა“/„მოყვანა“ და „წაღება“/„მოტანა“ პირდაპირი ობიექტის კლასის მიხედვით განასხვავებენ ლექსიკურ ფორმებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეკონურობის პრინციპიდან გამომდინარე, პირდაპირი ობიექტის ზომა და ფორმა ზშირად სათანადოდაა ასახული ზმნის კინეტიკაში. ქართულ ფესტურ ენას აქვს პირდაპირი ობიექტის ნიშანიც, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება რა-კლასის სახელებისთვის.



სურ. 10 პირდაპირი ობიექტის ნიშანი

ამრიგად, სამეცნიერო ქართული ენისგან განსხვავებით, ქართული ფესტური ენა განასხვავებს კლასის გრამატიკულ კატეგორიას და ეს გარემოება ნათლად წარმოჩნდება ზმნური აქტანტების მორფოსინტაქსურ სისტემაში.

ლიტერატურა

დემეი, კუიჯი 2008: E. Demey & E. van der Kooij, Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation, *Lingua*, 118, 1109-1138.

ემორეი 2003: K. Emmorey, (Ed.), *Perspectives on classifier constructions in sign languages*, Mahwah: Lawrence Erlbaum Associates.

ემორეი, გრებოვსკი, მაკულლოუგი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004: K. Emmorey, T. Grabowski, S. McCullough, H. Damasio, L. Ponto, R. Hichwa & U. Bellugi,

Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming, Brain and Language, 89, 27-37.

მასარობლიძე 2015: თამარ მასარობლიძე, *ქართული ეესტური ენის ლექსიკონი*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი.

მასარობლიძე 2009: თ. მასარობლიძე, *ლინგვისტური წერილები – I*, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.

მასარობლიძე 2012: თ. მასარობლიძე, *ქართული ეესტური ენა*, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, USAID. Save the Children International, თბილისი.

მასარობლიძე 2012: თ. მასარობლიძე, On the Category of Version. ვერსიის კატეგორიის შესახებ ქართულში. *კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 154-213.

მასარობლიძე 2015: თ. მასარობლიძე, ქართული ეესტური ენის ლექსიკონის შესახებ. *იკვტ.* 43, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 116-144.

მასარობლიძე 2015: T. Makharoblidze, Indirect object markers in Georgian Sign Language, *Sign Language & Linguistics*. #18 (2), John Benjamins Publishing Company, pp. 238-250.

მასარობლიძე 2019: თ. მასარობლიძე, *ქართული ეესტური ენის ზმნის მორფოლოგია*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი.

მეირი 2010: I. Meir, Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms, *Language*, 86, pp. 865-986.

პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019: P. Perniss, J. C. Lu, G. Morgan, & G. Vigliocco, Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input, *Developmental Science*, 21(2), e12551.

ტაუბი 2001: S. Taub, *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*, Cambridge University Press, Cambridge.

Tamar Makharoblidze

The Class-category in Verbal Arguments in GESL²

Summary

The class category is a strongly expressed feature in sign languages. The grammatical load of this category is particularly visible in the system of verbal argument, and Georgian Sign Language (GESL) is no exception in this regard. Unlike spoken Georgian, where the

² This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) [FR-22-254. The Georgian Sign Language Nominal Morphology].

main dichotomy is who-what category, GESL distinguishes between: humans (two-legged), animals (four-legged), and birds, i.e. animate classes, as well as the object category. It should be noted that based on the principle of iconicity, objects of a certain shape, size or purpose may be distinguished within each class, and these circumstances will be taken into account by the language when agreeing with the verb.

In GESL, the grammatical category of class is also strongly expressed in the declination system. In general, sign languages are not characterized by having case systems for nouns, although there are some exceptions, and GESL data is very interesting in this respect. In GESL, there are three cases for verbal argument structure corresponding to the linguistic system of the spoken Georgian language. The argument cases are nominative, ergative and dative.

Unlike the spoken Georgian language, GESL distinguishes the grammatical category of class, and this circumstance is clearly shown in the morphosyntactic system of verbal argument structure.

**არტიკულაციის ტემპისა და ფუნდამენტური
სისწორის სტატისტიკური ანალიზი სასამართლო
ფონეტიკაში: კვლევა ქართულ ენაზე¹**

1. შესავალი

მეტყველი პირის (შემდგომში – დიქტორის) იდენტიფიკაცია ფონეტიკური ექსპერტიზის საკვანძო საკითხია. საიდენტიფიკაციო კვლევისას, როგორც წესი, ერთმანეთს დარდება ორი ან მეტი აუდიოჩანაწერი, რომელთაგან ერთი არის სადავო ჩანაწერი, რომელშიც გამოძიება ცდილობს, ამოიცნოს „დამნაშავეს“ ხმა, ხოლო მეორე – „ექვემდებარებულის“² ხმის ეტალონურ ნიმუშია, რომელიც მოპოვებულია გამოძიების მიერ და ექსპერტიზისათვის დანამდვილებით ცნობილია დიქტორის ვინაობა.

ექსპერტიზის პროცესში ხმის ნიმუშთა შედარება ხდება მეტყველების მრავალი მახასიათებლის საფუძველზე, რომლებითაც დიქტორები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ეს მახასიათებლები, იგივე პარამეტრები, უნდა შეირჩეს ყველა საქმისთვის დამოუკიდებლად საკვლევი ნიმუშების სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ექსპერტმა საკვლევი პარამეტრების შერჩევის პროცესში. პარამეტრი:

- უნდა აჩვენებდეს დიქტორთაშორის განსხვავების მაღალ ხარისხს და შიდა-დიქტორული განსხვავებების დაბალ დონეს;
- არ უნდა ექვემდებარებოდეს შენიღბვისა და იმიტირების მცდელობას;
- უნდა ჰქონდეს რელევანტური მასალების გამოვლენის მაღალი ხარისხი;
- უნდა იყოს მარტივი და ზუსტი გადმოსაცემად;
- უნდა იყოს შედარებით მარტივი გასაზომად (Nolan 1983).

ფილიპ როუზი (Rose 2002) პარამეტრების შერჩევის პროცესში აყენებს დამატებით პირობას, რომ ყოველი პარამეტრი უნდა იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი სხვა პარამეტრებისაგან, რათა კვლევა დიქტორთა დისკრიმინაციული თვალსაზრისით ძლიერი იყოს.

¹ კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში (PHDF-18-405).

² სიტყვები: „დამნაშავე“ და „ექვემდებარებული“ პირობითია, ვინაიდან პირი, რომლის ამოცნობასაც ცდილობს გამოძიება, შესაძლებელია, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, არ იყოს ექვემდებარებული და, მაგალითად, წარმოადგენდეს დაზარალებულს.

კვლევის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, შესაძარებელ ნიმუშებს შორის გარკვეული პარამეტრის მიხედვით მსგავსება (ან განსხვავება) არის დიქტორისთვის სპეციფიკური, თუ შესაბამის პოპულაციაში გავრცელებული ნიშანია. რაც უფრო იშვიათია მახასიათებელი ამ ენაზე მეტყველთა პოპულაციაში, მით უფრო მაღალი დისკრიმინაციული ძალა ექნება მას შესაძარებელ ნიმუშებში ამ ნიშნის მიხედვით მსგავსების აღმოჩენისას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თითოეული ენისთვის გვქონდეს სტატისტიკური ინფორმაცია მეტყველების ამა თუ იმ პარამეტრის გავრცელებულობის ხარისხთან დაკავშირებით. სწორედ ამგვარი ინფორმაციის დაგროვებას ისახავს მიზნად ჩვენ მიერ მიმდინარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა.

საკვლევ პარამეტრთა კატეგორიზაცია შეიძლება მოვახდინოთ როგორც მეტყველების, ხმისა და საუბრის მანერის სეგმენტურ და ზესეგმენტურ ერთეულებად. ზოგიერთი ნიშანი შესაძლებელია გაანალიზდეს როგორც აუდიტორულად, ასევე აკუსტიკურად. ყველაზე ხშირად გამოყენებულ მახასიათებლებს წარმოადგენს: ენა, დიალექტი, აქცენტი, მეტყველების ტემპი, ფუნდამენტური სიხშირე, ხმის ხარისხი, ფორმანტული სიხშირეები, ჰეზიტაციური ელემენტების გამოყენება, მეტყველების არაპათოლოგიური დარღვევები და სხვ. (ENFSI 2022). მიმდინარე ნაშრომში განვიხილავთ მეტყველების ტემპსა და ფუნდამენტურ სიხშირეს ქართულ ენაზე მეტყველი პოპულაციისთვის.

2. საკვლევი მონაცემის დახასიათება

კვლევისთვის შერჩეულ იქნა სამი ასაკობრივი კატეგორია – [18-30], [31-40], [41-50]. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში ჩაწერილ იქნა 10 ქალისა და 10 მამაკაცის ზეპირი მეტყველება (სულ 60 დიქტორი). თითოეული დიქტორის მეტყველების ამსახველი ჩანაწერებიდან შერჩა და გაიშიფრა დაახლოებით 10 წამის ხანგრძლივობის 3-3 მონაკვეთი, რომელთა გამოყენებითაც შემდეგში გავზომეთ დიქტორთათვის დამახასიათებელი არტიკულაციის ტემპი ათწამიან შუალედში წარმოთქმული მარცვლების რაოდენობაზე დაყრდნობით, პაუზებისა და ჰეზიტაციური ელემენტების გარეშე.


3. მეტყველების ტემპი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიქტორთა შედარების დროს ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი შესაძარებელი მახასიათებელია მეტყველების ტემპი. მეტყველების ტემპი რაოდენობრივი მახასიათებელია და შეიძლება გაიზომოს დროის კონკრეტულ შუალედში წარმოთქმული სამეტყველო ერთეულების რაოდენობით. სამეტყველო ერთეულში შესაძლებელია მოიაზრებოდეს სიტყვა ან მარცვალი. ვინაიდან სხვადასხვა ენაში ან, თუნდაც, ერთი ენის ფარგლებში სიტყვათა სიგრძე შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რეკომენდებულია, სამეტყველო ერთეულად შერჩეულ იქნეს მარცვალთა რაოდენობა. მეტყველების ტემპ-

პის გაზომვის 2 განსხვავებული მეთოდი არსებობს: საუბრის ტემპისა და არტიკულაციის ტემპის გაზომვა. საუბრის ტემპის გაზომვა გულისხმობს დროის უწყვეტ მონაკვეთში (პაუზებისა, ბორძიკისა და ჰეზიტაციური ელემენტების ჩათვლით) წარმოთქმული სამეტყველო ერთეულების რაოდენობის გამოთვლას, ხოლო არტიკულაციის ტემპის შეფასებისას დროის ერთეულად ითვლება მხოლოდ და მხოლოდ სამეტყველო ერთეულების წარმოსათქმელად საჭირო დრო პაუზების, ჰეზიტაციური ელემენტებისა და ბორძიკის გამოკლებით (ENFSI 2022).

მეტყველების ტემპი შესაძლებელია დახასიათდეს თვისებრივად აუდიტორული ანალიზის საფუძველზე და მიეცეს მას ისეთი შეფასებები, როგორებიცაა: „ნელი“, „ნორმალური“ ან „სწრაფი“, თუმცა ამგვარი დახასიათება შეიძლება ძალზე სუბიექტური აღმოჩნდეს და იყოს მსმენლის ილუზია. მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს ქართული ენისთვის ამ ვერბალური შეფასების რაოდენობრივად გარდაქმნას და იმის დადგენას, არსებობს თუ არა რაიმე სახის კორელაცია დიქტორის ასაკს, სქესსა და მეტყველების ტემპს შორის.

არტიკულაციის ტემპი შედარდა სქესობრივი ჯგუფების მიხედვით:




ჯგუფები	კაცი	ქალი	საერთო
ნიმუშთა რაოდენობა	90	90	180
მინიმუმი	35	35	33
Q1	54	50	51
მედიანა	59	55.5	57.5
Q3	65	61	63
მაქსიმუმი	77	75	77
საშუალო (\bar{x}):	58.9	55.4	57.1

სურათი 1. 10-წამიან ინტერვალში წარმოთქმულ მარცვალთა რაოდენობა.

ცხრილი 1. 10-წამიან ინტერვალში წარმოთქმულ მარცვალთა სტატისტიკური მონაცემი.

მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ათწამიან შუალედში წარმოთქმული მინიმალური მარცვლების რაოდენობაა 33, მაქსიმალური – 77. მარცვალთა საშუალო არითმეტიკულიცა და მედიანაც დაახლოებით 57-ის ტოლია (5.7 მარცვალი/-წამში). საერთო მონაცემის პირველი კვარტილი $Q1=51$, ხოლო მესამე $Q3=63$. პირველ და მესამე კვარტილებს შორის მოქცეულია მონაცემთა დაახლოებით 50%, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ „ნორმალურ“ ანუ ყველაზე მეტად გავრცელებულ ტემპად ქართულში 5.1 მარც./წმ.-იდან 6.3 მარც./წმ.-ამდე განისაზღვროს. აღნიშნული დიაპაზონის მიღმა კი, შესაბამისად, გვექნება „ნელი“ და „სწრაფი“ მეტყველების ტემპი.

არტიკულაციის ტემპის შედარებამ, ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, შემდეგი სურათი აჩვენა:



სურათი 2. 10-წამიან შუალედში წარმოთქმულ მარცვალთა რაოდენობა.


ცხრილი 2. 10-წამიან შუალედში წარმოთქმულ მარცვალთა სტატისტიკური მონაცემი.

ჯგუფები	18-30 კაცი	31-40 კაცი	41-50 კაცი	18-30 ქალი	31-40 ქალი	41-50 ქალი	საერთო
ნიმუშთა	30	33	30	30	30	30	180
მინიმუმი	44	49	33	40	39	35	33
Q1	51	56	48	51	48	49	51
მედიანა	57.5	61	56	54.5	57	55.5	57
Q3	62	68	66	61	61	60	63
მაქსიმუმი	75	76	77	71	68	75	77
საშუალო (\bar{x}):	57.27	61.94	56.57	56.27	54.57	55.33	57

მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ 31-40 ასაკობრივ ჯგუფში ორივე სქესთან მონაცემთა დისპერსიულობის ხარისხი შედარებით მაღალია. მეტყველების ტემპსა და ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვა სახის კორელაციური ტენდენცია არ გამოიკვეთა: ყველა ჯგუფისთვის დროის კონკრეტულ შუალედში წარმოთქმული მარცვლების საშუალო რაოდენობა თითქმის იდენტურია. შესაბამისად, როგორც ჩანს, ასაკობრივი ჯგუფის თვალსაზრისით დისკრიმინაციული ძალა არტიკულაციის ტემპს არ გააჩნია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი დიქტორის ლინგვისტური პროფილის შედარების შედეგად ექსპერტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სადავო და ეტალონურ

ნიმუშებში ნამდვილად ერთი და იმავე დიქტორის მეტყველება არის თუ არა ასახული. შედარების პროცესში რაც მეტი პარამეტრის მიხედვით გვაქვს დამთხვევა, მით უფრო კატეგორიული შეიძლება იყოს დასკვნა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად პარამეტრთა ხასიათს: თუ რამდენად გავრცელებულია კონკრეტული თანმხვედრი ნიშანი შესაბამის პოპულაციაში. რაც უფრო იშვიათია ნიშანი, ამ ნიშნით შესადარებელი დიქტორების მსგავსება, მით უფრო ამყარებს იმ ჰიპოთეზას, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე დიქტორთან. შესაბამისად, მეტყველების პროფილების შეფასების დროს რელევანტურ პოპულაციაში ნაკლებად გავრცელებული ნიშნით თანაკვეთა უფრო მაღალი კალიბრის მახასიათებელია, ვიდრე გავრცელებული ნიშნით. ამრიგად, რაც უფრო პერიფერიულია მონაცემი, მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლის დროს მით უფრო მაღალი ინდექსი მიენიჭება მას. სტატისტიკური მონაცემი შესაძლებელია არტიკულაციის ტემპის ვერბალური დახასიათებისთვისაც იქნეს გამოყენებული. ვინაიდან ერთსა და იმავე კლასში („ნელი“, „სწრაფი“) გამეორების სიხშირული თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის მონაცემები მოექცა (იხ. ჰისტოგრამა), გამართლებულად მიგვაჩნია ამ კლასების დაყოფა ქვეკლასებად და 3-ის ნაცვლად 5-ბალიანი სკალით შეფასება.



სურათი 3. 10-წამიან შუალედში წარმოთქმულ მარცვალთა ჰისტოგრამა.

- 0-იდან 40 მარცვლამდე (საერთო მონაცემის 3%) – „ძალიან ნელი“;
- 40-იდან 51 მარცვლამდე (საერთო მონაცემის 19%) – „ნელი“;
- 51-იდან 63 მარცვლამდე (საერთო მონაცემის 54%) – „საშუალო“;
- 63-იდან 75 მარცვლამდე (საერთო მონაცემის 21%) – „სწრაფი“;
- 75-იდან ზემოთ (საერთო მონაცემის 3%) – „ძალიან სწრაფი“.



ჩვენ მიერ ჩაწერილი 60 დიქტორის მიერ 10-წამიან მონაკვეთში წარმოთქმული მარცვლების რაოდენობა შევაფასეთ აღნიშნული სკალის მიხედვით და მივიღეთ შემდეგი სურათი:

ცხრილი 3. საშუალო არტიკულაციის ტემპის შეფასება ხუთბლიან სკალაზე.

მარცვლების რაოდენობა შუალედში	საშუალო 10-წამიან	ვერბალური შეფასება	დიქტორთა რაოდენობა
0-იდან 40 მარცვლამდე		ძალიან ნელი	1
40-იდან 51 მარცვლამდე		ნელი	10
51-იდან 63 მარცვლამდე		საშუალო	39
63-იდან 75 მარცვლამდე		სწრაფი	9
75-იდან ზემოთ		ძალიან სწრაფი	1

შეფასების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ არტიკულაციის ტემპი შენიღბვის მცდელობას უფრო მეტად ემორჩილება შენელების თვალსაზრისით, ვიდრე აჩქარების. უკეთ რომ ვთქვათ, დიქტორს შეუძლია, მიზანმიმართულად შეანელოს მისი არტიკულაციის ტემპი, მაშინ, როდესაც იგი, თავისი ფიზიკურ-მორფოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოკლებულია არტიკულაციის ტემპის გარკვეული დონის მიღმა გაზრდის შესაძლებლობას.

არტიკულაციის ტემპში შიდადიქტორული ვარიაციების შესაფასებლად შევადარეთ ერთმანეთს ერთი და იმავე დიქტორის ჩანაწერის სხვადასხვა მონაკვეთზე გაკეთებული გაზომვები. მეტყველების ტემპში 10-წამიან შუალედში მინიმალური დიაპაზონი გვაქვს 1 მარცვალი, ხოლო მაქსიმალური – 31. საშუალოდ კი დიაპაზონი 11 მარცვალია. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას თითოეული დიქტორის გაზომვებს შორის, მინიმალური გადახრა ფიქსირდება 0, ხოლო მაქსიმალური – 16 მარცვალი. გაზომვებს შორის სტანდარტული გადახრა საშუალოდ შეადგენს 6-ს. შესაბამისად, ორი დიქტორის შეფასებისას 16 მარცვლამდე სტანდარტული გადახრა შეგვიძლია მივიჩნიოთ შიდადიქტორული ვარიაციის სტანდარტული გადახრის ზედა ზღვრად.



სურათი 3. არტიკულაციის ტემპში შიდადიქტორული ვარიაციის სტანდარტული გადახრისა და დიაპაზონის ჰისტოგრამა.


4. ფუნდამენტური სიხშირე (F0)

ფუნდამენტური სიხშირე (F0), ასევე ცნობილი, როგორც პირველი ჰარმონიკა, არის (კვაზი-)პერიოდული ტალღის განმეორებათა რაოდენობა ერთწამიან შუალედში (Hollien 1990:20). იგი გადაწყვეტ როლს ასრულებს ხმის წარმოებისა და აღქმის პროცესში. იგი არის ხმის ტალღაში არსებული ყველაზე დაბალი სიხშირე. ფუნდამენტური სიხშირე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დიქტორების ან, თუნდაც, ერთი და იმავე დიქტორის სხვადასხვა გამონათქვამს შორის. ფუნდამენტურ სიხშირეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: სქესი, ასაკი, ფიზიკური ან ემოციური მდგომარეობა და სხვ. ფუნდამენტური სიხშირის ვარიაციები, აგრეთვე, შეიძლება მიუთითებდეს კულტურულ, რეგიონულ ან ინდივიდუალურ იდენტობაზე.

ფუნდამენტური სიხშირე იზომება ჰერცებში და მისი წარმოდგენა ხდება საშუალო არითმეტიკულის სახით, თუმცა იგი ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ მონაცემთა მედიანის, მაქსიმალური და მინიმალური ღირებულების ან მონაცემთა სტანდარტული გადახრის სახით (Drygajlo et al. 2015).

ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, კერძოდ, სახმო სიმების განსხვავებული სიგრძის გამო, საშუალოდ მათი ფუნდამენტური სიხშირეები განსხვავებულია. ქალებს შედარებით მოკლე მბგერი იოგები აქვთ, რის გამოც მათი ფუნდამენტური სიხშირე კაცებთან შედარებით მაღალია. „როგორც წესი, მამაკაცების ფუნდამენტური სიხშირის საშუალო არითმეტიკული მერყეობს 80-200 ჰც-ის შუალედში, ქალებისა კი 150-400 ჰც-ის“ (ENFSI 2022:8). ფუნდამენტურ სიხშირესა და ასაკს შორის ურთიერთმიმართება შესაძლებელია, დამოკიდებული იყოს ინდივიდსა და პოპულაციაზე და საჭიროებს კვლევას. თუმცა, საზოგადოდ, ეს პარამეტრი ასაკის მატებასთან ერთად მიდრეკილია კლებისაკენ.

ჩვენ გავზომეთ ჩვენ მიერ ჩაწერილი დიქტორების ხმის საშუალო ფუნდამენტური სიხშირე და წარმოვადგინეთ მონაცემები ჩარჩო-დიაგრამის სახით.



სურათი 5. საშუალო F0 სხვადასხვა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში.

ცხრილი 4. ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების მიხედვით საშუალო ფუნდამენტური სიხშირის სტატისტიკური მონაცემი.

ჯგუფები	18-30	31-40	41-50	18-30	31-40	41-50
ნიმუშთა რაოდენობა	30	30	30	30	30	30
მინიმუმი	144	110	135	98	88	88
Q1	176	136	153	116	99	94.5
მედიანა	190.5	165	160	131	110	107
Q3	230	179	175	138	120	113
მაქსიმუმი	242	205	199	149	134	131
საშუალო (\bar{x}):	196.17	161.77	162.76	128.37	108.67	107.25

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ორივე სქესის შემთხვევაში ფუნდამენტური სიხშირე კლებადია ასაკის მატებასთან ერთად. ამასთან 18-30 წლის ასაკობრივ ჯგუფსა და 31-40 ასაკობრივ ჯგუფს შორის სხვაობა ბევრად დიდია, ვიდრე 31-40 და 41-50 ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ეს გამოწვეული უნდა იყოს ჯერ კიდევ მზარდი ორგანიზმით. აგრეთვე, 41-50 ასაკობრივი ჯგუფის ქალ დიქტორებში ფუნდამენტური სიხშირე ნაკლებად დისპერსიული ხასიათისაა და ძირითადი მონაცემი ლოკალიზებულია 153-175 ჰერცებს შორის, ხოლო დიაპაზონი შეადგენს 135-199 ჰერცებს. მონაცემთა ანალიზით მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართულ ენაზე მეტყველი დიქტორის ლინგვისტური პროფილის შედგენისას შეგვიძლია ვივარაუდოთ:

- თუ $F0 > 205$ ჰც-ზე, ეს იქნება დადებითი მონაცემი იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომ ხმის ნიმუში ეკუთვნის 30 წლამდე ქალს;
- თუ $F0 > 199$ ჰერცზე, ეს იქნება დადებითი მონაცემი იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომ ხმის ნიმუში ეკუთვნის 40 წლამდე ქალს;
- მამაკაცი დიქტორის შემთხვევაში, თუ $F0 > 134$ ჰც-ზე, ეს არის დადებითი მონაცემი იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომ სადავო ხმის ნიმუში ეკუთვნის 30 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ადამიანს.

მამაკაც დიქტორთა ფუნდამენტური სიხშირეების შედარებამ აჩვენა, რომ ერთი დიქტორის გაზომვებს შორებს მაქსიმალური სხვაობა 24 ჰერცია, დიაპაზონი კი საშუალოდ 8 ჰერცს წარმოადგენს. რაც შეეხება სტანდარტულ გადახრას – იგი 1-იდან 15-ამდე მერყეობს, მისი საშუალო არითმეტიკული კი $\sigma_2 = 5$. შესაბამისად, სადავო და ეტალონური ხმის ნიმუშების შედარებისას ფუნდამენტურ სიხშირეში სხვაობა 29 ჰერცამდე, ხოლო 15 ჰც-ამდე სტანდარტული გადახრა დასაშვებ ზედა ზღვრად უნდა მივიჩნიოთ.

ქალი დიქტორებისთვის დიაპაზონის ზომა 1-იდან 42 ჰერცამდე მერყეობს, ხოლო საშუალოდ 20 ჰერცს წარმოადგენს. რაც შეეხება სტანდარტულ გადახ-

რას, 12 საშუალოდ ტოლია 10-ის, ხოლო მისი დიაპაზონი 1-იდან 23-ამდე მერყეობს. აქაც, შესაბამისად, სადავო და ეტალონური ხმის ნიმუშების შედარებისას, ფუნდამენტურ სინშირეში სხვაობა 42 ჰერცამდე, ხოლო 23 ჰც-ამდე სტანდარტული გადახრა დასაშვებ ზედა ზღვრად უნდა ჩავთვალოთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე კვლევა იძლევა საინტერესო სტატისტიკურ ინფორმაციას ქართულ ენაზე მეტყველი პოპულაციის არტიკულაციის ტემპსა და ფუნდამენტურ სინშირეზე. კვლევის შედეგად გაკეთებული მიგნებები გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ გამოყენებული ორი პარამეტრი – არტიკულაციის ტემპი და ფუნდამენტური სინშირე – შესაძლებელია, ძალზე ღირებული აღმოჩნდეს საიდენტიფიკაციო კვლევის პროცესში. ამ მიგნებებს შეუძლია დაეხმაროს სასამართლო ფონეტიკის ექსპერტებს სამართლებრივი მიზნებისთვის დიქტორის იდენტიფიკაციის პროცესში.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა ივანე ლეჟავამ

ლიტერატურა

- Drygajlo et al., 2015:** A. Drygajlo, M. Jessen, S. Gfroerer, I. Wagner, J. Vermeulen, & T. Niemi, *Methodological Guidelines for Best Practise in Forensic Semiautomatic and Automatic Speaker Recognition*, Verlag Fur Polizeiwissenschaft, Frankfurt.
- ENFSI 2022:** *Best Practice Manual for the Methodology of Forensic Speaker Comparison (FSA-BPM-003)*.
- Eriksson 2005:** A. Eriksson, Tutorial on Forensic Speech Science, *Proc. European Conf. Speech Communication and Technology*, pp. 1-14.
- Hollien 1990:** H. Hollien, *The Acoustic of Crime*. Plenum Press, New York.
- Hollien 2012:** H. Hollien, About Forensic Phonetics, *Linguistica*, pp. 27-53.
- Nolan 2009:** F. Nolan, *The Phonetic Bases of Speaker Recognition*, Cambridge University Press, Cambridge.
- Olsson, Luchjenbroers 2014:** J. Olsson & J. Luchjenbroers, *Forensic Linguistics*. Bloomsbury, London.
- Rose 2002:** P. Rose, *Forensic Speaker Identification*, Taylor & Francis, London.

Mariam Navadze

Statistical Analysis of Speech Rate and Fundamental Frequency in Forensic Phonetics: A Study on the Georgian Language

Summary

This research delves into the fundamental aspects of speaker identification, where voice samples are compared based on various speech characteristics. The study emphasizes the importance of distinguishing between speaker-specific and population-common traits to improve identification accuracy. The rarity of certain speech characteristics among speakers

enhances their effectiveness in differentiation, necessitating statistical data on speech parameters for each language. This article presents statistical information on speech rate and fundamental frequency for the Georgian language.

To gather data on the Georgian native speaker population, three age categories ([18-30], [31-40], [41-50]) were selected, with 10 men and 10 women in each category, totaling 60 speakers. Fundamental frequency and articulation rate were measured based on syllables uttered in a ten-second interval, excluding pauses and disfluencies.

Analyzing articulation rate across age and gender groups reveals that middle-aged speakers exhibit higher articulation tempos, with no significant difference between age and gender groups. To facilitate speaker differentiation, the study introduces a 5-point scale, classifying articulation rates as “very slow”, “slow”, “normal”, “fast”, or “very fast”. This approach provides a more nuanced assessment.

Fundamental frequency (F0), a fundamental acoustic characteristic, varies among speakers due to gender, age, and individual factors. Women generally have higher F0 values due to shorter vocal fold lengths. The study examines F0 through statistical analysis, emphasizing the importance of understanding the role of F0 in speaker identification and its susceptibility to physiological changes. Intra-speaker variation is also considered, with acceptable ranges established for fundamental frequency differences. The study concludes that F0 values can be indicative of gender and age groups, further aiding speaker identification.

In conclusion, this research provides essential statistical insights into speech rate and fundamental frequency in the Georgian language, valuable for forensic phonetics applications. Understanding the nuances of these parameters can enhance speaker identification accuracy, reinforcing the importance of selecting appropriate, independent, and effective parameters tailored to specific cases.

Presented by Prof. Ivane Lezhava

მეტყველების ინტენსიფიკაცია და მისი გამოსახვის საშუალებები ინგლისურ და ქართულ ენებში

ყოველდღიური მეტყველების ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მარტო ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებს და იდეებს, ან ერთმანეთში ცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ ისინი, ჩვეულებრივ, ენის საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახვენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

სწორედ ინტენსიფიკატორების მთავარი და მნიშვნელოვანი თვისებაა ის, რომ მათი საშუალებით ხდება მთელი წინადადებისთვის ან მისი რომელიმე ნაწილისთვის გამაძლიერებელი ეფექტის გაზრდა ან შემცირება, რაც ინგლისურ და ქართულ ენებში სხვადასხვაგვარად ვლინდება. ყოველდღიური მეტყველების ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მარტო ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებს და იდეებს, ან ერთმანეთში ცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ ისინი, ჩვეულებრივ, ენის საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახვენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

მეტყველების ინტენსიფიკაცია სასაუბრო სტილის მუდმივი და უმთავრესად მნიშვნელოვანი თავისებურებაა. არსებობს სხვადასხვა გზა და საშუალება იმისათვის, რომ გავაძლიეროთ როგორც მთელი წინადადება, ასევე მოცემული წინადადების ნებისმიერი ნაწილი. ენა იძლევა უამრავ საშუალებას, რათა წინადადებას ან მის ნებისმიერ ნაწილს მიენიჭოს სრულიად ემოციური გამომსახველობა. ინგლისურ ენაში ეს საშუალებებია: მახვილი, სხვადასხვა ტიპის ინტენსიფიკატორები, შორისდებულები, ემფატიკური –ლო თხრობით და ბრძანებით წინადადებებში, გამეორება, ემფატიკური სინტაქსური სტრუქტურები, სახელები წოდებით ბრუნვაში (ვოკატივები) და სხვ. ხოლო ქართულ ენაში ინტენსიფიკაციის ფუნქციას, შეიძლება ითქვას, რომ ჩართულები, კერძოდ, ზმნისართები ასრულებენ, ასევე, შორისდებულები, ვოკატივები.

ინტენსიფიკატორების კვლევა და მათი სწორად გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ სხვადასხვა ლექსიკური დატვირთვა აქვთ ამა თუ იმ კომუნიკაციური ტიპის წინადადებებში.

ჩვეულებრივ, ინგლისური ენა უხვად შეიცავს ინტენსიფიკატორებს, რომლებიც შესაძლოა, გამოხატული იქნეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, განსაკუთრებით, ზმნიზელით, მოდალური სიტყვებით, ნაწილაკით, ნაცვალსახელებით, არსები-

თი სახელებით და ხანდახან ზედსართავი სახელებით, ხოლო ქართული ენის მეტყველების ინტენსიფიკაციის ძირითად საშუალებებს ზმნიზედები წარმოადგენენ. ინტენსიფიკატორები თავიანთი ბუნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანს ერთი საერთო თვისება აქვს ორივე ენაში. ეს არის მთელი წინადადებისთვის ან მისი რომელიმე ნაწილისთვის გამაძლიერებელი ეფექტის გაზრდა ან შემცირება, ამიტომ ჩვენ განვასხვავებთ ინტენსიფიკატორების ორ ჯგუფს:

- 1) საზოგადო წინადადების ინტენსიფიკატორები, რომლებიც მთელ წინადადებას აძლევენ ემოციურ დატვირთვას.
- 2) ინტენსიფიკატორები, რომლებიც წინადადების გარკვეულ ნაწილს აძლიერებენ.

საზოგადო წინადადების ინტენსიფიკატორები გამოხატული არიან იმ მოდალური სიტყვებით, როგორებიცაა: *actually, really, indeed, certainly, surely, of course* და სხვ. უმრავლეს შემთხვევაში ისინი მოძრავია, ცვალებადია და ამიტომ შეუძლიათ, დაიკავონ ნებისმიერი ადგილი წინადადებაში.

მაგ.: *I really want to meet you again.*

He was there indeed.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ მორფოლოგიურად ემოციური ფუნქციის მქონე ზმნი-სართებზე, როგორებიცაა: *საბედნიეროდ, სასიხარულოდ, სამწუხაროდ, საუბედუ-როდ, რომლებიც შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში, განსაკუთრებით წინადა-დების ბოლოს დგანან და შეუძლიათ ვითარების გარემოების როლი შეასრულონ.* მაგ.: *ყველაფერი კარგად დალაგდა, საბედნიეროდ, ან თქვენი დანაპირები ვერ შე-ვასრულე, სამწუხაროდ. მაგრამ, ამავე დროს, ეს ინტენსიფიკატორები მოძრავია და წინადადების თავშიც შეიძლება გამოვიყენოთ.*

დავუბრუნდეთ ისევ ზემოთ ნახსენებ ინგლისურ ინტენსიფიკატორებს. მათი ინტენსიფიკაციის ეფექტი უფრო ცხადია ზედსართავ სახელებთან, ვიდრე *obvio-ously* ინტენსიფიკატორისა არსებით სახელთან:

მაგ.: *They were really funny.*

He is dangerous indeed.

He is obviously a fool= (He is a big fool).

საზოგადო წინადადების ინტენსიფიკატორების გამოყენება ღიდად არის დამო-კიდებული წინადადების ტიპზე. მათი გამოყენების მთავარი სფერო თხრობითი წი-ნადადებაა. სულ რამდენიმე საზოგადო ინტენსიფიკატორი შეიძლება შეგვხვდეს უარყოფით წინადადებაში, რამდენადაც მათი მნიშვნელობები შეუთავსებელია უარ-ყოფითი წინადადების მნიშვნელობასთან. ნათელია, რომ ემოციური ინტენსიფიკა-ტორები, რომლებიც აშკარა უდავლობას გამოხატავენ, როგორებიცაა: *surely, certa-ainly, naturally* და სხვ., არ შეიძლება შეგვხვდეს კითხვით წინადადებაში, მაგრამ შემდეგი ინტენსიფიკატორები: *really* და *indeed* თავიანთი ინდივიდუალური თვისე-ბებით სავსებით შესაძლებელია, გამოვიყენოთ კითხვით წინადადებაში.

მაგ.: Do they really want him to be a doctor? ზუსტად იგივე სიტუაციაა ქართულ ენაში მსგავს ინტენსიფიკატორებთან მიმართებით და აი, მაგალითად, ეს ინგლისური კითხვითი წინადადება პირდაპირ შეგვიძლია ვთარგმნოთ: მათ ნამდვილად სურთ, რომ ის ექიმი გახდეს? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში ხშირად გვხვდება დაწყვილებული ინტენსიფიკატორები, მაგ.: საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, რომელთა გამოყენება მხოლოდ საზოგადო წინადადებაშია შესაძლებელი. მაგ.: საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მან ეს ასე გადაწყვიტა.

ბრძანებით წინადადებებში საზოგადო ინტენსიფიკატორები იშვიათად იხმარება, მაგრამ ინტენსიფიკატორები: actually, really და definitely ინგლისურ ენაში და ქართულ ენაში ნამდვილად, აუცილებლად, ბრძანებით წინადადებებშიც გვხვდება ხოლმე.

მაგ.: Make an effort this time – but really make an effort.

სცადე ამჯერად, მაგრამ აუცილებლად სცადე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს, აგრეთვე, მეორე ჯგუფი ინტენსიფიკატორებისა, რომლებიც წინადადების გარკვეულ ნაწილს აძლიერებენ. ეს ერთეულები ქმნიან სიტყვათა დიდ ჯგუფს, რომლებიც მიეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილს, უმეტეს შემთხვევაში, ზმნიზედებსა და ნაწილაკებს. ისინი, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ სიტყვას ან ფრაზას, რომლებიც თან ახლავს მათ და აძლიერებენ ან ამცირებენ ამ სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობას. ეს ზმნიზედები და ნაწილაკები, როგორც ინტენსიფიკატორები, შესაძლოა, დაკავშირებულ იქნენ წინადადების ნებისმიერ წევრთან, რომელიც გამოხატულია მეტყველების სხვადასხვა ნაწილით. მაგ.: ზედსართავეები, განუსაზღვრელი ნაცვალსახელები, ზმნები და სხვ. და, აგრეთვე სიტყვათა ჯგუფებით, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში.

ავიღოთ ასეთი წინადადება: They missed her. ეს წინადადება შეიძლება ორაზროვნად იქნეს გაგებული:

1. როგორც They felt sorry for her და
2. როგორც They arrived too late and couldn't see her.

ამიტომ ზმნიზედის very much დამატება, რომელიც შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს ზმნას -miss თავიდან აგვაშორებს ამ გაურკვევლობას.

მაგ.: They very much missed her ან They missed her very much. ასეთივე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ქართულშიც. მაგ.: ის მას გულში ჩაუვარდა. ამ წინადადებაში სომატური იდიომია გამოყენებული და შეყვარებას ნიშნავს. ეს წინადადებაც შეიძლება ორაზროვნად იქნეს გაგებული: ან ის მას შეუყვარდა, ან ის (მაგ.: ბეჭედი, ცხვირსახოცი) მას გულში ჩაუვარდა, (პირდაპირი გაგებით), მაგრამ, თუ ზმნიზედს – ძალიან – დავამატებთ, აზრი უკვე გასაგები გახდება. მაგ.: ის მას ძალიან ჩაუვარდა გულში, ან ის გულში მას ძალიან ჩაუვარდა, ანუ ძალიან შეუყვარდა.

გამოიყოფა, აგრეთვე, განსაკუთრებული ჯგუფი გამაძლიერებელი სიტყვებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან ნაწილაკებს. ნაწილაკებში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ

სიტყვებს, როგორებიცაა: only, just, also, even, still, too (=also), simply, purely და სხვ. ხოლო ქართულში, ზუსტად, მხოლოდ, ეს-ესაა, აგრეთვე, -ც ნაწილაკი, უბრალოდ და სხვ. რომლებიც ტრადიციულად ზმნიზედების კლასს მიეკუთვნებიან. მათი ფუნქციაა, გააძლიერონ ან შეამცირონ წინადადების ნებისმიერი ნაწილის ან მთელი წინადადების მნიშვნელობა.

მაგ.: That is exactly / precisely what I feel.

ეს ზუსტად ის არის, რასაც ვგრძნობ.

უმეტესობა ნაწილაკებისა, რომლებსაც აქვთ ემფატიკური სპეციფიკაცია (only, just და სხვ. ინგლისურ ენაში და მხოლოდ, ზუსტად, ქართულ ენაში წინ უსწრებენ იმ სიტყვას, რომელსაც აძლიერებენ.

მაგ.: I saw only him and inertly asked his name.

მე მხოლოდ ის დავინახე და ინერტულად ვიკითხე მისი სახელი.

You are just the person I am looking for.

თქვენ ზუსტად ის პიროვნება ხართ, ვისაც ვეძებ.

ამგვარად, ორივე, ინგლისურ და ქართულ, ენაში ინტენსიფიკაცია ასრულებს უადრესად მნიშვნელოვან როლს, რომელსაც აქვს გაძლიერების ფუნქცია. ზემოთ განხილული ინტენსიფიკატორები, ძირითადად, გამოიყენება მეტყველებაში საგნებისა და მოვლენების უფრო ემოციური, გამომსახველობითი და სუბიექტურ-შეფასებითი აღწერისათვის.

ლიტერატურა

გამყრელიძე და სხვ. 2003: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ბერუჩაშვილი 1986: И. Г. Беручашвили, *Системные и речевые интенсификаторы в современном английском языке*, Тбилиси.

ბრაიტი 1975: У. Брайт, Введение: параметры в социолингвистике, *Новое в лингвистике*, вып. Социолингвистика, издательство “Прогресс”, Москва.

ბუზაროვი 1986: V.V. Buzarov, *Essentials of Conversational English Syntax* Москва.

ფრეზერი 1976: B. Fraser, *The Verb-particle Combination in English*, Academic Press, New York.

Speech Intensification and its Means of Expression in the English and Georgian Languages

Summary

This paper discusses the intensification of speech and the means of its expression in different communicative types of sentences in the English and Georgian Languages. Speech intensification is a constant and most important feature of conversational style. There are various ways and means of strengthening both the whole sentence and any part of a given sentence. Language provides many opportunities to give a sentence, or any part of it, a completely emotional expression. In ordinary and spontaneous dialogues of everyday speech, the speakers not only share their thoughts and ideas with each other, or exchange various information, but they usually convey their feelings and emotions through the means of language that reflect the state of people in which they are. The main and important feature of intensifiers is that they increase or decrease the intensifying effect for the whole sentence or any of its part, which in the English and Georgian languages is manifested in different ways.

Intensifiers, which exist in different types of sentences in both English and Georgian languages, are mostly used in speech to describe the things and events more emotionally. It is worth mentioning that there is a great number of intensifiers in the English language expressed by different parts of speech, mostly by adverbs, modal words, particles, pronouns, nouns and sometimes by adjectives. While the main means of speech intensification in the Georgian language are adverbs.

Intensifiers can define the verbs or phrasal verbs, indicating their intensiveness. They are placed in front of the predicate, which is expressed by a verb or a phrasal verb. We should draw our attention to the fact that the meaning of some intensifiers depends on the position they take in the sentence. In both English and Georgian intensifiers represent quite a large and diverse group according to meaning and form.

მანანა რუსიშვილი, მარინე მახათაძე

**ორენოვანი თემატური ლექსიკონის, როგორც
ჰიპრიდული ლექსიკოგრაფიული შანრის,
მიპროსტრუქტურა**

(„თოვლის“ სემანტიკური ველის მაგალითზე)

1. ორენოვანი თემატური ლექსიკონების რაობა

ლექსიკონის საგნობრივად/თემატურად განლაგების მიმართ ინტერესი გააჩინა საკუთრივ ლექსიკოგრაფიულმა პრაქტიკამ. მიუხედავად აღნიშნული ტიპის ლექსიკონის ნოვატორული ბუნებისა, მისი საფუძვლები შეგვიძლია შორეულ წარსულშიც აღმოვაჩინოთ, როდესაც ძველ მესოპოტამიაში ლურსმული დამწერლობით შემერული ლექსიკა აქადური ეკვივალენტებით თემატურად, ორენოვანი გლოსების სახით იყო დატანილი (მაკართური 1986:20-22). ხოლო დღეს, თანამედროვე სასწავლო ლექსიკონის ისტორიის თვალსაზრისით, თემატური ლექსიკონი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა.

თემატური ლექსიკონის კვლევის მეტალექსიკოგრაფიულ ასპექტებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სემასიოლოგიისა და ონომასიოლოგიის დიქოტომიას, ანუ ისეთ მიდგომებს, რომლებიც სიტყვისა და საგნის ურთიერთობას სხვადასხვაგვარად შეისწავლის. ლექსიკოლოგიური კვლევის სემასიოლოგიური ასპექტი გულისხმობს სიტყვიდან ამოსვლას და მისი საგნობრივი მიმართების, ანუ მნიშვნელობის, მოძიებას. სემასიოლოგიას ანტერესებს არა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ეტაპები, არამედ მისთვის არსებითია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერაც, პოლისემიის, ენობრივი მეტაფორის და სხვ. თანამედროვე სემასიოლოგიური სასწავლო ტიპის ლექსიკონები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ლექსიკურ ერთეულთა სინტაქსურ და კოლოკაციურ მოდელებზე.

ლექსიკოგრაფიული კვლევა შეიძლება სემასიოლოგიის საპირისპირო მიმართულებითაც წარიმართოს. შეიძლება ამოვიდეთ საგნობრივი მიმართებიდან (მნიშვნელობიდან) და მოვიძიოთ მისი სახელწოდება. კვლევის ამგვარ მიმართულებას ონომასიოლოგიურს უწოდებენ (ჰარტმანი, ჯეიმსი 1998). ონომასიოლოგიას ანტერესებს ლექსიკური ფონდის დინამიკაც და ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთობაც, მაგალითად, სინონიმია, როდესაც გვინდა, მაგალითად, ბედნიერების აღმნიშვნელ სიტყვებს მოვუყაროთ თავი, დავაჯგუფოთ, აუცილებელია, რომ, პირველ რიგში, „ბედნიერების“ ცნება გვქონდეს. ცნება კი ვერ ჩამოყალიბდება სიტყვიერი ფორმის გარეშე. ცნება, ამრიგად, მეორეულია და სემასიოლოგიურ ასპექტთან

დაქვემდებარებული ხასიათი აქვს. როჟეს (როჯეტის) თეზაურუსის მსგავს ლექსიკონებში, რომლებიც ლექსიკას ონომასილოგიურად შეისწავლიან, მომხმარებლები ზოგადიდან კერძოსაკენ, ანუ ფართო საკითხიდან (მაგ., ემოციების სემანტიკური ველიდან) უფრო დავიწროებულ კატეგორიამდე (მაგ., ბედნიერი) მისასვლელად სემასიოლოგიურ ასპექტსაც აწყდებიან (გლინი, 2015).

ლექსიკური ფონდის თემატური დალაგებისათვის რამდენიმე ტიპის ლექსიკონი არსებობს:

- 1) სასწავლო ტიპის თემატური ლექსიკონები, როგორცაა, მაგალითად, the Cambridge Word Routes (CWR) და
- 2) ორენოვანი თეზაურუსი, მაგალითისათვის, the Cambridge French-English Thesaurus (CFET).

ორივე ტიპის თემატურმა ლექსიკონმა განმარტებითი სასწავლო ტიპის ლექსიკონების ისეთი თვისებრივი მახასიათებლები მოიგო, როგორცაა: გრამატიკული ინფორმაცია, სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული თანდართული კომენტარები და საილუსტრაციო წინადადებები (სტარკი 2011:8).

აღნიშნული ტიპის თემატურ ლექსიკონებს შორის განსხვავება მდგომარეობს მათ მაკროსტრუქტურაში, თუ როგორაა თემები სისტემატიზებული ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ორენოვან თეზაურუსში მოცემული საგნობრივი სქემები და სემანტიკური ქსელები მოწყობილია „საშობაო ნაძვის ხის“ იერარქიის ფორმით. მცირე რაოდენობის (15) ვრცელი თემატიკის მქონე ჯგუფები მოცემულია უმაღლეს საფეხურზე. მაგალითად: „საკვები და სასმელი“ ქვეკატეგორიებადაა დაყოფილი, „ხილი და ბოსტნეული“ კი უფრო დეტალურ ქვეჯგუფებადაა ჩაშლილი, რომელშიც მოცემულია, მაგალითად, „ციტრუსები“; მეორე მხრივ, ორენოვან სასწავლო თემატურ ლექსიკონებს რადიკალურად განსხვავებული მაკროსტრუქტურული წყობა აქვთ. აქ, მცირე რაოდენობის ძალზე ვრცელი კატეგორიების ნაცვლად, ვხვდებით დიდი ოდენობის (450) სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ქვეკატეგორიებად იშვიათადაა დაყოფილი.

ერთ-ერთი ფუნდამენტური მიკროსტრუქტურული საკითხი ეხება თემატურ ლექსიკონებში ლემატიზაციის, ანუ განსამარტავ სიტყვათა განლაგების/ მიმდევრობის თავისებურებას (გოუესი, პრინსლუ 2005:67). ანბანური თანმიმდევრობის ლექსიკონი უკავშირდება ლექსიკის კვლევის სემასიოლოგიურ ასპექტს. მისი უპირატესობებია ფიქსირებული ბუნება და ობიექტურობა, თუმცა თითოეული სიტყვის დახასიათებასთან ერთად ჩნდება მოთხოვნილება, დახასიათდეს სემანტიკური თვალსაზრისით მთელი ლექსიკური ფონდი და სისტემატურად აღიწეროს ენის ლექსიკური მხარე. სალექსიკონო მასალის ანბანურად დალაგება, ცხადია, პრაქტიკულად უადრესად ფასეულია, მაგრამ ასევე ანბანური ლექსიკონი ნაკლებ ეფექტური ინსტრუმენტია ენის სემანტიკური მხარის შესახებ საერთო წარმოდგენის შესამუშავებლად. ვინაიდან ლექსიკა არის სისტემა, რომლის მიმართებები ორივე პარადიგმატულია (მაგ.: ანტონიმია, ჰიპონიმია, მერონიმია და სინონიმია) და სინტაგმა-

ტური (მაგ., კოლოკაცია), ლექსიკურ ველებს შორის ურთიერთობების დადგენით უფრო ნათელი ხდება მთლიანად ენის სტრუქტურა (სტარკი 2011:102).

2. დასავლეთევროპული ენების ორენოვანი თემატური ლექსიკონების მიკროსტრუქტურა

სასწავლო და თემატური ლექსიკოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე დასავლეთევროპული ენების შემსწავლელთათვის რამდენიმე ფასეული თემატური ლექსიკონი შეიქმნა. სტარკი (2011) ქრონოლოგიურად წარმოადგენს რამდენიმე მნიშვნელოვან ორენოვან თემატურ ლექსიკონს:

1. Cambridge Word Routes Anglais-Français (Cambridge University Press) 1994
2. Cambridge Word Selector Inglés-Español (Cambridge University Press) 1995
3. Cambridge Word Selector Anglès-Català (Cambridge University Press) 1995
4. Cambridge Word Routes Inglese-Italiano (Cambridge University Press) 1995
5. Cambridge Word Routes Αγγλικά-Ελληνικά (Cambridge University Press) 1996
6. Cambridge Word Routes Inglês-Português (Martins Fontes, copyright Cambridge University Press) 1996

კემბრიჯის თემატური ლექსიკონის სერიული გამოცემა გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო და მოიცავს რომანული ენები და, მასთან ერთად, ბერძნული ენაც. თითოეული ლექსიკონი ერთსა და იმავე ლექსიკოგრაფიულ ფორმულას ეფუძნება და ექვსივე ტექსტში ტექსტობრივი კომპონენტები, თანმიმდევრობა, ლექსემების მიკროსტრუქტურული კატეგორიები, სიტყვასტატიების კომპონენტები, შერჩეული თემატიკა და ა.შ. არის იდენტური.

აღნიშნული ორენოვანი თემატური ლექსიკონების სამიზნე აუდიტორია ინგლისური ენის შემსწავლელებია, რომელთა მშობლიური ენა არის ფრანგული, ესპანური, კატალანური, იტალიური, ბერძნული ან პორტუგალიური. ლექსემათა შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ენობრივი მოთხოვნილებები და ინგლისური ენის ცოდნის დონე. ამ ლექსიკონების უპირველესი მიზანია, ენის შემსწავლელებს ლექსიკური მარაგი გაუმდიდროს, შეასწავლოს სიტყვები არა იზოლირებულად, არამედ გაცნოს ერთი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ლექსიკური ერთეულები.

ინგლისურ-ფრანგული ორენოვანი თემატური ლექსიკონების მაკროსტრუქტურაში განირჩევა 450 თემატიკად დაყოფილი კატეგორია. თითოეული მათგანის სათაური მოცემულია ინგლისურ ენაზე, რომელსაც მოსდევს ფრანგული შესატყვისი. თითოეული კატეგორია დაყოფილია ქვეკატეგორიებად, რომელთა რაოდენობა 1-იდან 13-ამდე მერყეობს. ლექსიკონის ავტორები შეფარვით აკრიტიკებდნენ როჟეს თემა-

ტური ლექსიკონის პრინციპებს და აღნიშნავდნენ, რომ ნაცვლად ბუნდოვანი ფილოსოფიური სისტემისა, კემბრიჯის ორენოვანი თემატური ლექსიკონის ტექსტები კანონზომიერ, პრაქტიკულ და ლოგიკურ სტრუქტურას ეფუძნება. მაგალითისათვის წარმოვადგენთ კატეგორიებისა და ქვეკატეგორიების ნიმუშებს:

ფლორა/ფაუნა: Wild animals Animaux Sauvages; Trees Arbres

ფიზიკური სამყარო: Geography and Geology Géographie et Géologie;

Astronomy Astronomie; Astrology Astrologie

პიროვნული თვისებები: Good (morally) Bon (moralement); Selfish Egoïste

თავისუფლება/კონტროლი: Control Diriger; Forbid Interdire

მოძრაობა: Quick Rapide; Wave Flotter au ven

იუმორი: Laugh Rire; Tease Taquiner

უარყოფითი ემოციები: Hate and Dislike Haïr et Détester; Angry Furieux

რაც შეეხება ქვეკატეგორიებს, მაგალითად, კვების ქვეკატეგორიები (164 Eat Manger) იყოფა შემდეგნაირად:

164.1 Bon à manger

164.2 Manger

164.3 Manger vite ou en grandes quantités

164.4 Gens qui mangent beaucoup

164.5 Manger de petites quantités

ინგლისურ-ფრანგული თემატური ლექსიკონის სიტყვასტატიების მიკროსტრუქტურა შედგება ფუნდამენტური ლექსიკოგრაფიული ელემენტებისაგან, როგორებიცაა: მეტყველების ნაწილი, გრამატიკული ინფორმაცია, ადგილისმიერი კვალიფიკაციები, სტილი/რეგისტრი, კოლოკაციური ინფორმაცია, ეკვივალენტი ფრანგულ ენაზე, საილუსტრაციო წინადადება ინგლისურად და მისი თარგმანი ფრანგულად, მითითებანი და სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

job nd travail Painting the ceiling will be a difficult job. Peindre le plafond, ce sera un travail difficile. *voir aussi 271 Employment

smelly adj [informel] malodorant smelly feet des pieds qui sentent mauvais

unthinkable adj (souvent + that; gén après v) [souligne le fait que ce que l'on décrit serait mal, choquant, etc.] impensable, inconcevable It's unthinkable that they would refuse. Il est impensable qu'ils refusent.

ნათელია, რომ ფრაზული და წინდებულებიანი ზმნის გრამატიკული და სინტაქსური ინფორმაცია მრავალ ფრჩხილებშია მოქცეული, სტილისტიკური კვალიფიკაცია, კოლოკაციური წყვილები კი – კვადრატულ ფრჩხილებში.

საყურადღებოა სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული სალექსიკონო ტექსტური მითითებები (მაგალითად, კულტურასა და სიტყვათა ხმარებულობასთან დაკავშირებული მითითებები). წონისა და ზომის თემატურ კატეგორიაში ვხვდებით შემდეგნაირ „კულტურულ მითითებას“, რომელიც ხსნის საზომი სისტემის განსხვავებებს ევროპასა და ამერიკაში (იხ. სურ. 1).

usage

Bien que le système métrique soit considéré comme la norme dans la terminologie scientifique et technique du monde entier, la Grande-Bretagne ne l'adopte que peu à peu pour l'utilisation quotidienne. Le système métrique n'est pratiquement pas utilisé aux Etats-Unis. La plupart des Britanniques préfèrent encore utiliser le système impérial (**the Imperial system**) qui, à l'opposé du système métrique, ne suit pas la structure régulière basée sur le nombre 10. Le système américain est le plus souvent semblable au britannique mais on notera quelques légères différences pour les équivalents du système métrique.

სურ. 1. კულტურასთან დაკავშირებული სალექსიკონო მითითება ორენოვან თემატურ ლექსიკონში.

რაც შეეხება მიკროსტრუქტურაში არსებულ დასურათებულ ილუსტრაციებს, ისინი მხოლოდ ზოგჯერ გვხვდება ფლორა/ფაუნის, მოქმედებების, ასტრონომიისა და ასტროლოგიის კატეგორიებში.

3. ქართულ-ინგლისური ორენოვანი თემატური ლექსიკონის სიტყვასტატიები

ლექსიკოგრაფიულ სინამდვილეში ლექსიკოგრაფიული წყარო უფრო მასშტაბურ, მრავალმხრივ რესურსად გარდაიქმნება, ითავსებს სხვა წყაროებს, მკვლევართა გამოცდილებას, დიპრონიულ და სინქრონიულ ცვლილებებს და კვლევის ფართო პერსპექტივას წარმოაჩენს.

ქართულ-ინგლისური ორენოვანი თემატური ლექსიკონის შედგენისათვის შერჩეულ იქნა ქართული იდეოგრაფიული (თემატური) ლექსიკონი, როგორც ძირითადი ლექსიკოგრაფიული წყარო ახალი ლექსიკონისათვის. გარდა აღნიშნული ლექსიკონისა, მასალად შერჩეულია ისეთი ლემები, რომლებიც სხვადასხვა საცნობარო წყაროებში (მაგ.: მხატვრული ლიტერატურა, სპეციალური დარგობრივი ლიტერატურა და ლექსიკონები) მოვიძიეთ. ასეთი ტიპის, „თოვლის“ სემანტიკური ველის გარშემო გაერთიანებული სალექსიკონო ერთეულები, კონკრეტულად ქართული ენობრივი კოლექტივის სააზროვნო სივრცის ნაწილია და ჩვენი კვლევის შედეგიც ამას ცხადყოფს.

ქართული იდეოგრაფიული (თემატური) ლექსიკონის, როგორც ძირითადი ლექსიკოგრაფიული წყაროს, შერჩევა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ქართული განმარტებითი იდეოგრაფიული ლექსიკონის შექმნის საჭიროება საგრძნობი განადა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ მუშაობამ. მოკლე დროში დამთავრებისათვის საჭირო შეიქნა მრავალი პირის ჩაბმა მასალის განმარტებასა და მომზადებაში. ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი შედგენილია არასპეციალისტებისათვის და არა აქვს ტერმინოლოგიური ლექსიკონის დანიშნულება. მასში შესულია არა მეცნიერული ტერმინები და მათი კლასიფიკაცია, არამედ

ქართულ სალიტერატურო და სასაუბრო (დიალექტურ) ენაში დამკვიდრებული სიტყვები და გამოთქმები, დალაგებული თემატურად, ბიძინა ფოჩხუას მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით. სიტყვების განმარტება, ძირითადად, ეყრდნობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონში მოცემულ დეფინიციებს. მოკლე განმარტებები მკითხველს აწვდის ორიენტირის სიტყვის მისაკუთვნებლად გარკვეულ თემატური სფეროსადმი. ავტორი აღნიშნავს, რომ იგი არ გაჰყვამდობს დორნზაიფის გზას, მაგრამ გაითვალისწინა ერთ-ერთი პრაქტიკული დანიშნულების მქონე ლექსიკონი – შარლ მაკეს მიერ შედგენილი ფრანგული ენის ანალოგიური ლექსიკონი. ლექსიკონის ქვესათაურია „სიტყვები იდეებისათვის, იდეები სიტყვებისათვის“ (ფოჩხუა 1987:39).

მეორე თავში განხილული კემბრიჯის ინგლისურ-ფრანგული თემატური ლექსიკონის შედგენის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ჩვენი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის მიკროსტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მტყვევლების ნაწილი, გრამატიკული ინფორმაცია, სტილისტიკური კვალიფიკაციები, კოლოკაციური ინფორმაცია, თარგმნითი ან მნიშვნელობის ეკვივალენტი ინგლისურ ენაზე, საილუსტრაციო წინადადება ქართულად და მისი თარგმანი ინგლისურად, მითითებანი და სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული შენიშვნები (ატკინსი, რანდელი 2008).

წარმოვადგენთ რამდენიმე სიტყვასტატიის ნიმუშს, რომლებიც გაერთიანებულია „თოვლის“ თემატიკის ქვეკატეგორიაში. პირველ რიგში, მუშაობის პროცესის საწყის საფეხურზე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის ლემათა ეკვივალენტების მოძიება ხდება რამდენიმე ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში (როგორც ზოგად, ისე დარგობრივ ლექსიკონებში). გრამატიკული ინფორმაციის მითითების შემდეგ საშუალო გრძელდება განმარტებების თარგმნით ინგლისურ ენაზე. ამ ეტაპზე, საკუთრივ განმარტებების თარგმნის პროცესში, დავეფუძნეთ ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონს. მესამე ეტაპზე იწყება საილუსტრაციო წინადადებების მოძიება ინგლისურ და ქართულ კორპუსებში. ძირითად კორპუსულ წყაროდ შევარჩიეთ ქართულ-ინგლისური პარალელური კორპუსი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი და SKELL sketch engine for language learning კორპუსი (ეს უკანასკნელი საჭიროა ინგლისური ეკვივალენტის შესაფერის კონტექსტში დასადასტურებლად). დასკვნით ეტაპზე ყურადღებას ვამახვილებთ შესიტყვებებისა და სინონიმების მოძიებაზე.

წარმოვადგენთ ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის რამდენიმე სიტყვასტატიის ნიმუშს, რომლებშიც გათვალისწინებულია დასავლეთევროპული ორენოვანი თემატური ლექსიკოგრაფიის ფუნდამენტური პრინციპები. შერჩეული ლემები: ყინულსვლა, ჭყაპი, ყოპყო, ბროლის ზამთარი, ხვავრიელი, მოჩუმჩუმებს.

ყინულსვლა *noun* ice-drift, drift ice, brash ice, spring thaw; ყინულის მოძრაობა მდინარის მიმართულებით (გაზაფხულზე) movement of detached pieces of ice, drifting with the wind or ocean currents; ირგვლივ გამაყრუებელი ტკაცატკუცი იდ-

გა – თითქოს რუსეთის რომელიღაც მდინარეზე გაზაფხულის ყინულსვლა დაწყებულიყოს a steady cracking noise, as of the spring thaw come upon a Russian river I had once ridden beside, fills my ears; ყოველ გაზაფხულზე ღრიალით მოთქრიალე ყინულსვლა თანამედროვე ხიდებისთვისაც კი გამოწვევად რჩება the roaring ice drift each spring remain a concern even for modern bridges.

ჭყაბი *noun* slush, sleet; გამდნარი თოვლისგან დაყენებული წყალი the watery substance resulting from the partial melting of snow or ice; რაც არ უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო თბილისში, თავსხმა, ჭყაბი თუ ქარიშხალი, იქ, წარმოდგენილ კუნძულზე მაინც მარადიული მზე ჩახჩახებდა however bad the weather in Tbilisi – downpours, sleet, gales – here on his imaginary island the sun blazed eternally; გვიანი შემოდგომის ჭყაბი იდგა, წყალი შემდიოდა ფეხსაცმელში slush of late fall took place, my shoes got flooded by water.

ყოპყო *noun* (dialectal) wet snow, slush; წყლიანი თოვლი watery mire or partly melted snow.

ბროლის ზამთარი *idiom* brilliant white/ermine white winter; სპეტაკთოვლიანი ზამთარი innocent snowy winter.

ზვავრიელი *adjective* abundant, copious, heavy-bearing (e.g. snowfall, crop, etc.) ბარაქიანი, ზვავრიანი (თოვლი); ყველა შვებულებაში წასულიყო, ზამთრის ზვავრიელი თოვლით დასატკობად some kind of vacation everybody was on, something about the copious snowfall.

მოჩუმრუმებს *verb* (poetic) (e.g. snowfall) comes silently ჩუმად, უხმაუროდ მოდის (თოვლი); თოვლი მოჩუმრუმებს და ნელინელ ბარდნის ტყე-ველს – It is snowing silently and the snow gently covers the forests.

აღნიშნული სიტყვების ინგლისური ეკვივალენტები ქართულ-ინგლისურ ლექსიკონებში მწირად გვხვდება, ამიტომ თარგმნითი ან მნიშვნელობის ეკვივალენტების მოძიების პროცესი კომპლექსურ მუშაობას საჭიროებს. ვინაიდან შერჩეული ტერმინები დიალექტურია, ინგლისური ეკვივალენტების მოძიება და შერჩევა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ამასთანავე, კიდევ ერთი სირთულე, რომელსაც კვლევის პროცესში წავაწყდით, იყო საილუსტრაციო მასალასთან დაკავშირებული. ზოგ შემთხვევაში ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსში არ მოიძებნებოდა შერჩეული ტერმინები, ამიტომ საჭირო გახდა ქართული ენის ეროვნული კორპუსის მოშველიებაც და შერჩეული კონტექსტის ინგლისურ ენაზე თარგმნა.

დასკვნა

ორენოვანი თემატური ლექსიკონების კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ენის ლექსიკა, როგორც ცნობილია, „ღია სისტემაა“, ანუ, ლექსიკური ფონდი შედგება მრავალი ქვეჯგუფისაგან, რომელთა საზღვრები ურთიერთს კვეთენ და რომელთა გავრცელების არე განუწყვეტლივ ცვალებადობაშია. ამ ქვეჯგუფების

ასახვისა და სისტემაში მოქცევისათვის მნიშვნელოვანია, შეიქმნას თემატური ლექსიკონები. ქართული ენისათვის არსებული იდეოგრაფიული ლექსიკონი, თავისი ლინგვისტური ღირებულებითა და მეთოდოლოგიის სიცხადით, მნიშვნელოვანი ბაზაა ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნისათვის.

ლექსიკოგრაფიული კვლევის პროცესი, გარდა აღნიშნული იდეოგრაფიული ლექსიკონისა, დაფუძნებულია დასავლეთევროპული თემატური ლექსიკოგრაფიის ძირითად პრინციპებზე. როგორც სხვა ჟანრის ლექსიკონების შემთხვევაში, თემატურ ლექსიკონებშიც განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: გრამატიკული ინფორმაცია, სტილისტიკური კვალიფიკაციები, კოლოკაციური ინფორმაცია, თარგმნითი ან მნიშვნელობის ეკვივალენტი ინგლისურ ენაზე, საილუსტრაციო წინადადება ქართულად და მისი თარგმანი ინგლისურად, მითითებანი და სიტყვათხმარებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

კვლევის შედეგად ქართული ტერმინების აქტუალიზაციის კარგი მაგალითია „თოვლის“ სემანტიკური ველის სისტემა, რომელშიც ტერმინების უმრავლესობა ქართულია და ენობრივი კოლექტივის სააზროვნო სივრცის ნაწილია. გარდა ამისა, „თოვლის“ სემანტიკური ველის კვლევამ აჩვენა, რომ საკმაოდ ბევრი ლემა, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა საცნობარო წყაროში (მაგ.: მხატვრული ლიტერატურა, სპეციალური დარგობრივი ლიტერატურა და ლექსიკონები) და საკვლევ მასალად შერჩეულია ჩვენი თემატური ლექსიკონისათვის, არ იყო დამოწმებული სხვა არსებულ ქართულ-ინგლისურ ან ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში. კვლევის განვითარების შემდეგ ეტაპზე ჩვენ მიერ შედგენილი თემატური ლექსიკონის მასალა, გარდა იდეოგრაფიული ლექსიკონისა, მოძიებულ იქნება როგორც მხატვრული ლიტერატურიდან, ისე სპეციალური დარგობრივი კვლევებიდან.

ლიტერატურა

- ატკინსი, რანდელი 2008:** B. S. Atkins, M. Rundell, *The Oxford Guide to Practical Lexicography*, Oxford University Press.
- გლინი 2015 :** D. Glynn, *Semasiology and Onomasiology. Change of Paradigms-New Paradoxes. Recontextualizing Language and Linguistics*, De Gruyter Mouton, Berlin & Boston, pp. 47-79.
- გოუვსი, პრინსლუ 2010.** R. H. Gouws, D. J. Prinsloo, *Principles and Practice of South African Lexicography*, African Sun Media.
- მაკარტი 1994:** M. McCarthy, *Cambridge Word Routes Anglais-Français: Lexique thématique de l'anglais courant*, Cambridge University Press.
- მაკართური 1986:** T. McArthur, *Worlds of Reference: lexicography, learning, and language from the clay tablet to the computer*, Cambridge University Press.
- სტარკი 2011:** M. Stark, *Bilingual Thematic Dictionaries*, In: *Bilingual Thematic Dictionaries*, De Gruyter.

ფონზუა 1987: ბ. ფონზუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

ჰარტმანი, ჯეიმსი 1998: R. R. K. Hartmann, G. James, *Dictionary of Lexicography* (1st ed.), Routledge.

Manana Rusieshvili, Marine Makhataдзе

Microstructure of the Bilingual Thematic Dictionary as a Hybrid Lexicography Genre

(On an Example of the Semantic field of “Snow”)

Summary

The thematic description of the lexicon is one of the steps in the systematic characterization of the vocabulary. A dictionary is not only a useful reference tool but also a work of its own, reflecting the real lexical trends recorded in the language. The main subject of this study of thematic lexicography is the structure of thematic dictionaries, the principles of their compilation and the evaluation of their practical use. The creation of new types of dictionaries by mixing several different genres is quite a common phenomenon in lexicography. The present paper deals with a bilingual thematic dictionary which combines the main principles of bilingual, thematic and pedagogical lexicographic traditions.

Such complexity of bilingual thematic dictionaries is an opportunity for some innovative lexicographic research. It is necessary not only to evaluate the advantages of thematic dictionaries but also to solve a number of problems in order to compile a successful thematic, bilingual and educational dictionary. The aims of the paper are 1. to determine the essence and metalexigraphic characteristics of bilingual thematic dictionaries; 2. to present practical lexicographic ways and methods in the process of creating a Georgian-English thematic dictionary. The article presents several sample dictionary articles in which the basic principles of Western European bilingual thematic lexicography are taken into account.

The relevance of the research topic is due to the fact that bilingual thematic dictionaries have a great potential for development due to their practical value. The necessity and urgency of their creation and improvement are due to modern research needs. The scientific novelty of the work is that in the Georgian scientific reality, there is no thorough linguistic study of bilingual thematic dictionaries. In this article the authors present several lexical items collected around the theme of “snow” and a model of their processing.

As a result of the research, as in the case of dictionaries of other genres, in bilingual thematic dictionaries special attention is paid to such microstructural elements as grammatical information, stylistic labels, collocational information, equivalents in English, illustrative sentences in Georgian and in English, references and notes on word usage.

A good example of the actualization of Georgian terms is the “snow” semantic field system, in which the majority of terms proved to be Georgian. Besides, the study of the semantic field of “snow” revealed that quite a few words related to snow, found in various reference sources (i.e fiction, special field literature and dictionaries) and included in our thematic dictionary, were not attested in other existent Georgian-English or English-Georgian dictionaries.

**ოსურ-ალანურიდან შმთვისებული ლექსიკური
ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და
სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში**

სვანური ენის დიალექტ-კილოკაგებში, როგორც დიდძალი საანალიზო მასალის განხილვამ აჩვენა, დასტურდება არა მხოლოდ უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული, არამედ ქართულის გზით დამკვიდრებული არაერთი ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეული, რომელთაც სესხების პროცესში მეტად საყურადღებო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდიათ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ოვს-ალანებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა ჩვენი ერის ისტორიის პირველ საუკუნეებშივე იგულისხმება... ალანთა გაქრისტიანების შემდგომ კი მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა, ჩვეულებრივი გახდა ქორწინება საქართველოსა და ოსეთის სამეფო სახლებს შორის.¹ მ. ანდრონიკაშვილის აზრით, „ასეთ ხანგრძლივსა და მჭიდრო პოლიტიკურ-ისტორიულ ურთიერთობას, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა ენობრივი ურთიერთობა ქართულსა და ალანურ-ოსურს შორის და, მართლაც, ორივე ხალხის ენაში ჩვენ ვხვდებით ამ ურთიერთობის კვალს შეთვისებული ლექსიკური ელემენტების სახით“ (ანდრონიკაშვილი 1966:49-50). ოსური ენის მკვლევრები (ვ. მილერი, ჰ. ჰიუბშმანი, გ. ახვლედიანი, ვ. აბაევი, ე. ბენვენისტი...) ხშირად აღნიშნავენ ოსურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ქართული ელემენტების არსებობას, თუმცა შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ოსური ელემენტების გამოვლენას ქართულში. შემდგომ ამ მხრივ მეტად საყურადღებო შედეგები მიიღეს გ. ახვლედიანმა და ვ. აბაევმა (იქვე: 50). სწორედ ვ. აბაევმა გამოავლინა რამდენიმე ათეული (30-ამდე) ოსური წარმოშობის სიტყვა ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში (მეგრულსა და სვანურში), მათ შორის, ისეთი ყოველდღიური ხმარების ჩვეულებრივი სიტყვები, როგორებიცაა: *ქუდი, ხიდი, ორმო, ბევრი, ქაღლი, ქადაგი, შავი, ძნელი, მკაცრი, დოღი* და სხვ. საკუთარი სახელები: *საურმაგი, აღსართანი, ვახტანგი, იაღსარი, ალუდა, აფშინა*; არმაზსა და მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული და არამეული წარწერების სახელებიდან: *ქსეფარნუვი, იოდმანგანი, შარგასი*,² *ზევახი, ბევრაზურია*... (1956:438). ცხადია, მას დასახელებული აქვს ის მიზეზებიც, რომლებიც ხელს უშლიდნენ და ართულებდნენ ოსურ-ალანური ელექ-

¹ ეს ხდებოდა უძველესი დროიდან – ფარნავაზის, საურმაგის, გორგასალის დროს.
² ამ სიტყვასთან ხომ არ არის კავშირში სვანური საკუთარი სახელი **ჩარგაზ**? შდრ. მეგრ. **ჩარგაზ** ფუძე, რომელიც გვაქვს გვარში **ჩარგაზია**.

მენტების გამოვლენას ქართულში. ერთი მხრივ, ეს გახლდათ ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონის უქონლობა და ქართული ლექსიკის სისტემატური შეუსწავლელობა სიტყვათა წარმომავლობის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ქართულის კულტურული უპირატესობის გამო ოსურის გავლენა ქართულზე უფრო ნაკლებია, ვიდრე პირიქით. ასევე ხაზს უსვამს იმ სირთულეს, რომელიც თან სდევს ქართულში ოსურიდან შემოსული სიტყვების გამიჯვნას სპარსულიდან შეთვისებული სიტყვებისაგან (ანდრონიკაშვილი 1966: 50).

ალანურ-ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესახებ, როგორც უკვე ითქვა, საუბარია აგრეთვე გ. ახვლედიანის ნაშრომებში (იხ. მისი მონოგრაფია – “Сборник избранных работ по осетинскому языку” და სტატია – “О некоторых вопросах аланско (осетинско)-грузинских языковых взаимоотношений”, Тбилиси, 1960), სადაც ავტორი ვ. აბაევის მიერ ზემოდასახელებულ მიზეზებს ქართულში ოსურ-ალანური ელემენტების გამოვლენის სირთულესთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხსნის: „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“ (1960: 173). მისივე თქმით, „ქართული სიტყვები ოსურში და ოსური ქართულში ვერ მოხვდებოდნენ ამ ენებში იზოლირებულად, ცალკეული ნასესხობების სახით, ისინი უთოდ შეადგენდნენ უმნიშვნელო ნაწილს მრავალრიცხოვან სიტყვათა სისტემისას, რომელიც ორივე ენისათვის საერთო იყო, და რომელიც ურთიერთმოქმედებისას ამ ენათა სტრუქტურასთან იწვევდა სათანადო ცვლილებებს ორივე ენის გრამატიკასა და ფონეტიკაში“. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, გ. ახვლედიანი არ თვლის საჭიროდ, მკვეთრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიტყვების შეთვისების მიმართულება – ოსურიდან ქართულში თუ პირიქით, რამდენადაც მას აინტერესებს ერთიანობა ენობრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისა ამ ორ ხალხს შორის (1966: 51).

ქართულში შეთვისებული ოსურ-ალანური სიტყვების დიდი ნაწილი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, შეთვისებულია უძველეს ეპოქაში სკვით-სარმატთა თუ ალანთა ძლიერების ეპოქაში, როდესაც მათი ენობრივი გავლენა ვრცელდებოდა თითქმის ყველა კავკასიელ ხალხზე. რაც შეეხება ქართულიდან ოსურში შესულ ლექსიკურ ელემენტებს, მათი უმრავლესობა ეკუთვნის უფრო გვიანდელ ეპოქას, რომელიც ქართულის კულტურული უპირატესობით აღინიშნება (მაგ., ქრისტიანობასთან დაკავშირებული და საერთოდ სხვა კულტურული ტერმინები); მეორე მხრივ, ქართულში გამოვლენილი ოსურ-ალანური სიტყვების საკმაოდ დიდი ნაწილი განეკუთვნება დიალექტურსა და პერიფერიულ ლექსიკას (იქვე: 55-56). აღსანიშნავია, რომ მ. ანდრონიკაშვილს ოსურ-ალანურ-ქართული ურთიერთობის კვლევისას ლექსიკასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია ფონეტიკურ-ფონოლოგიური მხარე, რამდენადაც ლექსიკური ელემენტების შემოსვლის გზების გასარკვევად ფონეტიკურ ცვლილებათა დადგენას დიდი მნიშვნელობა ენი-

ჭება. იგი, ბუნებრივია, ითვალისწინებს გ. ახვლედიანისა და ვ. აბაევის ნაშრომებში წარმოდგენილ დებულებებსა და მოსაზრებებს, როგორც ოსური ენის ფონეტიკური შედგენილობის, ასევე ქართული და ოსური ენების ფონეტიკურ სისტემათა განსაკუთრებული სიახლოვის შესახებ და სწორედ ამ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და საკუთარი ინტერპრეტაციებით წარმოადგენს ზოგად დასკვნებს სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ელემენტების შესახებ ქართულში (ანდრონიკაშვილი 1966: 55-56).

ვინაიდან ამჟერად ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია ოსურ-ალანურიდან სვანურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია, ასევე სესხების გზებისა და მიმართულების გარკვევა, საანალიზო მასალა, სესხების გზების გათვალისწინებით, დავყავით ორ ნაწილად:

- ქართულის გზით სვანურში დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულები და
- უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები სვანურში

1. ქართულის გზით სვანურში დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულები

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ქართულში არაერთი ოსურ-ალანური წარმომავლობის სიტყვა გვხვდება, რომლებიც სვანურში სწორედ ქართულის გზით არიან დამკვიდრებული, სესხებისას კი სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში სხვადასხვა სახის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაცია განუცდიათ. ესენია:

არტაჟაზ (ზს., ლშხ.)/**არტაჟოზ/არტაოზ** (ლშხ., ჩოლ.)/**არტაჟ** (უმგ.) „ემმაკების უფროსი, კუდიანი, გაიძვერა“ *ცრუმორწ*. < ქართ. ართავაზ-ი (< ოს. **артъауаз/артъауыз/артъаудз** „ოსური მითოლოგიის პერსონაჟი, ბოროტი სული“ < ირან. **artavazd**) „ჯადოქართა უფროსი“ სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (*გამკვეთრების, ბგერათა დაკარგვის, ბგერათმონაცვლეობის...*) განხორციელებით, თუმცა სვანურ საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა უშუალოდ ოსურ-ალანურიდან სესხებასაც არ გამოვრიცხავთ.

შენიშვნა: „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული საკუთარი სახელი **არტაავაზ**, რომელიც სახელია ორი პიროვნებისა: 1. **არტაავაზ** – სომეხთა მეფის არტამანის ძე და 2. **არტაავაზ** – ძე საურმაგ სპასპეტისა, ვახტანგ გორგასალის ძუძუსმძე, კლარჯეთის ერისთავი (იქვე:13), ვფიქრობთ, სვანურ **არტაავაზ** ფორმასთან არ არის კავშირში, ვინაიდან სვანურში აღნიშნული სიტყვა, როგორც ანთროპონიმი, არ გვხვდება.

აბრეგ/აბრეგ (ზს.)/**ამბრეგ** (ბქ.)/**აბრაგ** (ლშხ., ჩოლ.)/**აბრანგ** (ლნტ.) < ქართ. აბრაგ-ი (< ოს. **abyræg/abæræg** „ყაჩაღი, აბრაგი“, შდრ. სამ. ირან. და ფალ. ***āparak, āpartan** „ძარცვა“, **āpar** „ძარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავა-

რა“, **āvār** „ნადავლი, ნადარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) ფორმისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ისე სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (მოულოდნელი უძლაუტის, ხმოვანთმონაცვლეობის, ბგერის გაჩენისა და პალატალური უძლაუტის) საშუალებით.

საანალიზო ლექსიკური ერთეული, მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრების თანახმად, საერთოკავკასიური სიტყვაა, წარმოშობით საშუალო ირანული, ფალაური ***āparak**, **āpartan** „ძარცვა“, **āpar** „ძარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „avara“, **āvār** „ნადავლი, ნადარცვი, ალაფი“, საიდანაც მომდინარეობს ქართ. ავარი და სომხ. **աւար** (იქვე: 76). ვ. აბაევის აზრით კი, აღნიშნულ ოსურ ფორმას **abyræg** ს საფუძვლად უდევს ირანული **abra** „ღრუბელი“, ოს. **arv** „ცა“ (1958:25-26), თუმცა ოსური ფორმის წარმომავლობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა თვალსაზრისებიც არსებობს, რომელთა განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ.

ცხადია, აქვე უნდა განვიხილოთ აბსტრაქტულობის გამომხატველი **აბრეგობ/აბრეგობ** (ზს.) ფორმაც < ქართ. აბრაგ-ობ-ა (< ოს. **abyræg/abæræg** „ყაჩაღი, აბრაგი“, შდრ. საშ. ირან. და ფალ. ***āparak**, **āpartan** „ძარცვა“, **āpar** „ძარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნადარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) „ყაჩაღობა“ სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (მოულოდნელი უძლაუტის, ხმოვანთმონაცვლეობისა და სუფიქსისეული ხმოვნის მოკვეცის) განხორციელებით.

დილეგ (ზს., ქს.)/**დილეკ** (ბქ.)/**დგლოგ** (უშგ.) „ტყვეების დასამწყვდევნი ადგილი კოშკში ან მაჩუბში“ < ძვ. ქართ. დილეგ-ი (< ოს. **daellag** „ქვედა, ქვეშეთი“)³ „ციხე-კოშკის ქვედა ნაწილი, რომელიც გამოყენებული იყო საპყრობილედ, – საპყრობილე, საპატიმრო, სატუსაღო“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ასევე სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (დაყრუების, რედუქციისა და ხმოვანთმონაცვლეობის) საშუალებით.

დუმბ (ბზ., ბეჩ.)/**დუმბ** (ბქ., ლნტ., უშგ.)/**დუმბა** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დუმბ (< ფალ. ***dum**, **dumb**, **dumbak**, **dunb**, **dunbak**, შდრ. ოს. **dymæg** „კუდი“) „ქონიანი კუდი ცხვრისა“ სიტყვისაგან აუსლაუტში შემდეგ ფონეტიკურ პროცესთა – უძლაუტისა და იოტიზაციის განხორციელებით. შდრ. ლნტ. **დუმბ** < ქართ. (იმერ.) დუმბა „თოფის კონდახის ბოლო“.

³ ქართულში ამ სიტყვის სხვა ენათაგან მომდინარეობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევარებს (ივ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, პ. აჭარიანი, მ. ანდრონიკაშვილი, ბ. გიგინეიშვილი...), თუმცა ჩვენ ამჯერად მისი ქართულში დამკვიდრების გზა და მიმართულება ნაკლებად გვიანტერესებს, ვინაიდან ერთი რამ ცხადია, სვანურში ამკარად ქართულის გზით დამკვიდრდა და სვანური ენის ფონოტაქტიკურ წესებსაც დაემორჩილა.

შენიშვნა: ქართულის გზით შეთვისებული **ღუმა** ლექსემა მატოპონიმებლადაც ქცეულა სვანურში, მაგ. **ღუმა** (ლშხ., ჩოლ.)/**ღუმა** (ჩოლ.) „სადოვარი, საბალახო ადგილი (ზედმიწ. – ღუმა)“ < ქართ. ღუმა^ასაგან *უმლაუტითა* და *იოტიზაციით*. შდრ. ასევე ლნტ. **ღუმ** < ქართ. (იმერ.) ღუმა „თოფის კონდახის ბოლო“ სიტყვისაგან. ამ უკანასკნელ ფორმაში სემანტიკური გადაწევა აშკარად თვალსაჩინოა.

კერძ (ბზ., ქს.) „მეგობარი, მოკეთე, მოყვარე, ნათესავი“ < ძვ. ქართ. კერძ-ი (< ოს. **kærd** „ნაჭერი, ნაკვეთი“, „ნახევარი, მხარე“) 1. „წილი, ულუფა“, „რაიმე საჭმელი (მომზადებული)“, კერძო „ცალკეული პირის კუთვნილი, ისეთი, რაც არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას, – პირადი“ ფორმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, თუმცა სემანტიკური არაიდენტურობა თვალნათლივ ჩანს (შდრ. ბზ. **ლიაქალ**, ბქ. **ლიაქალ**).

ქართულ **კერძოს** აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „მხარე, ნახევარი“, თანდებულის „-კენ“, „წილი, ნაწილი, ხვედრი“ და ა.შ. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ქართული სიტყვისათვის **კერძო** ამოსავალია ცნება „ჭრისა, კვეთისა“, რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: **kærdyn: karst/kærdun: karst** „ჭრა, კვეთა, ხევა, კუწვა“ და სხვ., თუმცა თვით ოსურში ირ. ***karti**-ს შეედლო მოეცა ფორმა **kærc** (იქვე:92-93). სემანტიკური გადაწევა, როგორც სვანურმა საანალიზო მასალამაც აჩვენა, აშკარად სახეზეა.

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, **კერძ-** ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმღებური ფორმებიც გვხვდება: **ლი-კერძ** (ლშხ.)/**ლი-კერძ-ე** (ლნტ.) „დანათესავება, დამოყვრება (ზედმიწ. – ***კერძ-ო-ობ-ა**)“; **ლი-კერძ-ალ** (ბზ.)/**ლი-კერძ-ალ/ლი-კერძ-ალ** (ლშხ.)/**ლი-კერძ-ალ** (ლნტ.) „დანათესავება, დამოყვრება“ *ხლმ.* (შდრ. ბზ. **ლიაქალ**); **ლგ-კერძ-ე** (ბზ.)/**ლგ-კერძ-ე** (ქს.) „დანათესავებული, დამოყვრებული; დაძმობილებული (ზედმიწ. – ***ჩა-კერძ-ებ-ულ-ი**)“ < ქართ. {სა}-კერძო; **ლე-კერძ-ელ-ი** (ლშხ.) „დასანათესავებელი; დასაძმობილებელი“ *ხლმ.* < ძვ. ქართ. {სა}-კერძო (შდრ. ბზ. **ნათი**; ქს. **ნაღალ**) და სხვ.

სვანურში დასტურდება ასევე აბსტრაქტულობის გამომხატველი ფორმა **კერძობ** (ქს.) „დანათესავება, დამოყვრება (ზედმიწ. – ***კერძო-ობ-ა**)“ < ქართ. კერძო (< ოს. **kærd**) „ცალკეული პირის კუთვნილი, ისეთი, რაც არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას, – პირადი“ სიტყვისაგან აუსლაუტის გამარტივებით. ჩვენ მიერ აღდგენილი ვარსკვლავიანი ფორმა – **კერძობა** შესაძლოა დასტურდებოდა ძველ ქართულში, თუმცა არ გამოვრცხავთ, რომ სხვა აბსტრაქტულ სახელთა ანალოგიით გაჩენილიყო სვანურში (შდრ. ბზ. **ლიაქალ**, ბქ. **ლიაქალ**).

შენიშვნა: ზემოსვანურ დიალექტებში გვხვდება აგრეთვე ქართულის გზით დამკვიდრებული **კერძ-** (დეზაფრიკატიზაციით მიღებული **კერზ-**) ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმღებური ფორმებიც: **ლი-კერზან-ი** (ბზ.)/**ლი-კერზ-ე** (ბქ.) < ქართ. კერძ-ვა, მი-კერძ-ობ-ა „უსამართლოდ უპირატესობის მინიჭება, მხარის დაჭერა ვინმესთვის, – მიდგომა“; **მგ-კერზან-ი** (ბზ.)/**მგ-კერზ-ე** (ბქ.) < ქართ. მი-მ-კერძ-ო-ებ-ელ-ი „უსამართლოდ უპირატე-

სობის მიმნიჭებელი, მხარის დამჭერი ვინმესთვის“; ლე-კერზან-ი (ბზ.)/ლე-კერზ-ე (ბქ.) < ქართ. მი-სა-კერძ-ო-ებ-ელი-ი „უსამართლოდ უპირატესობა მისანიჭებელი“...

კეც (ზს., ქს.) „ქვევრი“ < ძვ. ქართ. კეც-ი (<ოს. *kæxc/kæxcæ* „დიდი ჯამი, გობი“) „თიხა, თიხის ჭურჭელი გამომწვარი, კრამიტი“ ლექსიკური ერთეულისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, თუმცა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ქართველურ ენათა მონაცემების (ქართ. **კეც- კეც-ი** „თიხა; კრამიტი; კეცი“: მეგრ. **კიც-/კვც- კიც-ი/კვც-ი** „თიხის კეცი“: ლაზ. **კიც- კიც-ი** „ქვის კეცი“: სვან. **კეც- კეც** „ქვევრი“) ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე საერთო-ქართველური ფუძეების დონისათვის აღდგენილია ***კეც-** არქეტიპი (ფენრიხი, სარ-ჯველაძე 2000:270). არ გამოვრიცხავთ პირუკუ სესხებასაც. საკითხის საფუძვლიანი შესწავლისათვის კი დამატებითი მასალების მოძიებაა საჭირო.

მეხ (ზს., ქს.)/**მეხ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. მეხ-ი (<ოს. *mej*, შდრ. ასევე *ოს. miğ/meğ – ğ > x* სიტყვის ბოლოს) „ატმოსფერული ელექტროობის განმუხტვა დედამიწაზე“ სიტყვისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახითა და ძირეული ხმოვნის რედუქციით*.

სვანურში საანალიზო ძირისაგან ნაწარმოები მასდარული და მიმღობური ფორმებიც გვხვდება, მაგ.: ლი-მხ-ე (ბქ.) „გაავდრება (ზედმიწ. – *გა-მეხ-ებ-ა)“ < ქართ. მეხ-ი „ატმოსფერული ელექტროობის განმუხტვა დედამიწაზე“ და მე-მხ-ე (ბქ.) „ავდრის გამომწვევი პიროვნება (საფასურად გასამრჯელოს იღებდა)“ < ქართ. მეხ-ი „ატმოსფერული ელექტროობის განმუხტვა დედამიწაზე“... შეფარდება სემანტიკურ დონეზე მეხი ~ გაავდრება, ჩვენი აზრით, კანონზომერია.

ნეზჷ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ნეზ** (ლნტ.) „დედალი ღორი“, *გადატ.* „უნაძუსო“ < ქართ. ნეზვი (<ოს. *siŷyn*) „დედალი ცხვარი, თხა, ღორი“ ფორმისაგან ძირითადად *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, თუმცა ლენტეხურ დიალექტში აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი **ნეზ** ფორმა გამოიყენება (შდრ. ზს., ქს. **ყ(ჷ)ერ**). იგივე სიტყვა ლენტეხურში ორცნებიანი კომპოზიტის (ნეზ-ტახ „ღორების გამრავლებისთვის განკუთვნილი დღეობა“) ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტადაც დასტურდება და იქაც აუსლაუტისეული თანხმოვანი აქვს დაკარგული.

სანალიზო ძირ-ფუძეებთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისი არსებობს. ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, **ნეზვი** მეგრულსა და სვანურში შეთვისებულია ქართულიდან (თოფურია 1938:89). გარკვეულია ისიც, რომ **ნეზ** ფუძეს საერთოდ დედალი საქონლის გამოსატვა უნდა ჰქონოდა დაკისრებული (ჯავახიშვილი 1937:181, 193-194) და **ზე-/ზუ-** ძირი და მისგან ნაწარმოები ფუძეები სამსავე ქართველურ ენაში გვხვდება (ქერქაძე 1974:23). **ნეზ** ფუძეში **ნე-** მიჩნეულია ნივთის კატეგორიის ნიშნად (ჩიქობავა 1938:25). მზ. შანიძის აზრით კი, ძვ. ქართულის **ნეზ-** წარმომდგარია **მეზუ-საგან** ისევე, როგორც **ნეფე – მეფე-საგან** ან **ნეტაფრასი – მეტაფრასი-საგან** (შანიძე 1967:309).

ამასთანავე, არის ცდა ამ საერთოქართველური **ზე-/ზე-** ძირის დაკავშირებისა ოსურში შობის აღმნიშვნელ **zajyn/izajun** ფუძესთან (ანდრონიკაშვილი 1966:88; აბაევი 1949:23).

მეჯრა (ზს.)/**მუჯურა** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**მიჯურა** (ბზ.)/**მუჯრა** (ლნტ.) < ქართ. (რაჭ.) მუჯირა „რკინის წვერიანი ჯოხი“, შდრ. ასევე ლეჩხ. მუჯერო/მუჯურო და კახ. მუჯა (<ოს. **myžyra** „შუბი, ხიშტი“, – ახვლედიანი 1960:138; ძიდიგური 1956:236; ანდრონიკაშვილი 1966:61, 67, 70, 71, 72, 100) ფორმებისაგან ძირითადად *რედუქციის სხვადასხვა პროცესის* გავლით.

ნართ (ზს., ლნტ.)/**ნართ** (ლშხ., ჩოლ.) *გადატ.* „გმირი; გოლიათი“ < ქართ. ნართ-{ებ}-ი (< ოს. **нартæ**) „ოსებისა და კავკასიის ხალხების ეპიკურ თქმულებათა გმირები“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უძლავების* განხორციელებით.

შენიშვნა: სვანურში ქართულის გზით დამკვიდრებული საანალიზო ლექსიკური ერთეული, ძირითადად, მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება, მაგ. **ნართან?** (ზს.)/**ნართანლ** (ბზ., ლნტ.)/**ნართანლ** (ლშხ., ჩოლო.) *გადატ.* „გმირები; გოლიათები“ < ქართ. ნართ-ებ-ი. გარდა ამისა, ჩოლოურულ მეტყველებაში *შორეული ნათესავის* მნიშვნელობით **ნართიშნართ** ფორმაც დასტურდება, რომელიც < ქართ. (გურ.) ნართ-ის-ნართ-ი (< ოს. **нарт** „ოსებისა და კავკასიის ხალხების ეპიკურ თქმულებათა გმირები“) „ვიდაც შორეული“ სიტყვისაგან ინლუტში ბრუნვის ნიშნის შენაცვლებით.

რანგ (ზს., ლნტ.)/**რანგ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ.) რანგ-ი „თაფლის ღვინო“, ზან. (მეგრ.) რანგ-ი (< ოს. **rong**) „თაფლისაგან დამზადებული სასმელი; თაფლუჭი“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უძლავების* საშუალებით.

გ. კლიმოვის თვალსაზრისით (კლიმოვი, ხალილოვი 2003:183), ქართულ-მეგრულში „გამაბრუებელი სასმელის“ აღსანიშნავი სიტყვა სვანურიდან უნდა იყოს შესული, რომლის საფუძველია ოსური **რონგ** „სათრობი სასმელი“. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ **რანგ-ი** უნდა განვიხილოთ იმ მცირერიცხოვანი მასალის (**მაჩვიბი, კუბდარი, ჭიშღვარი...**) გვერდით, რომელიც ქართულ ენაში სვანურიდან შემოვიდა (იხ. მ. სალიანი, „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“, თბილისი, 2016, 300). ამ სიტყვის ომონიმი ქართულში აღნიშნავს თანრიგს, წოდებას, ხარისხს (მაგ. „პირველი რანგის კაპიტანი“) და ფრანგული ენიდან ნასესხებად ითვლება (ქველი).

შენიშვნა: სვანური ენის დიალექტებში სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული **რანგ-** ძირისაგან ნაწარმოები მიმდებარე ფორმა ლგ-**რანგ** (ზს., ლნტ.)/ლგ-**რანგ** (ლშხ., ჩოლ.) დასტურდება, რომელიც < ქართ. (რაჭ.), ზან. (მეგრ.) რანგ-იან-ი „თაფლისგან დამზადებული სასმელის შემცველი“ სიტყვისაგან. გარდა ამისა, **რანგ-** ძირი მატოპონიმებლადაც ქცეულა ბალსქემოურ დიალექტში, მაგ. ლე-**რანგ** (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – *სა-რანგ-ე)“.

სოსლან (ბქ.) ანთრ. < ქართ. სოსლან-ი (< ოს. **Сослан** < თურქ. **suslan** „მრისხანე სახის ქონა“ < სიტყვიდან **suslən** „მრისხანე“, „შუბლშეკრული“ – ვ. აბაევი) „ნართების ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი, ნართების უმცროსი თაობის წარმომადგენელი, უსახელო მწყემსისა და სათანას ვაჟი“ ანთროპონიმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახით*.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, გმირის სახელის მეორე ვარიანტი „სოზირიყო“ (ოს. **Созырыхъо**) ეპოსის დიგორულ ვარიანტებში საერთოდ არ გვხვდება. იგი „სოსლანის“ ადილური ადაპტაციის შედეგი უნდა იყოს და გვიან ჩანს ოსურში შესული. სოსლანის პერსონაჟს იცნობს ნართული ეპოსის სხვა კავკასიური ვერსიებიც (ანთელავა 2017:643-644).

სჷეჷ (ბზ., ლნტ.)/**სჷეი/სრმ/სრჷ** (ბზ.)/**სეჷ** (ზს.)/**სოჷ/სოი** (ბქ., ლშხ.) „ბარაქა, დოვლათი...“ < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, იღბალი, ბედისწერა“ ლექსიკური ერთეულისაგან სვანური ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (უმლაუტის, *მეტათეზისის, იოტიზაციის...*) განხორციელებით. სემანტიკური გადაწევა ქართულ-სვანურ ფორმებს შორის მინიმალურია.

ქართული **სვე**, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, შემოსული ჩანს ოსურიდან (ანდრონიკაშვილი 1966:08-109), სვანურში ქართულის გზით შეთვისებული ოსური ფორმა კი დიალექტების მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს გვიჩვენებს.

ქართულის გზით დამკვიდრებული **სვე** საგან ნაწარმოებია აგრეთვე სვანურში ქონების აღმნიშვნელი სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული **ღე-სჷეჷ** (ზს., ლნტ.)/**ღე-სჷეჷ** (ლზმ.)/**ღე-სოჷ** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი“ ფორმა < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) და ქონებისვე აღმნიშვნელი **ს(ჷ)ეჷიან** (ზს., ლნტ.)/**სჷეიან/სრმან** (ბზ.)/**სეჷიან** (ზს.)/**სოჷიან/სოიან** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი; იღბლიანი“ ფუძე ქართულივე სუფიქსით (შდრ. ქართ. სე-იან-ი „კარგი სვის, ბედის მქონე, – ბედნიერი, ბედიანი“ < ოს. **fesgun** „სეიანი, ბედნიერი“) არაერთი ფონეტიკური პროცესის (*უმლაუტის, ბგერათა დასუსტების, მეთათეზისის...*) განხორციელებით. იგი გვხვდება ასევე ორცნებიანი კომპოზიტის პირველ შემადგენელ კომპონენტად შემდეგ შესიტყვებებში, მაგ.: **სოიბარაქ** (ლშხ.) < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი, ბედისწერა“) და ბარაქა (< არაბ. **baraq**) „ხვავი, დოვლათი“ და **სჷეიგამარჯჷ** (ჩოლ.) < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, ბედისწერა“ და გამარჯვება „ბრძოლის მოგება; მოწინააღმდეგის დამარცხება, ძლევა; წარმატება...“.

ფარსაგ (ბზ.)/**ფარსანგ** (ბქ.)/**ფარცაგ** (ლშხ., ჩოლ.)/**ფარცანგ** (ლნტ.)/**ფაცაგ** (ჩოლ.) „ფარსაგი, კარგი“ < ქართ. (თუშ., ფშ., კან.) ფარსაგი-ი (< ოს. **færssag** „საშუალი, გვერდითი, სხვა“) „რიგიანი, ხეირიანი, გამოსადეგი; კარგი, კეთილი“, „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა) ლექსიკური ერთეულისაგან ფონეტიკურად

უცვლელი სახითა და სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, ბგერის დაკარგვისა და აფრიკატიზაციის*) გავლით (შდრ. ბქ. **სწრგბიმ**).

სულხან-საბა ორბელიანი (1993:184) ასე განმარტავს ამ სიტყვას: „საშუალ კეთილისა და ავისა“. თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს ოსურშიც („საშუალო წოდების ადამიანთა სახელწოდება“), საიდანაც ისესხა ქართულმა (აბაევი 1958:453; ანდრონიკაშვილი 1966:111-112).

აღნიშნული ლექსემის მნიშვნელობები განსხვავებულია ქართული ენის აღმო-სავლურსა და დასავლურ დიალექტებში (შდრ. თუშ., ფშ., კახ., იმერ., გურ., ფარ-საგ-ი, გურ. ფარცაკ-ი – „საკვირველი, მოულოდნელი, უმაგალითო“). ჩვეულებ-რივ, სვანური ენის მონაცემებში უფრო ასახულა ზოლმე დასავლური ქართულის ვითარება როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში პირიქითაა საქმე.

ფარსაგ- ძირი, როგორც სვანური დიალექტოლოგიური მასალის ანალიზმა აჩ-ვენა, აწარმოებს, ძირითადად, მიმღობურ ფორმებს და ამ მიმღობურ ფორმებს დიალექტების მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა აქვთ. მაგ.:

საფერცაგ (ლშხ.) „ფარსაგი, კარგი (ზედმიწ. – *სა-ფარსაგ-ო)“ < ქართ. (თუშ., ფშ., კახ.) ფარსაგ-ი (< ოს. **færssag** „საშუალი, გვერდითი, სხვა“)’ისაგან **სა-** *პრეფიქსის დართვითა და ხმოვანთა რელუქციით*, შდრ. ბქ. **სწრგბიმ**

ლე-ფერსაგ (უშგ.) < ძვ. ქართ. სა-ფარსაგ-ო (< ფარსაგ-ი < ოს. **færssag** „საშუალი, გვერდითი, სხვა“) „გამოსაყენებელი, სარგებლობის მომტანი, – ვარგი-სი“ სიტყვისაგან სვანური **ლე-** პრეფიქსითა და ხმოვანთა რელუქციით. სემანტიკუ-რი იდენტურობა სვანურ-ქართულ ფორმებს შორის აშკარად თვალსაჩინოა, რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოური მიმღობური **ლე-ფერსაგ**-ი „გასახარებელი (ზედმიწ. – *სა-ფარსაგ-ო)“ და მასდარული **ლი-ფერსაგ**-ი „გახარება (ზედმიწ. – *გა-ფარ-საგ-ებ-ა)“ ფორმებზე, რომელთაც უარყოფითი სემანტიკა აქვთ და ისინი, ძირითა-დად, გამოიყენებიან წყევლის ფორმულებში (მაგ.: **ქა ღემ აჯფერსაგის ზომა ღერ-მეთ** „არ გაგახაროს ღმერთმა (ზედმიწ. – არ გა-გა-ფარსაგ-ებ-ს დიდი ღმერთ-ი!)!“, **ქა ნომოლჷ ოლფერსაგეხი** „შენ არ გაინარე (ზედმიწ. – **ნუ-მცა გა-ფარსაგ-ებ-ულ-ხარ!**)!“ და სხვ.).

ფანს (ზს., ლნტ.)/**ფას** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ფას-ი (< ძვ. აღან. ***fæs(fas)** „ცხვარი“) „ფულადი ღირებულება საქონლისა“, „გასამრჯელო“, „ღირე-ბულება“, „ძვირფასი, საუკეთესო“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც *ფონეტი-კურად უცვლელი სახით*, ისე *პალატალური უმლაუტის მეშვეობით*.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, **ფას-** ძირი მნიშვნელობათა ფართო სპექტრით გამოირჩევა, იგი აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, მასდარულ (მაგ.: **ლი-ფს-ენ-ი** (ზს., ლნტ.) „შეფასება; დაფასება; ფასისდადება“; **ლი-ფს-ე** (ბქ.) „დიდი ამბის ატეხა“...) და სხვადასხვა გვარის მიმღობურ (მაგ.: **ლე-ფს-ენ-ი** (ზს., ლნტ.)

„შესაფასებელი; დასაფასებელი; ფასდასადები“; ლე-ფს-ე (ბქ.) „მოსაყოლებელი“; ლგ-ფს-ენ-ე (ზს., ლნტ.) „ძვირად ღირებული, ფასიანი, შეფასებული; დაფასებული; ფასდადებული“... ფორმებს. მასზეა ასევე დამყარებული მთელი რიგი ფორმებისა, რომლებიც გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ელემენტებით, მაგ.: ნა-ფანს (ზს., ლნტ.)/ნა-ფას (ლშხ., ჩოლ.) „ფასი, საფასური (ზედმიწ. – {და}-ნა-ფას-ი)“⁴; ლგ-ფანს (ზს., ლნტ.)/ლგ-ფას (ლშხ.) „ძვირად ღირებული, ფასიანი, შეფასებული; დაფასებული“; ფას-ობ (ბქ.) „{გა}მოსავლიანობა (ზედმიწ. – *ფას-ობ-ა)“; ფანს-ურ (ზს.) < ქართ. უ-ფას-ო (მდრ. ზს. მეწარ); ფანსჟი (ზს.)/ფანსჟი⁵ (ლნტ.) „ფასზე“ და ა. შ. ფას- ძირი შესიტყვების (მაგ. ლშხ. ჩალი ფას „იაფი, არაძვირი“ < ქართ. ჩალის ფას-ი) ერთ-ერთ კომპონენტადაც დასტურდება სვანურში ფონეტიკურად უცვლელი სახით.

ფინთ (ზს., ქს.) < ქართ. (გურ., ქართლ., ქიზ.) ფინთ-ი (< ოს. **fyd** „ავი, ცუდი“) „ცუდი, უვარგისი“ ფორმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

შენიშვნა: ზემოსვანურ დიალექტებში ფინთ- ძირის შემცველი წინავითარების ნან-ფინთ-ურ-ა „უვარგისი (ზედმიწ. – *ნა-ფინთ-არ-ი)“ ფორმაც დასტურდება, რომელიც სვანური პრეფიქს-სუფიქსითაა გაფორმებული (მდრ.: ნან-{მ}-ვეც-ურ-ა „დებილი, ნამხეცარი“, ნან-პილწ-ურ-ა „მხეცი, ნადირი, ბილწი, ნაბილწარი“, ნან-ჭაგ-ურ-ა „ცუდი ყოფაქცევის, ჩერჩეტი ქალი, ნამრუშალი“, ნან-მ-ჟაჰ-ურ-ა „ნაზვაჯარი“...).

ქაშაგ (ზს.)/ქაშაგ (ლშხ., ჩოლ.) „ჩერქეზი, ყაბარდოელი“ < ქართ. ქაშაგ-ი (< ოს. **kæsaæg**) „ჩერქეზი, ყაბარდოელი“ სიტყვისაგან უშლაუჭითა და ფონეტიკურად უცვლელი სახით, მდრ. სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ დაფიქსირებული ქაშაგ-ი „მოზრდილი ტყვე“, რომელთან დაკავშირებითაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, აღნიშნული ლექსემა მოდის სიტყვიდან **kæsaæg** „ყაბარდოელი“, ძველი სახელწოდება ადიღური ტომებისა, რომელიც დაცულია რუსულ, ბიზანტიურ, არაბულ და ქართულ წყაროებში (1966:118). ავტორს შესაძარებლად მოჰყავს სვან. **kašag** „ჩრდილო კავკასიის ვაკე“ (იქვე). მისივე აზრით, ქართ. ქაშაგ-ი ტყვის სახელად იმიტომ იქცა, რომ მთელ აღმოსავლეთში კავკასიიდან წამოყვანილი ტყვეები ქაშაგების ან ჩერქეზების სახელით იყვნენ ცნობილი და ქაშაგი „ადიღე, ყაბარდოელი“ იქცა ტყვის აღმნიშვნელ საერთო სახელად (იქვე). ქაშაგ ეთნონიმის შედგენილობის თაობაზე ასევე ვარაუდი აქვს გამოთქმული ეკ. ოსიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ ქართულში, სვანურსა და ოსურში დადასტურებული ეს ეთნიკური ტერმინი ამოსავლად ოსურ ფორმას ვარაუდობს. მისივე აზრით, **ქასაგ/ქაშაგ** ფუძეში შესაძლებელია გამოიყოს -აგ სუფიქსი, რომელიც ოსურში მეტად პროდუქტიულია და მიმღობების, წარმომავლობისა და ეთ-

⁴ მდრ. ზს. ნალგჷენ.

⁵ ეს ფორმა ასიმილაციითაა მიღებული (სჟ > შჟ) ლენტეხურ დიალექტში.

ნიკური სახელების მაწარმოებლად გვევლინება, თუმცა თავად ოსურ ქანს ფუძეში ამჟამად ეს -აგ არ გამოიყოფა. როგორც ჩანს, ფუძესთანაა შეხორცებული (ოსიძე 2000:46). სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ქართული ქამ-აგ- ფუძის შემთხვევითი მსგავსება სვანურ ქამაგ „ჩერქეზი“ ეთნონიმთან შეიძლება არასწორი მსჯელობის საფუძველი გახდეს, ვინაიდან ქართულ ქამ-აგ-ი ფორმაში ძირად ქამ-გამოიყოფა (-აგ კი სუფიქსად მოიაზრება მსგავსად წახნ-აგ- ფორმისა), რომელსაც სხვა ქართველურ ენა-კილოებში შესატყვისი ალომორფები არ ეძებნება (2017:398). ცხადია, ჩვენ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს და ქართულ ფორმას მხოლოდ შესადარებლად ვიყენებთ.

შენიშვნა: სვანურში დადასტურებული მე-ქმწგ (ზს., ლნტ.) და მე-ქმაგ (ლშს., ჩოლ.) „ჩერქეზი, „ყაბარდოელი (ზედმიწ. – *მო-ქამაგ-ე)“ ნაწარმოებია ქამაგ-ძირისაგან წარმომავლობა-სადაურობის მაწარმოებელი მე- ფორმანტის დართვით.

ქერც (ლშს.) < ქართ. ქერცლ-ი (< ოს. **kærc**) „ჩქოვანი ან ძვლოვანი წარმოშობის პატარ-პატარა ფირფიტები თევზების, ქვეწარმავალთა სხეულზე, ზოგი ფრინველის ფეხებზე და ზოგი ძუძუმწოვრის კულზე, – ქიცვი“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, შდრ. ბზ. ქწც, ლშს. ქეც „ქერტილი“ < ქართ. ქეც-ი 1. „კანის ერთგვარი ავადმყოფობა; ქავილი იცის, თმა-ბალანს აყრევენებს და კანს შამრავს“, 2. „იგივეა, რაც ქერცლი“ ლექსიკური ერთეულისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით, ასევე პალატალური უმლაუტის საშუალებით (შდრ. ბქ. ქწრ).

3. ფენრიხი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგენს *ქერც- არქეტიპს (მაგ. ქართ. ქერც-ლ-ი და მეგრ. ქირც-ა – ფენრიხი 1998), ხოლო გ. კლიმოვი სვანურ ქერცლ^ს ქართული ქერტლ^{ის}აგან მომდინარედ მიიჩნევს (კლიმოვი 1998:215). როგორც ჩანს, მან ქართული „ქერცლი“ არ იცის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართული ქერც-ლ-ი (ქეც-ი, ქეც-ედ-ი), ქეცი „თევზის ქიცვი“ (საბა) სპეციალურ ლიტერატურაში დაკავშირებულია ოსურ **kærc/kærae** „ქურქი“, **kærcxor/kærcxwar** „ქურქის მასალა“ ლექსემებთან (ანდრონიკაშვილი 1966:118), ხოლო ვ. აბაევი მას უკავშირებს ქართ. (კუთხ.) ქეჩოს „ქურქი“ (აბაევი 1958:588), რაც, მ. ანდრონიკაშვილის აზრით, უფრო გვიანდელი ნასესხები ჩანს (იქვე: 118).

შატრანხ (ბქ.)/**შატრახ** (ჩოლ., უშგ.) 1. ბქ. „მეტისმეტად შავი, შავტუნა“, 2. ჩოლ. „მაღალი, უხეში და უსირცხვილო ქალი“ < ქართ. (თუშ.) შავ-რათ-ი „შავი ცხენი“, შდრ. (ფშ., თუშ.) შავრა „შავი ცხენი“, (აჭარ.) შავ-რაზტა-ი „მეტად შავი, შავტუნა“, (ფშ.) შავ-რეშხ-ი „შავი ფერის ცხენი“ ფორმებისაგან.

საანალიზო ლექსიკური ერთეულის პირველი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ვხედავთ, გახლავთ ქართულის გზით შეთვისებული ლექსემა **შავი** „ყორნის ფერი“ (საბა). ვ. აბაევის აზრით, ქართ. **შავ-ი** მომდინარეობს ოსური სიტყვიდან **saw** „შავი“ და შესადარებლად მოჰყავს სპარსული **syāh**, რომელსაც ფონეტიკურად არ შეეძლო მოეცა ქართული შავი (1956:438). ძალიან ხშირად ძველ ნასესხობებში

ოსურიდან, როგორც მ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს, სისინას ნაცვლად შიშინები გვაქვს, რაც თვით ოსურის დიალექტურ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ (იქვე:119).

ცალ (ზს., ლნტ.)/**ცალ** (ლშხ., ჩოლ.) 1. „ტოლი, ხელა; კბილა, ერთი ასაკისა“, 2. „ერთი, ერთეული, ცალი“, 3. ქს. „ცალ მხარეს, განზე“ < ქართ. ცალ-ი (ოს. **cal** „რამდენი, რაოდენი, ერთეული“) 1. „ორისაგან, წყვილისაგან ერთი“, 2. „საპალნის ერთი მხარის ტვირთი, საპალნის ნახევარი“, 3. „ტოლი, სწორი, ბადალი...“ ლექსიკური ერთეულისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახითა და პალატალური უმლაუტის* მეშვეობით (შდრ. ზს., ლნტ. **ყტილ**, ზს., ქს. **ფა**, ბქ., ლშხ. **ყა**, ბზ., ლნტ. **კაკალ**).

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ქართ. **ცალ**- ლექსემას კავშირი უნდა ჰქონდეს ოსურ სიტყვასთან **cal** „რამდენი, რაოდენი“, ისინი ფონეტიკურ იდენტურობას ამჟღავნებენ, თანაც მათ დასაკავშირებლად არც სემანტიკური დაბრკოლება არ არსებობს (1966:121). ივ. ჯავახიშვილის აზრით კი, ქართ. **ცალ**- უკავშირდება, ერთი მხრივ, დაღესტნურ ენათა ჯგუფის სიტყვებს (**ცამ**, **ცაგ**, **წამ** = 1), ხოლო მეორე მხრივ აფხაზურ-ადიღეურს (აფხაზ. **ძალა** – 1937:291, 297).

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში დასტურდება ქართულის გზით შეთვისებული **ცალ**- ძირისაგან ნაწარმოები კომპოზიტები (მაგ.: ბზ. **ცალმზგ**, ბქ. **ცალმზგ**, ლნტ. **ცალმზგ** „კარაპანი“ < ქართ. ცალ-მაგ-ი, (ლენჩ.) ცალ-მაკ-ი „სახლზე მიდგმული შენობა“, შდრ. უშგ. **მარ**; ლშხ. **ცალამეგუ** „მეგობარი (ზედმიწ. – ცალ-ი სამეტო)“, უშგ. **ცალმზგუ/ლწცლამეგუა** „ტოლი/ტოლები (ზედმიწ. – ცალ-სამეტო/სა-ცალ-მეტო)“...) და მიმდებარე (მაგ.: მო-ცალ (ჩოლ.) „თანატოლი (ზედმიწ. – *მო-ცალ-ე)“...) ფორმები. ამასთანავე, იგი გვხვდება შემდეგ გამოთქმებში, მაგ.: ქს. **ცალთე ლიზი** „ცალ მხარეს, განზე წასვლა“ (მაგ., **ცალთე აღერ!** „განზე გაღექი (ზედმიწ. – ცალ-ის)-კენ წადი!“ და ა. შ.

შენიშვნა: ვინაიდან **ცალი** სიტყვისაგან ნაწარმოებად ითვლება ქართულში სიტყვა **ცალიერი** „ცარიელი“ (ანდრონიკაშვილი 1966:121), ამიტომ, ვფიქრობთ, სვანურში ქართულის გზით შეთვისებული **ცარიელ** (ზს., ქს.)/ **ცარიელ/ცარმელ** (ბზ.)/**ცარიელ/ცარმელად** (ლშხ.)/**ცარიელ** (ლნტ.)/**ცარმე/ცარმელ** (ჩოლ.) ფონეტიკური ვარიანტებიც ოს. **cal** სიტყვას დაუეკავშიროთ. სესხებისას სვანურში კილო-კილოკავთა მიხედვით მათთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი (უმლაუტი, *ხმოვანთა სივრძე*, *ბგერათა დაკარგვა*...) უნდა განხორციელებულიყო (შდრ. ზს. **ჰარი**; ზს. **ღერყენე**; ბქ. **ყუბ**).

ცოდ (ზს., ქს.) < ქართ. ცოდ-ვა (< ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „დანაშაულის“ ლექსემისაგან *აუსლაუტისეული მარცვლის მოკვეცი* (შდრ. ზს., ქს. **ლეჟრი** „საწყალი“), ხოლო **ცტიდ** (ზს., ლნტ.)/**ცუდ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ცუდ-ი (< ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „ფუჭი, ამაო, ცარიელი, უვარგისი, უსაქმური“ ფორმისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი* სახით, ისე *უ ხმოვნის უმლაუტით*.

ცუდ- ფუძის როგორც წარმომავლობის, ისე სემანტიკის შესახებ არაერთი ვარაუდია გამოთქმული საენათმეცნიერო ლიტერატურაში. იგი, როგორც ცნობილია, დადასტურებულია მეგრულ-ჭანურშიც, არსებითად ძველი სემანტიკით (არაბული

2001:159). სწორედ სემანტიკურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას არნ. ჩიქობავა, როდესაც ხაზს უსვამს **ცუღ-** სიტყვის ერთგვარ მნიშვნელობას ქართულსა და ზანურში (1938:241). ეს დაკავშირება ასახულია აგრეთვე ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონში (2000:401). კ. დანელიას აზრით კი, ჭან. **ცუღ-** და სვან. **ცუღ-** ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული (1991:612).

აღნიშნულ ძირთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ანდრონიკაშვილს, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია **ცუღ-** ფუძე, ერთი მხრივ, დაეკავშირებინა **ცოდ-** (ცოდვა), **ცთ-** (ცთომა; ცთუნება) ფუძეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, გაეზიარებინა მისი ოსურიდან მომდინარეობა ვ. აბაევზე მითითებით: „... იგი უკავშირდება ოსურ სიტყვას **cawd(cud/cyd)** „ცუდი, მდარე“, რომელიც წარმოადგენს ლექსიკალიზებულ ნამყოს მიმღებობას ზმნიდან **caewyn** „სვლა“, ე.ი. „წასული“. შდრ. რუს. „**пошлый**“, ლათ. **itus** (აბაევი 1958:293)... სიტყვები **ც უ დ ი**, **ც ო დ ვ ა** ძალიან ძველი ნასესხებია ალანურიდან, ისინი დადასტურებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში არ მოეპოვებათ“ (ანდრონიკაშვილი 1966:123), თუმცა განსხვავებული თვალსაზრისის მიხედვით, საერთოქართველურისათვის აღდგენილია ***kad-/kd-** ფორმა სვანური **ქღ-/ქად-ის (ლიქანდ)** მიხედვით – „ცთომა“ (კლიმოვი 1964:195), ხოლო ა. არაბული სრულხმოვნთან არქეტისად ვარაუდობს **ცუღ-** ძირს, რომელიც საკმაოდ მდიდარი რეფლექსებისა და შესატყვისების სახით ვლინდება ქართველურ ენებში (არაბული 2001:160).

ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებად მიჩნეული **ც ო დ ვ ა / ც უ დ ი** 'ს ა გ ა ნ ს ვ ა ნ უ რ შ ი ი წ ა რ მ ო ე ბ ა *მასდარული* (მაგ.: ლი-**ცუღ**-ილ-ე (ზს.)/ლი-**ცუღ**-**泐** ლ-ე (ბზ.) < ქართ. შეცოდება; ლი-**ცუღ**-ილ-**泐** ლ (ბზ.)/ლი-**ცუღ**-ილ-**წ** ლ (ბქ.)/ლი-**ცუღ**-ილ-**წ** ლ (ლშხ.)/ლი-**ცუღ**-ლ-**წ** ლ (ლნტ.) „წვალება“ *ხლძ.* < ქართ. ცოდ-ვ-ილ-ობ-ა; ლი-**ცუღ**-ე/ლი-**ცუღ**-**აუ**-ი (ბზ.)/ლი-**ცუღ**-ე (ბქ.), შდრ. ლშხ. ლი-**ცდ**-**აუ**-ი 1. „გაფუჭება“, 2. „ამარცხება, დაშავება“ < ქართ. გა-ცუდ-ებ-ა...) და *მიმღებური* (მაგ.: ლე-**ცუღ**-ილ-ე (ზს.) < ქართ. შე-სა-ცოდ-ებ-ელ-ი; ლუ-**ცუღ**-ილ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-სა-ცოდ-ავ-ებ-ულ-ი; ნა-**ცოდ**-არ (ბქ.)/ნა-**ცოდ**-ლ-**აუ**-**წ** ლ (ლნტ.) „წაწვალები“ < ქართ. ნა-ცოდ-ვ-ილ-არ-ი < ქართ. ცოდ-ვ-ა) ფორმები, ამასთანავე, გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიციის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტადაც (მაგ.: **ცოდან-კალ**{**ტ**}**ენ** (ბზ.)/**ცოდანშკალან** (ბქ.)/**ცოდ-კალონ** (ლშხ.)/**ცოდიკალენ** (ლნტ.)/**ცოდა-კალენ** (ჩოლ.)/**ცოდან-კალან** (ბქ.) „შესაბრალებელი; ცოდვა-ბრალი; საცოდავი! აფსუს!“ < ქართ. ცოდ-ვ-ის კანონ-ი; **ცოდ ი მადილ** (ლშხ.) < ქართ. ცოდვა-მადლ-ი...) და უამრავი ზმნური ფორმის შემადგენლობაში (მაგ.: **წ-ცუღ**-ე/ა-**ცუღ**-**აუ**-ი (ბზ.)/ა-**ცუღ**-ე (ბქ.)/ა-**ცდ**-**აუ**-ი (ლშხ.) 1. „აფუჭებს, უსარგებლოს ხდის“, 2. „ამარცხებს, აშავებს“ < ქართ. ა-ცუდ-ებ-ს; **ხ-ე-ცუღ**-ი (ზს.)/**ხ-ე-ცდ**-**აუ**-ი (ლშხ.) „უფუჭდება“ < ქართ. *ე-ცუდ-ებ-ა; **ხ-ე-ცუღ**-ილ-**泐** ლ (ბზ.)/**ხ-ე-ცუღ**-ილ-**წ** ლ (ბქ.)/**ხ-ე-ცუღ**-ილ-**წ** ლ (ლშხ.) „წვალება“ *ხლძ.* < ქართ. ე-ცოდ-ვ-ილ-ებ-ა (ე. ი. ცოდვილობს)...) და სხვ.

ქართულის გზით დამკვიდრებულ ცოდ-/ცუდ- ძირზეა აგრეთვე დამყარებული შემდეგი ფორმები: სწ-ცჳდ-ილ (ბქ.)/სა-ცჳდ-ილ (უშგ.) < ქართ. სა-ცოდ-ავ-ი (შდრ. უშგ. მე-ცჳდ-წრ-ი); ცოდ-წრ (ბზ.) „საცოდავი“; ცოდ-ობ (ზს., ლნტ.) < ქართ. ცოდ-ვა (ზედმიწ. – *ცოდ-ობ-ა); ცოდ-ურ (ზს.) „უცოდველი“; ცოდ-ჟლ (ბზ.) < ქართ. სა-ცოდ-ავ-ი (შდრ. ზს. ლეჟრი); ცოდ-ჟლ-ობ (ლშხ.) „წვალება“ < ქართ. ცოდ-ვ-ილ-ობ-ა; ცოდლიან/ცჳედლიან/ცოდულიან (ზს., ლნტ.)/ცოდლიან (ბქ.)/ცოდლიან (ლშხ.)/ცჳედლიან (ჩოლ.) „ცოდვილი; შემცოდე (ზედმიწ. – *ცოდ-ვ-ილ-იან-ი)“ < ქართ. ცოდ-ვ-იან-ი... და ზმნისართული ფორმები: ცოდარმჳ (ბქ.)/ცოდჳარმჳ (ჩოლ.) „ვაითუ, საუბედუროდ (ზედმიწ. – *ცოდ-ვ-ებ-ით)“ < ქართ. ცოდ-ვა; ცჳილდ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ცუდლ (ლშხ.) „ფუჭად, ტყუილად, უსაქმოდ, ამაოდ“ < ძვ. ქართ. ცუდ-ი „ფუჭი, ამაო, ცარიელი, უვარგისი, უსაქმური“ ფორმისაგან და მისთ. (შდრ. ბზ. მიქჳდილდ, ბქ. მოქდილდ; ბქ. მეჳარიშ კაფდ; ჩოლ. ცჳიდინბარო „ტყუილუბრალოდ“).

ცონწრ (ზს.) „უსუსური, სუსტი“ < ძვ. ქართ. მცონარა/ე (< ოს. *æncoj/æncojnæ* „სიმშვიდე, დასვენება“) „ზარმაცი, უქმი, მუქთახორა“ ფორმისაგან თავკი-დურა და ბოლოკიდურა ბგერათა დაკარგვითა და უძლავუთით.

ძეწკჳ (ზს., ქს.) < ქართ. ძეწკვი < ზან. (მეგრ.-ლას.) ძეწკვი (< ოს. *caeg* „რგოლი, რკალი, რკალისებური საგანი“) „წვრილი ჯაჭვი, წვრილი მძივების ას-ხმულა“ (საბა) სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

აღნიშნული სიტყვის ოსურიდან შესაძლო ნასესხობაზე მიუთითებს მ. ანდრონიკაშვილი თავის მონოგრაფიაში „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთი-ერთობიდან“ (1966:124). მისი აზრით, საანალიზო სიტყვაში უნდა გამოიყოს ძირი წკ- (< ცკ), რომელიც დადასტურებულია ოსურში *caeg* ფორმით (შდრ. ოს. *qūscaeg* „საყურე, ყურის რგოლი“, *cafxad* < *caegfad* „ნალი, ფეხის რგოლი“, *žǵæræg/aesqærcaeg* „რგოლები, რომლებსგანაც ჯავშანი/ჯაჭვის პერანგი კეთდებ-ა“, *caeggag* „წნელი, რომლისგანაც რგოლს აკეთებენ“ და სხვ.). ამ სიტყვას შე-სატყვისები ეძებნება კავკასიურსა და უზგურულ-ფინურ ენებში, მაგ.: ვინახ. *č’ug* „რგოლი, საყურე“, ჩერქეზ. *č’ūk* “крючок”, ბალყ. *čak* „კვანძი, კილო, რგოლი“, სვან. *caeg* “подпятник мелницы”... ქართული ფორმის მიღება კი შემდეგნაირად წარმოუდგენია: სე-ცეკ-უ > სე-წკ-უ > წე-წკ-უ > ძეწკჳ (იქვე).

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში (ნ. მარიდან მოყოლებული), როგორც ცნობილია, ჯაჭვი მიჩნეულია ქართული ძეწკვი-ს ზანურ ფორმად. გ. კლიმოვს სა-ერთოქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილი აქვს *ძეწჳ არქეტიპი, ხოლო ჯაჭვი მეგრულიდან შეთვისებულად მიაჩნია. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით კი, ჯაჭვიც და ძეწკვიც ქართულია, თუმცა ორივე მათგანი შეთვისებულია ირანული-დან ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს (იქვე:125).

ცხადია, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები საინტერე-სოა, თუმცა, ვფიქრობთ, ნაკლებ დამაჯერებელია და უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში **ძეწკვ**- ძირისაგან ნაწარმოები სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ქონების აღმნიშვნელი **ლგ-ძეწკუ** (ზს., ქს.) ფორმაც დასტურდება (შდრ. ქართ., ზან. ძეწკვ-იან-ი „ძეწკვის მქონე“), რომელიც ასევე ქართულ-ზანური შესაბამისი ფორმის ანალოგიით ჩანს გაჩენილი.

ხაჟის (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ხაჟიზ** (ბქ.)/**ხაჟს** (უშგ.) < ქართ. ხავს-ი (< ოს. **xos/xwasæ** „თივა, წამალი“ – იქვე:128) „ტანდაბალი უფესვო სპოროვანი მცენარე; იზრდება ტენიან ადგილებში, ხეებზე, ქვებზე და სხვ.“ სიტყვისაგან როგორც *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ისე სხვადასხვა *ფონეტიკურ პროცესთა* (ბგერის *განვითარებისა და გამჟღერების*) გავლით (შდრ. ბზ., ქს. **ფანთქჟის**, ბქ. **ფუნთ-ქჟირ**, ბზ. **ფიმფო**).

სვანურში ქართულის გზით დამკვიდრებული **ხავს**- ძირისაგან ნაწარმოები მიმდებარის ფორმებიც გვხვდება სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული: **ლგ-ხაჟს-ე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ლგ-ხაჟიზ-ე** (ბქ.)/**ლგ-ხაჟს** (უშგ.) „დახავსებული/ხავსიანი“ (შდრ. ბზ. **ლგფანთქჟისე**, ბქ. **ლუფუნთქჟირ**).

ჰირიკ (ბქ.) < ქართ. (ლექს.) ხირაგა (< ოს. **xæræg** „ვირი“ – ახვლედიანი 1960:200) „ვირის ხის უნარიგი, კეხი“ ფორმისაგან შემდეგი ფონეტიკური პროცესების (*აუსლაუტისეული თანხმოვნის დაყრუების, აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციის, ხმოვანთმონაცვლეობისა და თანხმოვანთმონაცვლეობის*) შედეგად. იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგ., **წელიშ ჰირიკ ხაგ** „დიდ ჯაფაშია (ზედმიწ. – ვირის უნაგირი ა-ღვ-ა-ს)“...

2. უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები

სვანური ენის კილო-კილოკავებში ქართულის გზით დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულების პარალელურად უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული მასალაც დასტურდება. სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მეცნიერის (ვ. აბაევის, მ. ანდრონიკაშვილის...) მიერ ოსურ-ალანურიდან სვანურში შეთვისებულად მიჩნეული ლექსიკური ერთეულების თავმოყრის პარალელურად ვეცადეთ დამატებითი მასალის მოძიებას და ამ მასალის მოძიების კვალდაკვალ ასევე ვეცადეთ, ცალკეული დაკვირვებანი გვეწარმოებინა ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილების შესახებ.

როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების განხილვით ირკვევა, ვ. აბაევს სვანურში უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებულად მიაჩნია არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული, როგორიცაა: **არსან** „მსხვილი თოკი“, „ჯაჭვი“, **ბჟასტ** „სამყარო, ქვეყანა“, **ბურან** „ნაგავი, ნეხვი“, **გურნა/გურანა** „ხელსაფეჭავის ქვა, ქვასანაყი“, **დალისტ** „ცხვარი 6 თვიდან წლამდე“, **დარგ** „თხა“, **ზად** „ალო“, **ინ-ლა/ინალა** „მოცხარი“, **მაკუმდგ** „თეძო“, **მანაშ** „ჭვავი“, **მგრშქ** „ჭიანჭველა“,

ჭორწმ „არყის მასალა“, **ქერღნ** „ნაჭერი, ჩვარი“, **ქერჯინ** „ნაცარში გამოძვცხვარი პური“, **ჩირთ** „ქვების გროვა“, **ცგვ** „წისქვილის ნაწილი“ (1958, 254, 282, 295, 325, 342, 358, 583, 584, 611; 1973; 86, 87, 92, 184; 1979; 63; 1989, 89, 283). გარდა ამისა, სვანურში დადასტურებულია რიგი სახელებისა ნართული ეპოსიდან, ესენია: **ნართ**, **სოსრუყუ**,⁶ **ჭერძმეგ**, **საბიჯ**, **სათანაძ**, **ზითანაძ** და სხვ. (ანდრონიკაშვილი 1966:55). ვ. აბაევი კი გამოთქვამს მოსაზრებას ასევე სვანური ზმნების **mand** „სიყვარული“ და **za** (lizal) „შობა“ ოსური წარმოშობის შესახებ (მდრ. ოს. **mond/monc** „ძლიერი სურვილი, ვნება“ და **za** „გაჩენა“, თუმცა, მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, გაცილებით მეტია ქართულ-ქართველურიდან ოსურში შესული ლექსიკური ელემენტები (იქვე).

სვანური ენის ფონოტაქტიკისათვის დამახასიათებელი პროცესების გათვალისწინებით განვიხილოთ როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში, ასევე ჩვენ მიერ მოძიებულ-მოპოვებული უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები:

არსან (ბზ.) „მსხვილი თოკი“, „ჯაჭვი“ < ოს.-ალან. **raetan, raesen** (მდრ. ძვ. ირ. **rasana**, სპარს. **rasan**) „იდ“ სიტყვისაგან *მეტათეზისის* საშუალებით.

ბუნსდ (ბზ., ლშხ.)/**ბუასდ** (ბქ.)/**ბუნსტ** (ლნტ.)⁷ „სამყარო, ქვეყანა“ < ოს.-ალან. **baesta**, „იდ“ ფორმისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა (*ხმოვანთა სიგრძის, უძლავუტის, გამჟღერებისა* და ა. შ.) შედეგად.

ბურან (ბზ.)/**ბურან** (ბქ.)/**ბურან** (ლნტ.) „წვრილფეხა საქონლის სკორე; ნაგავი, ნეხვი“ < ოს.-ალან. **byron/byrojnæ** „ნაგავი“ ლექსიკური ერთეულისაგან სვანური ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (*ხმოვანთა სიგრძის, უძლავუტის, ხმოვანთმონაცვლეობის...*) განხორციელებით.

გურნა (ზს., ლშხ.)/**გურანა** (ლნტ.) 1. „რიყის ქვა; სიპი ქვა“, 2. „ხელსაფქვავის ქვა, ქვასანაყი“ < ოს.-ალან. **kuroj/kurojnæ** „წისქვილი“ სიტყვისაგან, თუმცა, თუკი მას დაუუკავშირებთ მთის დიალექტების (თუშ., ფშ., ხევს., თიან.) *გურნ* „ქვასანაყი, სანაყი ქვა“ ლექსემას, მაშინ ოსურიდან შესხება ეჭვქვეშ დადგება.

დალისჭ⁸ (ბზ.)/**დალუს** (ლშხ.)/**დალუს** (მულახ.) „დიდდუმიანი ცხვარი; ცხვარი 6 თვიდან წლამდე“ *ზოოლ.* < ოს.-ალან. **dalys/dalis** „იდ“ ფორმისაგან *უძლავუტისა* და *ბგერის გაჩენის* საშუალებით.

დარგ (ბზ., ქს.) „წალი თხა (რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუვია)“ *ზოოლ.* < ოს.-ალან. **dærk** „id“ სიტყვისაგან *გამჟღერებით*.

⁶ პარალელურად ბალსქვემოურში ზღაპრებში დასტურდება **სოსრულ** ფორმაც.

⁷ ვ. აბაევს მითითებული აქვს სვან. **ბვასტ**, რაც ალბათ კორექტურული შეცდომაა.

⁸ ვ. აბაევის აზრით, ოსურ სიტყვებში **dærk** და **dalis** შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი **dar**, რომელიც აღნიშნავს „წელიწადს“, მაგრამ მისთვის გაურკვეველია, რომელი ენაზე; მ. ანდრონიკაშვილი აქ მოიშველიებს ძველ ქართულ **ტარიგ**-ს („კრავი“), რომელიც სომხურიდან მომდინარეობს, სომხურში კი **տարի տარი** ნიშნავს „წელიწადს“ (იხ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 55).

დუა (ზს.)⁹ „შანა, თილისმა, ავგაროზი“ < ოს.-ალან. **dya** (< თურქ.-არაბ. **dua** „ლოცვა“)¹⁰ „ამულეტი“; „ავგაროზი“¹¹ ლექსემისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით, შდრ. ქართ. (რაჭ.) დუა „ჯადო“, ინგილ. „სამძიმარი, პანაშვიდი“ (შდრ. ბზ. ქისინბურანდ/კისიმბურანდ, უშგ. ქისინბურა/ქისუნბურანდ; ბქ. ლედე; ბქ. კისანდლ; ქს. ცინციბურ).

საანალიზო ლექსიკური ერთეული იმავე სტრუქტურითა და სემანტიკით ქართული ენის რაჭულ დიალექტშიც დასტურდება, რომელიც შესაძლოა, სვანურის გზით იყოს შეთვისებული, თუმცა არ გამოვრიცხავთ მის დამოუკიდებლად სესხებას ოსურიდან.

სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურ დიალექტში დუა ძირისაგან ნაწარმოები სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი მასდარული ლი-დუ-ალ (ბქ.) „უდიერად მოპყრობა, დაუნებლად დახარჯვა სხვისი ქონებისა“ და მიმღობური ლე-დუ-ალ (ბქ.) „უდიერად მოსაპყრობი, დასახარჯი სხვისი ქონება“, მე-დუ-ალ (ბქ.) „უდიერად მომპყრობი, დამხარჯავი სხვისი ქონებისა“ ფორმებიც გვხვდება, რაც არ გვაქვს ქართული ენის რაჭულ დიალექტში.

ზად (ბზ., ქს.) „ალო, საფუარი“ < ოს.-ალან. **zad** „id“ სიტყვისაგან ყოველგვარი ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებების გარეშე.

ზითანანდ (ბზ.) ანთრ. < ოს.-ალან., იხ. სათანანდ/სათანანდ

ინლა (ზს., ლშხ.)/ინლა (ლნტ.) „ჟოლო“ < ოს.-ალან. **ninaxǵ** (< ჩრდ.-თურქ.) „მოცხარი“ ფორმისაგან ნ-ს დაკარგვისა და უძლავუტის მეშვეობით. შეფარდება სემანტიკურ დონეზე ჟოლო ~ მოცხარი კანონზომიერია.

შენიშვნა: ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კი ზან. (მეგრ.) იმღვა/ინღვა „ეკალა“ და სვან. ინლა/ინლა „ჟოლო“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთო-ქართველური ფუძეების დონისათვის აღდგენილია *იმალა „ჟოლო, ეკალა“ არქეტიპი (ჩუხუა 2017:219)

მაკუშდებ (უშგ.) „თეძო, გვერდი“ < ოს.-ალან. **mæk'ustæg** „მხრის ძვალი“ (შდრ. ასევე ოს. **stæg** „ძვალი“) სიტყვისაგან უძლავუტის საშუალებით.

⁹ ამ ფუძის ნასესხობაზე სვანურში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის განხილვამ აჩვენა, არცერთ ზემოდასახელებულ მეცნიერს არა აქვს მითითებული.

¹⁰ მას კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობაც იცნობს.

¹¹ სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, **дѣя** „დუა“ არის სასწაულმოქმედი ძალის მქონე საგანი, რომელსაც შეუძლია მისი პატრონის გათვალისწინებულ დაცვა. ოსების რწმენით, იგი შეიძლება იყოს მაგიური თვისებების მატარებელი რკინის ნაჭერი, ცალკეული ბუჩქებისა და ხეთა ტოტების ნაწილი, დათვის ბრჭყალი, მგლის კბილი, ყურანიდან ამონარიდი (ქალაღზე დაწერილი და ტყავის ან ქსოვილის ნაჭერში ჩაკერებული) და მისთ. მკითხავის მიერ შელოცვილ ასეთ ავგაროზს მისი პატრონი ტანსაცმელში ჩაიკერებდა ან კისერზე ჩამოკიდებულს ატარებდა. აღნიშნული ტერმინი მიჩნეულია არაბულ სიტყვად და ნიშნავს „ლოცვას“. მას კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობაც იცნობს (ანთელავა 2017:254).

მანაშ (ბზ.)/**მანაშ** (ბქ., ლნტ.)/**მანაშ** (ლშზ.) „ჭვავი“ < ოს.-ალან. **mænæw** „ხორბალი“ ლექსიკური ერთეულისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, სივრძის...*) განხორციელებით.

მგრშე¹² (ბზ.) „ჭიანჭველა“ < ოს.-ალან. **mælxɣ/mulxug** (< ძვ. ოს. ***მურუკ**-იდან) „იდ“ ფორმისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*რედუქციის, თანხმოვანთმონაცვლეობის...*) გზით.

სათანად/სათანა (ბზ.)/**სათანა** (ბქ.) *ანთრ.* < ოს.-ალან. **Сатана, Шатана, Ахсинæ** „ნართული ეპოსის ოსური ვერსიის ცენტრალური პერსონაჟი, ვასთირჯისა და წყალთა უფლის – დონბეთირის ასულის – ძერასას ქალიშვილი, ურუზმაგის და? და ცოლი; ნართების ცნობილი დიასახლისი“ სვანური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების (*უმლაუტის, იოტიზაციის...*) მეშვეობით (შდრ. ადიღ.-აფხ. „*სათანედ-გვამა*“, ბალყ.-ყარაჩ. სათანა-დ/სათანა-დ-ბიიჩე, ვაინახ. „სელი-სათა“...), თუმცა არც მისი ადიღური **Сэтэней, Сэтэней-гуашь** „ნართული ეპოსის ადიღური და სხვა ეროვნული ვერსიების ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი“ ფორმისაგან შესხებას გამოვრიცხავთ.

ოსი მეცნიერის, ვ. აბაევის აზრით: „წინასწარმეტყველებითა და ჯადოქრობის უნარით (შეუძლია ამინდის შეცვლა, ფრინველებთან საუბარი, მატყიობა) დაჯილდოებული სათანა არის ნართული საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, ნართების სოფლის საკრალური სივრცის ცენტრი – ახის მინდი, ნართების ეპიკური ოჯახის დედა (მთავარი დიასახლისი). ეჭვგარეშეა, რომ მისი მონუმენტური პერსონაჟი ეფუძნება ეპოსის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე შექმნილი მატრიარქი პირველწინაპრის მითოპოეტურ სახეს. ამიტომაც არის, რომ სათანას საყვარელი ვაჟი – სოსლანი, რომელიც ასევე უძველესი სოლარული გმირის სახეა და დედასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (დედა-შვილი ხასიათებით ერთმანეთს ჰგვანან), სწორედ მატრილოკალურობის პრინციპით შემოდის ნართების დიდ ოჯახში (ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ნართების საზოგადოება მატრიარქალურია ან ეპოსი მატრიარქატის ეპოქაში შეიქმნა. პირიქით, ეპოსი გაცილებით გვიანდელია და განვითარებული პატრიარქალური ურთიერთობების ბოლო სტადიას ასახავს). სათანას ღვთაებრივმა წარმომავლობამ (ვასთირჯისა და ნიმფას შვილობამ) და დედის, როგორც ასეთის, უკვდავებამ განაპირობა ის გარემოება, რომ, სხვა გმირებისგან განსხვავებით, არცერთ გადმოცემაში მინიშნებაც კი არ არის მის გარდაცვალებაზე. შეიძლება, ნართები ნებისმიერი, თუნდაც მთავარი გმირების გარეშე მოვიაზროთ, მაგრამ მათი წარმოდგენა სათანას გარეშე შეუძლებელია“ (1963).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, სახელი „სათანა“ და მისი ფონეტიკური ვარიანტები (**Шатана, Ахсинæ...**) ნართული ეპოსის თითქმის ყველა კავკასიურ ვერსიაში დასტურდება. სახელის წარმომავლობა უცნობია, თუმცა არის არაერთი ცდა, იგი ირანული და კავკასიური (აფხაზურ-ადიღური) ენების

¹² შდრ. თანამედროვე სვანურის **მგრშე/მგრშე**.

ბაზაზე აიხსნას. ნ. ანთელავას აზრით, „დღემდე ძალაში რჩება ვ. აბაევის აზრი, რომლის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო სახელი არ შეიძლება განეკუთვნოს ოსური ენის ირანულ ფენას“ (2017:592). ვფიქრობთ, მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიაში – „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ ნართული ეპოსიდან შეთვისებულად მიჩნეული ბალსზემოური ანთროპონიმი **ზითანა** (1966:55) **სათანა** ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი უნდა იყოს. ცხადია, საკითხი უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

სელხერ (ზს.) 1. „აწრიალებული“, 2. ლხმ. „ზნედაცემული“, 3. „სულელი“ < ოს.-ალან. **sælxær** „იდ“ სიტყვისაგან *ხმოვანთა რედუქციით*.

ჭარაშ (ბზ.)/**ჭორაშ** (ბქ., ლნტ.)/ **ჭორაშ** (ლშზ., ჩოლ.)/ **ჭორაშ** (ლხმ.) „არყის გამოხდის შემდეგ ნარჩენი თხლე, ბუზალაყი“ < ოს.-ალან. **wæræs** „ნpara“ ლექსიკური ერთეულისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის, სიგრძის, ბგერათმონაცვლეობისა* და ა. შ.) შედეგად.

ჭერძე (ზს.) *ანთრ.* < ოს.-ალან. (?)

ქერღან (ზს.) „ნაჭერი, ჩვარი“ < ოს.-ალან. **kærdæn** „ქსოვილის ნაჭერი, თავშალი“ სიტყვისაგან *უმლაუტისა და ხმოვანთმონაცვლეობის* საშუალებით.

ქერჯინ (ბზ., ჩოლ.)/**ქერჯენ** (ჩოლ.) „ნაცარში გამომცხვარი მჭადი; გამხმარი მჭადი; ქერის ფქვილის პური“ < ოს.-ალან. **kærzyn/kærzin** „ქერის, სვილის, სიმინდის პური; პური“¹³ ფორმისაგან *ხმოვანთა რედუქციით*. შდრ. რაჭ. ქარჯინა „ნაცარში გამომცხვარი პური“, მოხ. „ქერის პური; ღაღარში გამომცხვარი პური“.

შენიშვნა: **ქარჯინ** ფორმაში სპეციალისტები გამოყოფენ ამჟამად არაპროდუქტიულ **ყინ** ფორმანტს და **kær** ფორმას, რომელსაც უკავშირებენ ქართულის **ქერ**, სომხურის **გარ**, აფხაზურის **akar** „ქერი“ ფუძეებს (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტ. X, 1990 წ.).

ჩირთ (ზს., ლნტ., ჩოლ.) „ქვების გროვა; ჩირგვი; ქვა და ღორღი ყანის პირას“ < ოს.-ალან. **cyrt/cirt** „ძეგლი, საფლავის ქვა“ სიტყვისაგან *სემანტიკურად სახეცვლილი* ფორმით. შდრ. ქართ. (ფშ.) ჩირთ-ი (?) „ახლად გამოსული ფოთოლი, კვირტი გაზაფხულის პირას“

ცგ (ბქ.) „წისქვილის ბორბლის რკინის წვეტიანი ფეხი, რომლითაც კიბორჩხალაზე ტრიალებს“ < ოს.-ალან. **cæg** „რკალი, რგოლი, მარყუჟი“ ლექსემისაგან (ვ. აბაევი). ჩვენ თავის დროზე ქართ. (მოხ.) **ცგ-უა-მ** „ბზრიალა“ და სვან. **ცგ** ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღვადგინეთ ***ცგ-** „ბზრიალა, სატრიალებელი“ ქართ. **ცგ-უა-მ:** სვან. **ცგ** ***ცგ-** არქეტიპი, ამოსავალ სემანტიკად ქართველურ ენებში კი „ტრიალის“ მნიშვნელობა (საღლიანი 2016:430).

ხაბიჯ (ზს.)/**ხაბიჯ** (ბქ.) *ანთრ.* < ოს.-ალან. (?)...

¹³ შდრ. აგრეთვე ბალყ. **karžan**, ყაბარდ. **karžin** „უმარილო პური; ხმიადი“.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში გამოვლინდა არაერთი ოსურ-ალანური ელემენტი. საანალიზო მასალა კი, სესხების გზების გათვალისწინებით, დაიყო ორ ნაწილად: 1. ქართულის გზით დამკვიდრებული ოსურ-ალანური ლექსიკური ერთეულები და 2. უშუალოდ ოსურ-ალანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები. ბუნებრივია, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების კვალდაკვალ საანალიზოდ წარმოვადგინეთ ასევე ჩვენეული დაკვირვებები ოსურ-ალანურიდან ნასესხებ მასალაზე სვანური ენის კილო-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით და ამ ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი.

მასალას, რომელიც სვანურში ოსურ-ალანურიდან ჩანს შეთვისებული (უშუალოდ თუ შუალობით), საკმაოდ საინტერესო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილება განუცდია, კერძოდ, განვითარებულა შემდეგი ფონეტიკური პროცესები: *უძლავუტი* (პალატალური, *ველარული თუ ლაბიალური*), *ხმოვანთა სიგრძე*, *რედუქცია*, *გამკვეთრება*, *დაყრუება*, *ბგერათა დაკარგვა*, *იოტიზაცია*, *აფრიკატიზაცია*, *ბგერათმონაცვლეობა* და ა.შ.), თუმცა პარალელურად ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით შეთვისებული ლექსიკური ერთეულებიც საკმაოდ ხელშესახებია.

ლიტერატურა

- აბაევი 1949:** В. И. Абаев, *Осетинский язык и фольклор*, т. I, М.-Л.
- აბაევი 1956:** В. И. Абаев, *О некоторых Осетинский элементах в грузинском*, т. VI, М.
- აბაევი 1958, 1973, 1979, 1989:** В. И. Абаев, *Историко-этимологический словарь осетинского языка*, т. I-IV, М.-Л.
- აბაევი 1963:** В. И. Абаев, К образу Сатаны нартовского эпоса // ИЮОНИИ, Вып. XII.
- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, ტ. I, თბილისი.
- ანთელავა 2017:** ნ. ანთელავა, *კაკასიის ხალხთა მითები და რიტუალები*, თბილისი.
- არაბული 2001:** ა. არაბული, *ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში*, თბილისი.
- ახვლედიანი 1960:** Г. Ахвледиани, *Сборник избранных работ по осетинскому языку*, I, Тбилиси.
- დანელია 1991:** კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები, *ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები*, II, თბილისი.
- თოფურია 1938:** ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, *თსუ შრ.* VII, თბილისი.
- კლიმოვი 1964:** Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Москва.

- კლიმოვი 1998*: G. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin/New-York.
- კლიმოვი, ხალილოვი 2003*: Г. А. Климов, М. Ш. Халилов, *Словарь кавказских языков (Сопоставление основной лексики)*, Москва.
- ორბელიანი 1993*: ს.-ს. ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, თბილისი.
- ოსიძე 2000*: ე. ოსიძე, ვარაუდი ქაშაგ ეთნონიმის შედგენილობის თაობაზე, *არნ. ჩიქობავას საკითხავები*, XI, თბილისი.
- ფენრიხი 1998*: H. Fähnrich, *Kartwelischer Wortchatz*, VI, *Georgica*, 21, Konstanz.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000*: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი.
- ქერქაძე 1974*: რ. ქერქაძე, *ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში*, თბილისი.
- შანიძე 1967*: მ. შანიძე, ნეზვის ეტიმოლოგიისათვის, *ორიონი*, თბილისი.
- ჩიქობავა 1938*: არნ. ჩიქობავა, *ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებით ლექსიკონი*, თბილისი.
- ჩუხუა 2017*: მ. ჩუხუა, *ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი*, თბილისი.
- ძიძიგური 1956*: შ. ძიძიგური, *ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ*, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1937*: ივ. ჯავახიშვილი, *ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა*, ტფილისი.

Medea Saghiani

Towards Phonetic-phonological and Semantic Adaptation of Lexical Units Assimilated from Ossetian-Alanic into Svan

Summary

As the presented research has shown, a number of Ossetian-Alanic elements have been identified in subdialects of the Svan language. Taking into account the ways of loaning, the material for analysis was divided into two parts: 1. Ossetian-Alanic lexical units established via Georgian (e.g.: **äbreg/abreg**, **ķerz**, **mex**, **räng**...) and 2. Lexical units directly borrowed from Ossetian-Alanic (e.g.: **arsen**, **buran**, **dua**, **čirt**...). Naturally, following the materials in scientific circulation, we also presented our observations on the material borrowed from Ossetian-Alanic based on the data of subdialects of the Svan language and the phonetic-phonological and semantic analysis of this vocabulary.

The paper also focuses on those lexical units (e.g.: **adameč**, **almäs**, **ampros**, **äng[w]lez**, **ba** 𐌆𐌆, **bəskänt**, **mečania**, **štamän**...) that are probably assimilated into the Svan language from Greek (directly or indirectly). Obviously, the intermediate link of borrowing is mainly Georgian, although rarely, Greekisms assimilated via Zan (Megrelian-Laz) are also confirmed.

სემანტიკა და ენის იერარქიული სისტემა

სემანტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია და ენის რთულ სისტემაში, რომელსაც იერარქიული სტრუქტურა აქვს, დღეს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, თუმცა თავიდანვე ასე არ ყოფილა. სანამ უშუალოდ სემანტიკის ადგილის განხილვაზე გადავალთ, დავაზუსტოთ, რა არის და რას შეისწავლის სემანტიკა.

საზოგადოდ, სემანტიკას მოკლედ ასე განმარტავენ: სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას.

სიცხადისათვის, აქვე ჩნდება სურვილი, დაზუსტდეს სიტყვა *მნიშვნელობის* მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში¹ ჩვენთვის საინტერესო სიტყვისთვის გამოყოფილია ორი მნიშვნელობა:

1. *აზრი, შინაარსი, ის, რასაც აღნიშნავს, გულისხმობს ესა თუ ის საგანი (სიტყვა, ნიშანი...); საილუსტრაციოდ: [ინგლისურში] ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის [ილია];*
2. *ღირებულება, ფასი, დანიშნულება, როლი; საილუსტრაციოდ: ტყეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამის სრული აღწერა ძნელია [ი. გოგებაშვილი].*

სიტყვა *მნიშვნელობა* ზმნური ფორმიდან (*ნიშნ-ავ-ს*) მომდინარეობს (ამაზე მიუთითებს *-ვ*, რომელიც *-ავ* თემის ნიშნის ალომორფია ნულოვანი გახმოვანებით), ხოლო ძირია *ნიშნ-* (სპარსული ნასესხობა, მრავლობითი რიცხვის ფორმით); ზმნურ ფორმაში ძირი შეკუმშულია, უფრო ზუსტად, ძირი აბლაუტური მონაცვლეობის ნულოვან საფეხურზეა).

თავად სიტყვა *ნიშანი* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი:

1. *საგნის ან მოვლენის სხვა საგნების ან მოვლენებისაგან განმასხვავებელი ნიშანი, მხარე // ასეთივე თვისება პიროვნებისა, ინდივიდისა;*
2. *მომასწავლებელი, მაჩვენებელი;*
3. *იგივეა, რაც ნიშანწყალი;*
4. *დათქმული მოქმედება, პირობითი საშუალება, რომლითაც აჩვენებენ, რომ დროა, შეუდგნენ საქმეს, ან საჭიროა გაფრთხილება, მორიდება, ზომების მიღება.*

რაც შეეხება ზმნურ ფორმა *ნიშნავს*, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მას ორი მნიშვნელობა აქვს:

1. *გამოხატავს, აზრით უდრის;*
2. *(გა)აწესებს, თანამდებობას აძლევს.*

¹ (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>)

თუ აქ წარმოდგენილ სიტყვათა განმარტებებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ამ განმარტებებში ღომინირებს აზრი, რომლის მნიშვნელობათა ჩამონათვალში, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ბოლო, მე-5 პუნქტად მითითებულია:

5. მნიშვნელობა.

ამგვარად, გამოდის, რომ სიტყვების მნიშვნელობა და აზრი მნიშვნელობები თანაკვეთება რაღაც ნაწილში.

აქვე გვინდა გავისხენოთ ერთი საინტერესო ფაქტი: ინგლისელმა ავტორებმა, ჩარლზ კეი ოგდენმა და აივორ არმსტრონგ რიჩარდსმა, ასე დაასათაურეს თავიანთი ნაშრომი: *The Meaning of Meaning* („მნიშვნელობის მნიშვნელობა“), რომელიც 1923 წელს გამოიცა და რომელიც დღესაც უაღრესად პოპულარულია სემანტიკის თეორიაში (ოგდენი, არმსტრონგი 1923). ამ წიგნში სიტყვა *meaning*-ის 22 მნიშვნელობაა განხილული.

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობის მკაცრად მეცნიერული განსაზღვრა ჭირს, თუმცა მაინც მინდა გავეცნოთ ერთ საინტერესო განმარტებას მნიშვნელობისა, უფრო ზუსტად, სიტყვის მნიშვნელობისა, რომელსაც ამერიკელი მეცნიერები – ფსიქოლინგვისტი სემ გლუქსბერგი და ფილოსოფოსი ჯოზეფ დანკსი – გვთავაზობენ: „ნებისმიერი მოცემული სიტყვის მნიშვნელობათა სიმრავლე არის იმ ყველა შესაძლო შეგრძნებების, ხატების, იდეების, კონცეპტების, აზრებისა და დასკვნების ერთობლიობა, რომლებიც შესაძლოა, ადამიანმა წარმოშვას ამ სიტყვის გაგონებისას თუ წარმოთქმისას (გლუქსბერგი, დანკსი 1975:50)“.

დაიხ, სემანტიკა შეისწავლის მნიშვნელობას, მაგრამ მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ქმედებას, გარკვეულ წამოწყებას, საქმეს, მთავრობის პოლიტიკას თუ სხვ. სემანტიკას ამგვარი მნიშვნელობები არ აინტერესებს. სემანტიკა შეისწავლის ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობებს და დღეს იგი ენათმეცნიერების დარგად მიიჩნევა, თუმცა მანამდე, დაახლოებით გასული საუკუნის 50-იან წლებშიც კი, სემანტიკა ლინგვისტიკის პერიფერიულ ქვესისტემად განიხილებოდა და მის კვლევას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. როგორც ჩარლზ ჰოკეტი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, ენათმეცნიერება ყოველთვის, ძირითადად, შემოიფარგლებოდა სამი ქვესისტემით (გრამატიკულით, ფონემურიით და მორფოფონემურიით), ნაკლებად ექცეოდა ყურადღება პერიფერიულ სისტემებს (ჰოკეტი 1958) და სემანტიკაც სწორედ ამ პერიფერიულ სისტემებს განეკუთვნებოდა.

მიუხედავად ამგვარი სიტუაციისა, დაახლოებით იმავე პერიოდში სემანტიკის ცნობილი მკვლევრები, ჯერალდ კატცი და ჯერი ფოდორი, ცდილობდნენ, დაესაბუთებინათ, რომ სემანტიკაც ისეთივე ნაწილია გრამატიკისა, როგორც არის სინტაქსი, მორფოლოგია თუ ფონოლოგია (კატცი, ფოდორი 1963).

სემანტიკისადმი ნაკლები ინტერესის შესახებ აღნიშნავდა კიდევ ერთი ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი უოლეს ჩეიფი, რომელმაც სწორედ სემანტიკური სტრუქტურა დაულო საფუძვლად თავის ლინგვისტურ თეორიას. უ. ჩეიფის მიხედ-

ვით, თანამედროვე ენათმეცნიერებაში უხერხული სიტუაციაა შექმნილი და ეს იმიტომ, რომ ენის შესახებ მეცნიერებას ყველაზე ნაკლები ცოდნა სემანტიკაში აქვს (ჩეიფი 1970).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ნელ-ნელა იზრდება ინტერესი სემანტიკისადმი. 60-70-იან წლებში ამერიკელმა ლინგვისტებმა სცადეს ენათმეცნიერებაში არსებული „უხერხული სიტუაციის“ გაუმჯობესება და ენათმეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ძირითად სფეროდ სემანტიკა გაიხადეს. რა თქმა უნდა, ეს უცებ და თავისთავად არ მომხდარა. ენის შესახებ წარმოდგენის ცვლილებამ, ლინგვისტური კვლევის ახალმა მეთოდებმა ხელი შეუწყო ენათმეცნიერების სემანტიკისაკენ შემობრუნებას და სემანტიკამაც თანდათან დაიმკვიდრა ადგილი ლინგვისტიკაში.

დღეს უკვე სემანტიკა ენათმეცნიერების დარგად განიხილება, რომელიც შეისწავლის ენის შინაარსის პლანს და, როგორც ცნობილი ლინგვისტი, სემანტიკოსი ჯოფრი ლიჩი თავის სახელმძღვანელოს შესავალში აღნიშნავს, ენის შინაარსის პლანის შესწავლა გამოხატულების პლანთან კავშირის გარეშე ისევე უაზროა, როგორც გამოხატულების პლანის შესწავლა შინაარსის პლანის გაუთვალისწინებლად, რასაც ამაოდ ცდილობდნენ ლინგვისტები 60-იან წლებამდე (ლიჩი 1981:3).

სემანტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, განიმარტება შემდეგნაირად:

სემანტიკა შეისწავლის ენის შინაარსის პლანს. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეულ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების შესწავლას, არამედ ამ მნიშვნელობებს შორის არსებული მიმართებებისაც; სწორედ ეს უკანასკნელნი განსაზღვრავენ ენის შინაარსის პლანის სტრუქტურას.

მოცემული განსაზღვრების შემდეგ სასურველია, გავარკვიოთ სემანტიკის ადგილი ენის იერარქიულ სისტემაში, ანუ გავარკვიოთ, რა მიმართებაშია სემანტიკა ენობრივი ანალიზის ძირითად იერარქიულ დონეებთან.

როგორც ვიცით, ენობრივი ანალიზის ძირითადი დონეებია: ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი. აღნიშნულ დონეებს შორის არსებობს იერარქიული მიმართება, რომელიც იმით განისაზღვრება, რომ იერარქიულად უფრო მაღალი დონის ერთეული მიიღება უფრო დაბალი დონის ერთეულთა გარკვეული მიმდევრობით: ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეულია ფონემა, რომელთა გარკვეული მიმდევრობით მიიღება მორფემა – მორფოლოგიური დონის უმცირესი ერთეული; მორფემათა გარკვეული მიმდევრობით მიიღება სიტყვა, რომელიც უდიდესი ერთეულია მორფოლოგიის დონეზე და რომელთა მიმდევრობით აიგება წინადადება – სინტაქსური დონის ძირითადი ერთეული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ენობრივი ანალიზის დონეები შემდეგ იერარქიულ მიმდევრობას ქმნიან:


ფონოლოგია < მორფოლოგია < სინტაქსი ²

² ნაკლებობის ნიშნის („<“) მარცხნივ მოცემულია ენობრივი ანალიზის დონე, რომელიც იერარქიულად უფრო დაბალია ნიშნის მარჯვნივ მოცემულ დონესთან შედარებით.

რა ადგილი უკავია ამ იერარქიაში სემანტიკას? გასაგებია, რომ იერარქიის მოცემული განსაზღვრება სემანტიკას ამ რიგში ადგილს ვერ მიუჩენს; ფაქტობრივად, სემანტიკა ენობრივი ანალიზის ყველა დონეზე შემოდის (გამყრელიძე და სხვ. 2008):

- ფონოლოგიის დონეზე – ფონემა, მოცემული დონის უმცირესი ერთეული, განისაზღვრება სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციის საფუძველზე (რაც სიტყვებს შორის მნიშვნელობაში განსხვავებას გულისხმობს);
- მორფოლოგიის დონეზე – მორფემა, მოცემული დონის უმცირესი ერთეული, ასევე განისაზღვრება სემანტიკის საფუძველზე; მორფემა არის მნიშვნელობის მქონე უმცირესი ენობრივი ერთეული;
- სინტაქსის დონეზე მნიშვნელობის შემოსვლა უდავოა (გავიხსენოთ წინადადების უმარტივესი ტრადიციული განსაზღვრება: წინადადება არის სიტყვათა მიმდევრობა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს).

ამგვარად, სემანტიკა ენობრივი სისტემის იერარქიულ დონეებს შორის არ განთავსდება. იგი თითოეულ იერარქიულ დონეში გარკვეულად მნიშვნელოვანი წილით შემოდის, რაც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



სქემა 1. ენის იერარქიული სტრუქტურა

ენობრივი სისტემის დონეები სქემაზე ვერტიკალურად არის განლაგებული – იერარქიულად დაბალი დონიდან უფრო მაღლისკენ (ქვემოდან ზემოთ); სემანტიკური დონე მუქი ფერით არის წარმოდგენილი და, როგორც ვხედავთ, სემანტიკა შემოჭრილია როგორც ფონოლოგიის, ისე მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეებზეც.

ლიტერატურა

გამყრელიძე და სხვ. 2008: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გლიუკსბერგი, დანკსი 1975: S. Glucksberg, J. Danks, *Experimental Psycholinguistics*, Lawrence Erlbaum Associates, New Jersey.

კატცი, ფოდორი 1963: J. J. Katz, J. A. Fodor, The Structure of a Semantic Theory, *Language*, vol. 39, № 2, pp.170-210.

ლიჩი 1981: G. N. Leech, *Semantics: the Study of Meaning*, Penguin Books, London.

ოგდენი, არმსტრონგი 1923: C. K. Ogden, I. A. Armstrong, *The Meaning of Meaning*, Harcourt, London.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ციფრული ვერსია:

<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ჩეიფი 1970: W. L. Chafe, *Meaning and the Structure of Language*, University of Chicago Press, Chicago/London.

პოკეტტი 1958: C. Hocett, *A Course in Modern Linguistics*, The Macmillan Company, New York.

Ether Soselia

Semantics and the Hierarchy of Language System

Summary

In general, semantics is briefly defined as follows: Semantics is the study of meaning (Georgian – *mnishvneloba*).

But an action, a certain initiative, deed, government policy, etc., can have meanings. Semantics is not interested in such meanings. Semantics studies the meanings of linguistic units and today it is considered as a branch of linguistics, although before that, even in the 50s of the last century, semantics was considered as a peripheral subsystem of linguistics and less attention was paid to the semantic researches (Hockett 1968).

In the 1960s, a serious turning towards semantics took place, and today semantics is already considered as a branch of linguistics that studies the content plan of a language.

Finally, the following formulation is possible:

Semantics studies the content plan of a language; this implies not only the study of the meanings of linguistic units, but also the relations, which exist between those meanings and which form the structure of the content plan of a language.

As for the relationship between semantics and the main hierarchical levels of language system (the latter forming the following ordered sequence: Phonology < Morphology < Syntax), it would not be correct to place semantics in this hierarchical order (due to the defining principle of the given hierarchy). The reason is that semantics penetrates onto each hierarchical level of language system:

- At the level of phonology, the smallest and significant unit of a given level – phoneme is defined on the basis of the word-distinctive function (which implies the difference in meanings between words);
- At the level of morphology, the smallest unit of the given level is also defined on the basis of semantics: a morpheme is the smallest meaningful linguistic unit;
- The introduction of meaning at the level of syntax becomes quite clear from the simplest traditional definition of a sentence: a sentence is a sequence of words that expresses a complete sense.

Thus, semantics cannot be placed among the hierarchical levels of language system. It enters each hierarchical level with a certain significant share.

ლათინური – კატივი თუ სასჯელი?

უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „ყველას ვასწავლიდი ინგლისურს. ამის შემდეგ კი ჭკვიანებს შევთავაზებდი, ლათინური და ბერძნული ესწავლათ: ლათინური, როგორც დიდი პატივი, ბერძნული კი – ტკობისათვის“. მაგრამ არის კი კლასიკური ენები თანამედროვე სტუდენტისათვის დიდი პატივი? რატომ ვსწავლობთ მკვდარ ლათინურ ენას, მასზე ხომ აღარავინ საუბრობს? – გვეკითხებიან პირველსავე ლექციაზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგვყავს უამრავი არგუმენტი: დიას, მართალია, ლათინური დღეს აღარ არის ცოცხალი სალაპარაკო ენა, თუმცა იგი *სიკვდილის* სხვა ნიშნებს არ ამჟღავნებს. ლათინური *იმალე*ბა სიტყვებში: *სტუდენტი*, *აუდიტორია*, *ლაბორატორია*, *პედალი*, *აპარატურა*, *ლექცია*, *პროექტი*, *პოზიცია*, *ფაქტი* და მრავალი სხვ. თანამედროვე იურისტის ტერმინებს: *ნორმატიული აქტი*, *ფიქტიური დოკუმენტი*, *პრეზუმფცია თუ პერსონა ნონ გრატა* მარტივად გაიგებდა ძველი რომის მკვიდრი, რადგან ყველა ეს სიტყვა ლათინურიდან მომდინარეობს. აღარაფერი რომ ვთქვათ ექიმზე, მისი *ინფექციით*, *ინტოქსიკაციით*, *სანიტარიით*, *გასტრიტიითა* თუ *ანემიით*. *მონიტორი*, *პროცესორი*, *კურსორი* და *მატრიცაც* თქვენს პირად ლექსიკონში ლათინურიდან შემოვიდა, ესენი სწორედ ეგრეთ წოდებული *მკვდარი* ენის სიტყვებია. როგორც ხედავთ, ლათინური უფრო ცოცხალია, ვიდრე ყველა სხვა *ცოცხალი* ენა! თუ დარწმუნებულები ხართ, რომ სალაპარაკო უცხო ენის შესწავლა თქვენთვის საკმარისია, ნუ დაივიწყებთ, რომ ლათინური წარმოშობის ლექსიკის პლასტი ინგლისურსა და გერმანულში არანაკლებ ძლიერია. რაც შეეხება ფრანგულს, იტალიურსა და ესპანურს, ისინი ხომ ლათინური ენის შვილები არიან. ლათინური აღფაბეგით სარგებლობს თანამედროვე მსოფლიოს არაერთი ხალხი. კლასიკური ენების გრამატიკის შესწავლა გვეხმარება ლოგიკური აზროვნების განვითარებაში. კლასიკური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ანტიკური კულტურის ჭეშმარიტად გააზრება და, მით უმეტეს, სამეცნიერო კვლევა. ღრმად ცდება ის, ვინც თვლის, რომ ამისათვის საკმარისია მზა თარგმანების გამოყენება. მოგვყავს ცნობილი ადამიანების ციტატები კლასიკური ენების შესწავლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე... თუმცა ხშირ შემთხვევაში ჩვენი სიტყვები რჩება *Vox clamantis in deserto* (*ხმა მღაღაღებლისა უდაბნოსა შინა*). ასეთი მიდგომა მხოლოდ ზოგიერთ სტუდენტის შემთხვევაში არის ეფექტური. როგორც ჩანს, *ამაღლებული* სიტყვები, რომ კლასიკა არის ევროპული კულტურის საფუძველი, არ არის საკმარისი. უმეტესობას სხვა მოტივაცია სჭირდება.

მაშინ, როცა ლათინური ენა მრავალი ქვეყნის სკოლებში, გიმნაზიებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო საგანმანათლებლო დისციპლინაა, ევ-

როპასა თუ ამერიკაში რეგულარულად ტარდება საერთაშორისო კონგრესები და სემინარები, გამოიცემა ლათინურენოვანი ლიტერატურა, ჟურნალები... ამ დროს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფეისბუქგვერდში ერთ-ერთი სტუდენტი აქვეყნებს პოსტს, რომ კლასიკურ ენებს არანაირი სარგებელი არ მოაქვს და თსუ-ში ამაზე საშინელი საგანი არ არსებობს. თურმე არცერთ *ნორმალურ* უმაღლეს სასწავლებელში არ ისწავლება ლათინური და, მით უმეტეს, ბერძნული. სამწუხაროდ, ეს სტუდენტი არ არის ერთადერთი, ვინც ასე ფიქრობს. ლათინური ენა იურისტებისთვისაც *აქილევსის ქუსლია*.

რატომ მიიჩნევს სტუდენტების უმეტესობა ლათინურ ენას აულებელ სიმაღლედ? რატომ არის ლათინურის სწავლა სასჯელი? მას კი, ვინც ლექცია-სემინარებს ესწრება და მაღალ ქულებს იღებს, რატომ ავიწყდება ნასწავლი, როგორც კი აუდიტორიას გასცდება?

1997 წლიდან ვასწავლი ლათინურ ენას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ, მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. შესაბამისად, შევეცდები, გაგიზიაროთ თითქმის 25 წლის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება და ჩემეული ხედვა ლათინური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე.

პრობლემები, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული:

1. სტუდენტების მომზადებისა და მოტივაციის დაბალი დონე

არსებობს სტუდენტების რამდენიმე კატეგორია: 1) ისინი, ვინც დაინტერესებული არიან კლასიკური ენებითა და ანტიკური კულტურით (სამწუხაროდ, საკმაოდ მცირე რაოდენობა), 2) პასუხისმგებლობის მქონე, ბეჯითი სტუდენტები, რომლებიც ყველა საგანს კარგად სწავლობენ, 3) სტუდენტები, რომელთა ძირითადი მიზანი ზღვრის გადალახვა და კრედიტის აღებაა. ამ კატეგორიას განეკუთვნება სტუდენტთა უმეტესობა და ეს არ ეხება მხოლოდ ლათინურ ენას. ზოგადად, სწავლისა და ახლის შეცნობის მიმართ შეინიშნება გულგრილი დამოკიდებულება. საიდუმლო არ არის, რომ ამ მხრივ ყოველწლიურად უფრო და უფრო სავალალო სიტუაციაა: სტუდენტთა უმეტესობამ არ იცის გრამატიკის ელემენტარული ნორმები, საჭირო ხდება ახსნა, რა არის *სუბიექტი*, *ობიექტი*, *მიმღეობა*, *გვარი* და ა.შ, რასაც, ალბათ, სკოლებში არსებული სიტუაცია განაპირობებს. ამ პრობლემის მოგვარება, სამწუხაროდ, ჩვენს კომპეტენციას აღემატება.

2. მეთოდები დ სახელმძღვანელოები

რა თქმა უნდა, იურიდიულ, მედიცინისა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე სწავლების მეთოდები არ არის ერთგვაროვანი და, შესაბამისად, ლათინური განსხვავებული ფორმატით უნდა ისწავლებოდეს. მედიკოსები და იურისტები, ძირითადად, ტერმინებსა და მათ წარმოებას შეისწავლიან. უფრო სწორად, უნდა სწავლობდნენ. ბოლო რამდენიმე წელია, ლათინური ენა არჩევითი საგანია იურიდიულ

ფაკულტეტზე, მაგრამ გასულ სასწავლო წელს მგონი ჯგუფი აღარც შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც რომაული სამართლისა და საერთაშორისო იურიდიული ტერმინოლოგიის ენა, ლათინური სხვა იურიდიულ დისციპლინებთან ერთად ქმნის იურისტის პროფესიული მომზადების საფუძველს.

ოსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო და მედიცინის მიმართულების სტუდენტებიც 2006 წლიდან აღარ სწავლობენ ლათინურ ენას, მედიცინის ფაკულტეტზე ლათინურ ტერმინებს ანატომიის ლექტორები ასწავლიან. უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ტერმინოლოგია მხოლოდ ანატომიურ ტერმინებს არ მოიცავს, არსებობს კლინიკური და ფარმაკოლოგიური ტერმინებიც. ვფიქრობ, ლათინურის საბაზისო ცოდნის გარეშე ექიმს გაუჭირდება მუშაობა, რადგან სამედიცინო ტერმინის აგებას თავისი წესი აქვს, რისთვისაც საჭიროა როგორც არსებითი სახელის, ასევე მიმღეობისა და ზედსართავის მინიმუმ ნომინატივისა და გენეტივის ცოდნა მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში, ასევე, ცოდნა ზედსართავის ხარისხების, შეთანხმებული და შეუთანხმებელი მსაზღვრელ-საზღვრულის, სიტყვათწარმოებისა ლათინური თუ ბერძნული აფიქსებით... დაკვირვებამ მიჩვენა, რომ, როდესაც სტუდენტი ტერმინს ზეპირად, გაუაზრებლად სწავლობს, ყოველთვის უჭირს მისი დამახსოვრება. როგორც ცნობილია, ევროპისა და ამერიკის ბევრ უნივერსიტეტშიც იგივე სიტუაციაა, თუმცა ლათინური ენა სავალდებულო სავანმანათლებლო დისციპლინაა სკოლების უმეტესობაში და იქაურ სტუდენტებს მეტ-ნაკლებად აქვთ ლათინურის საბაზისო ცოდნა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ლათინური და ქართული ენების სტრუქტურა თუ ლექსიკური მასალა, ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, არ არის მსგავსი. აქტუალური და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტერმინების დასწავლა, არამედ მათი ქართულ ენაზე გადმოტანის პრინციპების ათვისებაც. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ლათინურის ამოღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამიდან არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად.

რაც შეეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, შეიძლება ითქვას, რომ ის სტუდენტები, ვინც საფაკულტეტო ლათინური აირჩია, გადიან დაახლოებით იმავე პროგრამას, რასაც კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები. ასეთი მიდგომა არ მიმაჩნია მეთოდურად გამართლებულად. რა თქმა უნდა, კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების შემთხვევაში, ერთდროულად უნდა გამოვიყენოთ ყველა რესურსი და მეთოდი, ანალიტიკური თუ სინთეზური (კითხვა, ლაპარაკი, წერა), რადგან ჩვენი ამოცანაა, მათ მაქსიმალურად აქტიურად იცოდნენ ენა. რაც შეეხება საფაკულტეტო ლათინურს, ვფიქრობ, ჩვენ ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ საშუალო სტატისტიკურ სტუდენტზე. გრამატიკა უნდა იყოს მეტად პრაქტიკული და ნაკლებად თეორიული. ამ შემთხვევაში შეიძლება დაიზაროს სტუდენტთა ის მცირე ნაწილი (ალბათ 10%), რომლებიც მართლა დაინტერესებულნი არიან ლათინურის ძირფესვიანად შესწავლით და მშენებრივად ართმევენ თავს, თუმცა გამოსავლის პოვნაც შეიძლება: მათ სურვილისა

თუ საჭიროების შემთხვევაში უნდა მივცეთ შესაძლებლობა, მომავალში გაიდრმა-
ვონ ცოდნა და უფრო სრულად შეისწავლონ თეორია თუ ისტორიული გრამატიკა.

ზოგადად, ძველი ენებისადმი ინტერესის აღსაძრავად ევროპისა თუ ამერიკის
სკოლებში არსებობს ე.წ. პირდაპირი, *ბუნებრივი* მეთოდის დანერგვის მცდელობები
(ორბერგი 2011), რომლის დროსაც მოსწავლეები საწყის ეტაპზევე სწავლობენ
საკუთარი აზრის გამოთქმას სამიზნე ენაზე. თარგმანის გარდა, აუცილებელია
ტექსტთან აქტიური მუშაობა: კითხვების ფორმულირება, მათზე პასუხის გაცემა,
დიალოგი, პერიფრაზი, ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომები, რადგან კითხვისა
და თარგმნის კარგი ცოდნა ვერ მიიღწევა ენაში გარკვეული აქტიური უნარის გა-
რეშე. გარდა ამისა, სტუდენტებს ამგვარად მიწოდებული სასწავლო მასალის ათ-
ვისება უფრო უადვილებათ და ხალისით სწავლობენ.

თანამედროვე, ინფორმაციულად დატვირთულ გარემოში ცხოვრება თითქმის
წარმოუდგენელია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე.
ენის სწავლებისას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს აუდიოჩანაწერებს,
რაც ხელს უწყობს ლათინური წინადადების უკეთ აღქმას, სიტყვების ჟღერადობის
გათავისებებას. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, რომ მშვენიერი გამო-
სავალია ლათინური პოდკასტები, მაგ.: *Satura lanx, Legio XIII, Philologia perennis, Auditiunculae, Sermones raedarii* და ა.შ. ამ თვალსაზრისით, ონლაინსწავლების
ფორმატი ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა პირადად ჩემთვის, გამარტივდა სტუ-
დენტებისთვის ვიზუალური თუ აუდიო მასალის მიწოდება.

წლების განმავლობაში დაკვირვებამ მიჩვენა, რომ სტუდენტები ისევე სწრა-
ფად ივიწყებენ ნასწავლ მასალას, როგორც სწავლობენ. ისინი ზმირად ამას საკუ-
თარ სპეციფიკურ ნაკლად აღიქვამენ და მოტივაციას კარგავენ. უმეტესობას არ
შეუძლია, ერთდროულად დაიმახსოვროს ნასწავლი მასალა, თუმცა ეს ადამიანის
მეხსიერების მუშაობის თავისებურებაა და ამასთან გასამკლავებლად, ვფიქრობ, სა-
უკეთესო გზაა ექსტენსიური გადამეორება. ლათინური ენის თანამედროვე სახელ-
მძღვანელოებში სწორედ ეს მომენტია გათვალისწინებული. საკუთარი გამოცდილე-
ბით შემიძლია ვთქვა, რომ გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში: საუნივერსიტე-
ტო კურსის *Studium Latinum* (კურცი, ვოიაჩეკი 2000) და სასკოლო კურსის
Cursus (ჰოტცი, მაიერი 1993) გადამეორებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ერთი
და იგივე სიტყვები თუ გრამატიკული ფორმები პარაგრაფებში პერმანენტულად
მეორდება. იმის ნაცვლად, რომ ლექსივით ზეპირად ჩამოარაკაკონ ბრუნვისა თუ
პირის ნიშნები, სტუდენტები გრამატიკულ ფორმებს გააზრებულად, თანდათანობით
სწავლობენ სწორედ ექსტენსიური გადამეორების მეთოდით. გარდა ამისა, ტექ-
სტებში ახსნის გარეშე განზრახ შემოდის ახალი სიტყვები თუ გრამატიკული
ფორმები, რომელთაც სტუდენტები ჯერ არ იცნობენ, მაგრამ მათ არ სთხოვენ ამ
ფორმების შეგნებულად დამახსოვრებას, ეს თავისთავად ხდება. როდესაც ამგვარ
სახელმძღვანელოებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქ-
ტი, რომ მათი უმეტესობა 2-3 სასწავლო წელზეა გათვლილი, რისი ფუფუნებაც

ჩვენ არ გავგაჩნია, თუმცა მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მასწავლებელი არ უნდა გახდეს სახელმძღვანელოს *ძონა*. გრამატიკული თემების თანმიმდევრობა და მათი სწავლების ტემპი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტების კონკრეტულ ჯგუფს, მათ ასაკსა თუ კურსის ხანგრძლივობას. ნებისმიერი სახელმძღვანელოს ფარგლებში შეიძლება საინტერესო მეთოდების გამოყენება.

3. სახელმწიფო პოლიტიკა და საზოგადოების განწყობა

ზოგადად, იმ გარემოში, რომელშიც თანამედროვე ახალგაზრდა ცხოვრობს, ლათინური და ძველი ბერძნული *მკვდარი* ენებია, რომლებიც აბსოლუტურად ზედმეტია სოციალური და, განსაკუთრებით, მატერიალური წარმატებისათვის, რაც, *თანამედროვე ადამიანის* აზრით, როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს. ამგვარი გარემო ძლიერი დემოტივაციის ფაქტორია. როგორც ჩანს, *ამდღეობული* სიტყვები, რომ კლასიკა არის ევროპული კულტურის საფუძველი, არ არის საკმარისი და სტუდენტების უმეტესობას სხვა მოტივაცია სჭირდება.

თანამედროვე სამყაროში ლათინური ენის პოპულარიზაციასა და აქტუალიზებას, ძირითადად, სახელმწიფო პოლიტიკა და საზოგადოების დამოკიდებულება განაპირობებს. არსებობს არგუმენტირებული მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ლათინურის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბება, რადგან მომავალი სპეციალისტები ხშირად არასწორი ფორმით, მნიშვნელობით ან მართლწერით გამოიყენებენ დარგობრივ ტერმინოლოგიას. შესაბამისად, მრავალი ქვეყნის სკოლებში ლათინური ენის სწავლებას კვლავ სერიოზული ყურადღება ეთმობა. იტალიასა და გერმანიაში ლათინური სავალდებულო საგანმანათლებლო დისციპლინაა; საბერძნეთსა და ესპანეთში სავალდებულო საგანია მათთვის, ვინც ჰუმანიტარული მიმართულებით გეგმავს სწავლის გაგრძელებას; დანიაში, შვეიცარიაში, ისლანდიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდში, უნგრეთში, სერბეთში, ბულგარეთში, რუმინეთში – შეისწავლება გიმნაზიებში. გერმანიის უნივერსიტეტებში მრავალი ჰუმანიტარული დარგის შესწავლისას მოითხოვენ ლათინური ენის ცოდნის დამადასტურებელ ოფიციალურ საბუთს *Latinum*.

ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სალაპარაკო ლათინურის აღორძინებას პროპაგანდას უწევს მოძრაობა *Latinitas viva*, *ცოცხალი ლათინურის* კონგრესები მრავალ ქვეყანაში იმართება (მაგ.: საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, რუმინეთში...). ფინეთში ერთ-ერთი რადიოსადგური ლათინურ ენაზე მაუწყებლობს ([https://arena.yle.fi/tv](https://areena.yle.fi/tv)), ხოლო 1999 წელს, როდესაც ფინეთი ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა, შეიქმნა მისი ლათინურენოვანი საიტიც.

როგორც უკვე აღვნიშნე, გამოიცემა ლათინურენოვანი ლიტერატურა, ჟურნალები, მაგ. *Vox Latina* (გერმანია), *Melissa* (ბრიუსელი), *Latinitas* (ვატიკანი), *Vita Latina* (საფრანგეთი, ავინიონი)..., ლათინურად ითარგმნება თანამედროვე წიგნები, მაგ.: *პარი პოეტრი* (ჯ. როულინგი), *პარფიუმერი* (პ. ზუსკინდი), *ალისა საოცრებათა*

ქვეყანაში (ლ. კეროლი)... ინტერნეტში გაჩნდა არაერთი ლათინურენოვანი საიტი (<http://linguaeterna.com>. <http://ephemeris.alcuinus.net/>), ვიკიპედიას აქვს ლათინური განყოფილება, Youtube-ზე დევს ზღვა ვიდეომასალა: ლათინურის სემინარები, გაკვეთილები, ლექციები, სიმღერები... რომის პაპი მოუწოდებს საზოგადოებას და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, ისწავლონ და განავითარონ ლათინური ენა.

სამწუხაროდ, ამგვარი ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს. სტუდენტების უმეტესობა ლათინურის არსებობის შესახებ უნივერსიტეტის პირველ კურსზე იგებს და რადგან უახლოეს მომავალში სახელმწიფო პოლიტიკისა და ფართო საზოგადოების განწყობის იმედი არ უნდა გვქონდეს, ალბათ, უფრო პრაგმატულად უნდა მივუდგეთ საკითხს. არსებულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლად მიმაჩნია, რომ სტუდენტებისათვის ლათინურის სწავლა-სწავლება უფრო მიმზიდველი და საინტერესო გაგხადოთ. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით პროდუქტიული უნდა იყოს სწავლების პროცესში ტრადიციული მეთოდის პარალელურად ეგრეთ წოდებული *ბუნებრივი* მეთოდის გამოყენება. *ბუნებრივი* მეთოდი, ცხადია, არ უარყოფს მნემონიკას, მაგრამ სწავლება, ძირითადად, მიმდინარეობს სამიზნე ენაზე საუბრით, მაგალითად, მსგავსი სწავლება დანერგილია Accademia Vivarium Novum-ში. კარგი იქნება, თუ გადაიხედება შეფასების სისტემაც. მოტივაციის ასამაღლებლად კი ძალზე მნიშვნელოვანია, თუ მოხერხდება ლათინური ენის სერტიფიცირება.

ლიტერატურა

კურცი, ვოიაჩეკი 2000: G. Kurz, G. Wojacek, *Studium Latinum, in 2 Tln., Tl.1, Texte, Übungen, Vokabeln*: Latein für Universitätskurse, C.C. Buchner.

ორბერგი 2011: Hans H. Ørberg, *Lingua Latina per se Illustrata, Pars I: Familia Romana* (Latin Edition), Focus.

პოტცი, მაიერი 1993: M. Hotz, F. Maier, *Cursus A, Texte und Übungen*, C. C. Buchner / Oldenburg.

Lela Chotalishvili

Latin – Honour or Punishment?

Summary

Winston Churchill wrote: “I would make them all [pupils] learn English: and then I would let the clever ones learn Latin as an honour, and Greek as a treat.” However, can classical languages be considered *a treat* for modern students? A question is raised already in the very first lecture: Why do we have to learn Latin, a dead language that no one speaks anymore? We cite numerous arguments, of course: While it is true that Latin is no longer a spoken language today, it exhibits no other signs of *death* – Latin is concealed in words we use, such as *student*, *auditorium*, *laboratory*, *pedal*, *pension*, *apparatus*, *lecture*, *project*,

position, fact, and countless others; many languages are written with the Latin alphabet; the study of the grammar of classical languages helps us to develop logical thinking; without their knowledge it is impossible to truly understand classical culture and, even more so, to study it scientifically; we quote famous thinkers on the importance of learning classical languages. In most cases, however, our pleadings remain *Vox clamantis in deserto*. Such an approach works only for a part of students. As it seems, lofty phrases about the classics being the foundation of European culture are not enough. The majority require a different motivation. Why do most students think that Latin is an unreachable height? Why is the study of Latin a *punishment*? And why do those who attend every lecture and seminar and get good grades forget Latin as soon as they leave the auditorium?

In my opinion, there are several reasons for these problems:

1. Low level of preparation and motivation of students.
2. The textbooks and the methodology of teaching Latin.
3. The government policy and public opinion.

In the given situation, I consider it best to make the study of Latin more attractive and interesting for students. I think that in this regard it would be fruitful to introduce the so-called *natural method* into the traditional teaching process. The *natural method* does not exclude the mnemonics, of course, but teaching is mainly done by speaking in the target language. Such a method is used, for example, in *Academia Vivarum Novum*. As far as student motivation is concerned, I believe that the certification of Latin is crucial to encouraging them.

თარგმანი

მარტინ ჰასპელმათი

გრამატიკული თეორია თეორიული ჩარჩოს გარეშე¹

გრამატიკული აღწერა/ანალიზი და ასხნა თეორიული ჩარჩოს გარეშე უპირატესად მიიჩნევა თეორიულ-ჩარჩოიან ანალიზთან შედარებით, რადგან ყველა ენას განსხვავებული კატეგორიები მოეპოვება და ენები თავიანთი ტერმინებით უნდა აღიწეროს. თეორიული ჩარჩოები წარმოადგენს აპრიორულ ვარაუდს, რომელთაც, შესაძლოა, ენის დამახინჯებულ აღწერამდე მიგვიყვანოს.

მე მომყავს არგუმენტები გენერატიული ტიპის შემზღვეველი (restrictive) თეორიული ჩარჩოების, ფუნქციურ მიდგომათა თეორიული ჩარჩოების, როგორებიცაა: ფუნქციური გრამატიკა (Functional Grammar) და როლებისა და რეფერენტების გრამატიკა (Role and Reference Grammar) და ასევე, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის (Basic Linguistic Theory) საწინააღმდეგოდ.

13.1 რატომ თეორიული ჩარჩოს გარეშე?

მაშინ, როცა ზოგიერთ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, ამ თავში ვამტკიცებ, რომ ბევრი ენათმეცნიერი, რომლებიც თეორიულად იკვლევენ გრამატიკას, არ მუშაობს თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ამას კი გინჯნებთ როგორ იკვლევენ. რამდენადაც ვიცი, ეს თეორიული შეხედულება არ გამოთქმულა დეტალურად აქამდე, სულ მცირე, მე-20 საუკუნის ტიპურ თეორიულ ჩარჩოებთან შეპირისპირებით, რომელთაგანაც ზოგიერთი წარმოდგენილია ამ წიგნში.² გავრცელებული შეხედულებაა, რომ პრინციპულად შეუძლებელია, გრამატიკა იკვლიო თეორიული ჩარჩოს გარეშე და რომ ისინი, ვინც არ მიჰყვებიან კონკრეტულ თეორიულ ჩარჩოებს, სინამდვილეში მუშაობენ ეკლექტიკურ თეორიულ ჩარჩოში, ანუ „ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის“ თეორიულ ჩარჩოში. დავასაბუთებ, რომ ეს არ არის საქმის ვითარება. გრამატიკული თეორია თეორიული ჩარჩოს გარეშე არა მხოლოდ შესაძლებელი და ფართოდ გამოცდილია, არამედ მჯერა, რომ ენის სტრუქ-

* მაღლიერი ვარ ფრედერიკ ნიუმაიერის, ედით მორავიკის, ბერნდ ჰაინესა და ჰაიკო ნაროგის სასარგებლო კომენტარებისათვის ამ თავის შესახებ.

¹ Martin Haspelmath. 2015. Framework-Free Grammatical Theory. *The Oxford Handbook of Linguistic Analysis*, second edition. Edited by Bernd Heine and Heiko Narrog. Oxford: Oxford University Press, pp. 287-310.

² იგულისხმება მთლიანი კრებული *The Oxford Handbook of Linguistic Analysis* (რედ.).

ტურის მეცნიერულად შესწავლის საუკეთესო მიდგომაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ადგილის სიმცირიდან გამომდინარე, ამ თავში არ მეძლევა შესაძლებლობა, რომ სრულად დავასაბუთო ეს მტკიცება.

ლინგვისტიკის უძრავლესობა, ჩანს, ეთანხმება იმას, რომ ჩვენ უნდა მივუახლოვდეთ ნებისმიერ ენას, მიკერძოების გარეშე აღვწეროთ თავისივე ტერმინებით, არააპრიორულად, და ჩვენი მშობლიური ენის, პრესტიჟული ენის (როგორცია ლათინური ან ინგლისური) მოდელის, ან მნიშვნელოვანი კვლევითი ტრადიციის (როგორცია დონატუსის ლათინური გრამატიკა ან ჩომსკის გენერატიული გრამატიკა) შესაძლო ტენდენციურობა დავძლიოთ. მე ვამტკიცებ, რომ ეს აბსოლუტურად მნიშვნელოვანია, თუ გვინდა, რომ სამართლიანად მივუახლოვდეთ ჩვენს საკვლევ ობიექტს და რომ, უფრო მეტიც, ნებისმიერი გრამატიკული თეორიული ჩარჩო ზუსტად ისეთი მიკერძოებაა, რომელსაც გვინდა, თავი ავარიდოთ. თეორიული ჩარჩოები ქმნიან მოლოდინებს იმაზე, თუ რა მოვლენა უნდა იყოს ენა, რა შეიძლება ან არ შეიძლება ჰქონდეს და როგორც კი თეორიულ ჩარჩოს შეითვისებენ, რთულია გათავისუფლდნენ ამ ჩარჩოს პერსპექტივისა და დაკისრებული შეზღუდვებისაგან (constraint). ნაცვლად ამისა, ჩვენ რაც გვჭირდება, არის მკვლევარის შესაძლებლობა, რომ აღმოაჩინოს სრულიად ახალი, მოულოდნელი მოვლენა, შეამჩნიოს აქამდე არანავარაუდები კავშირები მოვლენებს შორის და იხელმძღვანელოს მხოლოდ მონაცემებითა და თავისი აზროვნებით.

შეიძლება, ვიღაცამ უკმაყოფილება გამოხატოს მაშინ, როცა ეს გრანდიოზული მიზანია, ფაქტობრივად კი, შეუძლებელია და უძჯობესია, მიიღონ რომელიმე მზა თეორიული ჩარჩო და იმუშაონ მასში მაშინაც კი, თუ აცნობიერებენ მის ზოგიერთ შეზღუდულობას. ამის საწინააღმდეგოდ, ვამტკიცებ, რომ თეორეტიზება თეორიული ჩარჩოს გარეშე შესაძლებელია და რომ პრაქტიკაში გამოიყენება იმაზე ფართოდ, ვიდრე ამას ბევრი ენათმეცნიერი ფიქრობს. მაგრამ სანამ კონკრეტულ მაგალითებზე გადავალთ, საჭიროა რამდენიმე ძირითადი ცნების განხილვა მომდევნო პარაგრაფში (13.2) (მკითხველები, რომლებიც შეზღუდული არიან დროში, შეუძლიათ, გამოტოვონ 13.2 პარაგრაფი და წაიკითხონ მოგვიანებით, რათა მთავარი აზრისა და აქ მიღებული ტერმინოლოგიის უფრო სიღრმისეულად გაგების საშუალება მიეცეთ). პარაგრაფში 13.3 ვასაბუთებ და მაგალითი მომყავს თეორიული ჩარჩოს გარეშე გრამატიკული ანალიზის საილუსტრაციოდ და პარაგრაფ 13.4-6-ში განვიხილავ სამი ტიპის თეორიულ ჩარჩოებთან დაკავშირებულ პრობლემებს, შემზღუდველ თეორიულ ჩარჩოებს (restrictive frameworks; პარაგრაფი 13.4), ფუნქციურ თეორიულ ჩარჩოებს (პარაგრაფი 13.5) და ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას (პარაგრაფი 13.6). გრამატიკულ ანალიზის გარდა, გრამატიკულ თეორიას ასევე აქვს შედარებითი და ამხსნელობითი ამოცანები. ამ საკითხებისადმი მიდგომა თეორიული ჩარჩოს გარეშე წარმოდგენილია 13.7 პარაგრაფში.

13.2 ზოგიერთი ფუნდამენტური ცნება

13.2.1 გრამატიკა

ჩემი განხილვის თემა არის გრამატიკული თეორია, ე.ი. მორფოსინტაქსური თეორია. ძალიან მსგავსი პრობლემები წარმოიქმნება ფონოლოგიაში, მაგრამ არ განვიხილავ ფონოლოგიურ თეორიულ ჩარჩოებსა და ფონოლოგიურ თეორიას თეორიული ჩარჩოს გარეშე (მაგრამ იხ. მილკე 2008 ფონოლოგიის ბოლოდროინდელი შეფასებისათვის, რომელიც შინაგანი არსით ძალიან ჰგავს ჩემს შეხედულებას).

13.2.2 თეორიული ჩარჩო

თეორიული ჩარჩო (ასევე უწოდებენ *დესკრიფციულ თეორიულ ჩარჩოს* ან *თეორიულ ჩარჩოს*)³ დახვეწილი და რთული მეტაენა ენობრივი აღწერისათვის, რომელიც გამიზნულია ნებისმიერ ენასთან სამუშაოდ. როგორც დრაიერი (2006a: 29) შენიშნავს, სშირდაა შესაძლებელი, რომ „თარგმნი“ კონკრეტული ანალიზი ერთი თეორიული ჩარჩოდან მეორე თეორიულ ჩარჩოზე (მაგალითად რელაციური გრამატიკა (Relational Grammar) მართვისა და ბმის თეორიაზე (Government-Binding Theory)), როგორც მოსალოდნელია, თუ თეორიული ჩარჩოები მეტაენებია. ასეთი თარგმანები ხშირად არ არის სრულად ეკვივალენტური, ე.ი. ორი ანალიზი უფრო მეტია, ვიდრე ერთმანეთის ნოტაციური ნაირსახეობები. მაგრამ, რადგან დესკრიფციული თეორიული ჩარჩოები მიდრეკილია, იყოს კომპლექსური და რთული დასაუფლებლად და რამდენიმე ენათმეცნიერი სპეციალიზდება თეორიულ ჩარჩოებს შორის თარგმანში, ხშირად რთულია, დაინახო, ანალიზის რომელი ასპექტებია სპეციფიკური კონკრეტული თეორიული ჩარჩოსთვის, რომლებიც არ ითარგმნება ადვილად.

დესკრიფციულ თეორიულ ჩარჩოებს ხშირად *თეორიულ ჩარჩოებს* ან, უბრალოდ, *თეორიებს* უწოდებენ, მაგრამ ამ პრაქტიკას არ მიყვებით, რადგან ტერმინ *თეორიას* უამრავი მნიშვნელობა აქვს და უმჯობესია, შემოვიზნოთ სხვა მნიშვნელობისთვის, როგორც ამას ვნახავთ მომდევნო ქვეპარაგრაფში.

13.2.3 თეორია

მე განვასხვავებ ტერმინ *თეორიის* ოთხ მნიშვნელობას, რომელთაგან ყველა არის საერთო თანამედროვე ლინგვისტიკაში. ყველაზე სასარგებლოდ მიმაჩნია, შემოვზნო ამ ტერმინის მე-3 და მე-4 მნიშვნელობებით გამოყენება. ტერმინი *თეორია* ამ თავის სათაურში გულისხმობს მე-4 მნიშვნელობას. მნიშვნელობა 1: რო-

³ ინგლისურად წერია descriptive framework (რომელსაც ვთარგმნით „დესკრიფციულ თეორიულ ჩარჩოდ“) და theoretical framework (რომელსაც ვთარგმნით „თეორიულ ჩარჩოდ“), რომელთა თარგმანიც ცალკე აღებული framework-ის თარგმანს ემთხვევა (რედ.).

გორც ჩვენ წინამდებარე ქვეპარაგრაფში (13.2.2) ვიხილეთ, *თეორია* ხშირად იხმარება „აღწერითი თეორიული ჩარჩოს“ მნიშვნელობით დახვეწილი მეტაენისათვის ენების⁴ აღსაწერად. ზოგიერთს ამ თეორიული ჩარჩოთაგან აქვს თეორია მათ სახელწოდებებში (მაგ.: Government-Binding Theory „მართვისა და ბმის თეორია“, Optimality Theory „ოპტიმალურობის თეორია“, Basic Linguistic Theory „ენათმეცნიერების საბაზისო თეორია“). აღწერები თეორიული ჩარჩოს გარეშე ზოგჯერ დანახულია როგორც „ათეორიული“ და სწორია, თუ *თეორია* გამოყენებულია 1-ელი მნიშვნელობით.

მნიშვნელობა 2: თეორია ზოგჯერ გაგებულია როგორც აბსტრაქტული მოდელი ან რთული ემპირიული დარგის (დომინ) აღწერა. მაშასადამე, ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ინგლისურის აღწერა ინგლისურად მოლაპარაკის კომპეტენციის თეორიაა.

მნიშვნელობა 3: თეორია შეიძლება იყოს თანმიმდევრული ჰიპოთეზების სიმრავლე ან მტკიცებები კონკრეტული მოვლენის შესახებ. მაგ.: თეორია იმისა, თუ რამ გამოიწვია დინოზავრების გადაშენება, ან wh-გადანაცვლების შეზღუდვათა კონკრეტული თეორია.

მნიშვნელობა 4: დაბოლოს, ტერმინი *თეორია* შეიძლება გამოიყენონ ბუნდოვანი მნიშვნელობით, რაც თეორიულ (ე.ი. არაგამოყენებით) სამეცნიერო ნაშრომს უკავშირდება, ანუ „თეორეტიზების“ მნიშვნელობით. ეს არის ის მნიშვნელობა, რომლითაც (ენის) *მოხმარებაზე დაფუძნებული თეორია* (usage-based theory) და *ვალენტობის თეორია* (valency theory) უნდა იყოს შეტანილი ამ ენციკლოპედიურ ცნობარში და ეს არის ის მნიშვნელობა, რომლითაც *თეორია* იხმარება ამ თავის სათაურში.

მაშასადამე, ამ თავში განვიხილავ თეორეტიზებას მორფოსინტაქსური მოვლენების შესახებ, რომლებიც არ იყენებს აღწერით თეორიულ ჩარჩოებს.

13.2.4 აღწერა

აღწერით ვგულისხმობ კონკრეტულ ენათა გრამატიკული კანონზომიერების დახასიათებას. გრამატიკულმა აღწერებმა უნდა გამოიყენონ აბსტრაქტული ზოგადი ერთეულები (entity), როგორებიცაა: წესები, სქემები და შეზღუდვები, რადგან ყველა ენა უშვებს განუსაზღვრელად დიდი რაოდენობის წინადადებებს და ამიტომ შეუძლებელია, რომ აღწერით ენა მისი ყველა წინადადების ჩამოწერით.

⁴ შდრ. დრაიერი (2006a:28-29): „თეორიის ცნება, რომელიც ფართოდ ივარაუდება ფორმალურ ენათმეცნიერებაში, ძირითადად, იმ მეტაენის ეკვივალენტურია, რომელიც აღწერს ენებს. ფორმალურ თეორიაში მონაცემთა კონკრეტული სიმრავლის ანალიზის უზრუნველყოფა მოიცავს მეტაენაში იმ მონაცემთა აღწერის გათვალისწინებას, რომელიც შეადგენს ამ თეორიას.“

ხშირად ამბობენ, რომ ენათმეცნიერები უნდა ისწრაფოდნენ არა მხოლოდ იმი-სათვის, რომ აღწერონ წესები ისეთი გზით, რომ მოსაუბრის ქცევა სიზუსტით პროგნოზირდეს („ფენომენოლოგიური აღწერა“, ჰასპელმათის 2004 წლის ტერმინების თანახმად), არამედ აგრეთვე ისინი უნდა ისწრაფოდნენ, რათა აღწერონ ენები იმგვარად, რომ აღწერა მოსაუბრეთა შინაგან განზოგადებებს მართებულად ასახავდეს („კოგნიტიური აღწერა“, „აღწერითი ადეკვატურობა“, ჩომსკის ტერმინებით). მიუხედავად ამისა, სიცხადისგან შორსაა, რომ ეს უკანასკნელი მისაღწევი მიზანია, რადგან ხშირად სხვადასხვა განზოგადება ეთავსება ფაქტებს და ჩვენ ვერაფრით გვეცოდინება, როგორ განაზოგადეს მოლაპარაკებმა (შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია, სხვადასხვა მოლაპარაკე სხვადასხვაგვარად აზოგადებდეს). ამგვარად, ენათმეცნიერები მთლიანობაში უნდა დასჯერდნენ აღწერებს, რომლებიც ზუსტად პროგნოზირებენ მოსაუბრის ქცევას ბუნებრივ კორპუსებსა და ექსპერიმენტულ გარემოში.

13.2.5 ანალიზი

ტერმინ *ანალიზის აღწერის* სინონიმად ვიყენებ. ენათმეცნიერთა თანამედროვე ხმარებაში, ზოგადად, *ანალიზი*, ჩანს, რომ უფრო მაღალი დონის განზოგადებას გულისხმობს, მაგრამ ეს ხარისხობრივი საკითხია. ყველა ენათმეცნიერული აღწერა უნდა შეიცავდეს განზოგადებებს (წესები, სქემები, შეზღუდვები) და, ფაქტობრივად, არ იმიჯნება უფრო ზედაპირული და ღრმა განზოგადებები (ტერმინ *ანალიზის* სხვაგვარი გამოყენება არის „აღწერა კონკრეტულ თეორიულ ჩარჩოში“ მნიშვნელობით. ბევრი ნაშრომი გენერატიულ ტრადიციაში, უპირველესად, უზრუნველყოფს შესაბამის მოვლენათა თეორიული ჩარჩოს მიუკერძოებელ აღწერას („მონაცემები“) და შემდგომ აგრძელებენ, რომ გამოყონ მეორე, თეორიული ჩარჩოთი შემოფარგლული აღწერა („ანალიზი“). რადგან ეს თავი ეწინააღმდეგება თეორიული ჩარჩოთი შემოსაზღვრულ აღწერებს, ტერმინ *ანალიზის* ამ მეორე მნიშვნელობით არ ვინტერესდებით).

13.3 გრამატიკული ანალიზი თეორიული ჩარჩოს გარეშე

13.3.1 დადებითი მხარეები

ენათმეცნიერთა უმეტესობა თანხმდება, რომ უცნობი ენის აღწერაში ან გაანალიზებაში ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, თავიდან ავირიდოთ მშობლიური ენის ან სხვა ენების მიკერძოებულობა, რომლებიც კარგად ვიცით. პრემოდერნისტ ენათმეცნიერთა გამოცდილება, რომელთაც აღწერეს არაევროპული ენები ლათინურ გრამატიკასთან მიმართებით, მთლიანად ეჭვქვეშ დადგა. ახლა ინგლისურმა გრამატიკამ ჩაანაცვლა ლათინური გრამატიკა როგორც ტრადიცია, რომელიც (თითქმის) საყოველთაოდ ცნობილია ენათმეცნიერებს შორის; ჩვენ არ გვინდა, გავიმეოროთ პრემოდერნისტული ეპოქის შეცდომები და გადავიტანოთ ცნებები ინგლისურ

რი ენიდან სხვა ენებში. გარდა ამისა, ჩვენ არ გვინდა მიკერძოებულები ვიყოთ სხვა ენების გავლენის მქონე აღწერებით. ამგვარად, ენათმეცნიერები, რომლებიც აღწერენ ავსტრალიურ ენებს, არ სურთ, მათი აღწერები იყოს დირბალოცენტრული, დირბალის დიქსონისეული (1972) აღწერის უზარმაზარი ზეგავლენის მიუხედავად. მას შემდეგ, რაც ბოასისეული მიდგომა დაინერგა ეთნოგრაფიასა და სტრუქტურულ (ორივე ევროპული და ამერიკული) ენათმეცნიერებაში, დესკრიპტივისტების მიზანი გახდა ენასთან მიახლოება ტენდენციურობის გარეშე და სამართლიანი მიდგომა მის სისტემასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სისტემა შეიძლება ჰქონდეს სხვა ენებს. ჩვენ გვინდა, აღვწეროთ თითოეული ენა მისივე ტერმინებით.

ახლა, ჩემი დაკვირვებით, არატენდენციური და არააპრიორული აღწერის (ანუ ანალიზის) ეს მიზანი ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ აღწერა დაფუძნებული უნდა იყოს თეორიულ ჩარჩოზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგიერთი თეორიული ჩარჩო ინგლისურისკენ იხრება (შდრ. ვან ვალინი 2005, რომელიც აკრიტიკებს ჩომსკის გენერატიულ გრამატიკას ამის გამო; იხ., ასევე, ვან ვალინი, ეს წიგნი).⁵ მაგრამ მაშინაც კი, თეორიული ჩარჩოს შექმნა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, რომელიც თავიდან აირიდებდა კონკრეტული ენისკენ გადახრას, თეორიული ჩარჩო თავად იქნებოდა მიკერძოება, ტენდენციურობის სიმრავლე, რასთან ერთადაც ენას მიუდგებიან. მეტაენა, განსაზღვრების თანახმად, უზრუნველყოფს წინასწარ დადგენილ გამონათქვამთა სიმრავლეს განსაზღვრული მნიშვნელობით და როდესაც ჩვენს თავს ამგვარი მეტაენით შემოვფარვლავთ, ჩვენ ვერ შევძლებთ, სამართლიანად მივუდგეთ ენას, რომლის სისტემაც ზუსტად არ შეესატყვისება იმ ცნებებს, რომლებითაც მეტაენა გვამარაგებს. როგორც კროფტი (2001) დაწვრილებით ასაბუთებს (იხ. ასევე დრაიერი 1997; ჰასპელმათი 2007, 2009a, კრისტოფარო 2008), გრამატიკული კატეგორიები და მიმართებები კონკრეტულენობრივია, ამ დროისათვის ჩვენი ცოდნის შესაბამისად.

რა თქმა უნდა, ვითარება შეიძლება იყოს მარტივი. შეიძლებოდა, ყოფილიყო თანდაყოლილი (innate) გრამატიკული კატეგორიებისა და მიმართებების პატარა სიმრავლე („სუბსტანტიური უნივერსალები“), რომელთაგანაც ენები შეძლებდნენ არჩევას და მარტივი გრამატიკული არქიტექტურა, რომელიც დააკავშირებდა გრამატიკის სხვადასხვა კომპონენტს („ფორმალური უნივერსალები“). ეს იქნებოდა ენათმეცნიერთა ამოცანა, რათა დაედგინათ სუბსტანტიური და ფორმალური უნივერსალები (სხვა სიტყვებით, უნივერსალური გრამატიკა), რაც შეადგენდა თეორიულ ჩარჩოს. რადგანაც თანდაყოლილია, ყველა ენა აღიწერებოდა ამ თეორიული ჩარჩოს ფარგლებში. ეს სურათი ენათა რეალობისთვის შესაბამისი რომ ყოფილი-

⁵ Robert D. Van Valin, Jr. 2015. Role and Reference Grammar as a Framework for Linguistic Analysis. *The Oxford Handbook of Linguistic Analysis*, second edition. Edited by Bernd Heine and Heiko Narrog. Oxford: Oxford University Press (რედ.).

ყო, ენათმეცნიერთა ცხოვრება უფრო ადვილი იქნებოდა და აღწერა შეიძლებოდა დამყარებოდა თეორიულ ჩარჩოს. მიუხედავად ამისა, ყველა პრაქტიკაში მომუშავე ენათმეცნიერმა იცის, რომ ვითარება ძალზე ჩახლართულია. თუ უნივერსალური გრამატიკა, როგორც წარმოდგენილია ჩომსკიანურ ტრადიციაში, არსებობს, ჩვენ ძალიან შორს ვართ იმის ცოდნისაგან, თუ როგორია ის. თითქმის ყოველი ენა წარმოგვიდგება ახალი თავსატეხებით, ახალი კატეგორიებითა და სტრუქტურით, რომლებიც არ ერგება ჩვენს თეორიულ ჩარჩოებს. იდეა იმის შესახებ, რომ ერთი უნიფიცირებული თეორიული ჩარჩო შეიძლებოდა შექმნილიყო ისე, რომ ბუნებრივად იქნებოდა ყველა ენისათვის, არის სრულიად უტოპიური ამ მომენტიისათვის. ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ მოვათავსოთ ენა არსებული თეორიული ჩარჩოს პროკრუსტეს სარეცელში, ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ თეორიული ჩარჩოებისგან და აღვწეროთ ენები მისივე ტერმინებით.

სინამდვილეში ეს მნიშვნელოვნად გამოცადეს გრამატიკოსებმა მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით ენათმეცნიერებმა, რომლებიც მუშაობდნენ ლინგვისტური საველე სამუშაოების ბოასიანურ ტრადიციაში, ანუ ევროპული თუ ამერიკული სტრუქტურალიზმის ტრადიციაში. ახლა განვიხილოთ ორი კონკრეტული აღწერის მაგალითი თეორიული ჩარჩოს გარეშე.

13.3.2 პირველი მაგალითი: ტაგალური ენის წინადადების საბაზისო სტრუქტურა

შახტერი და ოტანესი (1972:59-85) ჯერ კიდევ ამერიკული სტრუქტურალიზმის გავლენის ქვეშ აღწერენ ტაგალური ენის ძირითადი წინადადების სტრუქტურას მისი ტერმინებით და შედეგად იღებენ სურათს, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ინგლისური ენის სურათისაგან (რასაც ავტორები უპირისპირებენ ტაგალურ ენას). ტაგალურის ძირითადი მოდელი არ არის [წინადადება NP VP], არამედ არის [წინადადება შემასმენელი ტოპიკი]. ძალიან არაზუსტად შეესაბამება ტაგალურის ტოპიკი და ინგლისურის ქვემდებარული NP, როგორც ეს ნაჩვენებია (1a)-ში. მაგრამ ტოპიკი შეიძლება ასევე შეესაბამებოდეს ინგლისურ პირდაპირ დამატებას, როგორც (1b)-შია, ან ინგლისურის წინდებულის დამატებას, როგორც (1c)-შია. იგი განისაზღვრება პოზიციით (მოსდევს შემასმენელს) და მარკირებით (ტოპიკის მარკერი *ang*, გამოიყენება არანაცვალსახელურ, არასაკუთარი სახელის ტოპიკთან) და არა მისი სემანტიკური როლის მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი.

(1) ტაგალური (შახტერი და ოტანესი 1972)

- a. [Gumising]_{PRED} [ang bata]_{TOP} (გვ. 60)
 გაიღვიძა TOP ბავშვი
 „ბავშვმა გაიღვიძა“.

- b. [*Sinulat ko*]_{PRED} [*ang liham*]_{TOP} (გვ. 60)
 დავწერე მე.CORE TOP წერილი
 „მე დავწერე წერილი“.
- c. [*Sinulat ko*]_{PRED} [*ang titser*]_{TOP} (გვ. 60)
 დავწერე მე.CORE TOP მასწავლებელი
 „მე მივწერე მასწავლებელს“.
- d. [*Artista*]_{PRED} [*ang babae*]_{TOP} (გვ. 61)
 მსახიობი TOP ქალი
 „ქალი მსახიობია“.
- e. [*Artista*]_{PRED} [*ang nagluto ng pagkain*]_{TOP} (გვ. 61)
 მსახიობი TOP მოამზადა CORE საჭმელი
 „ის, ვინც საჭმელი მოამზადა, მსახიობია“.

მიუხედავად ამისა, ტოპიკებს აქვს სემანტიკური თავისებურებები, რომელთაც არ აქვს ანალოგი ინგლისურ სინტაქსში: ისინი უნდა იყოს განსაზღვრული. შემასმენლის მთავარი სიტყვა ხშირად არის ზმნა, როგორც (1a-c)-შია, მაგრამ ის შეიძლება ასევე იყოს არსებითი სახელი, როგორც (1d-e)-შია ან ზედსართავი სახელი. ასე რომ, შემასმენლის VP-დ მოხსენიებას არ ექნებოდა აზრი, ტაგალურის თვალსაზრისით. მსგავსად, ტოპიკის მთავარი სიტყვა ხშირად არის არსებითი სახელი, როგორც (1a-d)-შია, მაგრამ შეიძლება ასევე იყოს ზმნა, როგორც (1e)-შია. მაშინ, როცა ინგლისურს სჭირდება სპეციალური მიმართებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია (*the one who...* „ის, ვინც...“) იმისათვის, რომ შეუსაბამოს რეფერენტული გამონათქვამი (referential expression) ტაგალურის *ang nagluto ng pagkain*-ს, ტაგალურს შეუძლია, გააერთიანოს ტოპიკის მარკერი *ang* პირდაპირ ზმნასთან *nagluto*. ამგვარად, ტოპიკის დახასიათებაც კი, როგორც NP-ის სახეობა, იქნებოდა ძალიან დიდი შემაცდენელი, რასაც შახტერი და ოტანესი არ აკეთებენ. ცნებები ლათინურისა და ინგლისურის გრამატიკიდან, როგორიცაა „ქვემდებარე“, NP და VP არ ასრულებენ როლს ტაგალურის მათეულ აღწერაში. ტერმინები: „შემასმენელი“ და „ტოპიკი“ აღებულია დასავლური ტრადიციიდან, მაგრამ მათ მიიღეს მნიშვნელობები, რომლებიც დამახასიათებელია ტაგალურისთვის (ამგვარად, ტერმინები მთავრული ასოებით წერია).⁶

⁶ ლინგვისტთა დიდი ნაწილი კონკრეტულენობრივ ტერმინებს მთავრული ასოებით წერს, ზოგადენობრივი თუ ზოგადენათმეცნიერული ტერმინებისგან განსხვავებით (Predicate ~ predicate, Topic ~ topic და ა. შ.) (რედ.).

13.3.3. მეორე მაგალითი: გერმანული სიტყვათა რიგი წინადადების დონეზე

დრახის (1937) შემდეგ გერმანული სიტყვათა რიგის აღწერები გერმანულის-თვის ხშირად პოსტულირებდნენ წინადადების სქემას, რომელიც შეიცავს, სულ მცირე, ხუთ წრფივ პოზიციას: Prefield, Left Bracket, Middlefield, Right Bracket და Postfield. გერმანული სიტყვათა რიგის აღწერის ეს საშუალება „საველე ტოპოლოგიის“ სახელით გახდა ცნობილი. დრახი, ევროპელი სტრუქტურალისტი, შენიშნავდა მკაფიოდ, რომ მისი აღწერა იყო მცდელობა, „განეცალკეებინა ლათინური გრამატიკის აზროვნების ჩვეულებისგან“, მას უნდოდა, რომ გერმანული წარმოეჩინა იმგვარად, როგორც შეიქმნა „გერმანული ენის ბუნებაში“ და დაჟინებით ითხოვდა, რომ გერმანული შესწავლილიყო „წინასწარი ვარაუდის გარეშე, გარედან“, და „არა ლათინურის ლინზის გავლით“ (დრახი 1937: §4, §16).

გერმანული საველე ტოპოლოგიის ბოლოდროინდელი შეჯამების ნახვა შესაძლებელია ციფონუნისა და სხვ. ნაშრომში (1997, 2:1498–1505). საველე ტოპოლოგიაში ზმნური კომპლექსი წინადადების ცენტრალური ელემენტია. მისი ორი ელემენტი მთავარ თხრობით წინადადებებში შეადგენს წინადადების საყრდენს (Sentence Bracket): იხ. მუქი ელემენტები (2a-c)-ში.

- (2) a. *Das Kind hat den Apfel heute gegessen.*
the child has the apple today eaten
„ბავშვმა ვაშლი შეჭამა დღეს“.
- b. *Mutti ruft dich heute wahrscheinlich an.*
mom calls you today probably up
„დედა, ალბათ, დაგირეკავს დღეს“.
- c. *Er ist dann natürlich gerannt wie ein Verrückter.*
he is then naturally run like a fool
„შემდეგ, რა თქმა უნდა, ის გიჟივით გაიქცა“.

პირიანი ზმნა (*hat, ruft, ist* (2a-c)-Si) არის Left Bracket, უპირო ზმნა (*gegessen, gerannt*) ან ზმნის ნაწილაკი (*an*) არის Right Bracket. პირიან ზმნამდე პოზიციას ეწოდება Prefield, საყრდენის შიდა პოზიციას ეწოდება Middlefield, ხოლო პოზიციას, რომელიც მოსდევს მარჯვენა საყრდენს, ეწოდება Postfield. ამგვარად, ყველა გერმანული წინადადება მისდევს შემდეგ სქემას (3)-ში.

(3) Prefield – Left Bracket – Middlefield – Right Bracket – Postfield

განზოგადებათა სრული დიაპაზონი შეიძლება ფორმულირდეს ამ სქემის ფარგლებში:

- (i) ზმნური კომპლექსის (პირიანი ზმნა) ელემენტები ხვდება Left Bracket-ში, ხოლო Right Bracket-ში (ნაწილაკი, უპირო ზმნა, ამ თანმიმდევრობით) – წინადადებაში სუბორდინატორის გარეშე.

- (ii) The Prefield შეიძლება მხოლოდ შეივსოს მარტო ერთი შემადგენლით (შდრ. (4a), სადაც *das Kind da heute* არის ორი შემადგენელი).
- (iii) The Postfield შეიძლება მხოლოდ შეივსოს კლაუზალური და სხვა ინტენსიური (heavy) შემადგენლებით (თუმცა სალაპარაკო ენაში ეს პირობა ხშირად შესუსტებულია) (შდრ. (4b), რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სალაპარაკო ენაში და, ზოგადად, არ მიიჩნევა სწორად).
- (iv) მთავარ თხრობით წინადადებაში the Prefield da the Left Bracket უნდა შეივსოს ისე, როგორც (4c)-შია.
- (v) პოლარულ კითხვებში (და წინადადების სხვა რამდენიმე სპეციფიკურ ტიპში) the Prefield ცარიელია ისე, როგორც ეს (4d)-შია.
- (vi) სუბორდინატორიან წინადადებებში სუბორდინატორი აღმოჩნდება Left Bracket-ის პოზიციაში, the Prefield ცარიელია და მთელი ზმნური კომპლექსი აღმოჩნდება Right Bracket-ში (რიგი არის ნაწილაკი, უპირო ზმნა, პირიანი ზმნა) ისე, როგორც (4e)-შია.

- (4) a. **Das Kind heute hat den Apfel gegessen.*
 the child today has the apple eaten
 „ბავშვმა დღეს ვაშლი ჭამა.“
- b. *??Das Kind hat den Apfel gegessen heute.*
 the child has the apple eaten today
 „ბავშვმა ვაშლი ჭამა დღეს“.
- c. **Mutti dich heute wahrscheinlich an-ruft.*
 mom you today probably up-calls
 „დედა, ალბათ, დაგირეკავს დღეს“.
- d. *Ruft Mutti dich heute an?*
 calls mom you today up
 „დაგირეკავს დედა დღეს?“
- e. *...dass Mutti sie gestern wahrscheinlich an-gerufen hat*
 that mom her yesterday probably up-called has
 „... რომ დედამ, ალბათ, დაურეკა გუშინ“.

ეს განზოგადებები არ ამოწურავს გერმანულის სიტყვათა რიგის წესებს, მაგრამ სხვა კანონზომიერებები უმეტესწილად უკავშირდება საინფორმაციო სტრუქტურებს. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი გრამატიკული მიმართებები, როგორებიცაა „ქვემდებარე“ და „დამატება“ (ტერმინები ლათინური გრამატიკიდან) ან შემადგენლები როგორიცაა VP (ცნება, რომელიც მივიღეთ ინგლისურის გრამატიკიდან) არ ასრულებს არანაირ როლს საველე ტოპოლოგიაში.

13.3.4 შესაძლო ნაკლოვანებები

თეორიულ-გრამატიკული კვლევისადმი თეორიული ჩარჩოს გარეშე მიდგომის ორი შესაძლო ნაკლოვანება აშკარაა, ამიტომ უნდა ვახსენოთ. ორივე სირთულეს უკავშირდება. თეორიული ჩარჩოს გარეშე გრამატიკული აღწერების აგება უფრო რთულია და უფრო რთულია გაგება, ვიდრე ნაცნობ თეორიულ ჩარჩოებზე დაფუძნებული აღწერებისა.

ლოგიკურად თანმიმდევრული თეორიული ჩარჩოს გარეშე ენის აღწერა მოითხოვს უდიდეს გონებრივ ძალისხმევას, რაც გააცნობიერეს ამერიკელმა სტრუქტურალისტებმა, რომლებიც, ჩვეულებრივ, აძლევდნენ საშუალოდ თავიანთ დოქტორანტებს, რომ აღეწერათ ნაკლებ ცნობილი ენა მისივე ტერმინებით. მე-19 საუკუნეში, როცა კატეგორიათა ახალი სისტემის შექმნის საჭიროება თითოეული ენისათვის ჯერ კიდევ არ იყო გააცნობიერებული და ლათინურის გრამატიკის თეორიული ჩარჩო მიიჩნეოდა უნივერსალურად, აღწერა თავისი არსით იშვიათად მიიჩნეოდა საკმარის საჭიროებად, რათა ავტორისთვის მიენიჭებინათ დიდი სამეცნიერო ავტორიტეტი. ანალოგიურად, გენერატივისტულ ტრადიციაში ენის (ნაწილის) აღწერა გენერატიულ თეორიულ ჩარჩოში არ მიიჩნევა საკმარისად რთულად; უფრო მეტიც, დისერტაციის ავტორებს, ჩვეულებრივ, მოეთხოვებათ, რომ სიახლეები შემოგვთავაზონ თვით თეორიულ ჩარჩოსთან დაკავშირებით.

ამასთანავე, უფრო მარტივია გრამატიკული აღწერის გაგება, თუ დაწერილია ნაცნობ თეორიულ ჩარჩოში. ტაგალურისა და გერმანულის აღწერის გასაგებად, რომელიც ჩვენ ახლახან ვნახეთ, ისეთ მკითხველს მოითხოვს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გაიგებს ტოპიკის, Prefield-ის, Middlefield-ის და ა.შ. ახალ ცნებებს, მაგრამ ასეთი მსჯელობები, რა თქმა უნდა, არარელევანტურია სამეცნიერო თვალსაზრისით და არ შეიძლება გამოყენება თეორიულჩარჩოიანი გრამატიკული თეორიის მხარდასაჭერად. თუ თითოეულ ენას აქვს თავისი საკუთარი კატეგორიები, მაშინ, უბრალოდ, არასწორია კატეგორიის გადატანა ერთი ენიდან მეორეში და თეორიული ჩარჩოს გამოყენება, რომელიც შეიქმნა მოვლენათა ერთი სიმრავლისათვის, რათა აღიწეროს მოვლენათა მეორე სიმრავლე სხვა ენაში. თუ სწორი მიდგომა გულისხმობს უფრო დიდ ძალისხმევას, ჩვენ უნდა გავწიოთ ეს ძალისხმევა.

პრაქტიკაში, მიუხედავად ამისა, თეორიულჩარჩოიანი აღწერის სირთულეები შეიძლება ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. აღწერითი თეორიული ჩარჩოები მისწრაფოდა, რათა კომპლექსური გამხდარიყო ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და რთული თეორიული ჩარჩოს დაუფლება მძიმე ტვირთად აწვება როგორც ავტორს, ასევე მკითხველს. ვინაიდან ეს ძალისხმევა არ არის ისეთი შემოქმედებითი იმგვარად, როგორც არის აღწერა თეორიული ჩარჩოს გარეშე, ენათმეცნიერების ბევრ სტუდენტს მიაჩნია ჯერ კიდევ უფრო მარტივად (და პროფესორები მიიჩნევენ მარტივ სასწავლებლად), მაგრამ ის ბოჭავს ბევრ რესურსს, რომლებიც ამ სტატიაში დაცულ მიდგომაში თავისუფალია.

უფრო მეტიც, იმის აღიარება, რომ თითოეულ ენას აქვს თავისი საკუთარი კატეგორიები, არ ნიშნავს იმას, რომ ერთ რომელიმეს არ შეუძლია, გაიგოს მეორისგან, რადგან ენები მიისწრაფვიან, გამოავლინონ დიდი მსგავსებები მათ კატეგორიებსა და გრამატიკულ მოდელებში. ენათმეცნიერმა, რომელმაც ისწავლა (თეორიული ჩარჩოს გარეშე) სხვადასხვა ენის ოცი გრამატიკული აღწერა, ოცდამეერთე ენის აღწერას საკმაოდ ადვილად მიჰყვება, რადგან ძალიან ბევრი იქნება ისეთი რამე, რაც ადრეული აღწერებიდან მსგავსი იქნება. ენებს შორის თვალში საცემი მსგავსებების გამო ხშირად შესაძლებელია უფრო ნაცნობი გამჭვირვალე ტერმინოლოგიის გამოყენება (მაგ.: „არსებითი სახელი“ სიტყვათა კლასისათვის, რომელიც ინგლისურში, ძირითადად, ხალხსა და საგნებს აღნიშნავს და „არსებითი სახელი“ სემანტიკურად მსგავსი სიტყვათა კლასისათვის ტაგალურში), ვიდრე სრულიად ახალი ან ბუნდოვანი ტერმინოლოგიისა („B კლასის სიტყვები“). კონკრეტულენობრივი გრამატიკული ტერმინების მთავრული ასოებით წერა ეხმარება მკითხველს, დაიმხსოვროს, რომ ესენი განსხვავებული კატეგორიებია (როგორც საკუთარ სახელებთან; მაგ.: Mérida ესპანეთში და Mérida ვენესუელაში სხვადასხვა ქალაქია).

კიდევ ერთი საწინააღმდეგო აზრი, რომელიც ზოგჯერ წარმოიქმნება თეორიული ჩარჩოს გარეშე აღწერის წინააღმდეგ, არის ის, რომ ის არის „შემოუზღუდავი“ (unconstrained). მომდევნო ნაწილში ვასაბუთებ იდეას, რომ თეორიული ჩარჩოები უნდა იყოს შემზღუდველი (restrictive), არის არსებითად მცდარი.

13.4 შემზღუდველი თეორიული ჩარჩოები და მათი პრობლემები

13.4.1. შემზღუდველი აღწერის ახსნა

აღწერით თეორიულ ჩარჩოთა ერთ-ერთი მთავარი მიმზიდველობა ფართოდ გავრცელებული შეხედულებაა, რომ შემოთავაზებული თეორიული ჩარჩოები არის არა უბრალოდ მოსახერხებელი მეტაენები ექსპლიციტური, ნებისმიერი ენის ფორმალური/ფორმალისებური აღწერა, არამედ ეს თეორიული ჩარჩოები თავად არის ამხსნელობითი. თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებული ამგვარი ახსნა მომდინარეობს თეორიული ჩარჩოს, როგორც შემზღუდველის, გაგებისგან: თეორიული ჩარჩო გამიზნულია, ნება დართოს მხოლოდ რეალურად არსებული ენების აღწერებს (იხ. ასევე ჰასპელმათი 2014). ამ შეხედულებას, რომელიც ცნობილია ჩომსკიანურ გენერატივისტულ ლინგვისტიკაში 1960-იანი წლებიდან და ასევე ძალიან დიდი ზეგავლენა ჰქონდა მასთან დაკავშირებულ მიდგომებზე, მისი მხარდამჭერები ხშირად გამოხატავენ აღწერითი ძალის ცნების თვალსაზრისით. აშკარაა, რომ თეორიული ჩარჩო საკმარისად ძლიერი უნდა იყოს ყველა ენის აღსაწერად, მაგრამ ამასთანავე, ამ თვალსაზრისით, არ უნდა იყოს ზედმეტად ძლიერი (ან „შემოუზღუდავი“) და ნება მისცეს ყველა სახის არარსებული ენების აღწერას. სხვა სიტყვებით, აღ-

წერით თეორიულ ჩარჩოს უნდა შეეძლოს, აღწეროს ყველა შესაძლო ენა, მაგრამ შეუძლებელი ენების აღწერა არ უნდა იყოს შესაძლებელი. ეს მიდგომა აისახა ტრეივისის შემდეგ ციტატაში:

„პრობლემა, რომელსაც პრინციპებისა და პარამეტრების თეორიული ჩარჩო ცდილობს, გადაჭრას, არის შემდეგი: როგორ შეუძლია გრამატიკულ სისტემას, იყოს საკმარისად მოქნილი, რომ აღწეროს (account for) ენობრივი ვარიაციები მაშინ, როცა, ამავე დროს, იყოს, მნიშვნელოვანწილად, შემზღუდველი იმისათვის, რათა აღწეროს ენის ათვისების შედარებით სიადვილე და გარკვეული ენობრივი ტიპების შეუძლებლობა?“ (ტრეივისი 1989:263).

თუ აღწერით თეორიულ ჩარჩოებს გავიგებდით მარტივი ტერმინებით, როგორც მეტაენებს ზუსტი აღწერისათვის, მათ არ ექნებოდათ რაიმე ამხსნელობითი როლი. შევნიშნოთ, რომ ენათმეცნიერების გარეთ მეტაენებს, როგორც ჩანს, არ აქვს შეუძლებელი მოვლენების გამორიცხვის როლი. ჩვეულებრივ ენას შეუძლია, აღწეროს შეუძლებელი რაღაცები („სწორკუთხა სამკუთხედი“) და მოვლენები („ქვა დაეცა ზემოთ“); არითმეტიკის ენას შეუძლია, აღწეროს შეუძლებელი რიცხვები („33/0“, ანუ ოცდაცამეტი გაყოფილი ნულზე); და ჰერალდიკის ენას შეუძლია, აღწეროს ცუდად შექმნილი გერბები (მაგ.: სამოგიტიის გერბი არის სიასამურის ბეწვიანი დათვი წითელ ზედაპირზე, რომელიც არღვევს შეფერილობის წესებს, რომ ერთი ფერი უნდა დაედოს არა სხვა ფერს, არამედ მხოლოდ ლითონს).

მაგრამ ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით გენერატიულ ლინგვისტიკაში, აღწერით თეორიულ ჩარჩოებს მიანიჭეს ამხსნელობითი როლი. გენერატიული სინტაქსის აღწერით თეორიულ ჩარჩოს აიგივებენ ენის ათვისებაში ბავშვების საწყისი მდგომარეობის თეორიასთან, რომელსაც ასევე უწოდებენ უნივერსალურ გრამატიკას (UG). „უნივერსალური გრამატიკა უზრუნველყოფს დაკვირვებულ მოვლენათა სარწმუნო ახსნას“ (ჩომსკი 1988:61-62) იმ გაგებით, რომ მხოლოდ უნივერსალურ გრამატიკასთან შეთავსებული გრამატიკები შეიძლება აითვისონ შემსწავლელელებმა და ამიტომ აღმოჩნდება ზრდასრულთა ენად. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ლოგიკურად შესაძლებელი ენა არ არსებობს, გამოიხატება თეორიულ ჩარჩოში აღწერის შესაძლებლობის არარსებობაში და ეს აიხსნება იმ ჰიპოთეზით, რომ თეორიული ჩარჩო ასახავს ბავშვის თანდაყოლილ გრამატიკულ ცოდნას. მაშასადამე, ის შეხედულება, რომ აღწერითი თეორიული ჩარჩოები უნდა იყოს შემზღუდველი (არ უნდა იყოს „ძალზე ძლევამოსილი“, ან „შემოუზღუდავი“, ან არ უნდა „წარმოშვას ზედმეტად“) იმისათვის, რათა იყოს ამხსნელობითი, გულისხმობს საკმარისად ძლიერ ვალდებულებას თანდაყოლილობისათვის.

13.4.2-4.5 პარაგრაფებში ჩვენ ვნახავთ ახსნის ოთხ მაგალითს შემოზღუდული აღწერით. შემდეგ 13.4.6 პარაგრაფში ჩვენ ვნახავთ, რომ ალტერნატიული ახსნები არსებობს ამგვარ მოვლენათათვის. ასე რომ, არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები შემზღუდველ თეორიულ ჩარჩოთა მოხმობისათვის.

13.4.2 პირველი მაგალითი: X-შტრიხის თეორია

მარტივი მაგალითი, რომელიც ილუსტრირებს ახსნის იდეას შემოზღუდული აღწერით, არის X-შტრიხის თეორია. ფრაზის სტრუქტურის წესები ადამიანის ენებში საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც ნაჩვენებია (5a-c)-ში, მაგრამ ზოგიერთი ლოგიკურად შესაძლებელი ფრაზის სტრუქტურის წესები, ჩანს, რომ არასოდეს ვლინდება, როგორც ნაჩვენებია (6a-c)-ში.

- (5) a. NP → D [_{N'} N PP] (e.g., *the [horse on the meadow]*)
- b. VP → Adv [_{V'} V NP] (e.g., *often [eats white flowers]*)
- c. PP → Adv [_{N'} P NP] (e.g., *right [under the tree]*)

- (6) a. NP → VP [_{N'} Adv P]
- b. VP → P [_{P'} NP Adv]
- c. PP → [_{V'} P NP] V

ამდენად, ტრადიციული სახის ფრაზის სტრუქტურის წესები ძალზე ძლევამოსილია და შემოუზღუდავი, მაგრამ „X-შტრიხის თეორიის განვითარებით 1960-იანი წლების ბოლოს სუბსტანტიური შეზღუდვები მოთავსდა ფორმით, რომ [ფრაზის სტრუქტურის წესებს] შეეძლოთ შესრულება, შეზღუდვები, რომლებმაც გამოამჟღავნეს განსაკუთრებულ ემპირიულ მოთხოვნათა სიმრავლე იმის შესახებ, თუ რა შესაძლო ფრაზის სტრუქტურის დალაგებები შეიძლება ეპოვათ სხვადასხვა ენაში“ (მაკლოსკი 1993: 497). X-შტრიხის თეორია, როგორც ფართოდ მიღებულია 1980-იანი და 1990-იანი წლებიდან, ძირითადად, მხოლოდ უშვებს XP → YP [_{X'} X ZP] ტიპის ფრაზის სტრუქტურებს. ფრაზის სტრუქტურის წესის სხვა ტიპები არ შეიძლება ფორმულირდეს X-შტრიხის თეორიულ ჩარჩოში და, ამგვარად, იხსნება მათი არარსებობა.

13.4.3 მეორე მაგალითი: ფლექსია დერივაციის გარეთ

გრინბერგმა (1963, უნივერსალია 28) შეამჩნია, რომ დერივაციული აფიქსები მოდის ყოველთვის ძირსა და ფლექსიურ აფიქსებს შორის, როცა ორივე ფლექსია და დერივაცია გვხვდება ძირის ერთსა და იმავე მხარეს. ანდერსონმა (1992) შემოგვთავაზა უნივერსალური გრამატიკის არქიტექტურის მოდელი, რომლიდანაც ეს განზოგადება შეიძლება მომდინარეობდეს: თუ ლექსიკონი და სინტაქსი გრამატიკის ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კომპონენტია და დერივაცია ლექსიკონის ნაწილია მაშინ, როცა ფლექსია სინტაქსის ნაწილია და თუ სინტაქსური კომპონენტის წესებს, ლექსიკური წესების შემდეგ გამოყენებულს, შეუძლია, მხოლოდ შემატოს მასალა პერიფერიულად, მაშინ გრინბერგის განზოგადება მომდინარეობს უნივერსალური გრამატიკის მოდელიდან. სიტყვები ფლექსიით დერივაციის შიგნით არ შეიძლება აღიწეროს ამ მოდელში და, ამგვარად, მათი ნავარაუდები არარსებობა იხსნება.

13.4.4 მესამე მაგალითი: ანტისიმეტრია და სიტყვათა რიგის ასიმეტრიები

კეინი (1994) განიხილავს ფრაზის სტრუქტურის ძირითად შეხედულებას გენერატიულ გრამატიკაში (ე.ი. X-შტრიხის თეორია) და მიიჩნევს მას „მეტისმეტად არამკაცრად“, „ძალზე შემოუზღუდავად“. ის გეთავაზობს, რომ პრიორიტეტული მიმართება და c-ბრძანების იერარქიული მიმართება უნდა იყოს არა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, არამედ პირდაპირ დაკავშირებული: „თუ X ასიმეტრიულად c-ბრძანებით მიემართება Y-ს, x უსწრებს y-ს“ (სადაც X და Y არატერმინალურებია და x და y ტერმინალურებია, რომლებზეც ისინი დომინირებენ; კეინი 1994:33). ეს შემოთავაზება (რომელსაც ეწოდება ანტისიმეტრია) იწვევს, რომ ყველა ენას აქვს სიღრმისეული (underlying) SVO რიგი და სხვა ზედაპირული რიგები უნდა წარმოიქმნას გადანაცვლებით (movement). ამას აქვს რამდენიმე საინტერესო ემპირიული შედეგი. მაგალითად, ენებში, რომელთაც აქვს კომპლემენტაიზერი (complementizer) წინადადების ბოლოს, სავარაუდოა, რომ მთელი წინადადების დარჩენილი ნაწილი (“IP”) გადაინაცვლებს კომპლემენტაიზერის (C) წინამავალ პოზიციაში, რადგან სიღრმისეულად კომპლემენტაიზერი (როგორც წინადადების მეთაური წევრი) უნდა იყოს წინადადების თავში. ამრიგად, წინადადებას, როგორცაა იაპონური (7a), აქვს სიღრმისეული სტრუქტურა (7b) და წარმოქმნილი სტრუქტურა (7c).

(7) იაპონური

a. *Yooko-wa Masa-o aisite iru ka?*

Yoko-TOP Masa-ACC loving is Q

„უყვარს იოკოს მასა?“

b. [CP [*cka*] [IP *Yooko-wa* [VP *aisite iru Masa-o*]]]

c. [CP [IP *Yooko-wa* [*Masa-o*_i [VP *aisite iru t_i*]]] [*cka*] *t_j*]

d. *Yooko-wa dare-o aisite iru ka?*

Yoko-TOP who-ACC loving is Q

„ვინ უყვარს იოკოს?“

ამ გადანაცვლების მოთავსების ადგილი (landing site), სავარაუდოდ, C-ს სპეციფიკატორია (specifier), ადგილი, რომელიც ბევრ ენაში გამოიყენება როგორც მოთავსების ადგილი wh-გადანაცვლებისთვის კითხვით ფორმებში. კეინის მიხედვით (1994:54), ეს ხსნის, რომ OV ენები ბოლო პოზიციაში მდგომი კომპლემენტაიზერებით, როგორცაა იაპონური, მისწრაფვის, რომ არ ჰქონდეს wh-გადანაცვლება კითხვით ფორმებში, როგორც ნაჩვენებია (7d)-ში. კეინის ანტისიმეტრიულ თეორიულ ჩარჩოში ასეთი ენები შეუძლებელია, რომ აღიწეროს და, ამგვარად, მათი არარსებობა იხსნება.

13.4.5 მეოთხე მაგალითი: აქტანტის ფლაგირება ოპტიმალურობის თეორიაში

გენერატიული გრამატიკის სხვა სახეობების მსგავსად, ოპტიმალურობის თეორიის (OT) წამყვანი მიმართულება ასრულებს, ახსნას შემოზღუდული აღწერით. მაკ-კართის მიხედვით,

„ოპტიმალურობის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი თვისება, ჩემი აზრით, არის გზა, რომლითაც აერთიანებს ინდივიდუალური ენების აღწერას ახსნით ენის ტიპოლოგიაში ... ოპტიმალურობის თეორია არის არსებითად ტიპოლოგიური: ერთი ენის გრამატიკა გარდაუვალად აერთიანებს მოთხოვნებს ყველა ენის გრამატიკების შესახებ“.

(მაკ-კართი 2002:1).

აშკარა განსხვავება ოპტიმალურობის თეორიასა და წინა პარაგრაფების შეთავაზებებს შორის (13.4.2-13.4.4) არის ის, რომ თეორიული ჩარჩოს საინტერესო ასპექტები შეზღუდული არის, რომლებიც ხშირად საკმაოდ კონკრეტულია და არა ძალზე აბსტრაქტული პრინციპები, როგორებიცაა ანტისიმეტრია ან ლექსიკონისა და სინტაქსის განტოტება (bifurcation). ამგვარად, ხშირად უფრო პირდაპირი ურთიერთობაა ამხსნელობით მექანიზმებსა (შეზღუდვები) და ასახსნელებს (explananda)⁷ შორის (ზოგადტიპოლოგიური (cross linguistic) მოდელები).

აქ მე მხოლოდ ერთი კონკრეტული მაგალითისთვის მაქვს ადგილი, აქტანტის ფლაგირების მოდელისათვის (ე.ი. ბრუნვა და თანდებულისანი⁸ მარკირება) გარდაუვალ და გარდამავალ წინადადებებში, როგორც ვულფორდმა (2001) განიხილა და ახსნა. ვულფორდი ხედავს, რომ ენებმა შეიძლება აჩვენონ მოდელები (8a)-ში, მაგრამ, ძირითადად, არ აჩვენებს მოდელებს (8b)-ში.

- | | | |
|-----|---------------------|----------------------|
| (8) | გარდაუვალი მოდელები | გარდამავალი მოდელები |
| a. | ნომინატივი | ნომინატივ-აკუზატივი |
| | ერგატივი | ერგატივ-ნომინატივი |
| | დატივი | დატივ-ნომინატივი |
| b. | აკუზატივი | ერგატივ-აკუზატივი |
| | | დატივ-აკუზატივი |

ვულფორდი ხსნის ამ მოდელებს პოსტულირებით თითოეული ბრუნვისათვის, რომელსაც მარკირებულობის შემოზღუდულობით თითოეული მათგანის საპირისპიროდ და ამ შემოზღუდულობის საყოველთაოდ ფიქსირებული რანჟირებით: *ER-

⁷ explanandum-ის მრავლობითი ფორმა (რედ.).

⁸ ტიპოლოგიაში „თანდებულს“ ვხმარობთ adposition-ის შესატყვისად, ხოლო postposition-ს ვუსატყვისებთ იშვიათად ხმარებულ „უკუდებულს“, რომელიც, სავარაუდოდ, ა. შანიძის შემოღებულია (იხ. აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1980, გვ. 598) (რედ.).

GATIVE/*DATIVE >> *ACCUSATIVE >> *NOMINATIVE. ეს ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ნომინატივს უპირატესობა ენიჭება აკუზატივთან მიმართებით, ხოლო აკუზატივს უპირატესობა ენიჭება ერგატივსა და დატივთან მიმართებით (ერგატივი და დატივი არ არის რანჟირებული ერთმანეთთან მიმართებით). ამასთანავე, ვულფორდი პოსტულირებს ერთგულების (faithfulness) FaithLex შემოზღუდვას, რომელიც მოითხოვს, რომ ლექსიკურად განსაზღვრული ბრუნვის მახასიათებლები უნდა გამოჩნდნენ ზედაპირზე (წინასწარი ვარაუდია, რომ აგენსური აქტანტები ლექსიკურად განსაზღვრულია როგორც [+ ერგატიული ქვემდებარე] და ექსპერიენცერიანი ქვემდებარის აქტანტები – როგორც [+ მიცემითი ქვემდებარე]).

ამ სისტემის მოცემით, ენები, რომლებიც საერთოდ არ უშვებენ არასახელობით ქვემდებარეებს (როგორიცაა ინგლისური), აღიწერება შემდეგი რანჟირებით: *ERGATIVE/*DATIVE >> FAITHLEX >> *ACCUSATIVE >> *NOMINATIVE, ე.ი. ამ ენებში მარკირებულობა ზღუდავს (constraint) ერგატივს და დატივი რანგით მაღლა დგას ერთგულებაზე. რადგანაც ნომინატივი უნივერსალურად ყველაზე ნაკლებად არის მარკირებული, მას ვხვდებით ერგატივისა თუ დატივის ნაცვლად. იმ ენებში, რომლებშიც ერთგულება არის როლზე დაფუძნებული ლექსიკური სპეციფიკაცია, უფრო მაღალი რანგით ხასიათდება, ერგატიული და დატიური ქვემდებარეები ჩნდება ზედაპირულ სტრუქტურაში (როგორც ბასკურსა და იაპონურში, მაგალითად). მნიშვნელოვანია, რომ ერგატიულ/დატიურქვემდებარიანი წინადადებების დამატება არასოდეს აღმოჩნდება აკუზატივში, რადგან აკუზატივს ნაკლები უპირატესობა ენიჭება, ვიდრე სახელობითს. გარდაუვალი აქტანტი არ ვლინდება აკუზატივით იმავე მიზეზის გამო: *ACCUSATIVE რანგობრივად უნივერსალურობის თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე NOMINATIVE, ამიტომ ნომინატიური კანდიდატი ყოველთვის იმარჯვებს. აკუზატიური ბრუნვა ვლინდება მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ნომინატივია წარმოდგენილი, რადგან უფრო მაღალი შეზღუდვა თანაბარი ბრუნვების გარდამავალ წინადადებაში გამორიცხავს ნომინატივ-ნომინატივ მოდელს.⁹ ამგვარად, ენა გარდაუვალი აკუზატიური აქტანტით ან გარდამავალი ერგატივ-აკუზატიური თუ დატიურ-აკუზატიური მოდელით არ შეიძლება აღიწეროს ამ სისტემაში მაშინ, როცა დადასტურებული ენის ტიპები შეიძლება დახასიათდეს სხვადასხვა შემზღუდველი რანჟირებით.

სხვადასხვაგვარი ხლეჩილი მარკირების მოდელთა ანალიზი შემოგვთავაზა ეისენმა (1999, 2003) თითქმის ვულფორდისეული სულისკვეთებით. მე განვიხილე და გავაკრიტიკე ეისენის შემოთავაზებები სხვა ნაშრომებში (ჰასპელმათი 2008e, 2009e).

⁹ ვულფორდი ვარაუდობს სხვა შემოზღუდულობას, რომელიც ხელშეუხებელია და ოპტიმალურობის თეორიის მისეული ანალიზის გარეთ დგას, რომელიც ზღუდავს აკუზატივს VP-ში პოზიციის დასაკავებლად, ამგვარად, ხსნის აკუზატივ-ნომინატივის მოდელის შეუძლებლობას.

13.4.6 შემოზღუდველი თეორიული ჩარჩოებისა და შემოზღუდული აღწერის წინააღმდეგ

როგორც 13.4.1 პარაგრაფში ვნახეთ, დადასტურებულ ენებზე დაკვირვებული შემოზღუდულების ახსნის ზოგადი სტრატეგია შემოზღუდული აღწერითი აპარატით წინასწარ უშვებს, რომ ეს აღწერითი აპარატი თანდაყოლილია (ე.ი. უნივერსალური გრამატიკის ვარაუდი). ძირითადი იდეა არის, რომ დაუდასტურებელი ენები აუთვისებელი (unacquirable) ენებია. რალაც მიზეზით, გენერატივისტებმა მთლიანობაში უარყვეს შეზღუდვათა ის შესაძლებლობა დადასტურებულ ენებზე, რომელიც გამომდინარეობს ენის მოხმარების ფაქტორებიდან და არა ენის ათვისებიდან. მაგრამ თუ სერიოზულად განვიხილავთ ენის მოხმარებიდან მომდინარე ახსნებს (ასევე უწოდებენ *ფუნქციურ ახსნებს*), მალევე ნათელი გახდება, რომ მათ შეუძლიათ ახსნან (account for) უამრავი შემოზღუდულობა დადასტურებულ ენებში (შდრ. მორავიკი 2009). გადაცემითი რომ იყოს სამეტყველო საზოგადოებაში, ენას არა მხოლოდ უნდა ითვისებდნენ, არამედ უნდა მოიხმარდნენ კიდევაც. ამ მოსაზრებას დროდადრო გენერატივისტებიც კი გამოხატავენ (იხილეთ ქვემოთ ციტატა), მაგრამ მისი შედეგები თეორიული ჩარჩოთი შემოსაზღვრული (framework-bound) გრამატიკული თეორიის წამოსაწყებად (enterprise) ფართოდ არ გაუცნობიერებიათ.

„ენის უნარის მასშტაბი არ შეიძლება წარმოიქმნას არსებული ენების თავისებურებების ამომწურავი ჩამონათვალთ, რადგან ეს შესაძლო ფაქტები გამომდინარეობს ენის უნარის სხვა ფაქტორების ნაირსახეობაზე ურთიერთქმედებიდან, ისტორიული ცვალებადობის მექანიზმის ჩათვლით... შერჩევაზე, ტენდენციებსა და სტრუქტურული შესაძლებლობების დიაპაზონზე (რომელთა მოხმარებასაც არჩევენ მოლაპარაკეები მოცემულ სიტუაციაში) დაკვირვებები, უმეტესწილად, ამ შესაძლებლობათა გაგებისათვის არარელევანტურია“.

(ანდერსონი 1999:121)

„ბევრი ე. წ. ფონოლოგიური უნივერსალია (ხშირად განხილული მარკირებულობის რუბრიკის ფარგლებში) სინამდვილეში მეორეული სიმპტომებია, რომლებიც გამომდინარეობს გრამატიკის გარე ფაქტორების ურთიერთშემოქმედებიდან, როგორებიცაა აკუსტიკური მკაფიოობა (acoustic salience) და ენის ცვალებადობის ბუნება... ფონოლოგია [ე.ი. უნივერსალური გრამატიკის თეორია ამ სფეროში, მ. ჰ.] არ ეფუძნება (ground) და არ უნდა ეფუძნებოდეს ფონეტიკას, რადგან ფაქტები, რომლებსაც ფონეტიკის საფუძვლიანობა უნდა ხსნიდეს, შეიძლება გამომდინარეობდეს ფონოლოგიის მითითების გარეშე“.

(ჰილი და რაისი 2000:162)

„გენერატიული თეორიის საქმე არ არის, რომ ახსნას (account for) ტიპოლოგიური განზოგადებები. ამგვარი მცდელობები პარამეტრიზაციული პრინციპების მეშვეობით წარუმატებელია. ასეთი განზოგადებები ეკუთვნის არა ფორმალური გრამატიკის, არამედ

მეტყველების წარმოქმნის (performance) სფეროს და შედეგად, უნივერსალური გრამატიკა შეიძლება გათავისუფლდეს მათი ახსნის (account for) პასუხისმგებლობისგან“.

(ნიუმაიერი 2005:126-7)

პასპელმათის (2004a) ნაშრომში შევაჯამე არგუმენტები ენის (= უნივერსალური გრამატიკა) კოგნიტიური კოდის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ემყარება დადასტურებული ენების დიაპაზონს და მივუთითე, რომ ბიოლოგიაში სიტუაცია საკმაოდ ანალოგიურია: გენეტიკური კოდი საშუალებას იძლევა ორგანიზმთა ბევრად უფრო დიდი რაოდენობის არსებობისას, ვიდრე სინამდვილეში გვხვდება ბუნებაში. რეალურად არსებული ორგანიზმების მცირე რაოდენობა (narrow range), ძირითადად, განისაზღვრება გადარჩენით (ე.ი. წარმატებული რეპლიკაციის შესაძლებლობით) და არა შემოზღუდულობით, რომელზეც ნებას იძლევა გენეტიკური კოდი. კოგნიტიური კოდის ბუნების შესასწავლად ჩვენ უნდა შევისწავლოთ დაუდასტურებელ ენათა ტიპების ათვისება ბუნებრივ ან ხელოვნურ პირობებში, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ღრმად ჩაგწვდებით დადასტურებულ ენებს შემოზღუდვებით. ამ შემოზღუდვების უმეტესობას აქვს ძალიან კარგი ფუნქციური ახსნები, ე.ი. ახსნები, რომლებიც გამოდინარეობს რეპლიკაციის სხვადასხვა შესაძლებლობიდან ენის მონმარების დროს (კროფტი 2000).

მაგალითისთვის, X-შტრიხის თეორიის მთავარი ჰეშმარიტი განზოგადებები (პარაგრაფი 14.4.2), კონკრეტული ტიპის ფრაზებს აქვს კონკრეტული ტიპის მეთაური წევრები, ადვილად შეიძლება აიხსნას სინტაქსის ამოცანით, რომ გამოხატოს კონცეპტუალური შემადგენლები მსგავსი კონცეპტუალური სტრუქტურებით (შდრ. ჯაკენდოფი 1983; 2002, თავი 12). X-შტრიხის თეორიის გაფართოების მცდელობები NPs-დან, VPs-დან და PPs-დან სხვა სინტაქსურ ფრაზებზე (როგორცაა IP, CP, FocP) არ არის განსაკუთრებულად დამაჯერებელი და არ არის ნაყოფიერი კონკრეტული ვიწრო თეორიული ჩარჩოს გარეთ.

კიდევ ერთი მაგალითია ფლექსიური აფიქსების და დერივაციული აფიქსების მდებარეობა ერთმანეთსა და ძირთან (stem)¹⁰ მიმართებით (პარაგრაფი 13.4.3). ბაიბიმ (1985a:33-5, 1985b) აჩვენა, რომ არსებობს უფრო ფართო განზოგადება, როგორცაა ისეთი გრამატიკული კატეგორიები, რომელთა მნიშვნელობაც უფრო დიდებულია ზმნის ძირის მნიშვნელობისთვის, ისწრაფვის ძირთან ახლოს მოსახვედრად, მოიცავს გრინბერგის 28-ე უნივერსალიას. ის აკუთვნებს ამ რეგულარულობას იკონურობას: მნიშვნელობები, რომლებიც უფრო მეტად უკავშირდება ერთმანეთს, სარკისებრად ასახავს ერთმანეთთან უფრო ახლოს მყოფ ფორმებს.

¹⁰ ინგლისურენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღრეულია და სინონიმებად იხმარება root და stem, რომელთაც ქართულად ვუსატყვისებთ „ძირსა“ და „ფუძეს“, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, stem უნდა გამოხატავდეს ძირს, რადგან მორფემათა ტიპების ურთიერთმიმართებას იხილავს ავტორი სიტყვის ფარგლებში (რედ.).

შემდეგი, რას ფიქრობთ wh-ფრაზების ადგილმდებარეობის შესახებ წინადადებაში და ენის სიტყვათა რიგის სხვა თავისებურებების შესახებ (პარაგრაფი 13.4.4)? ჰოუკინზი (2002, §4.3; 2004a, §7.3) ასაბუთებს, რომ wh-გადანაცვლება ქმნის შემავსებლისა და ხარვეზის (filler-gap) ურთიერთდამოკიდებულებებს, რომლებიც იწვევს დამუშავების (processing) სირთულეს და რომ დამუშავების სირთულეები უფრო დიდია, თუ ზმნა (რომელსაც wh-ფრაზების უმეტესობა უკავშირდება სემანტიკურად) უფრო შორსაა. ეს პროგნოზირებს, რომ VSO ენებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ყველაზე მეტად wh-გადანაცვლებას მაშინ, როცა SOV ენებმა მას ყველაზე ნაკლებ უნდა მიანიჭონ უპირატესობა, მათ შორის SVO ენები, რასაც მხარს უჭერს არსებული სრულიად სხვადასხვა ენის (cross-linguistic) მონაცემები.¹¹

დაბოლოს, აქტანტის ფლაგირების სხვადასხვა მოდელის არსებობა გარდამავალ და გარდაუვალ წინადადებებში ასევე ექვემდებარება ფუნქციურ ახსნებს. ცენტრალური აქტანტების (core arguments) შემთხვევაში აქტანტის ფლაგირების უმნიშვნელოვანესი როლია აქტანტთა ურთიერთგარჩევა და ამისათვის საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ფორმალური გამოხატვა (overt marking). ბრუნვას, რომელიც არ არის ფორმალურად გამოხატული, ჩვეულებრივ, უწოდებენ „ნომინატივს“, ამიტომ ეს ფუნქციური მსჯელობა საკმარისია ერგატივ-აკუზატივისა და დატივ-აკუზატივის მოდელთა არარსებობის ასახსნელად. ის არ ხსნის მოჩვენებით (alleged) ასიმეტრიას, რომელსაც ვულფორდის ოპტიმალურობის თეორიის სისტემა ასახავს: ვულფორდის მიხედვით, გარდაუვალი წინადადებები მხოლოდ ერგატიული აქტანტით გვხვდება (მაგ., ბასკურში), მაგრამ გარდაუვალი წინადადებები მხოლოდ აკუზატიური აქტანტით არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, ამ მოთხოვნას მხარს არ უჭერს სრულიად სხვადასხვა ენის მონაცემები და არ არის რთული იმ ენათა მაგალითების პოვნა ლიტერატურაში, რომელთა გარდაუვალ წინადადებებს შეიძლება ჰქონდეთ ერთადერთი აკუზატიური აქტანტები. ამ ტიპის ერთ-ერთი ენაა (ბასკურის სარკისებრი სურათი) ცენტრალური პომო (კალიფორნიის ენა; მი-თუნი 1991:518-23):

(9) a. *ʔa* *múʔu* *ʔéʔcadiw*. (გვ. 518)
 I.NOM he.ACC chased.away
 „მე ის გავაგდე“.

¹¹ დრაიერის მონაცემებში (2005b და 2005c) რიცხვები ასეა წარმოდგენილი (დახრილი ხაზის მარცხნივ წარმოდგენილი რიცხვები ეხება ენებს, ხოლო დახრილი ხაზის მარჯვნივ – ჯგუფებს (genera)):

	SOV	SVO	VSO
wh-გადანაცვლება	52/38	65/35	42/23
რა wh-გადანაცვლება	225/109	188/57	16/6

- b. *Mu'l q^haʔánˀaw.* (გვ. 522)
 he.NOM dreamed
 „ის ოცნებობდა“.
- c. *Q'aláw múˀu.* (გვ. 521)
 died he.ACC
 „ის გარდაიცვალა“.

ეს არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ენები, როგორცაა ბასკური, რომელშიც ზოგიერთი ერთაქტანტიანი გარდაუვალი კონსტრუქციაც შეიძლება იყოს ერგატივში, არ არის ასევე გავრცელებული, ამიტომ არ არის ნათელი, რომ არსებობს გენერალიზაცია, რომელიც საჭიროებს ახსნას.

ამგვარად, ხარვეზებს ენობრივი მრავალფეროვნების დაკვირვების ფარგლებში, როგორც წესი, მოეპოვება ფუნქციური ახსნები და არაა საჭირო, მოვიხმოთ თეორიული ჩარჩოები (რომელიც ასახავს თანდაყოლილ უნივერსალურ გრამატიკას) მათ ასახსნელად (ეს მოსაზრება ასევე გამოთქვა დრაიერმა 2006a, მსგავსი არგუმენტების გამოყენებით).

მაგრამ თანდაყოლილი თეორიული ჩარჩოები არა მხოლოდ არ არის საჭირო, არამედ არასაკმარისია ხარვეზების ასახსნელად ტიპოლოგიურ მოდელებში. მიზეზი არის ის, რომ თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებულ ახსნას შეუძლია, მხოლოდ ახსნას აბსოლუტური უნივერსალიები, მაგრამ არა სტატისტიკური უნივერსალიები (ან უნივერსალური ტენდენციები). მიუხედავად ამისა, ემპირიულ უნივერსალიათა უმრავლესობა ტენდენციაა. დერივაციის გარეთ არსებული ფლექსიის გენერალიზაციის მრავალი გამონაკლისი არსებობს (მაგ.: ბოხნერი 1984, რეინერი 1996), ფინალური სუბორდინატორიანი ენების wh-გადანაცვლების არქონის გენერალიზაციის მრავალი გამონაკლისი არსებობს (დრაიერის მონაცემთა ბაზები 2005c და 2005a შეიცავს 33 ასეთ ენას) და როგორც ახლახან ვნახეთ გარდაუვალი წინადადებები, მხოლოდ აკუზატიური აქტანტით არარსებობის გენერალიზაციას აქვს გამონაკლისები.

სხვა სერიოზული პრობლემა თეორიულ ჩარჩოზე/უნივერსალურ თეორიაზე დაფუძნებული ტიპოლოგიური მოდელების ახსნებისთვის არის სრულიად სხვადასხვა ენაში არსებულ კატეგორიათა მრავალფეროვნება. ზუსტად რომ ვთქვათ, კატეგორიები, როგორებიცაა: „აკუზატიური ბრუნვა“, „ფლექსია“ და „წინდებული“, ვერ განისაზღვრება სრულიად სხვადასხვა ენისათვის, არამედ განისაზღვრება კონკრეტულენობრივი ტერმინებით (დრაიერი 1997, კროფტი 2001; ჰასპელმათი 2007). ეს ნიშნავს, რომ არაა ნათელი, თუ როგორ უნდა შემოწმდეს ინატივისტური თეორიული ჩარჩოების მოთხოვნები. თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებული აღწერისა და ახსნების მხარდამჭერები უბრალოდ უგულებელყოფენ ამ პრობლემას.

მე ვასკვნი, რომ მთავარი მიზეზი უნივერსალურად გამოყენებადი აღწერითი თეორიული ჩარჩოების მისაღებად თეორიულ ენათმეცნიერებაში არ არის კარგად დასაბუთებული: თეორიული ჩარჩოები, ინტერპრეტირებული როგორც ათვისებაზე

თანდაყოლილი შეზღუდვები, კარგად არ შეეფერება ენობრივი მრავალფეროვნების მოდელთა ახსნას. მაგრამ ასევე იმ ფუნქციონალისტებმა წამოაყენეს აღწერითი თეორიული ჩარჩოები, რომელთაც მცირედ ან საერთოდ არ აინტერესებთ ახსნის გენერატიული საქმიანობა (enterprise) შემოზღუდული აღწერით, ამიტომ ახლა ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ამგვარ ფუნქციურ თეორიულ ჩარჩოებს.

13.5 ფუნქციური თეორიული ჩარჩოები და მათი პრობლემები

ფუნქციონალისტების განვითარებული ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული ჩარჩოა ფუნქციური გრამატიკა (FG, იხ. Dik 1997)¹² და როლებისა და რეფერენტების გრამატიკა (RRG, იხ. ვან ვალინი 2005; ვან ვალინი 2009). რადგან სხვა ფუნქციონალისტური მიდგომები თეორიული ჩარჩოს გარეშეა და არ გვთავაზობენ უნივერსალურად გამოყენებად ცნებების სიმრავლეს სტრუქტურული აღწერისათვის, ამ ორ თეორიულ ჩარჩოს ზოგჯერ უწოდებენ „სტრუქტურულ-ფუნქციურ თეორიებს“ (მაგ., ბატლერი 2003, რომელიც წარმოადგენს ფუნქციური გრამატიკის, როლებისა და რეფერენტების გრამატიკისა და მაიკლ ჰალიდის სისტემურ-ფუნქციური გრამატიკის დეტალურ შედარებით განხილვას). ენათმეცნიერები, რომლებიც ამ თეორიულ ჩარჩოებზე მუშაობენ, არ ვარაუდობენ, რომ თეორიული ჩარჩოების ცნებები და სტრუქტურები თანდაყოლილია და ისინი არ ცდილობენ, ახსნან ხარვეზები არსებულ ენებში თეორიული ჩარჩოს შემზღუდველობით. ამიტომ ამ ენათმეცნიერთა გამოცდილებაში ახსნისთვის არ არის ადგილი შემოზღუდული აღწერით, მაგრამ რაც საერთო აქვთ გენერატივისტებთან, არის დაშვება, რომ არსებობს უნივერსალური კატეგორიებისა და ცნებების სიმრავლე, რომელთაც ყველა ენის აღწერაა შესაძლებელი საზრიანად. ამგვარად, ეს თეორიული ჩარჩოები არის ისეთივე აპრიორისტული, როგორც გენერატიული გრამატიკა და ისინი მემკვიდრეობით იღებენ აპრიორიზმის პრობლემებს. როგორც ფუნქციური გრამატიკა, ასევე როლებისა და რეფერენტების გრამატიკა ხაზს უსვამს, რომ მათ უნდათ, თავიდან აიცილონ კარგად ცნობილი გენერატიული სინტაქსის ანგლოცენტრიზმი, მაგრამ მათ არ გამოაქვთ დასკვნა (რომელსაც მე მივიჩნევ დაუძლეველად), რომ საერთოდ არ უნდა მიუახლოვდნენ ენებს წინასწარ დადგენილი ცნებათა სიმრავლით და აღწერონ თითოეული ენა თავისივე ტერმინებით, ე.ი. თეორიული ჩარჩოს გარეშე. ვან ვალინი (2005:1) სვამს შემდეგ კითხვას: „როგორი იქნებოდა ენათმეცნიერული თეორია, თუ ისეთი განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენების ანალიზზე იქნებოდა დამყარებული, როგორებიცაა: ლახოტა, ტაგალური და დირბალი და არა ინგლისურის ანალიზზე?“ ეს აღწერს ზუსტად იმ პრობლემას, რომელსაც არააპრიორისტული, თეორიული ჩარჩოს გარეშე მიდგომა ცდილობს, თავი აარიდოს: ერთი ენის ანალიზი არასდროს უნდა „ეფუძნებოდეს“ მეორე ენის

¹² ამასობაში ფუნქციური დისკურსის გრამატიკამ ჩაანაცვლა ფუნქციური გრამატიკა (იხ. ჰენგეველი და მაკენზი 2008, 2009).

ანალიზს. ლახოტაცენტრული ან ტაგალოცენტრული თეორიული ჩარჩოები არანა-
ირად არ არის უკეთესი, ვიდრე ანგლოცენტრული თეორიული ჩარჩოები.

ნება მომეცით, გაჩვენოთ ზოგიერთი კონკრეტული პრობლემა, რომელიც წარ-
მოიქმნება აპრიორიზმისგან ფუნქციურ გრამატიკასა და როლებისა და რეფერენტე-
ბის გრამატიკაში ორმაგად გარდამავალი (ditransitive) კონსტრუქციების მაგალი-
თის გამოყენებით (შდრ. ასევე ჰასპელმათი 2008c). ხშირად განხილული სადავო
საკითხი ისეთი შეპირისპირებების აღწერაა, როგორებიცაა წინდებულიანი დატიუ-
რი კონსტრუქცია (Prepositional Dative Construction) და ორმაგი (პირდაპირი)
დამატების კონსტრუქცია (Double Object Construction) ინგლისურში:

(10) a. *Aisha gave the money to Pedro.*

„აიშამ მისცა ფული პედროს“.

b. *Aisha gave Pedro the money.*

„აიშამ მისცა პედროს ფული“.

ფუნქციურ გრამატიკაში ეს ანალიზდება იმის თქმით, რომ რეციპიენტს (პედ-
რო) აქვს „დამატების“ სინტაქსური ფუნქცია (10b)-ში, მაგრამ არა (10a)-ში, რო-
მელშიც მარკირებულია *to* წინდებულის თავისი სემანტიკური როლის მიხედვით და
სადაც თემას (*ფული*) აქვს დამატების ფუნქცია (დიკი 1997, თავი 10). ფუნქციურ
გრამატიკაში „ქვემდებარისა“ და „დამატების“ ფუნქციები დგინდება მხოლოდ მაშინ,
თუ არსებობს ალტერნაცია, ე.ი. პასიური კონსტრუქცია ან „დატიური გადაწვევის“
კონსტრუქცია როგორც (10a-b)-ში). მსგავსად, როლებისა და რეფერენტების გრა-
მატიკაში აცხადებენ, რომ რეციპიენტს (*პედრო*) მიეწერება „განმცდელის“ (under-
goer) სემანტიკური მაკროროლი (10b)-ში, მაგრამ არა – (10a)-ში, რომელშიც თე-
მას (*ფული*) მიეწერება განმცდელის როლი (ვან ვალინი 2005:114), როგორც
„მარკირებული არჩევანი“. როგორც ფუნქციური გრამატიკა, ასევე როლებისა და
რეფერენტების გრამატიკა ვარაუდობს მათი ცნებების „დამატებისა“ და „განმცდე-
ლის“ უნივერსალურობას (ან, სულ მცირე, ენათა შორის გამოყენებადობას), ამას
კი მივყავართ იმ ენათა პრობლემებამდე, რომელთა მოდელი დაშორებულია ინგლი-
სურს (10a-b)-ში. ბევრ ენას აქვს მხოლოდ (10b)-ს მსგავსი მოდელი, მაგრამ არ
აქვს (10a)-ს მსგავსი მოდელი. ფუნქციურ გრამატიკაში იგულისხმება, რომ დამატე-
ბისადმი მიწერა ობლიგატორულია, ამ თეორიის ერთ-ერთი პრინციპის საპირისპი-
როდ (შდრ. დიკი 1997: 282-5 მსჯელობისთვის), ხოლო როლებისა და რეფერენ-
ტების გრამატიკაში ნიშნავს, რომ ენისათვის „მარკირებული“ განმცდელის მიწერა
არის ერთადერთი არჩევანი მარკირებულობის არსის საპირისპიროდ (შდრ. ვან ვა-
ლინი 2005:123-7 მსჯელობისთვის). ვან ვალინმა ბოლოს და ბოლოს ამის აღიარე-
ბით გადაამუშავა თავისი პრინციპები მოქმედისა (actor) და განმცდელის შერჩევის-
თვის საკმაოდ რადიკალური გზით, რომელმაც მიგვიყვანა მეტად რთულ, ნაკლებ
დახვეწილ აღწერით თეორიასთან (ვან ვალინი 2007).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ფუნქციური გრამატიკა, ასევე როლებისა და რეფერენტების გრამატიკა ყოველთვის იყო პოტენციური ანგლოცენტრიზმის პრობლემების მცოდნე, მათ ვერ შეძლეს, თავიდან აეცილებინათ ანგლოცენტრული შემოთავაზება ამ კონკრეტული მოვლენისათვის. შესაძლოა, ამიტომ იმ დროს, როცა ეს პირველად შემოგვთავაზეს (დაახლოებით 1980 წელს), მნიშვნელოვანი ზოგადტიპოლოგიური (cross-linguistic) კვლევა ორმაგად გარდამავალ (ditransitive) კონსტრუქციებზე არ იყო ჩატარებული. ამიტომ ერთი გაკვეთილი არის ის, რომ, როგორც ჩანს, შეუძლებელია მიუკერძოებელი თეორიული ჩარჩოს შედგენა, სანამ ზოგადტიპოლოგიური მნიშვნელოვანი რაოდენობის კვლევა არ ჩატარდება. მაგრამ ზოგადტიპოლოგიური კვლევა ყოველთვის წინასწარია და, ამგვარად, თეორიული ჩარჩო ყოველთვის მიკერძოებულია იმ ენების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ხოლო მეორე გაკვეთილი არის ის, რომ ის თეორიული ჩარჩოები, რომელთაც შეუძლიათ ერთნაირად და ბუნებრივად მეტ ენაზე გაფართოვდნენ, არის აუცილებლად უფრო რთული და ნაკლებდახვეწილი. კითხვა არის შემდეგი, თუ რამდენად კომპლექსური იქნება თეორიული ჩარჩო მაშინ, როცა ზოგადტიპოლოგიური მონაცემები სრულად გადაისინჯება. ჩემი ვარაუდით, ის ისეთი კომპლექსური იქნება, რომ რეალურად ვეღარ გავარჩევთ იმ შეხედულებისგან, აქ რომელიც დავიცავით, ე.ი. არ იფუნქციონირებს არაერთგვაროვან თეორიულ ჩარჩოსთან, არამედ თავიდან აგებს საჭირო აღწერით კატეგორიებს თითოეული ენისათვის.

13.6 ენათმეცნიერების საბაზისო თეორია და მისი პრობლემები

ზოგიერთმა ავტორმა (განსაკუთრებით დიქსონი 1997:128-38; და დრაიერი 2006b) ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოს ენების შესახებ აღწერითი სამუშაო, გამოვლენილი საცნობარო გრამატიკებში (reference grammar), სულაც არ არის „უბრალოდ აღწერითი“, არამედ აგრეთვე არის თეორიულიც, არა მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობით (13.2.3 პარაგრაფის მე-4 მნიშვნელობა), არამედ „თეორიული ჩარჩოს“ მნიშვნელობითაც. ეს ავტორები მოიხსენიებენ ამ თეორიულ ჩარჩოს, რომელსაც იყენებენ გრამატიკის დამწერები, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტები და ტიპოლოგები, როგორც *ენათმეცნიერების საბაზისო თეორია*. ისინი, ალბათ, უკმაყოფილებას გამოხატავენ ამ თავის მთავარ არსზე და დაასაბუთებდნენ, რომ გრამატიკის თეორიზება არ უნდა იყოს თეორიული ჩარჩოს გარეშე, არამედ უნდა გამოიყენოს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თეორიული ჩარჩო. კერძოდ, დრაიერი (2006b) შენიშნავს, რომ თეორიული ჩარჩოები ჩომსკიანურ ტრადიციაში განზრახულია როგორც აღწერითი და ამხსნელობითი თეორიები ერთსა და იმავე დროს და ასაბუთებს, რომ, თუ ვინმე აღარ გამოიყენებს ამ მიდგომის ნატივისტურ წინასწარ ვარაუდებს, მაშინ მან უნდა დაასკვნას, რომ ენები საუკეთესოდ აღიწერება (და ზოგადტიპოლოგიური (cross-linguistic)

განზოგადებები, ფუნქციური ახსნების საფუძვლები საუკეთესოდ ფორმულირდება) ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, ჩანს, დიქსონი და დრაიერი ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს, როცა ისინი ხაზს უსვამენ, რომ ნაშრომი ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში ცდილობს, აღწეროს ენები მისივე ტერმინებით, ვიდრე კარგად ცნობილი ენის მოდელის ან რომელიმე პრესტიჟული თეორიული ჩარჩოს მიხედვით. დიქსონის თანახმად,

„გრამატიკის წერის დროს, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თვალსაზრისით, არაფერი მიაჩნიათ თავისთავად ცხადად. თითოეულ ანალიტიკურ გადაწყვეტილებას უნდა მიუდგნენ როგორც ღია საკითხს... ამის საპირისპიროდ, თითოეული არასაბაზისო თეორია აღიარებს, რომ განსაზღვრული კატეგორიები რელევანტურია ყველა ენისათვის, მხოლოდ მათი მიგნებაა საჭირო“.

(დიქსონი 1997:132)

მის მსგავსად დრაიერი შენიშნავს, რომ

„ენათმეცნიერების საბაზისო თეორია განსხვავდება ტრადიციული გრამატიკისგან ყველაზე თვალში საცემად იმის მცდელობით, რომ აღწეროს თითოეული ენა მისივე ტერმინებით და არა ენებისთვის ევროპულ ენებზე დამყარებული მოდელის მორგებით“.

(დრაიერი 2006b:211)

შეუსაბამობა ძვეს მოთხოვნაში, რომ „არაფერი მიაჩნიათ თავისთავად ცხადად“ და თითოეული ენა უნდა აღიწეროს „თავისივე ტერმინებით“, მაგრამ, ამავე დროს, ასაბუთებენ, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია შეიცავს განსაზღვრულ ცნებებს, რომლებიც გრამატიკის დამწერებმა უნდა იცოდნენ, სანამ აღწერენ რომელიმე ენას („ფუნდამენტური თეორიული ცნებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა ნამუშევარს ენის აღწერაში“, დიქსონი 1997:128; „აღწერითი საშუალებები, რომლებიც ივარაუდება აღწერით გრამატიკებში“, დრაიერი 2006b:210). რაც, ალბათ, დიქსონსა და დრაიერს აქვთ გონებაში, როცა ისინი მიუთითებენ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის „თეორიულ ცნებებს“ ან „აღწერით საშუალებებს“, არის ცნებათა სახეობები, რომლებიც წარმოდგენილია პეინისა (1997) და შოპენის (2007) ნაშრომებში, ორ ფართოდ გამოყენებულ ნაშრომში, რომლებსაც მომავალი გრამატიკის ავტორები, ძირითადად, მიმართავენ შთაგონებისათვის.

მიუხედავად ამისა, თუ ამ ცნებებსა და საშუალებებს განიხილავენ როგორც ნამდვილ თეორიულ ჩარჩოს, ე.ი. როგორც ალტერნატივათა სიმრავლეს, რომლისგანაც დესკრიპტივისტებმა და ენებმა შეიძლება აირჩიონ, ისინი ანადგურებენ ობიექტური, მიუკერძოებელი აღწერის დადგენილ მიზანს. გრამატიკის ავტორები მზად უნდა იყვნენ სრულიად ახალი ცნებების შესაქმნელად, რადგან ხშირად არცერთი ორი კატეგორია არ არის ენებში სრულიად მსგავსი და ხშირად კატეგორიები არც კი განსაკუთრებულად მსგავსი ენებს შორის. თუ ვინმე ენას მიუღვა გან-

საზღვრულ ცნებათა სიმრავლით და საშუალებებით გონებაში, ის აღარაა მიუკერძოებელი და ობიექტური.¹³

ვჩქარობ იმის დამატებას, რომ ცნებების სახეობები, რომლებსაც ვპოულობთ ტიპოლოგიურად ორიენტირებულ ცნობარებში გრამატიკის ავტორთათვის (როგორცაა პეინი 1997 და შოპენი 2007), ძალზე სასარგებლოა, რომ იცოდეს თითოეულმა ენათმეცნიერმა და რომ ამ ცნებების გამოყენებით, გრამატიკის ავტორები, ალბათ, დაწერენ ნაკლებ მიკერძოებულ გრამატიკებს, ვიდრე სხვა თეორიული ჩარჩოების გამოყენებით. მაგრამ სიმართლე რჩება, რომ, თეორიულად, ისინი არ გამოიყენებდნენ წინასწარ დადგენილ ცნებებსა და საშუალებებს, მაგრამ შექმნიდნენ საშუალებებს, რომლებიც მათ დასჭირდებოდათ გრამატიკის წერის პროცესში.

საბედნიეროდ, სინამდვილეში ესაა, რასაც გრამატიკის ავტორები აკეთებენ დროის უმეტესეს ნაწილში ან ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან ხშირად და დამახასიათებლად. ისინი წარმოადგენენ ცნებებს, რომელთაც ხელთარსებული ენის მოვლენები ადასტურებს და რომელთაც არ სჭირდება დადასტურება ამის მიღმა. ისინი შემოისაზღვრებიან არა კონკრეტული თეორიული ჩარჩოთი, არამედ ქმნიან ახალ ცნებებს საჭიროების მიხედვით.

ამგვარად, მე არ ვეთანხმები მტკიცებას, რომ „არ არსებობს ისეთი რამ, როგორც ათეორიული აღწერა“ (ბაზი 2004:50; დრაიერი 2006b:207), თუ „ათეორიული“ არის „თეორიული ჩარჩოს გარეშე“ (როგორც კონტექსტიდან ჩანს მნიშვნელობა). ვეთანხმები დიქსონს (1997:134), რომ „თითოეული ადამიანი, რომელიც აღწერს ენას, არის ასევე თეორეტიკოსი... თითოეული აზრი გრამატიკულ აღწერაში თეორიული მტკიცებაა და შესაბამისმა არგუმენტებმა უნდა დაადასტურონ“ (თუ „თეორეტიკოსი“ გულისხმობს „თეორიის“ მე-3 ან მე-4 მნიშვნელობას; იხილეთ პარაგრაფი 13.2.3); და ასევე ვეთანხმები დრაიერს (2006b:212), რომ „ანალიზური ცნებები, რომლებსაც ვარაუდობენ, აუცილებლად შეიცავს თეორიული დებულებების სიმრავლეს“, მაგრამ ვინმემ შეიძლება თეორიულად განაცხადოს წინასწარი ვარაუდების გარეშე იმის შესახებ, თუ რომელი ცნებები უნდა გამოიყენონ.¹⁴

¹³ მეტიუ დრაიერმა (პირადი კომუნიკაცია) მითხრა, რომ ის მიიჩნევს პრინციპს – თითოეული ენის აღწერას მისივე ტერმინებით – ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპად. თუ ეს ასეა, ენათმეცნიერების საბაზისო თეორია თეორიული ჩარჩოს გარეშე გრამატიკული თეორიის ეკვივალენტური იქნებოდა, როგორც აქა დაცული და ვერ იქნებოდა „აღწერითი/თეორიული ჩარჩო“ ამ ნაშრომში მოცემული მნიშვნელობით.

¹⁴ ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მიმეღო შესაძლო თვალსაზრისი (რომელიც არ მინახავს, ვინმეს გამოეთქვას), რომ ენის აღწერა აუცილებლად მოიცავს თეორიულ ჩარჩოს, მაგრამ შეიძლება (და უნდა) იყოს განსხვავებული თეორიული ჩარჩო თითოეული ენისათვის. ეს ეკვივალენტური იქნებოდა იმისა, რასაც მე გთავაზობთ, მაგრამ ვინაიდან ტერმინი *თეორიული ჩარჩო* ყოველთვის გამოიყენებოდა უნივერსალურად გამოყენებად თეორიული ჩარჩოებისათვის, ამიტომ ვამჯობინე, არგუმენტი მომეყვანა აქ თეორიული ჩარჩოს, მოკლედ რომ ვთქვათ, და არა „უნივერსალურად გამოყენებადი თეორიული ჩარჩოების“ წინააღმდეგ. ეს, რა თქმა უნდა, უბრალოდ ტერმინოლოგიის საკითხია.

დიქსონი გულისხმობს, რომ მისი ნაშრომი ფორმულირებულია ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო ახლო შესწავლით, მისი ნაშრომი ცნებებითაა სავსე, რომლებიც სულაც არ გამოიყენება ადვილად ნებისმიერი ენისათვის. განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი, რომელსაც ახსენებს (დიქსონი 1997:132): „მართებულია, რომ ვაღიაროთ ერთი ერთეული „სიტყვა“ თუ ორი („ფონოლოგიური სიტყვა“ და ასევე „გრამატიკული სიტყვა“)?“ დიქსონის შეხედულება, რომ ფონოლოგიური და გრამატიკული სიტყვები შეიძლება, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ დაემთხვეს ერთმანეთს, საყოველთაოდ ცნობილია (იხ., აგრეთვე, დიქსონი და აიხენვალდი 2002), მაგრამ, ჩანს, ის არ უშვებს შესაძლებლობას, რომ ენები საერთოდ არ იყენებენ სიტყვის მსგავს ერთეულს, ან იყენებენ რამდენიმე სხვადასხვა ფონოლოგიურ და გრამატიკულ სიტყვებს, ან იყენებენ სიტყვის მსგავს ერთეულს, რომელიც განისაზღვრება ორივე, ფონოლოგიური და გრამატიკული, კრიტერიუმით, მაგრამ უპირისპირდება სიტყვის მსგავს სხვა ერთეულებს. მიდგომა თეორიული ჩარჩოს გარეშე საშუალებას აძლევს ასევე ამ შესაძლებლობებს.

თავის რამდენიმე ნაშრომში დიქსონი ამტკიცებს ერთ-ერთი ტრადიციული ტერმინის კონკრეტულ მნიშვნელობას მაშინ, როცა ის ხაზს უსვამს, რომ *პრედიკატი* ენათმეცნიერებაში არის ზმნა და მისი განსაზღვრება, არა (როგორც ბერძნულ ლოგიკაში) ის, რაც წინადადებისგან რჩება ქვემდებარის ამოღების შემდეგ. ასე რომ, კოპულის დამატებას არ უნდა ეწოდოს „პრედიკატული სახელი“ (predicate nominal) (დიქსონი 2004:7). არ არის მცდარი ასეთი ტერმინოლოგიური არჩევანი, მაგრამ მცდარია შემოთავაზება, რომ დიქსონისეული წინადადება უდრის „ფუნდამენტურ თეორიულ ცნებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ენის აღწერის ყველა შრომას“ (= ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის მისეული განმარტება). ენის აღწერის ნაშრომი ოპერირებს თეორიული ცნებების ფართო დიაპაზონში და ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების საკმაოდ დიდი რაოდენობით. მაგრამ ტერმინოლოგიურად კონსერვატიულია და, ჩანს, ამას მიჰყავს შეხედულებისაკენ, რომ ცნებები, რომლებიც ენის აღწერისთვის გამოიყენება, ასევე კონსერვატიულია (მდრ. დრაიერი (2006b:211). მტკიცებაა, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია შეიძლება „უხეშად აღიწეროს როგორც ტრადიციული გრამატიკა, მისი ცუდი მახასიათებლების გამოკლებით“. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი შემთხვევა. კარგი აღწერითი გრამატიკები კი არ ითვისებენ მათ ცნებებს ადრეული ნაშრომიდან, არამედ ხშირად არის ტერმინოლოგიურად კონსერვატიული, რადგან მათ უნდათ, რომ მიაღწიონ ფართო აუდიტორიას (განსხვავებით ნაშრომებისა კერძო თეორიულ ჩარჩოებში, რომლებიც, ძირითადად, მიმართავენ იმავე თეორიულ ჩარჩოში მომუშავე კოლეგებს და, მამსადაძამე, ამის შედეგად შეიძლება იყვნენ ტერმინოლოგიურად ინოვაციურები).

13.7 შედარებითი და ამხსნელობითი თეორია თეორიული ჩარჩოს გარეშე

ვინაიდან ყველა ენას აქვს დამახასიათებელ ნიშანთა უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც ისტორიული შემთხვევითობების შედეგია და ვერ აიხსნება ამ შემთხვევებზე მითითების გარეშე, ჭეშმარიტი ახსნა ენათმეცნიერებაში ენობრივი უნივერსალიების ახსნითაა შემოზღუდული. მაშასადამე, ამხსნელობითმა თეორიულმა ნაშრომმა უნდა მიიღოს ფართო შედარებითი მიდგომა, აზრი, რომლის შესახებაც ფართოდ არის გავრცელებული თანხმობა:

„იმისათვის, რომ ახსნა მონაცემები ცალკეულ ენებში, თეორიამ უნდა გამოიტანოს უკუგების (Falsifiable) ემპირიული დასკვნა ბუნებრივი ენების მთელი კლასის შესახებ“.

(პერლმუტერი 1980:196)

„გენერატივისტმა უნდა შეუდაროს ინგლისური ენა სხვა ენებს იმის აღმოსაჩენად, თუ რამდენად არის უნივერსალური მისი იდენტიფიცირებული მახასიათებელი ნიშნები და რამდენად არის ენის სპეციფიკით შერჩეული, რომელსაც განსაზღვრავს უნივერსალური გრამატიკა ... მაშასადამე, ნაშრომები გენერატიულ ლინგვისტიკაში, განმარტების თანახმად, არის შედარებითი“.

(ჰეგემანი 1994:18)

ჩომსკიანურ გენერატივისტულ ლინგვისტიკაში აღწერითი თეორიული ჩარჩო ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს შედარებასა და ახსნაში. როგორც ვნახეთ, ვარაუდობენ, რომ იგივე თეორიული ჩარჩო შეიძლება გამოყენონ ყველა ენისათვის და როგორც კი შესაფერის თეორიულ ჩარჩოს იპოვიან, შეიძლება, ასევე გამოიყენონ ენების შესადარებლად იმისათვის, რომ განსაზღვრონ, რამდენად განსხვავდებიან. ეს ძალიან რთული პროცესია, რადგან თეორიული ჩარჩო არის როგორც შედარების საბოლოო შედეგი (უნივერსალური გრამატიკის დახასიათება ხსნის ლიმიტს ვარიაციაზე), ასევე შედარების წინაპირობა (ენები ვერ შედარდება, სანამ არ აღწერენ მართებულ თეორიულ ჩარჩოში, ნიუმაიერი 1998:337-338). შედეგად, შედარებითი კვლევები გენერატიულ თეორიულ ჩარჩოში არ აღმოჩნდა ძალიან წარმატებული, სულ მცირე, ბევრად ნაკლებად წარმატებული, ვიდრე მოსალოდნელი იყო 1980-იან წლებში, როცა პრინციპებისა და პარამეტრების პროგრამა წამოიწიეს (ჰასპელმათი 2008b).

ამის საპირისპიროდ, შედარებითი ენათმეცნიერება თეორიული ჩარჩოს გარეშე წარმატებით ვითარდება (მაგ.: ჰასპელმათი და სხვ. 2005). ფართო მასშტაბის ზოგადტიპოლოგიური შედარება თეორიული ჩარჩოს გარეშე არც სირთულეებისგან არის თავისუფალი, მაგრამ უფრო იოლი გახდა დაწვრილებითი იმ საცნობარო გრამატიკების სტაბილურად მზარდი რაოდენობის ხელმისაწვდომობის გამო, რომლებიც დაიწერა თეორიული ჩარჩოს გარეშე, მაგრამ ხელმისაწვდომ ფორმატში. დიქსონმა (1997:128, 132) განაცხადა, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია

თეორიული ჩარჩოა, რომელიც საფუძვლად უდევს ასეთ ტიპოლოგიურ ნაშრომს, მაგრამ ეს უმართებულოა. ტიპოლოგიური ნაშრომი, როგორც წარმოადგინა *ენობრივ სტრუქტურათა მსოფლიო ატლასმა* (WALS), ისევე არის თეორიული ჩარჩოს გარეშე, როგორც გრამატიკული აღწერების უმრავლესობა, რასაც ეს ატლასი ეფუძნება, მიუხედავად იმისა, რომ უადრესად თეორიულია, ისევე როგორც დესკრიფციული ნაშრომი, რომელზეც არის დამოკიდებული.

ამასთან დაკავშირებით, დიქსონის შეხედულება ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის როლზე ენათმეცნიერებაში მსგავსია გენერატიულ შეხედულებასთან: ერთი და იგივე ცნებები გამოიყენება აღწერისა და შედარებისათვის. მიუხედავად ამისა, ნამდვილ ტიპოლოგიურ პრაქტიკაში საკმაოდ განსხვავებული სურათი წარმოჩნდება. ტიპოლოგები ქმნიან საკუთარ ცნებებს (ეწოდება *შედარებითი ცნებები* ჰასპელმათის მიხედვით 2009a) და უპირისპირებენ მათ თითოეული ენის ფაქტებს, მაგრამ არ ელიან, რომ იპოვიან იმავე კატეგორიებს ყველა ენაში და მათმა შედარებებმა შეიძლება მთლიანად უზარმაზარი ვარიაცია ენათა ნამდვილ კატეგორიებში (ეწოდება *აღწერითი კატეგორიები* ჰასპელმათის მიხედვით 2009a). მაგალითად, ტიპოლოგები ხშირად მუშაობენ შედარებით ცნება „ერგატიული ბრუნვასთან“ (გარდამავალი აგენსის გამოხატული ბრუნვა გარდაუვალი ცალი აქტანტის ბრუნვის საპირისპიროდ), მაგრამ თუ ენას აქვს ბრუნვა, რომელიც გამოხატავს ორივე, გარდამავალ აგენსსა და მფლობელს (როგორც ესკიმოსური ენის რელატიური ბრუნვა), ის აგრეთვე მიიჩნევა ერგატიულ ბრუნვად. ბრუნვები, რომლებიც მიიჩნევა ერგატიულად, შეიძლება ამგვარად საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს. ამის მსგავსად, ტიპოლოგები მუშაობენ „ზედსართავი სახელის“ (= თვისების აღმნიშვნელი სიტყვა) შედარებით ცნებასთან, მაგრამ თუ ენას აქვს სიტყვათა კლასი („ზმნა“), რომელიც შეადგენს როგორც მოქმედების, ასევე თვისების გამომხატველ სიტყვებს, ამისდა მიუხედავად, მიიჩნევა ზედსართავ სახელად შედარებითი თვალსაზრისით. ამასთან ერთად, სიტყვები, რომლებსაც მიიჩნევენ ზედსართავ სახელად, შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი. ბოლო მაგალითად განვიხილოთ შედარებითი ცნება „wh-სიტყვა“ (კითხვას უსვამს წინადადების კონკრეტულ ნაწილებს). თუ ენას აქვს „განუსაზღვრელი“ ნაცვალსახელების კლასი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც კითხვის დასასმელად, ასევე განუსაზღვრელი რეფერენტებისათვის („ვინ, ვიღაც“), ისინი ასევე მიიჩნევა wh-სიტყვებად. ამგვარად, ტიპოლოგთა შედარებითი ცნებები აუცილებლად არ უნდა იგივედებოდეს ენების აღწერით კატეგორიებთან.

ვინაიდან გრამატიკული კატეგორიები განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ენაში (სწორედ ისე, როგორც სიტყვის მნიშვნელობები განსხვავდება სხვადასხვა ენაში), კომპარატივისტებს არ შეუძლიათ, არ შექმნან სპეციფიკური ცნებები შედარების მიზნით (შედარებითი ცნებები). ადეკვატურობის კრიტერიუმში შედარე-

ბითი ცნებებისათვის არის არა აღწერის სიზუსტე (როგორც აღწერითი კატეგორიებისათვის), არამედ შედეგად მიღებული შედარების ნაყოფიერება (იხ. ჰასპელმათი 2009a). ვინაიდან კომპარატივისტებს შეუძლიათ, მიუახლოვდნენ ენებს მრავალი კუთხიდან, არ არსებობს შედარებითი ცნებების ერთადერთი მართებული სიმრავლე. მაგალითად, ენობრივ სტრუქტურათა მსოფლიო ატლასში (WALS) სხვადასხვა ავტორმა აირჩია „ბრუნვის“ მცირედით განსხვავებული ცნებები (ბაერმანი და ბრაუნი 2005; იგესენი 2005), მაგრამ არ ვაწყდებით შეუსაბამობას. ცნებები არაა იდენტური, მხოლოდ არჩეული ტერმინები ემთხვევა ერთმანეთს. დესკრიფციული გრამატიკოსების მსგავსად, ტიპოლოგები ტერმინოლოგიურად კონსერვატიულები არიან, რადგან მათი ნაშრომები მიემართება ფართო მასშტაბის პოტენციურ მომხმარებლებს. ეს პრაქტიკა მცდარად არ უნდა გაიგონ, თითქოს ყველა ტიპოლოგი იყენებდეს მას საერთო თეორიულ ჩარჩოდ.

ამ სტატიაში დაცული მიდგომის თანახმად, ამხსნელობითი თეორია უმთავრესად მოიცავს ფუნქციურ ახსნას (შდრ. პარაგრაფი 13.4.6 ზემოთ). ფუნქციური ახსნის მსგავსად ბიოლოგიაში (შდრ. ნეტლი 1999), ფუნქციური ახსნა ენათმეცნიერებაში აუცილებლად დიაქრონულია (ბაიბი 1988a; კელერი 1994; კირბი 1999; ჰასპელმათი 1999b, 2008a). როგორც დრაიერი (2006a:56) გამოთქვამს, „თეორია იმის შესახებ, თუ რატომ არის ენები ისეთი, როგორც არის, წარმოადგენს, არსებითად, ენათა ცვალებადობის თეორიას“. ამ ტიპის ამხსნელობით გრამატიკულ თეორიას (როგორც ილუსტრირებულია შემდეგ ნაშრომებში: გივონი 1979; ბაიბი და სხვ. 1994; ჰაინე 1997; ფრაიცინგიერი და შეი 2003; ჰოუკინსი 2004a) არ სჭირდება (აღწერითი/თეორიული) თეორიული ჩარჩოები.

13.8 დასკვნა

ეს არ არის პირველი ნაშრომი, რომელიც უარყოფს თეორიული ჩარჩოთი შემოსაზღვრულ გრამატიკულ თეორეტიზებას. ლაზარი (2006: 93) ამბობს: “Le descripteur doit se garder de tout modèle” („დესკრიპტივისტები უნდა მოერიდონ ნებისმიერ მოდელს/თეორიულ ჩარჩოს“). ხოლო გივონმა თქვა:

„თეორიული ჩარჩო“, „ფორმატი“, „თეორია“ და „გრამატიკა“ სიტყვებია, რომლებიც აუგად მოიხსენებოდა ენათმეცნიერებაში გასული სამი ათეული წლის განმავლობაში. ბლუმფილდიანელების შემდეგ ასეთი იარლიყი ნიშნავდა უფრო მეტად ვინმეს ჰორიზონტის ჩაკეტვას და შეუღლებას შემზღვეველ, კონტრემპირიულ და ანტიამხსნელობით ფორმალიზმთან“.

(გივონი 1984:25)

მიუხედავად იმისა, რომ გივონმა არ შეიტანა ეს განცხადება სინტაქსის ორტომიანი ნაშრომის გადამუშავებულ (2001) ვერსიაში, მაინც ვფიქრობ, რომ ის,

ძირითადად, მართალი იყო 1984 წელს.¹⁵ როცა ენას ვუახლოვდებით, არ უნდა დავზუროთ ჩვენი ჰორიზონტები აპრიორისტული, წინასწარ შექმნილი თეორიული ჩარჩოების გამოყენებით.

არგუმენტები მოვიყვანე, რომ ცნებათა სიმრავლე, რომელიც საჭიროა ენის აღწერისათვის (ან ანალიზისთვის), ცალკე უნდა შეადგინონ თითოეული ენისათვის, რადგან ყველა ენას განსხვავებული სტრუქტურა აქვს. წარმოვადგინე ორი ვრცელი მაგალითი ტაგალურისა და გერმანულის წინადადების სტრუქტურის ცნობილი თეორიული ჩარჩოს გარეშე აღწერებიდან და შევნიშნე, რომ ბევრი კარგი გრამატიკა მიჰყვება ამ მაგალითებს, მიუხედავად იმისა, რომ აღწერების (ანუ ანალიზის) თვითმყოფადობა ხშირად იმალება ნაცნობი ტერმინოლოგიის გამოყენებით. ეს შევამჩნიე გენერატიულ ენათმეცნიერებაში, თეორიულ ჩარჩოებს მიმართავენ როგორც აღწერის, ასევე ახსნისათვის (შემოზღუდული აღწერით) და იდეა, რომ თეორიული ჩარჩოები უნდა იყოს შემოზღუდული, გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაიგივებული იქნება თანდაყოლილ (innate) უნივერსალურ გრამატიკასთან. შემდგომ შევნიშნე, რომ სტრუქტურულ-ფუნქციური აღწერითი თეორიული ჩარჩოები და ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის აღწერითი თეორიული ჩარჩო ასევე ეწინააღმდეგება გრამატიკული ანალიზის მიუკერძოებელ მეთოდოლოგიურ იმპერატივს და რომ ამხსნელობითი თეორია შეიცავს არა თეორიული ჩარჩოს აგებას, არამედ უნივერსალური ტენდენციების ფუნქციურ ახსნას (უმთავრესად, დიაქრონიული).

ამ მომენტში ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება იკითხო: თუ თეორიული ჩარჩოები არ არსებობს, მაშინ რა უნდა ვასწავლო ჩემს სტუდენტებს სინტაქსის ლექციებზე (class)? ჩემი პასუხი შემდეგია: სინტაქსის საუკეთესო ლექციები არის საველე მეთოდების კურსი და მეორე საუკეთესო სინტაქსის ლექციები ტიპოლოგიის კურსია. თუ ჩვენ გვინდა, გავივით სინტაქსის ბუნება, ჩვენ უნდა შევისწავლოთ კონკრეტულ ენათა სინტაქსური მოდელები, უპირატესად უცნობი ენები, რათა გავაფართოოთ ჩვენი ჰორიზონტები. ვინაიდან ისინი ვერ იღებენ ენათა დიდი რაოდენობის პირველწყაროს გამოცდილებას, სტუდენტებმა უნდა ისწავლონ მთელი მსოფლიოს ენების არსებული აღწერები თეორიული ჩარჩოს გარეშე, წახალისდნენ კრიტიკული შეკითხვების დასასმელად თითოეული ანალიზის შესახებ და ისწავლონ ენების შედარება მრავალფეროვანი კატეგორიებით უნივერსალურად გამოყენებადი შედარებითი ცნებების მეშვეობით.

¹⁵ გივონის ნაშრომში (1995) ორი თავი დასათაურებულია: „სტრუქტურის სერიოზულად მიღება“, რომელშიც გივონი ცდილობს, დაუპირისპირდეს ზოგიერთ ფუნქციონალისტს შორის გავრცელებულ აღქმული „გრამატიკის უარყოფის სინდრომს“ (grammar denial syndrome). დესკრიფციული გრამატიკის ზღვა რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც დაიწერა გასულ ორ ათეულ წელში, ვერ ვხედავ ამგვარი ტენდენციის ნიშანს (გარდა, ალბათ, მცირე რაოდენობის ამერიკელ ფუნქციონალისტს შორის, რომლებმაც ინტერესი გრამატიკიდან დისკურსზე გადაიტანეს).

ლიტერატურა

- ანდერსონი 1992:** Anderson, Stephen R. *A-Morphous Morphology*. Cambridge: Cambridge University Press.
- ანდერსონი 1999:** Anderson, Stephen R. A formalist's reading of some functionalist work in syntax. In Darnell, Michael, Edith Moravcsik, Frederick Newmeyer, Michael Noonan, and Kathleen Wheatley (eds.) (1999) *Functionalism and Formalism in Linguistics*, vol. 1: *General Papers*. Amsterdam: Benjamins, pp. 111-35.
- ბაერმანი, ბრაუნი 2005:** Baerman, Matthew, and Dunstan Brown. Case syncretism. In *WALS*, pp. 118-21.
- ბაიბი 1985a:** Bybee, Joan L. *Morphology: a Study of the relation Between Meaning and Form*. Amsterdam: Benjamins.
- ბაიბი 1985b:** Bybee, Joan L. Diagrammatic iconicity in stem-inflection relations. In John Haiman (ed.) *Iconicity in Syntax*, pp. 11-47. Amsterdam: Benjamins.
- ბაიბი 1988a:** Bybee, Joan L. The diachronic dimension in explanation. In John A. Hawkins (ed.), *Explaining Language Universals*, pp. 350-79. Oxford: Blackwell.
- ბაიბი და სხვ. 1994:** Bybee, Joan L., Revere D. Perkins, and William Pagliuca. *The Evolution of Grammar: Tense, Aspect and Modality in the Languages of the World*. Chicago: University of Chicago Press.
- ბატლერი 2003a:** Butler, Christopher S. *Structure and Function: A Guide to Three Major Structural-Functional Theories*. Amsterdam: Benjamins.
- ბატლერი 2003b:** Butler, Christopher S. *Approaches to the Simple Clause*. Part 1 of Butler, Christopher S. (2003a) *Structure and Function: A Guide to Three Major Structural-Functional Theories*. Amsterdam: Benjamins.
- ბაზი 2004:** Bach, Emmon. Linguistic universals and Particulars. In Piet van Sterkenburg (ed.), *Linguistics Today: Facing a Greater Challenge*, pp. 47-60. Amsterdam: Benjamins.
- ბოხნერი 1984:** Bochner, Harry. Inflection within derivation. *Linguistic review* 3: 411-21.
- გივონი 1979:** Givón, T. *On Understanding Grammar*. New York: Academic Press.
- გივონი 1984: 25:** Givón, T. *Syntax: A Functional-Typological Introduction*, vol. 1. Amsterdam: Benjamins.
- გივონი 1995:** Givón, T. *Functionalism and Grammar*. Amsterdam: Benjamins.
- გივონი 2001:** Givón, T. *Syntax: An Introduction* (2 vols). Amsterdam: Benjamins.
- გრინბერგი 1963:** Greenberg, Joseph H. *Universals of Language*. Cambridge, MA: MIT Press.
- დიკი 1997:** Dik, Simon C. *The Theory of Functional Grammar*, vols. 1 and 2. Berlin: Mouton de Gruyter.
- დიქსონი 1972:** Dixon, R. M. W. *The Dyirbal Language of North Queensland*. Cambridge: Cambridge.
- დიქსონი 1997:** Dixon, R. M. W. *The Rise and Fall of Languages*. Cambridge: Cambridge University Press.

- დექსონი 2004:** Dixon, R. M. W. Adjective classes in typological perspective. In R. M. W. Dixon and Alexandra Y. Aikhenvald (eds.), *Adjective Classes: A Cross-linguistic Typology*, pp. 1-49. Oxford: Oxford University Press.
- დექსონი, აიხენვალდი 2002:** Dixon, R. M.W., and Alexandra Y. Aikhenvald. Word: a typological framework. In R. M.W. Dixon and Alexandra Y. Aikhenvald (eds.), *Word: A Cross-linguistic Typology*, pp. 1-41. Cambridge: Cambridge University Press.
- დრაიერი 1997:** Dryer, Matthew S. Are grammatical relations universal? In Bybee, Joan L., John Haiman, and Sandra A. Thompson (eds.). *Essays on Language Function and Language Type*. Amsterdam: Benjamins, pp. 115-43.
- დრაიერი 2005a:** Dryer, Matthew S. Order of subordinator and adverbial subordinate clause. In *WALS*, pp. 382-5.
- დრაიერი 2005b:** Dryer, Matthew S. Order of subject, object, and verb. In *WALS*, pp. 386-9.
- დრაიერი 2005c:** Dryer, Matthew S. Position of Interrogative Phrases in Content Questions. In *WALS*, pp. 378-81.
- დრაიერი 2006a:** Dryer, Matthew S. Functionalism and the theory-metalanguage confusion. In Wiebe, Grace, Gary Libben, Tom Priestly, Ron Smyth, and Sam Wang (eds.) (2006) *Phonology, Morphology, and the Empirical Imperative: Papers in Honour of Bruce Derwing*. Taipei: Crane Publishing Company, pp 27-59.
- დრაიერი 2006b:** Dryer, Matthew S. Descriptive theories, explanatory theories, and basic linguistic theory. In Felix Ameka, Alan Dench, and Nicholas Evans (eds.), *Catching Language: The Standing Challenge of Grammar Writing*, pp. 207-34. Berlin: Mouton de Gruyter.
- დრახი 1937:** Drach, Erich. *Grundgedanken der deutschen Satzlehre*. Frankfurt am Main. (Usually cited from 4th ed., Darmstadt:Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1963.).
- ეისენი 1999:** Aissen, Judith, Markedness and subject choice in Optimality Theory”. *Natural Language and Linguistic Theory* 17: 673-711.
- ეისენი 1999:** Aissen, Judith. 2003. “Differential object marking: Iconicity vs. Economy”. *Natural Language and Linguistic Theory* 21, 3: 435-83.
- ვან ვალინი 2005:** Van Valin, R. D., Jr. *Exploring the Syntax-Semantics Interface*. Cambridge: Cambridge University Press.
- ვან ვალინი 2007:** Van Valin, r. D., Jr. The role and reference Grammar analysis of three-Place Predicates. *Suvremena lingvistika* 33: 31-63.
- ვან ვალინი 2009a:** Van Valin, r. D., Jr. Privileged syntactic arguments, Pivots, and controllers. In Guerrero, Lilián, Sergio Ibáñez, and Valeria Belloro (eds.). *Studies in Role and Reference Grammar*. Mexico: Universidad Nacional Autónoma de México.
- ვან ვალინი 2009b:** Van Valin, R. D., Jr. Role and Reference Grammar. In Bernd Heine and Heiko Narrog (eds.), *The Oxford Handbook of Linguistic Analysis*. Oxford: Oxford University Press, pp. 703-38.
- ვულფორდი 2001:** Woolford, Ellen. Case Patterns. In Géraldine Legendre, Jane Grimshaw, and Sten Vikner (eds.). *Optimality-Theoretic Syntax*, pp. 509-43. Cambridge, MA: MIT Press.

- იგესენი 2005:** Iggesen, Oliver A. Number of cases. In *WALS*, pp. 202-5.
- კეინი 1994:** Kayne, Richard S. *The Antisymmetry of Syntax*. Cambridge, MA: MIT Press.
- კელერი 1994:** Keller, Rudy. *On Language Change: The Invisible Hand in Language*. London: Routledge.
- კირბი 1999:** Kirby, Simon. *Function, Selection, and Innateness: The Emergence of Language Universals*. Oxford: Oxford University Press.
- კრისტოფარო 2008:** Cristofaro, Sonia. Grammatical categories and relations: universality vs. language specificity and construction-specificity. MS, University of Pavia.
- კროფტი 2000:** Croft, William. *Explaining Language Change: An Evolutionary Approach*. London: Longman.
- კროფტი 2001:** Croft, William. *Radical Construction Grammar: Syntactic Theory in Typological Perspective*. Oxford: Oxford University Press.
- მაკ-კართი 2002:** McCarthy, John J. *A Thematic Guide to Optimality Theory*. Cambridge: Cambridge University Press.
- მაკლოსკი 1993:** McCloskey, James. Constraints on syntactic Processes. In Joachim Jacobs, Arnim von Stechow, Wolfgang Sternefeld, and Theo Vennemann (eds.), *Syntax: An International Handbook of Contemporary Research*, vol. 1, pp. 496-506. Berlin: Mouton de Gruyter.
- მითუნ 1991:** Mithun, Marianne. Active/agentive case marking and its motivations. *Language* 67: 510-46.
- მილკე 2008:** Mielke, Jeff. *The Emergence of Distinctive Features*. Oxford: Oxford University Press.
- მორავსიკი 2009:** Moravcsik, Edith A. Explaining language universals. In Jae Jung Song (ed.), *Oxford Handbook of Typology*. Oxford: Oxford University Press.
- ნეტლი 1999:** Nettle, Daniel. Functionalism and its difficulties in biology and linguistics. In Darnell, Michael, Edith Moravcsik, Frederick Newmeyer, Michael Noonan, and Kathleen Wheatley (eds.) (1999) *Functionalism and Formalism in Linguistics*, vol. 1: *General Papers*. Amsterdam: Benjamins, pp. 445-67.
- ნუემაიერი 1998:** Newmeyer, Frederick J. *Language Form and Language Function*. Cambridge, MA: MIT Press.
- ნუემაიერი 2005:** Newmeyer, Frederick J. *Possible and Probable Languages*. Oxford: Oxford University Press.
- პეინი 1997:** Payne, Thomas E. *Describing Morphosyntax: a Guide for Field Linguists*. Cambridge: Cambridge University Press.
- პერლმუტერი 1980:** Perlmutter, David M. Relational grammar. In Edith A. Moravcsik and Jessica R. Wirth (eds.), *Current Approaches to Syntax*. San Diego: Academic Press, pp. 195-229.
- რაინერი 1996:** Rainer, Franz, Inflection inside derivation: evidence from Spanish and Portuguese. *Yearbook of Morphology* 1995:83-91.
- ტრეივისი 1989:** Travis, Charles, *The Uses of Sense: Wittgenstein's Philosophy of Language*. New York: Oxford University Press.

- ფრაიციინგერი, ში 2003:** Frajzyngier, Zygmunt, and Erin Shay. *Explaining Language Structure through Systems Interaction*. Amsterdam: Benjamins.
- შახტერი, ოტანესი 1972:** Schachter, Paul, and Fé T. Otones. *Tagalog Reference Grammar*. Berkeley: University of California Press.
- შოპენი 2007:** Shopen, Timothy (ed.). *Language Typology and Syntactic Description*, 2nd ed. (3 vols). Cambridge: Cambridge University Press.
- ჩომსკი 1988:** Chomsky, Noam. *Language and Problems of Knowledge: The Managua Lectures*. Cambridge, MA: MIT Press.
- ციფონუნი და სხვ. 1997:** Zifonun, Gisela, Ludger Hoffmann, and Bruno Strecker, et al. *Grammatik der deutschen Sprache* (3 vols). Berlin: De Gruyter.
- ჯაკენდოფი 1983:** Jackendoff, Ray. *Semantics and Cognition*. Cambridge, MA: MIT Press.
- ჯაკენდოფი 2002:** Jackendoff, Ray. *Foundations of Language: Brain, Meaning, Grammar, Evolution*. Oxford: Oxford University Press.
- ჰაინე 1997:** Heine, Bernd. *Cognitive Foundations of Grammar*. Oxford: Oxford University Press.
- ჰასპელმათი 2008a:** Haspelmath, Martin. Creating economical morphosyntactic Patterns in language change. In Good, Jeff (ed.) (2008) *Linguistic Universals and Language Change*. Oxford: Oxford University Press, pp. 185-214.
- ჰასპელმათი 1999b:** Haspelmath, Martin. Optimality and diachronic adaptation. *Zeitschrift für Sprachwissenschaft* 18: 180-205.
- ჰასპელმათი 2004a:** Haspelmath, Martin. Does linguistic explanation Presuppose linguistic description? *Studies in Language* 28: 554-79. (Special issue on linguistic evidence, guest edited by Martina Penke and Anette Rosenbach.)
- ჰასპელმათი 2007:** Haspelmath, Martin. Pre-established categories don't exist: consequences for language description and typology. *Linguistic Typology* 111: 119-32.
- ჰასპელმათი 2008b:** Haspelmath, Martin. Parametric versus functional explanations of syntactic universals. In Theresa Biberauer (ed.), *The Limits of Syntactic Variation*, pp. 75-107. Amsterdam: Benjamins.
- ჰასპელმათი 2008c:** Haspelmath, Martin. Ditransitive constructions: towards a new role and reference Grammar account? In Van Valin, R. D., Jr. (ed.) (2008b) *Investigations of the Syntax-Semantic-Pragmatics Interface*. Amsterdam: Benjamins, pp. 75-100.
- ჰასპელმათი 2008e:** Haspelmath, Martin. Frequency vs. iconicity in explaining grammatical asymmetries. *Cognitive Linguistics* 19: 1-33.
- ჰასპელმათი 2009a:** Haspelmath, Martin. Descriptive categories and comparative concepts in crosslinguistic studies. MS, Max Planck Institute for Evolutionary Anthropology.
- ჰასპელმათი 2014:** Haspelmath, Martin. Comparative syntax. In Andrew Carnie, Yosuke Sato, and Dan Siddiqi (eds.), *The Routledge Handbook of Syntax*, pp. 490-508. London: Routledge.

- ჰასპელმათი და სხვ. 2005:** Haspelmath, Martin, Matthew Dryer, David Gil, and Bernard Comrie (eds.) (2005) *The World Atlas of Language Structures*. Oxford: Oxford University Press.
- ჰეგემანი 1994:** Haegeman, Liliane. *Introduction to Government and Binding Theory*, 2nd ed. Oxford: Blackwell.
- ჰელი, რაისი 2000:** Hale, Mark, and Charles Reiss. ‘Substance Abuse’ and ‘Dysfunctionalism’: Current Trends in Phonology. *Linguistic Inquiry* 31: 157-69.
- ჰენგველდი, მაკენზი 2008:** Hengeveld, Kees, and J. Lachlan Mackenzie. *Functional Discourse Grammar: A Typologically-Based Theory of Language Structure*. Oxford: Oxford University Press.
- ჰენგველდი, მაკენზი 2009:** Hengeveld, Kees, and J. Lachlan Mackenzie. Functional Discourse Grammar. In Bernd Heine and Heiko Narrog (eds.), *The Oxford Handbook of Linguistic Analysis*. Oxford: Oxford University Press, pp. 367-400.
- ჰოკინზი 2002:** Hawkins, John A. Symmetries and asymmetries: their grammar, typology and Parsing. *Theoretical Linguistics* 28: 95-149.
- ჰოკინზი 2004a:** Hawkins, John A. *Efficiency and Complexity in Grammars*. Oxford: Oxford University Press.

თარგმნა ქეთევან თევლორაძემ
თარგმანი იბეჭდება ზურაბ ბარათაშვილის რედაქციით

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი
დამკაბადონებელი
გამოცემის მენეჯერი

თამარ გაბელაია
ნანა კაჭაბავა
მარიამ ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი
მარიკა ერქომაიშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer
Typesetter
Edition Manager

Tamar Gabelaia
Nana Katchabava
Mariam Ebralidze
Lali Kurdghelashvili
Marika Erkomaishvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

